საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა

www.geworld.ge

№36 (365)

5 – 11 ოქტომბერი, 2016

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი

gazeti@inbox.ru




**ნილი ნაყარია: «პაპა კელი» ახალი სააკაშვილის გამოჩორკნას შეუდგა** 2

# სამეგრელო არ აირჩევს





დეპუტატს, რომლისთვისაც ზვიად გამსახურდია მძარცველი, ტერორისტი, ბანდიტი და არაფორმალური სამხედრო დაჯგუფების მეთაურია!

**ეს სანდრა რულოვსის სიტყვებია!**

90-იანი წლების დასაწყისში საქართველოში ორი არაფორმალური სამხედრო დაჯგუფება მოქმედებდა. ორივეს ძარცვასა და ტერორში ჰქონდა ხელი გასვრილი. ერთი ზვიად გამსახურდიას ეკუთვნოდა (საქართველოს პირველ პრეზიდენტს, რომელიც 1994 წლის დასაწყისში გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა სამეგრელოში), „ეროვნული გვარდია“ ერქვა და უშუალოდ თენგიზ კიტოვანს ემორჩილებოდა, მეორე დაჯგუფება კი „მხედრიონი“ იყო. „მხედრიონი“ ძირითადად დასავლეთ საქართველოში, სამეგრელოში, მოქმედებდა და მას სამოცდაათი წლის ფილოსოფოსი და პარლამენტარი ჯაბა იოსელიანი მეთაურობდა.

სანდრა ელისაბედ რულოვსი,
„იდეალისტის ნაამბობი“,
გამომცემლობა „LINK“, თბილისი, 2005, გვ. 40.

**«სამეგრელოს და განსაკუთრებით – ზუგდიდს, არ ეკადრება ზვიადის მტრებისა და მაგინებლების გვერდით დგომა»**

3

თემურ ქორიძე:

# არასოდეს შეადარონ ზვიადი თავისი იდეალებით, თავისი სიდიდით ნაციონალებს, მათ შორის დიდი უფსკრულია!

«მინდა, კიდევ ერთხელ მივმართო სამეგრელოს, განსაკუთრებით იმ ადამიანებს, რომლებიც თავს ზვიადისტს უწოდებდნენ და ახლა ნაციონალების მხარდამჭერნი არიან: ზვიად გამსახურდიასა და «ნაციონალური მოძრაობის» იდეებს შორის დიდი სხვაობაა. ზვიად გამსახურდია, უწინარესად, ერის კაცი იყო და მისი ცხოვრებისეული კრიტერიუმი რწმენის, ერის, ეროვნული იდეალების მსახურება იყო... ზვიადი მოკვდა სამშობლოსთვის, თავი გაწირა ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის... ნაციონალები კი არიან უსამშობლო კოსმოპოლიტები, რომელთათვისაც არ არსებობს სარწმუნოება, ეროვნული იდეალები, მათთვის არ არსებობს მოკრძალება... ეს ყველასთვის გასაგები უნდა იყოს»

4

# მიდი არჩევნებზე — აღადგინე სამართლიანობა!

„ნაციონალურმა მოძრაობამ“, ვიწროპარტიული ინტერესებიდან გამომდინარე, ერთხელ უკვე დააყენა დარტყმის ქვეშ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და ამას, სავარაუდოდ, კიდევ არაერთგზის გააკეთებს, თუ უცხო ქვეყნების მხარდაჭერის იმედი ექნება“.




# ნებისმიერი არეულობა შეიძლება თურქეთის ჩარევით დასრულდეს...

6 **«კიდევ ერთხელ წააკითხეთ ხალხს ალექსანდრე ჭაჭიას მოსაზრებები»**

7 **«ალტერნატიული პოლიტიკური ძალა რომ არსებობდეს, დარწმუნებული ვარ, «ქართული ოცნებაც» და «ნაციონალური მოძრაობაც» უკანა პლანზე გადაიწევდა»**

9 **«ვაშინგტონიდან მართული ეს ძალა ამომრჩეველთა იმედს ვერ გაამართლებს»**

10 **გადამტრიალებლები, გადატრიალებულები და გადასატრიალებლები**

ჩეჯლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ნაცების შემცვლელი დანიშნულია და 4 წლის შემდეგ, 2020 წლის არჩევნებზე, იმ პერიოდისთვის უკვე უიმედოდ და საბოლოოდ გაკოტრებულ „ქართულ ოცნებას“ უმტკივნეულოდ ჩაანაცვლებს „ახალი ნაცმოძრაობა“ მაია ფანჯიკიძის სიძის პარტიის სახით. თუმცა შავი და თეთრი აბანოში გამოჩნდებაო, და იმედი ვიქონიოთ, რომ მანამდე პატრიოტული ძალები მოახერხებენ კონსოლიდირებას და უფრო მალე შეძლებენ რეალურ ალტერნატივად ჩამოყალიბებას, სანამ ვაშინგტონელი „პაპა კელი“ მაია ფანჯიკიძის სიძისგან ახალ სააკაშვილს გამოგვიჩორკნის.**

# წილი ნაყარია — «პაპა კელი» ახალი სააკაშვილის გამოჩორკნას შეუდგა

**ორიოდე კვირის წინათ იმერეთის რეგიონში ჟურნალისტებთან შეხვედრისას შეკითხვაზე — რომ არა „ქართული ოცნება“, ვინ არის ბიძინა ივანიშვილის მეორე არჩევანი, მან უპასუხა: „ჩემი მეორე არჩევანი არის, რა თქმა უნდა, თავისუფალი დემოკრატები... და რესპუბლიკური პარტია“...**



თუ გავითვალისწინებთ, რომ ქვეყანაში წინასაარჩევნო პერიოდია, ხოლო ალასანიას პარტია და რესპუბლიკელები „ქართულ ოცნებას“ ოპოზიციაში უდგანან; თუ გავითვალისწინებთ, რა უშვერად მოიხსენიებენ, როგორც ალასანიასა და უსუფაშვილის თანაგუნდელები ივანიშვილს, ასევე იმას, როგორ არ იშურებს „თბილ ეპითეტებს“ მათი მისამართით თვითონ ივანიშვილი და მხედველობიდან არ გამოგვრჩება „კაბელების საქმესა“ და ფარულ ვიდეოჩანაწერებთან დაკავშირებული სამარცხვინო სკანდალი, მსუბუქად რომ ვთქვათ, გაუგებარია, რატომ ასახელებს მისთვის სიმპათიურ მეორე ძალად ივანიშვილი ალასანიასა და რესპუბლიკელებს.

თუმცა ივანიშვილის ამ განცხადების შემდეგ გასაგებია პასუხი კითხვაზე — **ვინ მოიყვანა ხელისუფლებაში ოდიოზური, როგორც ხალხში ეძახიან, „ერთპროცენტიანი“ რესპუბლიკელები და თავისუფალი დემოკრატები?** როგორც ჩანს, ამერიკის ელჩი მხოლოდ თანამონაწილე იყო და ივანიშვილს თვითონაც ჰქონდა (მეტიც — დღესაც აქვს) სიმპათია ამ მკვდრადშობილი პარტიების მიმართ.

ბატონი მოქალაქე და ყოფილი პრემიერი ორიდე დღის წინათ უფრო შორს წავიდა და ასევე რეგიონულ პრესასთან შეხვედრისას, არც აცია არც აცხელა და, განაცხადა: **„გაჩნდა შანსი, რომ მეორე ადგილზე „ქართული ოცნების“ შემდეგ, „თავისუფალი დემოკრატები“ გავიდნენ და ეს არის ძალიან კარგი შანსი“...**

რას უნდა ნიშნავდეს „ქართული ოცნების“ ფორმალური თუ არაფორმალური ლიდერის მიერ ოპოზიციაში მყოფი პარტიის ასე საჯაროდ წახალისება, მის რეიტინგზე ზრუნვა და ერთგვარი მითითება „ოცნების“ პოტენციური ამომრჩევლისთვის, კონკურენტ პარტიას — „თავისუფალ დემოკრატებს“ — მიეცით ხმაო?

მართლაც, უცნაური და გაუგებარი რებუსია — ივანიშვილი დაუფარავად მიანიშნებს ამომრჩეველს, მხარი დაუჭიროს „ქართული ოცნების“ კონკურენტ პარტიას, თუმცა ამ რებუსის შინაარსიცა და მიზანიც გასაგები იქნება, თუ გავიხსებთ, როგორ შეაფასა წინასაარჩევნო ვითარება **„საქართველო და მსოფლიოსთან“** საუბარისას ბატონმა **ალექსანდრე ჭაჭიამ: „ამერიკელებიც კი, რომლებმაც შექმნეს და ხელისუფლებაშიც მოიყვანეს ნაციონალები, დაჟინებით აღარ ითხოვენ სერიოზულ პოლიტიკურ ძალად მის შენარჩუნებას და ამჟამინდელი არჩევნები ამის ნათელი დასტური იქნება: ამერიკელები აღარ მოითხოვენ არჩევნების გაყალბებას ნაციონალების სასარგებლოდ. ისინი, რა თქმა უნდა, მალევე შექმნიან „ახალ ნაციონალებს“ სხვა სახელით (ათეულობით პარტია დგას რიგში და ელოდება თავის ჟამს), მოამზადებენ მათ შემდეგ არჩევნებში გაკოტრებული „ქართული ოცნების“ ჩასანაცვლებლად, მაგრამ ამ ყველაფერს 2-3 წელიწადი დასჭირდება. ამასობაში კი, შესაძლოა, პატრიოტულმა ძალებმა შეძლონ კონსოლიდირება, რადგან კატასტროფის პირას, ქართველებში, როგორც წესი, თვითგადარჩენის ინსტინქტი ილვიძებს“.**

**საქართველოში აშშ-ის ელჩი და შეთავსებით მთავარმართებელი აღარ ითხოვს ივანიშვილისგან «ნაცმოძრაობის» სასარგებლოდ არჩევნების ტოტალურად გაყალბებას, მაგრამ ასევე ცხადია, რომ ამერიკელებმა უკვე ოპერატიულად დაიწყეს «ახალი ნაცმოძრაობის» გამოთლა. «მეცოცხეთა» ამ ანტიეროვნული, დანაშაულებრივი პარტიის «ღირსეულ ჩამნაცვლებელთა» რიგში კი ყველაზე წინ რესპუბლიკელები და თავისუფალი დემოკრატები იდგნენ და ივანიშვილმა მაია ფანჯიკიძის სიძის პარტიაზე გააკეთა არჩევანი...**

როგორც ჩანს, **საქართველოში აშშ-ის ელჩი და შეთავსებით მთავარმართებელი აღარ ითხოვს ივანიშვილისგან „ნაცმოძრაობის“ სასარგებლოდ არჩევნების ტოტალურად გაყალბებას, მაგრამ ასევე ცხადია, რომ ამერიკელებმა უკვე ოპერატიულად დაიწყეს „ახალი ნაცმოძრაობის“ გამოთლა. „მეცოცხეთა“ ამ ანტიეროვნული, დანაშაულებრივი პარტიის „ღირსეულ ჩამნაცვლებელთა“ რიგში კი ყველაზე წინ რესპუბლიკელები და თავისუფალი დემოკრატები იდგნენ და ივანიშვილმა მაია ფანჯიკიძის სიძის პარტიაზე გააკეთა არჩევანი...**

როგორც იტყვიან, წილი ნაყარია, „ნაცების“ შემცვლელი დანიშნულია და 4 წლის შემდეგ, 2020 წლის არჩევნებზე, იმ პერიოდისათვის უკვე უიმედოდ და საბოლოოდ გაკოტრებული „ქართულ ოცნებას“ უმტკივნეულოდ ჩაანაცვლებს „ახალი ნაცმოძრაობა“ მაია ფანჯიკიძის სიძის პარტიის სახით.

თუმცა შავი და თეთრი აბანოში გამოჩნდებაო და, იმედი ვიქონიოთ, რომ პატრიოტული ძალები მოახერხებენ კონსოლიდირებას და მანამდე შეძლებენ რეალურ ალტერნატივად ჩამოყალიბებას, სანამ ვაშინგტონელი „პაპა კელი“ მაია ფანჯიკიძის სიძისგან ახალ სააკაშვილს გამოგვიჩორკნის.

**გიორგი გაჩეჩილაძე**

# საკუთარი პარტიიდან ბურჭულაძეც გაიქცა



**პაატა ბურჭულაძეს ნაქირავები ცენტრალური ოფისიდან გაქცევისას მეპატრონეებმა მიუსწრეს. „სახელმწიფო ხალხისთვის“ ლიდერი და მისი გუნდი მალულად ცდილობდნენ, დაეცალათ ოფისი და საოფისე ფართობის მეპატრონესთან შეუთანხმებლად გაპარულიყვნენ.**

ფართობის მფლობელ უშანგი ბუჩუკურის განცხადებით, პარტიას „სახელმწიფო ხალხისთვის“ ოფისის 3 თვის ქირა აქვს გადასახდელი, თანხა ჯამში 54 000 დოლარს შეადგენს. სწორედ ქირის გადაუხდელობის გამო ცდილობდნენ პარტიის წარმომადგენლები გამთენიისას ოფისიდან ინვენტარისა და კომპიუტერული ტექნიკის მალულად გატანას.

„ჩვენ გავაფრთხილეთ, რომ გადაეხადათ დავალიანება, მეორე დღეს კი ოფისიდან ავეჯის გაზიდვა დაიწყეს. მე შემატყობინა დაცვამ, მოვედი და პარტიის წევრებს ავეჯი არ გავატანეთ, დავლუქეთ პარტიის ოთახები და ველოდებით სამ საათს, რომ მივიღოთ ზუსტი პასუხი, როდის გადაიხდიან დავალიანებას. ეს ყველაფერი ყოვლად წარმოუდგენელია, გაუგებარია, სად მიჰქონდათ ჩუმად პარტიის ინვენტარი“, — განაცხადა უშანგი ბუჩუკურმა.

მოკლედ, **ბურჭულაძის პარტიის დატოვება თვით ბურჭულაძესაც სურდა და ოფისიდან იპარებოდა, მაგრამ არ დაანებეს...**

**ბატონო პაატა, „ყვარყვარე“ თუ გაქვთ ნანახი, გაიხსენეთ, როგორ იპარება ქალაქიდან და... გრიმის გაკეთება გაგიჭირდებათ თუ რა?!**

# გაყალბება, ანუ საოჯახო ბიზნესი

**ტელეკომპანია „რუსთავი 2“-მა ორგანიზაცია GFK-ის კვლევა დაუკვეთა, სამუშაოები კი კომპანია BCG -მ ჩაატარა, კვლევის შედეგების მიხედვით „ნაციონალურ მოძრაობას“ უფრო დიდი რეიტინგი აქვს, ვიდრე „ქართულ ოცნებას“. ნაციონალებმა, რა თქმა უნდა, ყიჟინა ატეხეს, „ოცნებამ“ კი კვლევას უნდობლობა გამოუცხადა და...**

აღნიშნული ორგანიზაციის დირექტორი **ლევან თარხნიშვილის** მეუღლეა. უფრო გასაგებად რომ გითხრათ, თრხნიშვიილი ის კაცია, ვინც ცესკო-ს თავმჯდომარე იყო, ხმებს აყალბებდა, ახლაც რამე ხომ უნდა გააყალბოს და აგერ, ცოლს მიანდო ეს საქმე, ანუ გაყალბება ოჯახურ ბიზნესად აქცია, თუმცა არც ასე მარტივად არის საქმე. მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, მე მხოლოდ იმ ეგზიტპოლებს ვენდობი, რომელსაც „რუსთავი-2“ დადებსო და რას დადებს ეს ტელეკომპანია, კი გამოჩნდა უკვე, ამის შემდეგ „ნაცმოს“ აქტივი „ხმების“ დასაცავად ქუჩაში გამოვა და... **ნაციონალებისთვის ერთი კაცის სიკვდილიც არ ყოფილა ტრაგედია და მასის სიკვდილი ისედაც სტატისტიკაა...**

# ჩამოდი... უნდა გაგასამართლოთ!

**კომპანია Population Reference Bureau-მ კვლევა ჩაატარა, რომლის მიხედვით იმ ერების ხუთეული შეადგინა, რომლებსაც გადაშენება ემუქრებათ. ხუთეულში მოხვდა საქართველოც, რომელიც იაპონიის, უკრაინის, ბოსნია-ჰერცოგოვინისა და ბულგარეთის შემდეგ, მეხუთე ადგილს იკავებს. კომპანიის აზრით, დაბერების პროცესი და სხვაობა ახალშობილებსა და გარდაცვლილებს შორის იმის თქმის საფუძველს იძლევა, რომ ერი გადაშენების პირასაა.**

ის, რომ ამ მიმართულებით მართლაც სავალალო მდგომარეობა გვაქვს, ყველამ კარგად იცის. ისიც გვახსოვს, წინა ხელისუფლებამ საკუთრ ხალხს გენოციდი რომ მოუწყო და პრაქტიკულაად ყველა კრიმინალად გამოაცხადა; ისიც გვახსოვს, საჯიშე ბიჭებს ქუჩაში რომ ხვრეტდნენ და 2008 წელსაც რამდენი შეაკლეს რუსის ჯარს სააკაშვილის კაპრიზების გამო და...

**მიშა, ჩამოდი რა, მართლა ჩამოდი... უნდა გაგასამართლოთ!**

**მოამზადა გიორგი გელაშვილმა**

„ნაციონალური მოძრაობა“ არის დანაშაულებრივი ორგანიზაცია, რომლის სახსენებელიც საქართველოში მალე აღარ იქნება, ისტორია მათ საბოლოო განაჩენს გამოუტანს. ხოლო ისინი, ვისაც ორ სკამზე ჯდომა სჩვევია, ვისაც პრინციპების, მორალისა და სამშობლოს გაყიდვა არაფრად მიაჩნია, ძალიან მალე კომიკურად დაასრულებენ ცხოვრებას. ასე რომ, კიდევ ერთხელ ვთხოვ სამეგრელოს: გამოფხიზლდით, არ დაუშვათ შეცდომა, არ დაუშვათ დესტაბილიზაცია და უსამშობლოთა დანაშაულებრივი ორგანიზაციის მხარდაჭერა არჩევნებზე“.

არჩევნები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# თემურ ქორიძე: არასოდეს შეადარონ ზვიადი თავისი იდეალებით, თავისი სიდიდით ნაციონალებს, მათ შორის დიდი უფსკრულია!

## «წარმოუდგენელია, ბრძენმა მეგრელებმა სანდრა რულოვსს დაუჭირონ მხარი»

**წინასაარჩევნოდ საქართველოს ყურადღება ნაციონალების ბუდედ წოდებული სამეგრელოსკენაა მოპყრობილი. ჭკვიანი და ბრძენი მეგრელები რატომღაც ამ გაუგებრობაში აღმოჩნდნენ. მართალია, აქ მცხოვრები ხალხის უდიდესი, საუკეთესო ნაწილი თვლის, რომ სამეგრელოდან ნაცები ვერაფერს წაიღებენ, მაგრამ ფაქტია: იქ, სადაც ყოფილი პირველი ლედი კენჭს იყრის, ნაციონალები არანაირ პროვოკაციას არ თაკილობენ. ისევ ბედავენ, ხელი აღმართონ ადამიანებზე, და რაც ყველაზე საშიში ტენდენციაა, პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას, დისკრედიტაციას ცდილობენ. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, სამეგრელოში ესეც გაბედეს, მიუხედავად იმისა, რომ ნაცების რიგებში ბევრი ე.წ. ზვიადისტია. ამ და სხვა მრავალი შემაშფოთებელი ფაქტის გამო ჩვენი ქვეყნის ცნობილი საზოგადო მოღვაწეები, პატივსაცემი ადამიანები სამეგრელოსკენ დაირაზმნენ და სწორედ იქედან აპირებენ, თვალყური ადევნონ არჩევნებს.**

**სამეგრელოში იმყოფება ეროვნული მოძრაობისა და ზვიად გამსახურდიას მთავრობის წევრი, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ახლო მეგობარი თემურ ქორიძე, რომელიც, როგორც ყველა ქართველი, შეშფოთებულია სამეგრელოში მიმდინარე პროცესებით.**

**— ბატონო თემურ, სამეგრელო, ნაციონალების თავშესაფრად იქცა, ყოველ შემთხვევაში, შორიდან ასე ჩანს. ზუგდიდის რაიონში ნაცების მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატია სააკაშვილის ცოლი სანდრა რულოვსი, რომელიც ახლახან ამხილეს, რომ ზვიად გამსახურდიას ტერორისტად, მძარცველად მოიხსენიებდა, რისი დამადასტურებელი პლაკატებიც ზუგდიდში უკვე გაკრულია...**

— წარმოუდგენელია, ზვიადს ტერორისტი უწოდო. ვისაც ზვიადის ნაწერები, ესეები წაუკითხავს, ადვილად მიხვდება, რომ მას ცილს სწამებენ. ზვიად გამსახურდია უნდა წაიკითხონ, მისი გულისა და სულის კარდიოგრამას უნდა მიადევნონ თვალყური და დარწმუნდებიან, რომ უფრო დიდი ჰუმანისტი, უფრო დიდი კაცთმოყვარე, თავისი ბუნებით არა მხოლოდ ღრმად ეროვნული, არამედ მსოფლიოს მოქალაქე იშვიათად ჰყოლია საქართველოს.

**— სამეგრელოში და არა მხოლოდ აქ, ძალიან ბევრი ყოფილი ე.წ. ზვიადისტი „ნაციონალურ მოძრაობას“ შეუერთდა. ეს ტენდენცია ჯერ კიდევ 2003 წელს დაიწყო, რაც, მოგეხსენებათ, ხალხზე ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგიცაა. ჩვენ ხშირად გვისაუბრია, რომ წინასაარჩევნოდ ზვიადის თემის წამოწევა მომგებიანია, ამიტომაც სარგებლობენ პოლიტიკოსები მისი სახელით...**

— ადამიანები, რომლებიც თავს ზვიადისტს უწოდებენ და პარტიიდან პარტიაში დარბიან, ჩვეულებრივი მედროვეები არიან, ე.წ. ფასიანი პატრიოტები, რომლებიც ფულისთვის ეშმაკსაც კი მიჰყიდიან სულს და სწორედ ასეთი სულგაყიდულები უდგანან გვერდით ნაციონალებს.

მინდა, კიდევ ერთხელ მივმართო სამეგრელოს, განსაკუთრებით იმ ადამიანებს, რომლებიც თავს ზვიადისტს უწოდებდნენ და ახლა ნაციონალების მხარდამჭერნი არიან: **ზვიად გამსახურდიასა და „ნაციონალური მოძრაობის“ იდეებს შორის დიდი სხვაობაა.** ზვიად გამსახურდია, უწინარესად, ერის კაცი იყო და მისი ცხოვრებისეული კრიტერიუმი რწმენის, ერის, ეროვნული იდეალების მსახურება იყო... ზვიადი მოკვდა სამშობლოსთვის, თავი გაწირა ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის... ნაციონალები კი არიან უსამშობლო კოსმოპოლიტები, რომელთათვისაც არ არსებობს სარწმუნოება, ეროვნული იდეალები, მათთვის არ არსებობს მოკრძალება... ეს ყველასთვის გასაგები უნდა იყოს. არ მინდა დავწვრილმანდე და ჭკუის დამრიგებლად მოვევლინო ვინმეს, მაგრამ მაინც ვიტყვი: **არასოდეს შეადარონ ზვიადი თავისი იდეალებით, თავისი სიდიდით ნაციონალებს, მათ შორის დიდი უფსკრულია!**

„ნაციონალური მოძრაობა“ არის დანაშაულებრივი ორგანიზაცია, რომლის სახსენებელიც საქართველოში მალე აღარ იქნება, ისტორია მათ საბოლოო განაჩენს გამოუტანს. ხოლო ისინი, ვისაც ორ სკამზე ჯდომა სჩვევია, ვისაც პრინციპების, მორალისა და სამშობლოს გაყიდვა არაფრად მიაჩნია, ძალიან მალე კომიკურად დაასრულებენ ცხოვრებას. ასე რომ, კიდევ ერთხელ ვთხოვ სამეგრელოს: გამოფხიზლდით, არ დაუშვათ შეცდომა, არ დაუშვათ დესტაბილიზაცია და უსამშობლოთა დანაშაულებრივი ორგანიზაციის მხარდაჭერა არჩევნებზე.

**— რამდენიმე სიტყვა იქნებ ჰოლანდიელ ქალბატონზეც უთხრათ მეგრელებს და არა მხოლოდ მათ...**

— არ მინდა დავიჯერო, რომ ჩემი უსაყვარლესი კუთხე, ჩემი სამეგრელო ასეთ მცდარ არჩევანს გააკეთებს; სამეგრელო, რომელიც საქართველოს ლანდიად წარმოიდგენს თავს, სამეგრელო, რომელიც 1990-იან წლებში საქართველოს ლანდიად მოგვევლინა, ასეთ შეცდომას არ დაუშვებს. მოგეხსენებათ, საფრანგეთში ლანდია იყო ის ადგილი, რომელიც მონარქიზმის ინტერესებისთვის იბრძოდა და ეწირებოდა მას კიდეც, ასეთ ადგილად გვევლინებოდა სამეგრელო ყოველთვის, ხოლო ზვიადის სახელი სამეგრელოსთვის იყო და დარჩება მორალურ ავტორიტეტად. ამიტომ წარმოუდგენელია, რომ ბრძენმა მეგრელმა ხალხმა სანრდა რულოვსს დაუჭიროს მხარი.

**— ბატონო თემურ, არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე რა პროგნოზს გააკეთებთ? მაგალითად, პოლიტიკოსმა ალექსანდრე ჭაჭიამ გაზეთ „საქართველო და მსოფლიოსთან“ ინტერვიუში განაცხადა, რომ ამერიკელები ახალი პოლიტიკური ძალის შექმნაზე იზრუნებენ, რაც უმალვე დადასტურდა. ივანიშვილმა ყოფილი თავდაცვის მინისტრის — ირაკლი ალასანიას გუნდს უწინასწარმეტყველა „მეორე ძალად“ ჩამოყალიბება.**

— თქვენს გაზეთში ჩემი პატარა დაკვირვებები უკვე გამოქვეყნებული მაქვს, რომელიც ემთხვევა ალექსანდრე ჭაჭიას პროგნოზს. ვფიქრობ, ეს ეტაპი, რომელზეც ვართ, ორი წლის განმავლობაში არ შეიცვლება. ამ ხნის განმავლობაში დომინანტი „ქართული ოცნება“ იქნება, მეორე და მასამე ძალად ვინც შევა პარლამენტში, გადაწყვეტილებების მიმღები ვერ იქნება, მაგრამ მდგომარეობის ცვლილება დაიწყება წელიწად-ნახევარში. ამის შესახებაც არა ერთხელ მითქვამს. პროგნოზის ოსტატად თავი არ მიმაჩნია, მაგრამ ინტუიცია მკარნახობს, რომ „ოცნების“ რესურსიც ისეა ამოწურვის პირას, როგორც ივანიშვილის, ეს დადასტურდა კიდეც მის ბოლო სატელევიზიო „სერიალებში“, რომელმაც ერთხელ კიდევ გვიჩვენა, რომ ეს კაცი „არაა თავის“ ადგილზე, არ საუბრობს იმაზე, რაც მისი სამყაროდან უნდა მომდინარეობდეს.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

# ზვიად გამსახურდიას მაგინებელს სამეგრელო არასოდეს მიიღებს

**პლაკატი, რომელსაც ხედავთ, ზუგდიდში თითქმის ყველა შენობის ფასადზე, ბოძსა თუ სადარბაზოშია გამოკრული. მასზე ორი ადამიანია გამოსახული: ერთი — საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ეროვნული მოძრაობის მოთავისა და სულის ჩამდგმელის — ზვიად გამსახურდიასი და მეორე — საქართველოს დამაქცევარი მიხეილ სააკაშვილის მეუღლის — სანდრა-ელისაბედ რულოვსის. ფოტოს ერთვის რულოვსის ვრცელი ციტატა მის მიერ ერთ-ერთი გამოცემისთვის მიცემული ინტერვიუდან, რომელშიც ზვიად გამსახურდიას მძარცველად, ტერორისტად და არაფორმალური სამხედრო დაჯგუფების მეთაურად მოიხსენიებს.**




ეს ბანერი ერთგვარი მამხილებელი დოკუმენტია „ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარობის კანდიდატისთვის, რომელსაც აქვს პრეტენზია, რომ 8 ოქტომბერს დეპუტატის მანდატი ლანგრით მიართვან. **ისე, ვინვინ და, სააკაშვილის კნეინამ კარგად იცის, რომ ზვიადის მაგინებელს სამეგრელო არასოდეს მიიღებს; იცის, რომ ზვიად გამსახურდიაზე და, საზოგადოდ, ეროვნულ მოძრაობაზე აუგის მთქმელი იმთავითვე პოლიტიკური გვამია და რამდენი მილიონიც უნდა დახარჯოს წინასაარჩევნო კამპანიაში, მოსახლეობის თუნდაც უმცირესი ნაწილის მხარდაჭერასაც ვერ ეღირსება.** სწორედ ამან გამოიწვია ის შფოთი და ალიაქოთი „სანაცეთში“, რომელიც ქალაქში ზემოაღნიშნული ბანერების გამოჩენას მოჰყვა; ამან გამოიწვია მათი ისტერიკა და დუჟისნთხევა.

მოგვიანებით „ვარდოსნებმა“ თავიანთი ახალგაზრდული ფრთა აქტიურად აამოქმედეს და 2 ოქტომბერს, გვიან ღამით, ქალაქში დაიწყეს ბანერების ჩამოხევა. ასობით ბანერი გაანადგურეს და მათ ნაცვლად რულოვსის საარჩევნო პრაკატები გააკრეს, კიბოს მეტასტაზებივით მოედვნენ ქალაქს, მაგრამ ამ ყველაფერს ინციდენტის გარეშე არ ჩაუვლია — ადგილობრივი მოსახლეობა, რომელიც პლაკატების ჩამოხევას შეესწრო, ნაციონალ აქტივისტებს სიტყვიერად დაუპირისპირდა. მოგვიანებით ადგილზე სამართალდამცავები მივიდნენ და „ვარდოსანთა“ ოთხი აქტივისტი დააკავეს. მოკლედ, სათქმელი, ასე თუ ისე, ითქვა და სამეგრელოს მოსახლეობას კიდევ ერთხელ შეახსენეს, რომ ზვიადის, როგორც ეროვნული მოძრაობის თავკაცის, იდეურ მტერს მხარი არ უნდა დაუჭიროს. სამეგრელოს და განსაკუთრებით — ზუგდიდს, არ ეკადრება ზვიადის მტრებისა და მაგინებლების გვერდით დგომა; სამეგრელომ და განსაკუთრებით — ზუგდიდმა, არ უნდა აირჩიოს ეროვნული მოძრაობის განმგმირავები, 30 გრანტზე გაყიდული იუდები და ფარსადანები, რომლებსაც არაფერი შერჩენიათ ქართული...

**ჯაბა ჟვანია**

**დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**საბაბი არეულობისთვის, და ამას სააკაშვილი, პრინციპში, აღარც მალავს, სავარაუდოდ, გახდება დიდი სხვაობა „რუსთავი 2“-ის ეგზიტპოლსა და ცესკო-ს მიერ გამოცხადებულ შედეგებს შორის. ამ ჩანაფიქრის ნეიტრალიზება შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ „ნაცმოძრაობა“ რეალურად ძალიან მცირე პროცენტს მიიღებს და სააკაშვილის ხელქვეითები დაინახავენ, რომ არ შეუძლიათ მანიპულირება ამომრჩეველთა თუნდაც 15 პროცენტის ემოციებით.**

# მიდი არჩევნებზე — აღადგინე სამართლიანობა!

**შაბათს, 8 ოქტომბერს, საქართველოს თითოეული მოქალაქე, რომელსაც სურს, ქვეყანაში მშვიდობა შენარჩუნდეს, ხოლო დემოკრატიული განვითარება გაგრძელდეს, უნდა მივიდეს საარჩევნო უბანზე და ხმა მისცეს ნებისმიერ პარტიას, „ნაციონალური მოძრაობისა“ და იმ პოლიტიკური გაერთიანებების გარდა, რომლებსაც მის სატელიტად მიიჩნევს.**




არაერთი ადამიანი, რომელსაც სძულს სააკაშვილის რეჟიმი, მაგრამ, ამასთანავე, ვერ მიუტევებს „ქართულ ოცნებას“ დაშვებულ შეცდომებს, უპირველესად კი, ფაქტობრივ უარს სამართლიანობის აღდგენაზე, მიიჩნევს, რომ არჩევნებზე მიუსვლელობით, ერთგვარი „ჩუმი ბოიკოტით“ ის თავის პროტესტს ყველაზე კარგად გამოხატავს. ეს, ალბათ, ფატალური შეცდომაა, რადგან ის ფაქტი, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ვერ ივარგა, არ ხსნის დღის წესრიგიდან „ნაცმოძრაობის“ პოლიტიკიდან ამოშანთვის აუცილებლობას და მის წინააღმდეგ მიცემული თითოეული ხმა ამ შედეგთან გვაახლოებს. მართალია, ხელისუფლებამ ვერ აღადგინა სამართლიანობა, მაგრამ ამის გაკეთება საზოგადოებას შეუძლია.

სულ უფრო მეტი ფაქტი მიანიშნებს იმაზე, რომ **მიხეილ სააკაშვილი** საქართველოში არეულობასა და სისხლისღვრას გეგმავს. ქვეყნდება შესაბამისი ჩანაწერები, „ნაცმოძრაობის“ წევრები, რომლებსაც ძალიან ეშინიათ მოსალოდნელი ესკალაციის, ტოვებენ პარტიას და შემაშფოთებელ ინფორმაციას ავრცელებენ. მიუხედავად ამისა, ათიათასობით ადამიანი კვლავინდებურად რჩება სააკაშვილის ამბიციების მძევლად.

**თუ თვალს ოდესის გუბერნატორის ბოლოდროინდელ ინტერვიუებს, ვიდეოჩანაწერებს ან თუნდაც ფოტოებს გადავავლებთ, ვნახავთ, რომ დეგრადაციის ნიშნები თვალშისაცემია. სპეციალისტები, ალბათ, დაადგენენ, რა არის ამის მიზეზი — კოკაინი, ბოლმა თუ ორივე ერთად. მთავარია, რომ ის უკვე აღარ შეიძლება ჩაითვალოს პოლიტიკოსად, რადგან ამისთვის აუცილებელი მთავარი თვისება — საღი განსჯის უნარი დაკარგა. აშკარაა ისიც, რომ სააკაშვილს სურს, საქართველოზე შური იძიოს იმისთვის, რომ 2012-ში მის რეჟიმს უარი უთხრა.** ყველსათვის, მათ შორის, სავარაუდოდ, „ნაცმოძრაობის“ „პოლიტბიუროსთვისაც“ ცხადია, რომ მისი გეგმები ხელისუფლებაში დაბრუნებით ვერ დაგვირგვინდება, მაგრამ შეიძლება არეულობა და სისხლისღვრა მოგვიტანოს. **2013-ში, როდესაც გაცილებით დიდი რესურსი ჰქონდა, სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა ვერ გაბედა, რადგან ეშინოდა, რომ, წარუმატებლობის შემთხვევაში, ავლაბრის რეზიდენციიდან გამოათრევდნენ და, მუსოლინის მსგავსად, ფეხებით ჩამოჰკიდებდნენ. დღეს კი უკრაინაშია და თვლის, რომ პირადად მას საფრთხე არ ემუქრება.**

საერთოდ, ქართველების ტრადიციული ტოლერანტულობა ხშირად საკმაოდ უცნაურ ფორმებში ვლინდება. თუ ვინმე მოვა და გვეტყვის, რომ აპირებს ოჯახის წევრებსა და ახლობლებთან ერთად დაგვიჭიროს, გვაწამოს, გაგვაუპატიუროს და მოგვკლას, მას საკადრის პასუხს დაუყონებლივ გავცემთ. მაგრამ, ვეგუებით ქართულ პოლიტიკაში იმ პარტიის არსებობას, რომელიც ხელისუფლებაში ყოფნისას სწორედ ამას აკეთებდა და უამავი ოჯახი გააუბედურა. რეალურად, ყველა, ვინც ხმას „ნაცმოძრაობას“ აძლევს, მხარს ამას უჭერს და ვერ აცნობიერებს, რომ **ბიულეტენში ხუთიანის შემოხაზვა ყოველივე ჩამოთვლილზე პერსონალურ პასუხისმგებლობას აკისრებს. რჩება სულ რაღაც სამი დღე იმისთვის, რომ ეს თითოეულ მათგანს ავუხსნათ.**

დაახლოებით ნახევარი წლის წინათ თბილისის ერთ-ერთ უბანში საგულისხმო შემთხვევა მოხდა. ერთი კაცი, სააკაშვილის მომხრე, უიმედო ლოთი, დეგრადაციის ისეთ სტადიაში, როდესაც მეზობლები ჩადენილი სისულეების გამო აღარც ლანძღავენ (ცემაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია), სიმთვრალეში მუდამ იმეორებდა, რომ ყველაფერს იწერს და „ბატონი მიშას“ ყველა მტერს, ადრე თუ გვიან, პასუხი მოეთხოვება. **მეზობლები იცინოდნენ და განსაკუთრებულ ყურადღებას არ აქცევდნენ მანამ, სანამ, ერთ-ერთ მათგანს, სრულიად შემთხვევით, ხელში არ ჩაუვარდა რვეული, რომელშიც ის კაცი მართლა იწერდა ყველაფერს დაახლოებით ასეთ სტილში: „ამან (სახელი, გვარი), ამის თანდასწრებით, ბატონ მიხეილ სააკაშვილს დედა შეაგინა“ (თარიღი), „ამან ბატონ ბაჩო ახალაიას მკვლელი უწოდა“ (თარიღი) და ა.შ. როგორც ჩანს, ის ელოდებოდა „ნაციონალების“ რევანშს და ოცნებობდა იმაზე, რომ ამ რვეულის გამოყენებით სამეზობლოს მუსრს გაავლებს.**

ერთი შეხედვით, სახალისო ისტორიაა, მაგრამ მის უკან უდიდესი, ეროვნული მასშტაბის ტრაგედია დგას, რადგან ჩვენ გვერდით ცხოვრობს არაერთი „ადამიანი რვეულით“ (მათი უმრავლესობა, ცხადია, უბრალოდ, იმახსოვრებს), რომელიც ელოდება იმ მომენტს, როდესაც კიდევ ერთხელ მიეცემა შესაძლებლობა, საკუთარი წარუმატებლობისა და ფსიქოლოგიური კომპლექსებისთვის შური იძიოს თითოეულ ჩვენგანზე. სინამდვილეში, კლინიკური ფსიქიატრიის გადასახედიდან არანაირი სხვაობა მიხეილ სააკაშვილსა და იმ ლოთს შორის არ არსებობს და ორივეს ერთი ოცნება აქვს. **თუ არ გვინდა, რომ მათი პათოლოგიური ფანტაზიები რეალობად იქცეს, 8 ოქტომბერს არჩევნებზე უნდა მივიდეთ.**

**არეულობის მთავარ კერად, დიდი ალბათობით, გადაიქცევა ის ქალაქი, რომელშიც „ნაციონალური მოძრაობა“ და მისი მაჟორიტარობის კანდიდატები ყველაზე მეტ ხმას მიიღებენ.** იმის გათვალისწინებით, რომ ეს პარტია რესურსების კონცენტრირებას აჭარასა და სამეგრელოში აპირებს, ეს შეიძლება **ბათუმსა** და **ზუგდიდში** მოხდეს. **თუ ნაციონალები ზუგდიდში ბევრ ხმას მიიღებენ, ამ ქალაქს 1990-იანებში დაბრუნება დაემუქრება, რადგან ვერ გამოვრიცხავთ, რომ სააკაშვილი (ჭკუა დაუშლის თუ გონება!) შეეცდება, იქ ანტიკონსტიტუციური ამბოხის კერა შექმნას.** თითოეულმა ზუგდიდელმა ეს საფრთხე უნდა გაიაზროს და გააკეთოს ყველაფერი, რათა სააკაშვილის გეგმა ჩაშალოს. რაც შეეხება ბათუმს, იქ არსებობს კიდევ ერთი სპეციფიკური საფრთხე — **ნებისმიერი არეულობა შეიძლება თურქეთის ჩარევით დასრულდეს.** ნაციონალები თურქეთის ხელისუფლებას ძალიან საეჭვო სიგნალებს უგზავნიან, „ჰურიეთისთვის“ მიცემულ ინტერვიუში **ლევან ვარშალომიძემ**, საქართველოსა და თურქეთზე საუბრისას თქვა: **„ერთი ერი ორ სახელმწიფოში“** და სასურველია, აჭარაში მცხოვრებმა თითოეულმა ამომრჩეველმა, არჩევნებზე წასვლის წინ ეს ციტატა გადაიკითხოს. **„ნაციონალურმა მოძრაობამ“, ვიწროპარტიული ინტერესებიდან გამომდინარე, ერთხელ უკვე დააყენა დარტყმის ქვეშ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და ამას, სავარაუდოდ, კიდევ არაერთგზის გააკეთებს, თუ უცხო ქვეყნების მხარდაჭერის იმედი ექნება.**

უშიშროების ყოფილი შეფი **ირაკლი ბათიაშვილი** აცხადებს, რომ სააკაშვილს გათვლა აქვს გაკეთებული არა კარვების დადგმაზე (ანუ მშვიდობიან პროტესტზე), არამედ სროლაზე. ის ამბობს, რომ **„გაკეთებულია სამალავები. ლაპარაკია დიდი ოდენობით იარაღზე. ერთ-ერთი სამალავი ლუგელაში აღმოაჩინეს, მაგრამ, სამწუხაროდ, თითქმის არც ერთი სამალავი დღემდე გამოვლენილი და აღმოჩენილი არ არის. გარდა ამისა, ლაპარაკია გარკვეულ მრავალრიცხოვან ჯგუფებზე, რომლებიც თავის დროზე მათი უშიშროების, ძალოვანი სტრუქტურების ალიცხვაზე იყო და ფულსაც უხდიდნენ. ასევე, საუბარია არა მხოლოდ ადგილობრივ ჯგუფებზე, არამედ უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე, რომელთაც საქართველოში შემოსასვლელად ვიზა არ სჭირდებათ. ჩემი ინფორმაციით, ისინი საკმაო რაოდენობით საქართველოში უკვე შემოვიდნენ. ისინი გამოცდილი მებრძოლები არიან და ბევრი მათგანი, ვიცი, რა მებრძოლებიც არიან. ამასთან, მიხეილ სააკაშვილი და მისი გარემოცვა თვლის, რომ მათ საკმაო დასაყრდენი და მხარდამჭერი ჰყავთ ძალოვან სტრუქტურებში, განსაკუთრებით შინაგან საქმეთა სამინისტროში და უშიშროებაში. მათ შექმნილი აქვთ სტრუქტურები ყოფილი პოლიციელებისგან, ყოფილი ძალოვანებისგან, რომლებიც ყოველდღიურად ძალიან აქტიურად მუშაობენ. ისინი კოორდინაციაში არიან ძალოვან სტრუქტურებთან და მათთან ინფორმაცია მიდის წყალივით. თავიანთთან ხალხი ფარულადაც ჰყავთ გაწევრიანებული და უბრალოდ იმედი აქვთ, რომ, უკეთესს შემთხვევაში, ეს ხალხი კრიტიკულ სიტუაციაში არაფერს გააკეთებს“** („ინტერპრესნიუსი“).

საბაბი არეულობისთვის, და ამას სააკაშვილი, პრინციპში, აღარც მალავს, სავარაუდოდ, გახდება დიდი სხვაობა „რუსთავი 2“-ის ეგზიტპოლსა და ცესკო-ს მიერ გამოცხადებულ შედეგებს შორის. ამ ჩანაფიქრის ნეიტრალიზება შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ „ნაცმოძრაობა“ რეალურად ძალიან მცირე პროცენტს მიიღებს და სააკაშვილის ხელქვეითები დაინახავენ, რომ არ შეუძლიათ მანიპულირება ამომრჩეველთა თუნდაც 15 პროცენტის ემოციებით. სწორედ ამიტომ, არჩევნებზე მიუსვლელობა შეიძლება ბრძოლის ველიდან დეზერტირობას შევადაროთ. თუ არეულობა და სისხლისღვრა მართლა დაიწყება, თითოეული ასეთი **„დეზერტირი“ მწარედ ინანებს, რომ კატასტროფის შეჩერება არ სცადა, მაგრამ უკვე გვიანი იქნება.**

ის, რომ ქვეყნის მოსახლეობა დაძაბულია და არეულობას ელოდება, უპირველეს ყოვლისა, ივანიშვილის ხელისუფლების ბრალია. მან რამდენიმე ათეული განსაკუთრებით ცინიკური შემთხვევის გარდა, უარი თქვა მძიმე დანაშაულში ეჭვმიტანილი ყოფილი მაღალჩინოსნების არათუ დასჯაზე, არამედ დაკითხვაზეც კი. მან კოაბიტაციის რეჟიმის მეშვეობით მოახდინა „ნაცმოძრაობის“ რეანიმირება სწორედ მაშინ, როდესაც ის სულს ღაფავდა. უფრო ვიწრო, ბოლოდროინდელ თემებს თუ შევეხებით, **ხელისუფლებამ არ დაუწესა არანაირი სანქცია „ნაცმოძრაობას“ იმისთვის, რომ მის კამპანიაში აქტიურად მონაწილეობდა (ვიდეომიმართვები, სატელეფონო ჩართვები, კამპანიის ფაქტობრივი მართვა) უცხო ქვეყნის მოქალაქე მიხეილ სააკაშვილი, რაც კანონით აკრძალულია. მან არ მიმართა მკვეთრ დიპლომატიურ დემარშს იმისთვის, რომ აღეკვეთა უკრაინელი მაღალჩინოსნების ჩარევა საქართველოს საშინაო საქმეებში. მან გამოავლინა საოცრად ლიბერალური მიდგომა იმ ეპიზოდებში, რომლებშიც საუბარი არეულობის მოწყობასა და ანტიკონსტიტუციურ ქმედებებზე მიდიოდა და არც ერთ „ნაციონალს“ თითიც კი არ დააკარა, მაშინ, როდესაც, ნებისმიერი ჩვენგანი, თუ იმის ნახევარს მაინც ილაპარაკებდა, რაც ცნობილ ჩანაწერებშია, 99%-იანი ალბათობით, უკვე იზოლატორში იჯდებოდა** ან, რამდენჯერმე იქნებოდა დაკითხული. როდესაც საუბარი ამ თემას ეხება, ხელისუფლების წარმომადგენლები მიგვანიშნებენ, რომ მათი პოზიცია უცხოელი პარტნიორების დაჟინებული რჩევების საფუძველზე ჩამოყალიბდა. **სწორედ ასე მივედით იმ მომენტამდე, როდესაც სახელმწიფო გადატრიალების საფრთხე სავსებით რეალური გახდა.**

მაგრამ **საზოგადოებას, მთავრობისგან განსხვავებით, საკუთარ თავზე არანაირი ვალდებულება არ დაუკისრებია და აშშ-ის ან ნებისმიერი სხვა ქვეყნის ელჩს ანგარიში არ უნდა ჩააბაროს. მას შეუძლია ნაციონალებს ისე მოეპყროს, როგორც საჭიროდ ჩათვლის.** ღმერთმა დაგვიფაროს ეს „ფორსმაჟორიტარულ“ ვითარებაში, არეულობისას მოხდეს, როდესაც სააკაშვილის მმართველობის პერიოდში დაზარალებული ოჯახების წარმომადგენლები ნაციონალებზე ნადირობას დაიწყებენ. საჭიროა ლეგიტიმური მშვიდობიანი მეთოდების გამოყენება მანამ, სანამ ეს ჯერ კიდევ შესაძლებელია. ამიტომ, როგორც უკვე ითქვა, **საქართველოს მოქალაქეები უნდა მივიდნენ საარჩევნო უბნებზე და ხმა მისცენ ნებისმიერ პარტიას, „ნაციონალური მოძრაობისა“ და იმ პოლიტიკური გაერთიანებების გარდა, რომელთაც მის სატელიტად მიიჩნევენ.**

**„ჩიორა თაქთაქიშვილს ოდნავ გაეკაწრა წარბი და რა ამბავი ატეხეს, გახსოვთ, ალბათ, — პირდაპირ საქინებელში მიუყვანეს ამერიკის ელჩი. ამგვარი იაფფასიანი ტყუილებით ხალხის ნდობისა და მხარდაჭერის მოპოვება შეუძლებელია. მათ ეს ვერ შეიგნეს და კვლავ განაგრძობენ ადამიანების მოტყუებას“.**

არჩევნები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რა პროვოკაცია მოაწყვეს 1 ოქტომბერს ნაციონალებმა სოფელ დიდ ნეძში

**1 ოქტომბერს ზუგდიდის რაიონის სოფელ დიდ ნეძში მომხდარმა სისხლიანმა დაპირისპირებამ (ნაციონალებმა — პაპუნა კუკავამ და მანუჩარ ქირიამ „ოცნების“ რამდენიმე აქტივისტი გოგონა ქუჩაში დაუნდობლად სცემეს) კიდევ უფრო გაამძაფრა საზოგადოების განცდა იმან, რომ „ნაცმოძრაობის“ მესვეურები რევანშისთვის ემზადებიან. მეტიც, ამ ინცინდენტის შემდეგ თამამად შეიძლება ითქვას, რომ სააკაშვილის კრიმინალური ბანდა ჩვეულ ფორმაშია და ქვეყანას რეპრესიების ახალ ტალღას უმზადებს. ამ ყველაფრის ფონზე მოსახლეობის შიშსა და დაუცველობის განცდას კიდევ უფრო აღრმავებს ხელისუფლების უმოქმედობა. მით უმეტეს, რომ ძალოვან სტრუქტურებში, განსაკუთრებით — პოლიციაში, კვლავაც არიან ნაცებისადმი ლოიალურად განწყობილი მაღალჩინოსნები, დამსჯელები და ბრძანების შემსრულებლები, რომლებსაც სროლისას ხელი არ უკანკალდებათ... რა მოხდა კონკრეტულად სოფელ დიდ ნეძში, რა პროვოკაცია მოაწყვეს „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერებმა და რა მიზანს ემსახურებოდა ეს ყველაფერი? ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე სასაუბროდ „საქართველო და მსოფლიო“ ინციდენტისას დაშავებული ლიკა დემეტრაძის დედას — მაკა კოდუას შეხვდა.**



## მაკა კოდუა: ვიბრძოლებ, რომ სანდრა რულოვსი ვერ მოვიდეს ხელისუფლებაში

**— ქალბატონო მაკა, დიდი ნეძის ინციდენტზე მედია სხვადასხვა ვერსიასა და შეფასებას ავრცელებს, რა მოხდა სინამდვილეში?**

— დანამდვილებით ვიცი, რომ ეს ყველაფერი ნაციონალებმა შეგნებულად, წინასწარ გამიზნულად გააკეთეს. ბავშვები მშვიდად, წყნარად არიგებდნენ ბუკლეტებს და უცებ მივარდა რამდენიმე ნასვამი მამაკაცი, რომლებიც აშკარად პროვოკაციულად იქცეოდნენ. მერე გადავიდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფაზე, ბოლოს კი ბავშვებს ფიზიკურად გაუსწორდნენ. სიმართლე გითხრათ, ისეთი აღელვებული ვიყავი, არც მიკითხავს მათი სახელები და გვარები, მაგრამ ვიცი, რომ ერთ-ერთი მათგანი წინა ხელისუფლების პერიოდში დიდი ნეძის გამგებელი იყო, ანუ, ხომ ხვდებით, რაზეა საუბარი — **ის არის თხემით ტერფამდე მიშისტი, ნაციონალი, ყველაფრის მკადრებელი. კაცი ასე დაუნდობლად რომ დაარტყამს ქალს, ისედაც ხომ გასაგებია, ვინც არის და რაც არის...**

**— კონკრეტულად რა დაზიანებები ჰქონდა თქვენს შვილს?**

— კისრის არე აქვს ჩალურჯებული, მაგრამ ვერ მივხვდი, კონკრეტულად რამ გამოიწვია ეს — ახრჩობდა თუ დაარტყა. ასევე, სეროზულად დაუზიანეს თავი, სავარაუდოდ, ქვა ესროლეს, რამაც გამოიწვია ტვინის შერყევა. რომ მივედით, ბავშვს ტანსაცმელი ჰქონდა შემოხეული და ძირს ეგდო გონწასული. ერთი სიტყვით, ნაცემია სასტიკად. კიდევ ვიმეორებ: იმ ადამიანებმა, რომლებმაც ეს სისასტიკე ჩაიდინეს, პასუხი უნდა აგონ და დაისაჯონ კანონის შესაბამისად.

**— იმავე ღამეს, როცა ეს დაპირისპირება მოხდა და თქვენი შვილი მძიმე მდგომარეობაში რეანიმაციაში იმყოფებოდა, „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებმა პოლიციის სამმართველოსთან აქციის გამართვა სცადეს. რა რეაქცია გქონდათ ამაზე?**

— როცა დამირეკეს და მითხრეს, ნაციონალები რაღაც აქციას გეგმავენო, დავტოვე უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი შვილი და მაშინვე სამმართველოსთან მივედი. იქ იყო **გუნავაც** და სხვებიც. ვუთხარი, წამოდით და ნახეთ, რა დღეშია ჩემი შვილი-მეთქი. გუნავა გამომყვა. თითოეულმა მათგანმა საკუთარი თვალით ნახა, რა დღეში იყვნენ ნაცემი ბავშვები. ხმა არ ამოუღიათ. ბოლოს გუნავამ მითხრა, ყველაფერს გამოვიძიებთ და დამნაშავეები პასუხს აგებენო.

**— ამის მიუხედავად, პოლიციის სამმართველოსთან ისინი პირად საუბრებში ამბობდნენ, რომ ინციდენტი „ქართული ოცნების“ აქტივისტების მიერ იყო პროვოცირებული.**

— **პროვოკაცია, ტერაქტების ინსცენირება, ცემა, წამება — ეს ყველაფერი ნაციონალების სტილია და ასე მართავდნენ ისინი ქვეყანას.**

რაც შეეხება უშუალოდ იმ ადამიანებს, რომლებიც ფიზიკურად გაუსწორდნენ ჩემს შვილს და მის მეგობრებს, ნაციონალები, ჩვენს ადგილას რომ ყოფილიყვნენ, ქვეყანას შეყრიდნენ და სასწრაფოდ ამერიკის ელჩს ჩამოიყვანდნენ, — დემოკრატიას გვისამარებენო, მაგრამ მე იმ პირების ვინაობაც არ ვიცი. ტელევიზიებთანაც არ მივსულვარ, არც მიცდია მედიასთან კონტაქტი, აქეთ დამირეკეს ვიღაცებმა და მთხოვეს კომენტარი...

**— ინციდენტში მონაწილე ორი ნაციონალი — პაპუნა კუკავა და მანუჩარ ქირია პოლიციის განყოფილებაში მოწმის სტატუსით მიიყვანეს და არა ბრალდებულის, ისინი არც კი დაუკავებიათ. რას იტყვით ამაზე — ობიექტურია მართლმსაჯულება ამ კონკრეტულ შემთხვევაში?**

— ობიექტურობაზე ზედმეტია საუბარი. აქედან ჩანს, რომ ჩვენი მთავრობა ლოიალურია „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ. კიდევ ვიმეორებ: **სააკაშვილის პერიოდში რომ მომხდარიყო მსგავსი რამ, მოსამართლეს არც ჰკითხავდნენ, ისე მიიღებდნენ გადაწყვეტილებას და ჩასვამდნენ ციხეში ოპოზიციური პარტიის აქტივისტებს.** ასე მართავდნენ ისინი ქვეყანას, ასე ინარჩუნებდნენ ძალაუფლებას და სწორედ ამ პოლიტიკამ დაასამარა ეს დანაშაულებრივი პარტია. საზოგადოდ პროვოკაციული პოლიტიკა მომგებიანი არავისთვისაა და „ნაციონალური მოძრაობა“ ამის ნათელი მაგალითია. ისინი ყველაფერში პიარს ეძებდნენ, ყველაფრით ქულების დაწერას ცდილობდნენ და, რაც მიიღეს, ყველამ ვნახეთ.

გაიხსენეთ თუნდაც თბილისში ბიბლიოთეკის შენობასთან მომხდარი დაპირისპირება — **ჩიორა თაქთაქიშვილს ოდნავ გაეკაწრა წარბი და რა ამბავი ატეხეს, გახსოვთ, ალბათ, — პირდაპირ საქინებელში მიუყვანეს ამერიკის ელჩი. ამგვარი იაფფასიანი ტყუილებით ხალხის ნდობისა და მხარდაჭერის მოპოვება შეუძლებელია. მათ ეს ვერ შეიგნეს და კვლავ განაგრძობენ ადამიანების მოტყუებას.**

**— „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები ხშირად ახსენებენ კორცხელის ინციდენტს, სანდრა რულოვსიც წინასაარჩევნო შეხვედრებზე სულ ამაზე საუბრობს. როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია, რომ ეს ინციდენტიც მათი პროვოცირებული ყოფილიყო?**

— კორცხელის ინციდენტს რაც შეეხება, **მე ვარ ერთადერთი მოწმე, რომელმაც დავინახე, თუ როგორ გამოიწვიეს ეს დაპირისპირება ნაციონალებმა, მაგრამ დღემდე რატომღაც არ დამკითხეს.**

**თენგიზ გუნავა** არ უცემიათ „ქართული ოცნების“ აქტივისტებს, ის გალახეს ადამიანებმა, რომლებიც მან გააუბედურა ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში, ანუ ეს იყო პირადი ანგარიშსწორება და, ჩემი აზრით, ეს გასაკვირი არ არის. გუნავა მარტო ვერ გაივლის ქალაქში, იმდენი ადამიანი დაღუპა და გაანადგურა თავის დროზე. ისე, რატომ ჰგონიათ ნაციონალებს, რომ მათ არავინ უნდა შეეხოს, არ მესმის. ხალხი ღიზიანდება მათ დანახვაზე. კიდევ ვიმეორებ, გუნავა ცემა მის მიერ გამწარებულმა და გაუბედურებულმა ადამიანმა, რომლის ძმაც დააინვალიდეს ციხეში.

**— ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ „ნაცმოძრაობის“ პროპაგანდა მსგავს დაპირისპირებებს თავიანთ სასარგებლოდ წარმოაჩენს ხოლმე. როგორ ფიქრობთ, ეს პროპაგანდა მოქმედებს საზოგადოების განწყობაზე?**

— ვერანაირი პროპაგანდა მათ ვერ უშველის, ყველა ხედავს და ხვდება, რა ძალასაც წარმოადგენენ რეალურად. არაერთხელ ვთქვი და კიდევ გავიმეორებ: **ადრე ციხეში გვიკლავდნენ შვილებს, ახლა პირდაპირ ქუჩაში გვიხოცავენ.** ასე ესმით მათ დემოკრატია და ასე წარმოუდგენიათ ძალაუფლების ხელში ჩაგდება, სხვანაირად არ შეუძლიათ და არც უნდათ...

**— სააკაშვილი თავის გამოსვლებში ხშირად იმეორებს, რომ ბევრი რამ გადააფასა და აღარ გაიმეორებს იმ შეცდომებს, რომლებიც ხელისუფლებაში ყოფნისას დაუშვა. სარწმუნოა სააკაშვილის ნათქვამი?**

— სასაცილოა, სააკაშვილი არაფერს ნანობს და არც შეცდომებს აღიარებს. პირიქით, განუწყვეტლივ იმეორებს, რომ ქვეყანა ააყვავა და ააღორძინა. ჩემი აზრით, ყველაზე დიდი პრობლემა დღეს კოაბიტაციაა და ეს უნდა დასრულდეს. გასაგებია, რომ ცივილიზებულად უნდა გადაიჭრას საკითხები, გასაგებია დემოკრატია და ყველაფერი, მაგრამ **დამნაშავეებთან თანამშრომლობა დემოკრატია არ არის. „ნაციონალური მოძრაობა“ არის ჩვეულებრივი დანაშაულებრივი ორგანიზაცია, რომელიც, ჩემი აზრით, უნდა აიკრძალოს.**

რაც შეეხება **სანდრა რულოვსს**, უკრაინული პრესა წერს, რომ ქალი ვაჭრობს ადამიანის ორგანოებით და ამის შემდეგ მას კიდევ ჰყოფნის თავხედობა, მოუწოდოს მოსახლეობას, მხარი დაუჭიროს. თავდაუზოგავად ვიბრძოლებ, რომ სანდრა რულოვსმა ვერ მოიგოს არჩევნები და ვერ მოვიდეს ხელისუფლებაში. მას არ აინტერესებს საქართველო და, რომც გაიმარჯვოს არჩევნებში, პარლამენტში არ დაჯდება, ჩაიდებს ჯიბეში დეპუტატის მანდატს, წავა ჰოლანდიაში და იცხოვრებს მშვიდად, წყნარად. ამას ყველა ვერ ხვდება, თორემ ხალხს და მათ შორის მის მხარდამჭერებსაც, თავიდანვე უარი უნდა ეთქვათ მის კანდიდატურაზე. სანდრა არავის დეპუტატი არ იქნება, სანდრას არ აინტერესებს და არ ადარდებს ქართველი ხალხი.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**P.S. 19 აგვისტოს სოფელ კორცხელში ამომრჩევლებთან გამართულ წინასაარჩევნო შეხვედრაზე სანდრა რულოვსმა ხაზგასმით აღნიშნა, ძალადობას აღარ გავიმეორებთო. 1 ოქტომბერს, არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე, სოფელ დიდ ნეძში მომხდარი დაპირისპირებით სააკაშვილის ზონდერებმა ამ ქალბატონს ნიღაბი ჩამოხსნეს და დაამტკიცეს, რომ, რაც უნდა მოხდეს, ნაცი არასოდეს გამოსწორდება.**



## «ადრე ციხეში გვიკლავდნენ შვილებს, ახლა პირდაპირ ქუჩაში გვიხოცავენ»

არჩევნები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ინტელიგენციის“ იმ წარმომადგენლებმა, რომლებიც ამბობენ, რომ ნაცების მოშორების გამო ბიძინა ივანიშვილს ფეხები უნდა დავუკოცნოთ, დაზარალებული მაკა დემეტრაძის დედას, მაკა კოდუას ჩახედონ თვალებში; სამეგრელოში ჩავიდნენ და „მოშორებული“ „ნაცების“ ნამოქმედარი ნახონ, შეშინებულ ხალხს დაელაპარაკონ და გოდიში მოუხადონ, საკუთარი აზრი თავისთვის შეინახონ და ფეხები, ვისაც უნდათ, იმას დაუკოცნონ.**

# «კიდევ ერთხელ წააკითხეთ ხალხს ალექსანდრე ჭაჭიას მოსაზრებები»

**გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველი ყოველთვის დიდი ინტერესით ეცნობა ხოლმე ინტერვიუებს ბატონ ალექსანდრე ჭაჭიასთან. ცნობილი პოლიტიკოსის თვალსაზრისი განსაკუთრებით აქტუალურია, როდესაც ქვეყანა არჩევანს აკეთებს, როდესაც დილემის წინაშე ვდგავართ — ვინ ავირჩიოთ? ვინ გადაგვარჩენს? ალექსანდრე ჭაჭიას ნააზრევისა და პროგნოზის აქტუალობაზე არა მხოლოდ ქართველი პოლიტოლოგები, არამედ გაზეთის რიგითი მკითხველიც საუბრობს. ბატონ ალექსანდრეს ინტერვიუს, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც მოჰყვა გამოხმაურება. გთავაზობთ ამონარიდს ბოლო ინტერვიუდან, რომელიც ერთი კვირის წინათ გამოქვეყნდა ჩვენს გაზეთში:**



**ალექსანდრე ჭაჭია:** — **„საქმე ის არის, რომ, როგორც წინა, ასევე, ამჟამინდელ არჩევნებშიც ძირითად მეტოქეებად „ნაცმოძრაობა“ და „ქართული ოცნება“ გვევლინებიან. „ქართული ოცნება“, რა თქმა უნდა, პარტია არ არის, არანაირი რეალური პოლიტიკური, ეკონომიკური პროგრამა და შესაბამისი ინტელექტუალური პოტენციალი მას არ გააჩნია და „ინტერესთა კლუბს“ უფრო წარმოადგენს. ინტერესი კი დღეს ერთია — არ დავუშვათ „ნაცმოძრაობის“ რეინკარნაცია. ამას მოსახლეობის უმრავლესობა დაუჭერს მხარს. გარემოებამ, რომ „ქართული ოცნების“ მეტოქე „ნაცმოძრაობაა“, მას ერთხელ უკვე მოუტანა გამარჯვება და, მიუხედავად მოსახლეობის სრული იმედგაცრუებისა, ამჟამინდელ არჩევნებშიც უზრუნველყოფს „ოცნების“ დამაჯერებელ გამარჯვებას.**

**ამ არჩევნების დანიშნულება არ არის კვალიფიციური და ეროვნულად ორიენტირებული პარლამენტის არჩევა, ასეთის ასარჩევად არჩევანი არ გვაქვს; ტოტალური გარე კონტროლის პირობებში ეროვნული პოლიტიკური ძალების ჩამოყალიბება შეუძლებელია. ამ არჩევნების დანიშნულება და მნიშვნელობა არის ის, რომ საბოლოოდ დასამარდეს „ნაცმოძრაობის“ პრეტენზია ძალაუფლებაზე, რათა ამერიკას ვაჩვენოთ, რომ „ნაცმოძრაობა“ არ არის სერიოზული პოლიტიკური ძალა საქართველოში. ამიტომაც ყველა, ვისაც მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა გააჩნია, უნდა მივიდეს არჩევნებზე და გამოხატოს ეს პოზიცია. მთავარია, რომ ამ არჩევნების შედეგებით ამერიკელებმა ჩამოწერონ ნაციონალები, დარწმუნდნენ მათი შემდგომი მხარდაჭერის უპერსპექტივობაში. ისინი, რა თქმა უნდა, მალევე შექმნიან „ახალ ნაციონალებს“ სხვა სახელით (ათეულობით პარტია დგას რიგში და ელოდება თავის ჟამს), მოამზადებენ მათ შემდეგ არჩევნებში გაკოტრებული „ქართული ოცნების“ ჩასანაცვლებლად, მაგრამ ამ ყველაფერს 2-3 წელიწადი დასჭირდება. ამასობაში კი, შესაძლოა, პატრიოტულმა ძალებმა შეძლონ კონსოლიდირება, რადგან კატასტროფის პირას ქართველებში, როგორც წესი, თვითგადარჩენის ინსტინქტი იღვიძებს“ („საქართველო და მსოფლიო“ №35 (364), 28-4 ოქტომბერი, 2016 წ.).**

## „ალექსანდრე ჭაჭია მართალს ამბობს, კატასტროფის პირას მყოფ ქართველებში, როგორც წესი, თვითგადარჩენის ინსტინქტი იღვიძებსო. იმედი მაქვს, სწორედ ახლაა ის დრო, როცა კატასტროფის წინაშე ვდგავართ“

**ფრიდონ კვარაცხელია,** **ქალაქ ფოთის მთავარი კლინიკური საავადმყოფოს ექიმი-კარდიოლოგი:**

— თქვენი გაზეთის აქტიური მკითხველი ვარ, განსაკუთრებით დიდი ყურადღებით ვკითხულობ ალექსანდრე ჭაჭიას ინტერვიუებს, რადგან ეს ადამიანი ყოველთვის სიმართლეს ამბობს და, უმეტეს შემთხვევაში, მისი პროგნოზი სრულდება. მინდა, გავიხსენო ამონარიდი მისი ერთ-ერთი ინტერვიუდან, სადაც საუბრობს, რომ უახლოეს მომავალში საქართველოში ეროვნული ძალები ხელისუფლებაში ვერ მოვლენ, რაც, შესაძლოა, მართალიც არის, მაგრამ არ მინდა, ასე რომ იყოს. დროა, ქვეყანაში ეროვნული ძალები მოვიდნენ ხელისუფლებაში.

ნიჭიერი პოლიტიკოსის ბოლო ინტერვიუსაც გავეცანი. ის მართალს ამბობს, როდესაც ორი ძალის დაპირისპირებაზე საუბრობს. სიმართლეა, რომ ნაციონალები მოსაშორებელია. რადგან იმედი გაგვიცრუვდა და ერთიანად არ მოხდა მათი გაქრობა პოლიტიკური სივრციდან, ნაბიჯ-ნაბიჯ, ეტაპობრივად უნდა გავაკეთოთ ეს, თანაც, ჩვენ — ამომრჩეველმა.

25 წელია, ვიღაცის მოშორებისთვის ვიბრძვით, საქმის კეთებას ველარ ვახერხებთ. მართალია, ეროვნული ძალების კონსოლიდაცია ვერ მოხერხდა, მაგრამ ამ ვითარებაში საუკეთესოს არჩევის საშუალება მაინც გვაქვს, მთავარია, ხალხი ამას მიხვდეს. არ მინდა, ამ ჭკვიანი ადამიანისგან მოვისმინო, რომ მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობის“ გასაძევებლად ვიბრძოლოთ; მინდა, ალექსანდრე ჭაჭიასგან მესმოდეს, მხარი დაუჭირეთ ამას და ამას, რათა უკეთეს საქართველოში ვიცხოვროთო, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, რასაც ბატონი ალექსანდრე ამბობს, რეალობაა.

ამ ინტერვიუში ის „პატრიოტთა ალიანსსაც“ ახსენებს, ვფიქრობ, მათი მხარდაჭერა აუცილებელია, მათ შეუძლიათ, იყვნენ მეორე ძალა.

ალექსანდრე ჭაჭია მართალს ამბობს, კატასტროფის პირას მყოფ ქართველებში, როგორც წესი, თვითგადარჩენის ინსტინქტი იღვიძებსო. იმედი მაქვს, სწორედ ახლაა ის დრო, როცა კატასტროფის წინაშე ვდგავართ.

ამომრჩეველთა უმრავლესობა არჩევნებზე არ მიდის, მათი გამოყვანა აუცილებელია. ხალხმა მეტი იცის, ვიდრე რომელიმე პოლიტიკოსმა, ამიტომ ჩვენი ბრძენი ხალხის იმედი მაქვს. ფოთში ცოტა მძიმე ხალხი ცხოვრობს. თუ მათი არჩევნებისკენ დაძვრა შეძლეს, მგონია, რომ არჩევანიც სწორი იქნება და ქვეყანაც გადარჩება. ხალხი ყველაფერს ხედავს, ყველაფერი იცის და ისიც იცის, ხსნის გზა სად გადის.

## „მშიერი ადამიანის არჩევანი სწორი არასოდეს იქნება“

**ტარიელ სუხიაშვილი,** **ინჟინერი:**

— ალექსანდრე ჭაჭიას უაღრესად დიდ პატივს ვცემ. ის დიდ პატრიოტად და მართალ კაცად მიმაჩნია, თუმცა, მისი ინტერვიუს ბოლო აბზაცზე, ცოტა გავკადნიერდები და შენიშვნები მაქვს.

რამდენი ნაციონალი იცით, რომლებიც „ოცნებაში“ ან სხვა პატრიებში გადავიდნენ? — ალბათ, ბევრი. აი, ეს უნდა დასრულდეს.

**ბატონი ალექსანდრე ამბობს, რომ ნაცები უნდა მოშორდნენ, მაგრამ ვინ არიან „ოცნებაში“? მათ პარტიულ სიაში, რამდენიმე ადამიანი რესპუბლიკელებზე უარესია. ასეთი უსახური კანდიდატები, დღეს რომ გვყავს, არასოდეს მინახავს.**

2-3 წელიწადს ასახელებს ბატონი ალექსანდრე იმისთვის, რომ ეროვნული ძალების კონსოლიდაცია მოხდეს. ეს დრო ძალიან ბევრია, ხვალ გვიან იქნება. ბევრს აქვს ხალხის იმედი, მაგრამ მშიერი ადამიანის არჩევანი სწორი არასოდეს იქნება.

**— ბატონი ალექსანდრე ამბობს, ქართველებში გაჭირვების ჟამს თვითგადარჩენის ინსტიქტი იღვიძებსო...**

— ქართველები მაგ კუთხითაც ამოუცნობი ვყოფილვართ.

**მინდა, ამ არჩევნების შედეგად ხელისუფლებაში 2-3 კაცი მაინც მოვიდეს ისეთი, რომლებსაც ეროვნულობის ოდნავი ნიშანწყალი მაინც ექნებათ, მაგრამ, სამწუხაროდ, ამასაც ვერ ვხედავ. იმის შიშით, რომ ნაცები დაბრუნდებიან, არ შეიძლება იმ ძალის არჩევა, რომელიც ახლაა წარმოდგენილი. მათი არჩევა და ყველანაირი სიბინძურის დაკანონება ერთი იქნება** და, თუ მომავალ თაობებს მოგვიწამლავენ, ასეთი საქართველო ვერ გადარჩება, ვინც უნდა ჩაუდგეს სათავეში. მესმის, ბატონ ალექსანდრეს რისი თქმაც უნდა, თანაც მან ზუსტად იცის, რომ დღეს სხვა შედეგს ვერც მივიღებთ, მაგრამ, ხვალ რომ ყველაფერი გვიან იქნება, ესეც ფაქტია.

**«მინდა, ამ არჩევნების შედეგად ხელისუფლებაში 2-3 კაცი მაინც მოვიდეს ისეთი, რომლებსაც ეროვნულობის ოდნავი ნიშანწყალი მაინც ექნებათ, მაგრამ, სამწუხაროდ, ამასაც ვერ ვხედავ. იმის შიშით, რომ ნაცები დაბრუნდებიან, არ შეიძლება იმ ძალის არჩევა, რომელიც ახლაა წარმოდგენილი. მათი არჩევა და ყველანაირი სიბინძურის დაკანონება ერთი იქნება და, თუ მომავალ თაობებს მოგვიწამლავენ, ასეთი საქართველო ვერ გადარჩება, ვინც უნდა ჩაუდგეს სათავეში»**

## „ხელახლა დაბეჭდეთ“

**ზუგდიდის რაიონის სოფელ შამგონაში ერთი უწყინარი პედაგოგი იოსებ კაკულია ცხოვრობს.** ▶

**«ამ არჩევნების დანიშნულება არ არის კვალიფიციური და ეროვნულად ორიენტირებული პარლამენტის არჩევა, ასეთის ასარჩევად არჩევანი არ გვაქვს; ტოტალური გარე კონტროლის პირობებში ეროვნული პოლიტიკური ძალების ჩამოყალიბება შეუძლებელია. ამ არჩევნების დანიშნულება და მნიშვნელობა არის ის, რომ საბოლოოდ დასამარდეს «ნაცმოძრაობის» პრეტენზია ძალაუფლებაზე, რათა ამერიკას ვაჩვენოთ, რომ «ნაცმოძრაობა» არ არის სერიოზული პოლიტიკური ძალა საქართველოში. ამიტომაც ყველა, ვისაც მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა გააჩნია, უნდა მივიდეს არჩევნებზე და გამოხატოს ეს პოზიცია. მთავარია, რომ ამ არჩევნების შედეგებით ამერიკელებმა ჩამოწერონ ნაციონალები, დარწმუნდნენ მათი შემდგომი მხარდაჭერის უპერსპექტივობაში»**

**„ჩვენ გვაქვს პოლიტიკური ელიტის კრიზისი. გამომდინარე იქიდან, რომ ამომრჩეველთა რაოდენობა გაიზარდა, პოლიტიკური ელიტა არათუ არ გაზრდილა, მან, გარკვეულწილად, დეგრადაცია განიცადა. შესაბამისად, დღეს ღირსეული არ არსებობს“.**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

*გია ხუხაშვილი:*

# ალტერნატიული პოლიტიკური ძალა რომ არსებობდეს, დარწმუნებული ვარ, «ქართული ოცნებაც» და «ნაციონალური მოძრაობაც» უკანა პლანზე გადაიწევდა

**არჩევნებამდე რამდენიმე დღეა დარჩენილი და ქართველი საზოგადოების ყურადღება ამ მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენაზეა გადატანილი. ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე ექსპერტი გია ხუხაშვილი გვესაუბრება.**



**— არჩევნებში არც ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მონაწილეობს და არც ექსპრემიერი ბიძინა ივანიშვილი, მაგრამ ფაქტია, რომ პოლიტიკური პროცესი მათ გარეშე არ მიმდინარეობს. როგორ ფიქრობთ, კვლავ რატომ ჩანს პოლიტიკურ ველზე ეს ორი პერსონა?**

— ეს არის ჩვენი პოლიტიკური პროცესის სპეციფიკა. საქართველოში პოლიტიკური პროცესი მიმდინარეობს ორი პიროვნების დაპირისპირების ფონზე და მათგან არც ერთი არ არის ლეგალიზებული ქართულ პოლიტიკაში. ბუნებრივია, დემოკრატიულ საზოგადოებაში ასე არ ხდება, სახელმწიფოზე გავლენას უნდა ახდენდნენ მხოლოდ იდენტიფიცირებული, ლეგალიზებული პოლიტიკოსები.

**— „მესამე სექტორი დასვრილი და დაბინძურებულია. სამოქალაქო საზოგადოება გარყვნეს, ისეთი ხალხი შედის იქ“, — ასე გამოეხმაურა ყოფილი პრემიერმინისტრი ბიძინა ივანიშვილი არასამთავრობო სექტორის კრიტიკას იმის თაობაზე, რომ წინასაარჩევნოდ 2011 წლის 26 მაისის კადრების გავრცელება კითხვებს აჩენს.**

— ბიძინა ივანიშვილის ძირითადი გზავნილი არის ნეგატიური. მას უნდა, საზოგადოება დაარწმუნოს, რომ „ქართული ოცნება“ ერთადერთი მისაღები ძალაა, საზოგადოების ყველა სეგმენტი კი უვარგისი და არაფრის მაქნისია. ეს ეხება არა მხოლოდ პოლიტიკურ ელიტას, არამედ სამოქალაქო სექტორსა და მედიას. **ივანიშვილი მოქმედებს მარტივი პრინციპით: „ვინც ჩემთან არ არის, ის ჩემი მტერია“.** ეს არის მისი პოლიტიკური ტექნოლოგია. ბიძინა ივანიშვილისგან საზოგადოება უფრო მეტ პოზიტივს ელდოება და არა მუდმივ ნეგატივს. რაზეც დღეს ივანიშვილი აკრიტიკებს სამოქალაქო სექტორის გარკვეული ნაწილს, იმავე კუთხით ყველაზე აქტუალური თავის დროზე იყო **თამარ ჩუგოშვილი**, რომელიც „ოცნების“ საარჩევნო სიაში ჰყავს. ივანიშვილი თავისუფალს უწოდებს იმ ადამიანებს, რომლებიც „ნაციონალური მოძრაობიდან“ გადავიდნენ „ქართულ ოცნებაში“; პატრონების ცვლას უწოდებს გათავისუფლებას და არა დამოუკიდებელ ცხოვრებას. **ივანიშვილი ცდილობს, დამოუკიდებელი სეგმენტები გააიგივოს თავის მტრებთან, ანუ „ნაციონალურ მოძრაობასთან“. მინდა, მას შევახსენო, რომ მიხეილ სააკაშვილიც ანალოგიურად მოქმედებდა, ის ამბობდა, რომ რუსეთი არის მტერი და, ვინც ჩემთან არ არის, ყველა რუსეთის აგენტიაო. დღეს კი ბიძინა ივანიშვილი ამბობს, — „ნაციონალური მოძრაობა“ არის მტერი და, ვინც ჩემთან არ არის, ყველა „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელიაო. პოლიტიკური რიტორიკის ეს კონცეფცია კი არ განასხვავებს ივანიშვილს სააკაშვილისგან, პირიქით — ძალიან ამსგავსებს.**

**— ერთი წლის წინათ უკრაინული „ვიკილიქსის“ ვებგვერდმა გაავრცელა საქართველოს ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა და უშიშროების ყოფილი მდივნის — გიგა ბოკერიას საუბრის სტენოგრამა სათაურით „სააკაშვილი საქართველოში სახელმწიფო გადატრიალებას ამზადებს“. ამავე მედიასაშუალებამ რამდენიმე დღის წინათ გამოაქვეყნა ახალი ჩანაწერი, თუ როგორ გეგმავს „ნაციონალური მოძრაობა“ რევოლუციას საქართველოში სათაურით „მიხეილ სააკაშვილი და მისი გუნდი მორიგი რევოლუციური სცენარისთვის ემზადება“. რატომ არ ახდენს სახელმწიფო ამ ჩანაწერებზე რეაგირებას?**

— ეს სჭირდება პროპაგანდისთვის, ამიტომ არ ხდება რეაგირება. ავიღოთ 26 მაისის საქმე. გამოიძიეს, მაგრამ დაპატიმრეს ვინმე სხვა? ვინც უკვე ციხეში ზის, იმათ მიუსაჯეს და მათ, ვინც მიუწვდომელია. ეს ყველაფერი ფარსის შთაბეჭდილებას ტოვებს. ჩვენ ამისთვის არ გვიბრძოლია, ჩვენ გვინდოდა რეალური სამართალი და არა მხატვრულ-დოკუმენტური.

**— ოდესის გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი დარწმუნებულია, რომ საქართველოში არჩევნები ვერ გაყალბდება, ვინაიდან საამისოდ ბევრი ბერკეტი არსებობს. მას არგუმენტად კანონმდებლობა მოაქვს და განმარტავს, რომ ვერდიქტი იქნება „რუსთავი 2“-ის ეგზიტპოლები....**

— ძალიან კარგი, თუ დარწმუნებულია, რომ არჩევნები ვერ გაყალბდება. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მივიღებთ იმ შედეგს, რომელიც ხალხის გადაწყვეტილებას შეესაბამება. **მიხეილ სააკაშვილის აგრესიული რიტორიკა ფსიქოლოგიური შეტევა და საკუთარი მხარდამჭერებისთვის შემოძახებაა, მთავარსარდლის საბრძოლო შემოძახება.**

**— ახლახან აჭარაში თურქული სკოლა გაიხსნა. ფეთჰულა გიულენმა, რომელიც ახლა აშშ-შია და რომლის ექსტრადაციასაც ითხოვს თურქეთის ხელისუფლება, სააკაშვილს სთხოვა „ნიურჯლარის“, ანუ „რუხი მგლების“ წევრებისთვის საქართველოს მოქალაქეობა მიეცა. სააკაშვილმა გიულენის თხოვნა შეასრულა და 3000 თურქს საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა. სანაცვლოდ კი გიულენმა სააკაშვილს რამდენიმე მილიონი დოლარი გადაუხადა. ეს ინფორმაცია იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა დაადასტურა. დღეს „რუხი მგლები“ ბათუმში „მოღვაწეობენ“...**

— სასწავლო დაწესებულება, რომელიც ქვეყანაში იხსნება, ქვეყნის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში უნდა იყოს. ეს საგარეო-პოლიტიკური თემაა და, თუ ეს არის ე.წ. რუხი მგლების სკოლა, თურქეთისთვის მაინცდამაინც მისაღები არ უნდა იყოს. ამ ტიპის სკოლები სხვა ქვეყნებში არათუ იხსნება, არამედ იხურება. თურქულ მხარესთან ამ საკითხზე უნდა გამოიძებნოს სწორი მიდგომა. საფრთხეები საქართველოში არის მრავალმხრივი და მომდინარეობს არა მხოლოდ თურქეთისგან, არამედ სხვა ქვეყნებისგანაც. ვერ ვიტყვი, რომ დღეს დრამატული სიტუაციაა, მაგრამ მუდმივად უნდა ვაკვირდებოდეთ, რომ ამ მცოცავმა ექსპანსიამ შეუქცევადი ხასიათი არ მიიღოს.

**— ამ არჩევნებში არის თუ არა „ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ ალტერნატიული პოლიტიკური ძალა?**

— **ჩვენ გვაქვს პოლიტიკური ელიტის კრიზისი. გამომდინარე იქიდან, რომ ამომრჩეველთა რაოდენობა გაიზარდა, პოლიტიკური ელიტა არათუ არ გაზრდილა, მან, გარკვეულწილად, დეგრადაცია განიცადა. შესაბამისად, დღეს ღირსეული არ არსებობს.** ალტერნატიული პოლიტიკური ძალა რომ არსებობდეს, დარწმუნებული ვარ, „ქართული ოცნებაც“ და „ნაციონალური მოძრაობაც“ უკანა პლანზე გადაიწეოდა.

**— როგორ ფიქრობთ, მაღალი აქტივობა იქნება არჩევნებში?**

— დღევანდელი მონაცემებით, სამწუხაროდ, რთული მდგომარეობაა. არჩევნებში მონაწილეობას აპირებს ელექტორატის დახლოებით 60%, ეს არ არის მაღალი მაჩვენებელი. ამომრჩევლის 35-40%-ს ჯერ არ გადაუწყვეტია, მიიღებს თუ არა არჩევნებში მონაწილეობას. არჩევნებში მონაწილეობა იქნება ძალიან დაბალი, თუ მოსახლეობის ეს ნაწილი არ მიღებს გადაწყვეტილებას არჩევნებში მონაწილეობის შესახებ და ამის გამო შეიძლება გაჩნდეს კითხვის ნიშნები მომავალი ხელისუფლების ლეგიტიმაციის მიმართ. ეს კი სახიფათოა. ვისურვებ, მაღალი აქტივობა იყოს არჩევნებში.

ესაუბრა **ნანა ფოფხაძე**

## ივანიშვილი მოქმედებს მარტივი პრინციპით: «ვინც ჩემთან არ არის, ის ჩემი მტერია»

---

ის გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ აქტიური მკითხველია. მან ითხოვა, საზოგადოებისთვის კიდევ ერთხელ შეგვეხსენებინა, ბატონი ალექსანდრე ჭაჭიას 2012 წლის ინტერვიუები, რას ამბობს ის პარტიებზე — რისთვის იქმნებიან, რომ არავინ ფიქრობს მაღალ იდეებზე, სამშობლოს კეთილდღეობაზე და რომ ყველას მხოლოდ ფულის შოვნა სურს, რაც, ალბათ, განსაკუთრებით ამ ბოლო არჩევნებშია შესამჩნევი. ბატონმა იოსებმა, აგრეთვე, გვთხოვა, კიდევ ერთხელ შეგვეხსენებინა ხალხისთვის, რას წერდა ხელისუფლებაში ივანიშვილის მოსვლამდე ბატონი ალექსანდრე, რომ ის ვერ ხედავდა ბიძინას „ოცნებაში“ საქართველოს განვითარების გზას, რომლის დანახვას საზოგადოებამ ოთხი წელი მოანდომა.

**— ხელახლა დაბეჭდეთ, შვილო, ეს ყველაფერი. მოხუცმა კაცმა იმაზე უკეთ რა უნდა ვთქვა და რით უნდა მივიქციო ვინმეს ყურადღება? გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ გამოსვლას სამეგრელოში ცის გახსნასავით ელოდებიან, ყველაზე მართალ სიტყვას თქვენ ამბობთ, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ და ეს თხოვნა შემისრულეთ, ხალხს კიდევ ერთხელ წააკითხეთ ალექსანდრე ჭაჭიას, ჩვენებური, კარგი, ნიჭიერი კაცის, ნათქვამი,** — გვითხრა ბატონმა იოსებმა.

მისი თხოვნით პოლიტიკოს ალექსანდრე ჭაჭიას ინტერვიუებიდან რამდენიმე ამონარიდს გთავაზობთ.

**ალექსანდრე ჭაჭია:** „ივანიშვილის განცხადებებიდან არ ჩანს, როგორ ხედავს ის საქართველოს როლს და ფუნქციას თანამედროვე მსოფლიოში. **შევარდნაძე გულახდილად აცხადებდა, რომ საქართველომ უნდა შეასრულოს ტრანზიტული დერეფნის როლი, სააკაშვილი ირწმუნება, რომ საქართველოს დანიშნულებაა, გახდეს სამოთხე ტურისტებისთვის. ორივე ფუნქცია ქართველი ერის მოსამსახურე პერსონალად გადაქცევას გულისხმობს, ამიტომ განადგურდა განათლების სისტემა, აკადემიური მეცნიერება, თეატრებში სტრიპტიზი იდგმება, ტელევიზიით პორნოგრაფიას აჩვენებენ და ა. შ.** და ეს გასაგებიცაა: განათლება, მეცნიერება და კულტურა მოსამსახურე პერსონალს არ სჭირდება, მაგრამ როგორია საქართველო ივანიშვილის „ოცნებაში“? როგორია ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების მისეული სტრატეგია? — ეს ჯერჯერობით გაუგებარია“ **(„საქართველო და მსოფლიო“ №10(148), 14—20 მარტი, 2012 წ.).**

**ალექსანდრე ჭაჭია:** „პარტიული ლიდერები ვერ ახერხებენ სათანადო ავტორიტეტის მოპოვებას ან მალე კარგავენ მას. **პარტიები, პარტიული გუნდები ყალიბდება არა ქვეყნის განვითარების იდეების რეალიზაციისთვის, არამედ ადამიანთა ჯგუფის მომგებიანი დასაქმების მიზნით. პოლიტიკა ბიზნესი გახდა, ამიტომაც ჩვენ მუდმივად ვხედავთ გარიგებებს ოპოზიციურ პარტიებსა და ხელისუფლებას შორის, განხეთქილებას პარტიებში, ერთი და იმავე სახეების გადასვლას პარტიიდან პარტიაში.** ჩვენ ხომ ვიცნობთ ადამიანებს, რომლებიც უკვე ნამყოფი არიან აბსოლუტურად ერთმანეთის საწინააღმდეგო დასახელების მქონე ხუთ-ექვს პარტიაში. იდეოლოგიის, სტრატეგიული მიზნების არარსებობამ, პარტიული ლიდერების უპრინციპობამ მოსახლეობაში მათ მიმართ უნდობლობა გამოიწვია. ეს, სხვათა შორის, მათ ნაკლებად აღელვებთ. **მათ იციან, რომ შეიძლება შეხვიდე პარლამენტში, თუ ამერიკელებს მოეწონები, და ისინი ხელისუფლებას მითითებას მისცემენ ამა თუ იმ პარტიის შეყვანის თაობაზე.** ამიტომ ბოლო წლებში ოპოზიციური პარტიების საქმიანობის მთავარი მიზანი იყო, დაემტკიცებინათ ამერიკელებისთვის საკუთარი მზადყოფნა და უნარი, შეესრულებინათ მათი მითითებები უკეთ, ვიდრე ამას მოქმედი ხელისუფლება აკეთებს **(„საქართველო და მსოფლიო“ №13(151), 4—10 აპრილი, 2012წ.)“.**

## „საქართველო გადავარჩინოთ. ჩემო სამეგრელო, ჩემო ზუგდიდელებო, თავი არ მოიჭრათ!“

ნაცების „გადაგდებიდან“ ოთხი წლის თავზე, ალბათ, ვერავინ იფიქრებდა, რომ მათ ასეთი საშინელების ჩადენა კიდევ შეეძლოთ. რამდენიმე დღის წინათ ზუგდიდის რაიონის სოფელ დიდ ნეძში ახალგაზრდა გოგონა, **ლიკა დემეტრაძე,** სარეკლამო პლაკატების გაკვრისას „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა ქვებით ჩაქოლეს. საშინელი სანახაობა იყო. „ინტელიგენციის“ იმ წარმომადგენლებმა, რომლებიც ამბობენ, რომ ნაცების მოშორების გამო ბიძინა ივანიშვილს ფეხები უნდა დავუკოცნოთ, დაზარალებული მაკა დემეტრაძის დედას, **მაკა კოდუას** ჩახედონ თვალებში; სამეგრელოში ჩავიდნენ და „მოშორებული“ „ნაცების“ ნამოქმედარი ნახონ, შეშინებულ ხალხს დაელაპარაკონ და ბოდიში მოუხადონ, საკუთარი აზრი თავისთვის შეინახონ და ფეხები, ვისაც უნდათ, იმას დაუკოცნონ.

დიდი ხანია, სამეგრელო მთავრობას აღარ ახსოვს და, თუ ვინმეს ახსოვდა, მხოლოდ იმიტომ, რომ, როგორც ერთმა ჩვენმა რესპონდენტმა განაცხადა, ნამუსი აეხადა. ამას მეგრელი ხალხი აღარ დაუშვებს.

**„ჩემი შვილი რომც დაიღუპოს, საქართველო გადავარჩინოთ. ჩემო სამეგრელო, ჩემო ზუგდიდელებო, თავი არ მოიჭრათ!“** — ასე მიმართა ლიკა დემეტრაძის დედამ, ქალბატონმა **მაკა კოდუამ** ხალხს, ასე ფიქრობს სამეგრელოს მოსახლეობის უმრავლესობა.

მოამზადა **ეკა ნასყიდაშვილმა**

ჩევლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სააკაშვილის გარდა, თქვენ შორის არის პიროვნება, რომელმაც ისეთი დანაშაულები ჩაიდინა, რომელთა მიტევება არ შეიძლება და ის აუცილებლად უმკაცრესად დაისჯება. ის არის საერთაშორისო საზოგადოების წინაშე სააკაშვილის ყველა საშინელი დანაშაულის (ფაშისტებსაც კი გონებაში რომ არ გაუვლიათ, ისეთისაც) „გამპრავებელი“ და „შემფუთველი“ გიორგი ტუღუში!**

**დასავლეთის ზეწოლის გამო ხელფეხშეკრული ხელისუფლება 4 წლის განმავლობაში დამნაშავეებთან კოაბიტაციას თამაშობდა და ცდილობდა, ეს თამაში დემოკრატიად გაესაღებინა, რითაც დღეს საქართველოც და საკუთარი თავიც საფრთხეში ჩააგდო, ამიტომ ისევ ომის გადახდა გვიწევს ერთხელ უკვე მოგებული „დიდგორის ველის“ დასაბრუნებლად.**

# ხვალ იყო არჩევნები...

## «თქვენ ჟვანიას უღალატეთ, თქვენს მამა-მარჩენალს, და ჟვანიას მკვლელ სააკაშვილს რომ უღალატოთ, არაფერი დაშავდება!» — მიმართვა «ნაციონალური მოძრაობის» ლიდერებს

ძალიან, ძალიან ეშინია დასავლეთს ქართველების, ამიტომ არ გვენდობიან და თავის ოჯახში არ გვიღებენ; ჩვენ მათთვის უცხო მთიელები ვიყავით, ვართ და ვიქნებით, ქართველის მენტალობა მათთვის მუდამ გაუგებარ ფენომენად დარჩება და ამიტომ მიუღებელი და ამაზრზენიც კია, როგორც დასავლურ სტანდარტებს შეუფერებელი...

**„უკან არ გაიხედოთ!“** — ამ მესიჯის ჩამოსატანად გასულ კვირას საქართველოში **რომის პაპიც** ჩამოვიდა. ამასვე უკიჟინებდნენ ბიძინა ივანიშვილს 4 წლის განმავლობაში — **უკან არ გაიხედოთ, დამნაშავეები არ დასაჯოთ, რაც იყო — იყო, მიუტევეთ ყველას, ეს უფრო ქრისტიანული და დემოკრატიულია, ჩაეხუტეთ ერთმანეთს და მხოლოდ წინ იარეთო; აირჩიეთ ორპარტიული პარლამენტი, რომელშიც „ნაცმოძრაობა“ და „ქართული ოცნება“ ერთმანეთს შეენაცვლებიან, შექმენით მათი წარმომადგენლებისგან კოალიციური მთავრობა, რომელიც კოლექტიურ პასუხისმგებლობას აიღებს და იცხოვრეთ ბედნიერად, მთავარია, ყველანი ჩვენიანები იყოთ — პარლამენტშიც, ოპოზიციაშიც, მთავრობაშიც და ქუჩაშიც; მთავარია, მუდამ დასავლეთისკენ მიილტვოდეთ და არ გავიწყდებოდეთ აქსიომა, რომ რუსეთი საქართველოს მტერი და ოკუპანტიაო!**

ვერა და ვერ შეიგნეს, რომ საქართველო ამერიკა არ არის, აქ ორპარტიული პარლამენტი და კოალიციური მთავრობა ვერ იმუშავებს, ისედაც დაბნეული ქართველი ხალხის წინაშე ვიღაც ერთმა უნდა აგოს პასუხი...

ხვალ იყო არჩევნები...

**აკო** და **ჩიორა** გადატრიალებას გვიმზადებენო... გადატრიალება არ გამოუვათ, მაგრამ დაპირისპირება უკვე აშკარაა. ქვეყანა კიდევ ერთ სამოქალაქო ომს ვერ გადაიტანს, დაიშლება და შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე ოთხივე მეზობლის — აზერბაიჯანის, სომხეთის, რუსეთისა და თურქეთის — ჯარები შემოვლენ, მათთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მილსადენების, გზების, ორი რკინიგზის, საზღვაო და საჰაერო პორტების დასაცავად, ზოგი კი — მიწების წასართმევადაც...

ბოლო დღეებში „ნაცმოძრაობა“ ბევრმა პატიოსანმა ადამიანმა დატოვა, რომლებმაც საქართველოს ინტერესები სააკაშვილისა და ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ მის ცოლად დანიშნული სანდრას კარიერას არ გადააყოლეს. გასულ კვირაში ამერიკაში გამოძახებული სააკაშვილი სასტიკად გაუფრთხილებიათ, — ბოლო შანსი გაქვს: ან დაგვიმტკიცებ, რომ „ფერადი რევოლუციის“ მოწყობა ჯერ კიდევ გეხერხება და ხელისუფლებაში დაბრუნდები, ან კარგად იყავიო! და როგორ ამთავრებენ მოღვაწეობას ყოფილი კვალიფიკაციადაკარგული აგენტები, კინოში მაინც ხომ გაქვთ ნანახი?! ამიტომ ლაჩარ სააკაშვილს დღეს სხვა გზა არ დარჩენია, კუთხეში მიმწყვდეული ვირთხა „გმირად“ იქცევა და უკან არ დაიხევს — ყველაფერს იკადრებს მიზნის მისაღწევად, ქართველების, მათ შორის, დღევანდელი თანაპარტიელების ხოცვა-ჟლეტასაც არ მოერიდება.

**მივმართავ „ნაცმოძრაობის“ დამფუძნებლებს, რომლებსაც ხელები სისხლში არ აქვთ გასვრილი, რომლებიც ბოლო წუთებში გონს მოეგებიან და დაემშვიდობებიან სააკაშვილის დამნაშავე ოჯახს — მიშას და სანდრას, თემურს, გიულისა და გიულენს:**



თუ ამ ნაბიჯს გადადგამთ, მზად ვარ, ხელისუფლებისა და სასამართლოს წინაშე გარანტად დაგიდგეთ. თქვენ საკმარისად მიცნობთ, იყო დრო, „მოქალაქეთა კავშირში“ ერთად ვმუშაობდით, ამიტომ, მიუხედავად გაყოფილი გზებისა, ცუდისთვის არ მემეტებით. ბოლოს და ბოლოს, ზურას უღალატეთ, თქვენს მასწავლებელსა და მამა-მარჩენალს, რომელმაც პოლიტიკაში მოგიყვანათ და პარლამენტში დაგასაქმათ, და ჟვანიას მკვლელი სააკაშვილის „ღალატი“ ასეთი ძნელი რატომ არის?! ხომ არ დაგავიწყდათ, რომ ჟვანიას გამოზრდილია სააკაშვილიც?! გინდათ, გაგახსენოთ, როგორ დასცინოდით იმხანად მიშა-სულელს?!

სააკაშვილის გარდა, თქვენ შორის არის პიროვნება, რომელმაც ისეთი დანაშაულები ჩაიდინა, რომელთა მიტევება არ შეიძლება და ის აუცილებლად უმკაცრესად დაისჯება. ეს არის საერთაშორისო საზოგადოების წინაშე სააკაშვილის ყველა საშინელი დანაშაულის (ფაშისტებსაც კი გონებაში რომ არ გაუვლიათ, ისეთისაც) „გამპრავებელი“ და „შემფუთველი“ **გიორგი ტუღუში!** ეს ის **გიორგი** ტუღუშია, რომელსაც დასავლეთი და საქართველოს ბიუჯეტი ფანტასტიკურ გასამრჯელოს უხდიდა ქართველი ხალხის უფლებების დასაცავად...

ამის გარდა, ტუღუში საქართველოში დასავლეთის საიდუმლო გლობალისტური ინსტიტუტებისა და ლგბტ-ორგანიზაციების მიერ არის მოვლინებული ერთი და იმავე სქესის მქონე პირთა შორის ქორწინების, ინცესტის, მშობელი №1-სა და მშობელი №2-ის სტანდარტის დასანერგად, მართლმადიდებლობისა და ქართული მენტალიტეტის მოსასპობად. ის რამდენიმე დასავლური სპეცსამსახურის აგენტია, მივლინებით მათ შტაბ-ბინებში ხშირად ჩადის და თვით სააკაშვილსაც არ ექვემდებარება. **მერაბიშვილის, ახალაიების, უგულავას, ადეიშვილის, კეზერაშვილის — ყველასი, ვინც ციხეშია ან იძებნება, ერთად შეკრებილი ბრალი გაცილებით ნაკლებია, ვიდრე გიორგი ტუღუშის.**

ხვალ იყო არჩევნები...

სააკაშვილი უკვე თურქეთშია და იქიდან საქართველოში შემოჭრას აპირებს თურქსელჩუკივით, ამიტომ მივმართავ პრემიერ **გიორგი კვირიკაშვილს:**

**თუ თურქეთი მართლაც საქართველოს პარტნიორი და მეგობარია, ხომ შეიძლება, ვთხოვოთ, სააკაშვილი დააკავონ და საქართველოს გადმოსცენ?!** ერდოღანმა, როცა მისთვის სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას შეეცადნენ, ხომ კარგად დაარღვია ევროპული დემოკრატიის, ტოლერანტობის, კოაბიტაციისა და უდანაშაულობის პრეზუმფციის ყველა პრინციპი და ნახევარი თურქეთი ჩაყარა ციხეში?! ჰოდა, ახლა საქართველო დგას იმავე საფრთხის წინაშე. **თუ თურქეთში გადატრიალებას გიულის გიულენი ამზადებდა, აქ იმავეს გვპირდება გიულის მიხეილი. სააკაშვილი არის სატანის დროშა და, სანამ ის იფრიალებს, სანამ სააკაშიზმის ჭია ქართველ საზოგადოებას შიგნიდან ხრავს, ამ ქვეყანას მშვიდობა არ უწერია! ამიტომ ქართველი ხალხი მოუთმენლად ელის სამშობლოში სააკაშვილის დაბრუნებას, რათა მას ერთხელ მაინც დააგემოვნებინოს... დროშის ტარი.**

**არნო ხიდირბეგიშვილი,**
„საქინფორმის“
მთავარი რედაქტორი

# როკფელერი დარწმუნებულია, რომ მესამე მსოფლიო ომი დაიწყება

**როკფელერის ოჯახის მეოთხე თაობის წარმომადგენელი სტივენ როკფელერი დარწმუნებულია, რომ მესამე მსოფლიო ომი გარდაუვალია.**

„არსებული მდგომარეობა მაგონებს იმ ვითარებას, რომელიც იყო XX საუკუნის დასაწყისში, პირველი მსოფლიო ომის წინ. ჩვენ ვხედავთ უძლიერესი სახელმწიფოების ორ კავშირს (აშშ-ევროკავშირის ქვეყნები და რუსეთი, ჩინეთი, ირანი), რომლებიც ცდილობენ დომინანტობას და არ სურთ, ერთმანეთს რამე დაუთმონ. მსგავსი რამ ისტორიაში არასოდეს დასრულებულა მშვიდობიანად. დარწმუნებული ვარ, რომ მესამე მსოფლიო ომი იქნება“, — განაცხადა



სტივენ როკფელერმა ამერიკული ტელევიზიის ეთერში.



როგორც ჩანს, **მსოფლიოში უმდიდრესი ოჯახი უკმაყოფილოა იმით, რომ ამერიკელებმა რუსეთი ვერ დაშალეს და ამ ქვეყნის სიმდიდრეების მიტაცებით, რაც არაერთხელ ჩაუდენიათ, თავის ქონებას კიდევ მეტი ვერ მიუმატა. თუმცა ომი თუ დაიწყო, გამორიცხული არ არის, პირველი ატომური რაკეტა სწორედ იმ ადგილას დაეცეს, სადაც როკფელერები იქნებიან. ვინ იცის...**

# მიშამ ბავშვებსაც მოჰპარა



**საქართველოს მსგავსად, მიხეილ სააკაშვილი პოპულისტური განცხადებებს არც უკრაინაში ერიდება. ერთი ეგაა, უკრაინაში ყველა ტელევიზიას ვერ აკონტროლებს და ამიტომ მის განცხადებებს ბოლომდე მიჰყვებიან ხოლმე.**

ცოტა ხნის წინათ ოდესის პოლიციამ რეგიონში კონტრაბანდული გზით შემოტანილი ველოსიპედები დააკავა. მათი საერთო რაოდენობა 11 400 იყო. უკრაინის კანონმდებლობის მიხედვით, კონტრაბანდული საქონელი უნდა განადგურდეს. სააკაშვილმა, როგორც სჩვევია, „უკეთესი“ რამ მოიფიქრა და განაცხადა, რომ ველოსიპედებს ოდესელ ბავშვებს უფასოდ გადასცემდა. ეს გადაცემის პროცესი გაჭიანურდა და ახლაღა გაირკვა, რომ ველოსიპედები გაყიდეს და „ვილაცამ“, საერთო ჯამში, 42 მილიონი გრივნა ჩაიჯიბა.

როცა სააკაშვილს შეახსენეს, რომ ველოსიპედები ჰქონდა დასარიგებელი, ყველაფერი პრესცენტრს დააბრალა, — იმათ შეეშალათ, თორემ მე არ მითქვამს, რომ უნდა დამერიგებინაო.

მოკლედ, **ახლა ისეთი სიტუაციაა, რომ მიხოს უკრაინაშიც აღარ დაედგომება და ამიტომ აანონსებს, — საქართველოში მოვდივარო. არადა, საქართველოშიც ციხე ელოდება, მაგრამ, როგორც ჩანს, აქაური „ბალანდა“ უფრო მეტად მოსწონს (გასინჯული აქვს პიარის კეთებისას).**

**მოამზადა გიორგი გელაშვილმა**

**„ორპალატიანი საკანონმდებლო ორგანოს ზედა წარმომადგენლობით პალატაში საქართველოს სამოციქულო ეკლესიას, როგორც სახელმწიფოს ერთ-ერთ საყრდენს, უნდა ჰყავდეს წარმომადგენლები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ უმნიშვნელოვანესი კანონების შემუშავებაში. ეს თავიდან აგვარიდებს პოლიტიკურ არასტაბილურობას და ისეთი უზნეო ანტისახელმწიფოებრივი კანონების მიღებას, როგორც ანტიდისკრიმინაციული კანონია“.**

ხმა ბერისა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მამა გრიგოლი (მეზვრიშვილი): ვაშინგტონიდან მართული ეს ძალა ამომრჩეველთა იმედს ვერ გაამართლებს

**მოხისის წმინდა გიორგის ტაძრის წინამძღვარი მამა გრიგოლი (მეზვრიშვილი) საქართველოში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაზე, პოლიტიკურ-საზოგადოებრივ პროცესებში მართლმადიდებლური ეკლესიის ჩართვის აუცილებლობასა და 8 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობაზე გვესაუბრება.**



**— მამაო გრიგოლ, ეკლესია ცდილობს, პოლიტიკაში არ ჩაერიოს., ღვთისმსახურნიც, როგორც წესი, ერიდებიან პოლიტიკაზე საუბარს, თქვენ რატომ დათანხმდით ამ თემაზე ინტერვიუს?**

— მოდი, ასე მივუდგეთ ამ საკითხს, მოყვასო: მე პოლიტიკოსი არ ვარ, არც რაიმე პოლიტიკური თანამდებობა მაინტერესებს, რადგანაც ჩემი მსახურება უფრო მნიშვნელოვანია, მაგრამ, როცა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები ეხება ეკლესიას, ჩემი მრევლის, ჩემი სამშობლოს, ჩემი შვილების მომავალს და ეხება მათდა საზიანოდ, მე არ ვიქნები არც კარგი ქრისტიანი, არც კარგი ქართველი, არც კარგი მოძღვარი და არც კარგი მამა, თუ ისინი არ დავიცავი. ჩემი იარაღი ამ შემთხვევაში სიმართლეა და ვალდებული ვარ, ღვთისა და მოყვასის წინაშე ვთქვა ის, რასაც პოლიტიკოსები არ ან ვერ ამბობენ.

**— დავიწყოთ ქართული პოლიტიკის შეფასებით. რა არ მოგწონთ?**

— ის, რომ იგი არ არის ქართული; ის, რომ იგი არ არის პოლიტიკა. პოლიტიკა, მოყვასო, სახელმწიფოს მშენებლობისა და მართვის ხელოვნებაა. **შეხედეთ ქართული სახელმწიფოს შენობას, რომლის სახურავიდან წყალი ჩამოდის, ფანჯრებიდან ქარი უბერავს, კარი არ იკეტება, ეზო და ღობე მორღვეულია. ჰგავს ეს სვეტიცხოვლისა და ნიკორწმინდის ამშენებელი ქართველი კაცის ნახელავს? — არ ჰგავს, არ არის ქართული!**

ჩვენი ერი, სულ რაღაც, 25-30 წლის წინათ ერთიანი, ამაყი, მდიდარი, ღვთისმგმობელ იმპერიასთან უშიშრად მებრძოლი, დღეს ყველა ომში დამარცხებული, სამეზობლოში ყველაზე გაღატაკებული, ღირსებააყრილი და შერცხვენილია. ეს „ქართული პოლიტიკის“ ნაყოფია. შეხედეთ 25 წლის განმავლობაში ნატოს ღია კართან მათხოვარივით მდგარ ჩვენს ხელისუფლებებს, ჩვენს „პოლიტიკოსებს“, დააკვირდით მათ ურთიერთობებს „სტრატეგიულ პარტნიორებსა“ და „მეგობრებთან“. ჩანს აქ სადმე პოლიტიკა? — არა! ეს ძველი, კარგად დავიწყებული პატრონყმური ურთიერთობებია.

**— ასეთ ვითარებაში რას უნდა ველოდოთ 8 ოქტომბრის არჩევნებისგან? აქვს კი მას აზრი?**

— ბოლო 25 წლის განმავლობაში, თუ რამე ჩამოყალიბდა სტაბილურად საქართველოში, ეს პოლიტიკური ბაზარია. ამ ხნის განმავლობაში უცვლელია ბაზრის მეპატრონე, ძირითადად, უცვლელნი არიან მასში მოვაჭრე პოლიტიკოსები და თითქმის არ იცვლება მყიდველი — ამომრჩეველი.

ამ მოცემულობაში **8 ოქტომბრის არჩევნებისგან მნიშვნელოვნად განსხვავებულ შედეგს არ უნდა ველოდოთ.** დიდი ალბათობით, პარლამენტში უმრავლესობას „ქართული ოცნება“ შეინარჩუნებს, ჯერ კიდევ არის მათი დრო, მაგრამ ვაშინგტონიდან მართული ეს ძალა ამომრჩეველთა იმედს, რა თქმა უნდა, ვერ გაამართლებს.

**ის, რისთვისაც ღირს და აუცილებელიც არის არჩევნებში ღვთის მოშიში, ოჯახისა და სამშობლოს მოყვარული ადამიანების მონაწილეობა, არის პარლამენტში პატრიოტი, გონიერი, მართალი ადამიანებით დაკომპლექტებული ოპოზიციის შეყვანა, რომელიც დაიცავს ხალხის ინტერესებს და შეეწინააღმდეგება ანტიქრისტიანულ, ანტიადამიანურ პოლიტიკას.**

ის, ვინც სიჯიუტის ან უფულობის გამო არ შედის ბაზარში, მერე იძულებული შეიქნება ხოლმე, ეს პროდუქტი ან მოიპაროს, ან წაართვას ვინმეს. პოლიტიკური ბაზრის უარმყოფელი, თავისი საქციელით, ზრდის იმის შესაძლებლობას, რომ ხელისუფლებისთვის ბრძოლა კვლავ ძალადობაში — „რევოლუციაში“ გადაიზარდოს, როგორც ეს მოხდა 1992 და 2003 წლებში.

**ბაზრის უარყოფას კი სჯობს, „ვაჭრობა“ ვისწავლოთ. თუ არ ვიყიდით ცარიელ დაპირებებს, ვაჭარი იძულებული იქნება, უკეთესი საქონელი გამოიტანოს; თუ მომავალ 1400 დღეს, 4 წელიწადს, 1400 თეთრად არ გავყიდით, მეტი პატივისცემით მოგვეპყრობიან.**

ჩვენ უნდა ვისწავლოთ ვაჭრობა, ჩვენ უნდა შევიცვალოთ და შეიცვლება ბაზარიც და ბაზრის მეპატრონეც ანგარიშს გაუწევს ჩვენს მოთხოვნებს.

**— რა როლი შეიძლება შეასრულოს ქართული პოლიტიკის ჩამოყალიბებაში საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ?**

— ერთ-ერთი უმთავრესი! ამას ადასტურებს არა მამა გრიგოლი ან თუნდაც ცნობილი პოლიტოლოგი, არამედ ჩვენი სახელმწიფოს მრავალსაუკუნოვანი ისტორია.

1089 წელს საქართველოში ვითარება გაცილებით რთული და ავისმომასწავებელი იყო, ვიდრე 1992 წლის დასაწყისში, მაგრამ სამი ათეული წლის შემდეგ საქართველომ გააკეთა ის, რაც ვერ შეძლო გაერთიანებულმა ევროპამ — დაამარცხა მუსლიმანთა 600 000-იანი კოალიციური ლაშქარი და შექმნა მსოფლიოში უძლიერესი საერთოკავკასიური იმპერია, რომელშიც მშვიდობითა და თანხმობით ცხოვრობდნენ სხვადასხვა რელიგიისა და ეთნოსის წარმომადგენლები. ქართული სახელმწიფოს ამ საოცარი აღმასვლის ერთ-ერთი შემოქმედი, ღვთისგან ხელდასხმულ და ეკლესიისგან კურთხეულ მეფე **დავით აღმაშენებელთან** ერთად იყო მისი აღმზრდელი, ეკლესიის უმაღლესი იერარქი **გიორგი ჭყონდიდელი**, რომელსაც ეკავა სახელმწიფოში მნიშვნელობით მეორე თანამდებობა — მწიგნობართუხუცესის (პრემიერმინისტრის).

შემდგომშიც მრავალგზის სამეფო და საეკლესიო ხელისუფლების ერთობით ქართული სახელმწიფო ძლიერდებოდა, ხოლო ამ ერთობის რღვევით სუსტდებოდა.

**ეს, რა თქმა უნდა, იციან ქართველი მართლმადიდებელი ერისა და ქართული სახელმწიფოს მტრებმა — სატანის მსახურებმა შინ თუ გარეთ; იციან რომ მათი დამარცხება და განდევნა ქართული პოლიტიკიდან მხოლოდ ღვთისმსახურებს შეუძლიათ, როცა პოლიტიკაში მოვლენ.**

**— რა ფორმით წარმოგიდგენიათ, მამაო, 21-ე საუკუნეში ეკლესიის მონაწილეობა ქართული პოლიტიკის ფორმირებაში?**

— იმ ფორმით, რომელიც აპრობირებულია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში — კონსტიტუციური მონარქიით. ღრმად ვარ დარწმუნებული, მმართველობის ეს ფორმა ყველაზე მეტად შეესაბამება ქართულ სახელმწიფოს, ჩვენი ერის მენტალიტეტს და, რაც მთავარია, იგი იქნება ყველაზე ეფექტიანი იარაღი იმ გამოწვევების წინაშე, რომელიც გარდაუვალია.

ღვთისგან კურთხეული მეფე „აფხაზთა, ქართველთა... ოსთა...“ იქნება გარანტი ქვეყნის ერთიანობისა და სტაბილურობისა. იგი დაიცავს ქვეყანას ისეთი შემთხვევითი, შეუფერებელი პიროვნებების მოსვლისგან უმაღლეს პოლიტიკურ თანამდებობებზე, როგორიც იყო **სააკაშვილი** და არის **მარგველაშვილი.**

**ორპალატიანი საკანონმდებლო ორგანოს ზედა, წარმომადგენლობით პალატაში საქართველოს სამოციქულო ეკლესიას, როგორც სახელმწიფოს ერთ-ერთ საყრდენს, უნდა ჰყავდეს წარმომადგენლები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ უმნიშვნელოვანესი კანონების შემუშავებაში.** ეს თავიდან აგვარიდებს პოლიტიკურ არასტაბილურობას და ისეთი უზნეო ანტისახელმწიფოებრივი კანონების მიღებას, როგორც ანტიდისკრიმინაციული კანონია.

**— რას იტყვით ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე, რომელზეც უმწვავესი დისკუსიები მიმდინარეობს წინასაარჩევო პერიოდში და, თუ პოლიტიკა არ არსებობს, როგორც თქვენ ამტკიცებთ, რაზე დავობენ კონკურენტები?**

— ვიმეორებ: ეს არ არის პოლიტიკა, ეს არის გაუგონარი ნაზავი სისულელის, უზნეობისა და ფარისევლობისა. 25 წელია ,ამ „პოლიტიკის“ შემოქმედნი, მათივე საყვარელი ფრაზა რომ გამოვიყენოთ, „დღე-ღამეში 24 საათი“ ამტკიცებენ, რომ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა შეიძლება მხოლოდ იმ ძალებთან მჭიდრო კავშირში:

**ა)** რომლებმაც 1990-იანი წლების დასაწყისში საქართველოს ბრძოლას დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის „დინების საწინააღმდეგო ცურვა“ უწოდეს და უსამშობლო რენეგატებისა და „კანონიერი ქურდების“ ხელით დაამხეს ხალხის მიერ არჩეული ეროვნული ხელისუფლება;

**ბ)** რომელთა ორმა მარიონეტმა ხელისუფალმა (შევარდნაძემ — საქართველოში და ელცინმა — რუსეთში) გააჩაღა სამოქალაქო ომი აფხაზეთში და მოსისხლე მტრებად აქცია აფხაზები და ქართველები, დაანგრია ქართული სახელმწიფო;

**გ)** რომლებმაც დაგეგმეს და კიდევ ერთი მარიონეტის — სააკაშვილის — ხელით გააჩაღეს ომი საქართველოსა და რუსეთს შორის, რათა კიდევ ერთხელ შეელახათ რუსეთის საერთაშორისო იმიჯი და აგრესორად გამოეყვანათ მსოფლიოს საზოგადოებრიობის თვალში, რათა სერიოზული პრობლემები შეექმნათ მის საზღვრებთან კავკასიაში ორი სეპარატისტული სახელმწიფოს გაჩენით, რათა ომში დამარცხებულ საქართველოს უარი ეთქვა ეროვნულ პოლიტიკაზე და მათი ნება-სურვილის უსიტყვო აღმასრულებლად ქცეულიყო;

**დ)** რომლებიც ნატოს ძალებით მანამდე ბომბავდნენ მართლმადიდებელ სერბეთს, სანამ არ დააჩოქეს და არ წაართვეს კოსოვო, ისეთივე ისტორიული მიწა-წყალი სერბეთისთვის, როგორიც ჩვენთვის აფხაზეთია;

**ე)** რომლებმაც იმავე სცენარით, რომელიც საქართველოში გამოიყენეს, მოაწყეს სახელმწიფო გადატრიალება უკრაინაში, გააჩაღეს სამოქალაქო ომი, შეაჯახეს რუსეთის სამხედრო მანქანას და დაშალეს ევროპის ეს ერთ-ერთი დიდი ქვეყანა.

და დღეს **ეს „პოლიტიკოსები“ ამომრჩევლებს ჰპირდებიან, რომ ეს ანტიქრისტიანული ძალები საქართველოს სიყვარულით მესამე თერმობირთვულ მსოფლიო ომში დაამარცხებენ ჩვენს მტერს — ოკუპანტ რუსეთს და შემდეგ მოსახლეობისგან განწმენდილ და რადიოაქტიური მტვრით განაყოფიერებულ მიწაზე აღგვიდგენენ ერთიან, ძლიერ, მართლმადიდებელ საქართველოს ისტორიულ საზღვრებში.**

ღმერთო, გვიხსენი უგუნურთაგან!

**— მაშ, როგორი უნდა იყოს ქართული პოლიტიკა? რა უნდა გახდეს მისი საფუძველი?**

— ქართული პოლიტიკა, ისევე, როგორც ადამიანის ნებისმიერი წარმატებული საქმიანობა, უნდა ეფუძნებოდეს რეალობას, სიმართლეს და ემსახურებოდეს ეროვნულ ინტერესებს. დღევანდელი რეალობა კი არის ის, რომ კაცობრიობა აპოკალიფსის ფაზაში შევიდა. დედამიწაზე პოლიტიკურ პროცესებს წარმართავს სატანური, არაფორმალური მსოფლიო მთავრობა, რომლის ხელშია მასმედია, ფინანსები, ნატო, უმაღლესი ტექნოლოგიები და ბუნებრივი რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი. მისი მიზანია მსოფლიო სახელმწიფოს შექმნა, რომლის პოლიტიკური და რელიგიური ლიდერი იქნება ანტიქრისტე. ამისათვის არსებული პოლიტიკური სისტემა უნდა დაინგრეს და დამყარდეს „ახალი მსოფლიო წესრიგი“, რომელშიც ნაციონალური სახელმწიფოების ადგილი არ იქნება. აი რა საშინელ გამოწვევებთან მოგვიწევს დაპირისპირება. აი რისთვის უნდა ემზადებოდეს ქართული სახელმწიფო და ეროვნული ხელისუფლება.

**— დასასრულ, რას ეტყვით ჩვენს მკითხველს, მამაო?**

— პოლიტიკურ ასპარეზზე განცდილი ჩვენი ყველა მარცხის მიზეზი სიძულვილია. ჩვენ ყველა მომდევნო ხელისუფლებას წინა ხელისუფლების სიძულვილით გონებადაბნელებულები ვირჩევდით. ეს უნდა დასრულდეს. **ხელთ იპყარით ღვთის საჭურველი: ჭეშმარიტება შეირტყით წელზე, სიმართლის აბჯრით შეიმოსეთ, იფარეთ რწმენის ფარი, აიღეთ ხსნის ჩაჩქანი და სულის მახვილი, რომელიც არს ღვთის სიტყვა (ეფეს. 6. 11-17). აი რა იარაღი გვჭირდება ჩვენ დღეს, ურთულესი გამოწვევების წინაშე მდგომთ.**

„ერთ რამეს გირჩევთ... მეომარნო ქრისტესნო! თუ ღვთის სჯულის დასაცავად წესიერად ვიბრძოლებთ, არამცთუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკსაც ადვილად დავამარცხებთ!“— ეს დავითის სიტყვებია დიდგორის ომის წინ, რომელიც ჩვენც გველოდება 8 ოქტომბერს.

მშვიდობა თქვენ და სიყვარული რწმენითურთ მამა ღმრთისა და უფალ იესო ქრისტესაგან. ამინ!

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**თუკი არსებული სიტუაცია შენარჩუნდა, მმართველი ძალა აზრზე არ მოვიდა და არ გაიაზრა, რომ ნაცების ყოფილი ზონდერები ბუნებით, შინაგანად, საქციელით არიან საზოგადოებისთვის მიუღებლები, მაშინ „ოცნება“ სულ მალე მიიღებს საზოგადოებისგან ზურგშექცევას. ხოლო ეს ზონდერები, თუკი საქმე საქმეზე მიდგა და ნაცების გადატრიალების სცენარს სულ ოდნავი წარმატების შანსი მაინც თუ გაუჩნდა, მოსალოდნელია, ისევ თავის ძველ „თანამოძმეებს“ დაუბრუნდნენ და ბიძინა ზუსტად ისევე „ორშაურად“ გაყიდონ, როგორც აქამდე ბიძინას შეთავაზებულ „ორშაურზე“ გაყიდეს მიშა!**

# გადამტრიალებლები, გადატრიალებულები და გადასატრიალებლები

**შეიძლება ითქვას, ჩვენი ქვეყანა სულ კოტრიალ-კოტრიალით მიდის — მიექანება თუ მიგორავს ევროატლანტიკური სივრცისკენ. 1992 წლიდან რომ დაიწყო საქართველოში გადატრიალებები, მას შემდეგ ვიტრიალეთ, ვიტრიალეთ და, მართალია, როგორც იქნა, 2012 წელს ბიძინა ივანიშვილის აშკარა დამსახურებით გვეღირსა გადაუტრიალებელი შეცვლა ხელისუფლებისა, მაინც, აგერ უკვე 2016 წელია და, ისევ და ისევ გადატრიალების თემაა ყველაზე აქტუალური.**

ისე, კაცობრიობამ მაგარი რამე კი მოიგონა — ინტერნეტი. გამოაქვეყნებს ვინმე უჩინარი ინტერნეტში ფარულ ჩანაწერებს, როგორ გეგმავენ გადატრიალებას ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები და მიდი! მერე მთელი თვეები ისე განიხილავენ არის თუ არა „ავთენტური“ ეს ჩანაწერები, სუს-ს თუ კიდევ სხვა სპეციალურ სამსახურებს ისე „უჭირთ“ დადგენა და იმდენ დროს ანდომებენ „გამოძიებას“, გეგონება, ამ ფარულ ჩანაწერებს მე და ჩემი მეზობლები ვახორციელებდეთ და არა თვით ეს სპეცსამსახურები.

**„ავთენტურობაზე“ უფრო მთავარი კი მაინც ის არის, ვინ ატრიალებს, ვის (ან რას) ატრიალებს, როდის ატრიალებს და რატომ ატრიალებს.**

მაგალითად, ზოგიერთი ძალიან პატრიოტული სახით მომზირალი პერსონა, სხვას რომ ვერაფერს გახდება საკუთარი პატრიოტიზმის დასამტკიცებლად, თურქული რესტორნის წინ დადგმულ სარეკლამო ბანერს ატრიალებს.

საზოგადოდ, პატრიოტობის საილუსტრაციოდ გულზე მჯიღის ბრაგუნი და რომელიმე ან ორივე აგრესიული დამპყრობლის — რუსეთისა და თურქეთის წინააღმდეგ შეურაცხმყოფელი, ხშირად ძალიან უხამსი გამოთქმების ხმამაღლა ყვირილი რომ მოდად დამკვიდრდა ჩვენში, ეს უკვე თან სასაცილო და თან სავალალო ფაქტია.

**გინდა, გქონდეს „პატრიოტის“ სახელი? გამოდი და იყვირე: „რუსეთი ასეთია!“ „თურქეთი ისეთია!“... მორჩა, შენ პატრიოტი ხარ! არავითარი ჭკუა, არავითარი პასუხისმგებლობა იმისა, რეალურად რა შედეგს მოუტანს შენს სამშობლოს შენი ასეთი „ხმამაღალი პატრიოტიზმი“.**

ეს ყოველივე, თითქმის 30 წელიწადია, გრძელდება და, მიუხედავად იმ მართლაც სავალალო შედეგებისა, რომლებიც მოიტანა ასეთმა „სანახაობრივმა პატრიოტიზმმა“, ამ მხრივ მაინც თითქმის არაფერი იცვლება.

მხოლოდ ერთადერთი ცვლილება შეიძლება შევნიშნოთ: **თუკი აქამდე ამ სანახაობრივი პატრიოტიზმის გამოხატვა მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის მიმართ ხდებოდა, ეს ბოლო ორიოდე წელია, ანტითურქული პატრიოტიზმიც ნელ-ნელა შემოდის მოდაში.**

სავარაუდოდ, ეს იმან გამოიწვია, რომ სოხუმისა და ცხინვალის რეგიონების მიტაცების შემდეგ რუსეთმა შესამჩნევად შეანელა აქტივობა საქართველოში და, რაც უნდა გაიჭაჭოს ზოგიერთი, — საქართველოში რუსული პროპაგანდა ყვავისო, სინამდვილეში საქართველოში რუსეთი ძალიან მინიმალურ აქტივობას ახორციელებს.

ამან განაპირობა ოსმალთა იმპერიის მემკვიდრის, თანამედროვე თურქეთის, მკვეთრი გააქტიურება სრულიად საქართველოსა და განსაკუთრებით აჭარის რეგიონში. მარტივად რომ ვთქვათ, **როგორც ჩანს, ქართულ საზოგადოებას კიდევ ერთხელ სურს დარწმუნდეს, რომ „პატარა კახი“, დიდი მეომრის გარდა, ჭკვიანი პოლიტიკური სტრატეგიც იყო და ზუსტად იცოდა, რატომაც აფორმებდა გეორგიევსკის ტრაქტატს.**

ტრაგედია კი ის არის, რის ხარჯზე მოგვიწევს ამაში დარწმუნება. ღმერთმა ნუ ქნას, რომ აჭარის დაკარგვა შეიქნეს საჭირო ჩვენი პატრიოტულად აღტყინებული საზოგადოების ნაწილის აზრზე მოსაყვანად!

აკი, უკვე ვნახეთ, რაც დაგვმართა ერთ დიდ სახელმწიფოსთან „რუსებს რა?“-ს ყვირილმა.

**ახლა, მოდი, „თურქებს რა?“ ვიყვიროთ ძალიან ხმამაღლა და სულაც არ დავფიქრდეთ იმაზე, რომ ამ კითხვის უხამსი პასუხი სწორედ ჩვენს ქვეყანას ემართება მერე და არა იმ აგრესორ და დიდ ქვეყნებს, რომელთა მისამართითაც ამ პასუხს აღტყინებულები გავიძახით ხოლმე.**

მეფე ერეკლე მეორე ნამდვილად არ იყო იმ დონის გულუბრყვილო, წინასწარ არ სცოდნოდა, რუსეთი გეორგიევსკის ტრაქტატს აუცილებლად დაარღვევდა, ზუსტად ისევე, როგორც ნებისმიერი დიდი ქვეყანა აუცილებლად და ყოველთვის თავის სასარგებლოდ არღვევს ყველა ხელშეკრულებას, რომლებსაც პატარა ქვეყანასთან აფორმებს.

**აქ მთავარი იმის განსაზღვრა იყო, ოსმალეთთან ურთიერთობა მეტ ზიანს მოუტანდა ჩვენს ქვეყანას თუ რუსეთთან ურთიერთობა? ანუ საქართველო, როგორც ახლა, მაშინაც სწორედ ამ არჩევანის წინაშე იდგა — ქართველებს უნდა აერჩიათ არა მათთვის უფრო სასარგებლო ვარიანტი, არამედ ნაკლებად საზიანო ვარიანტი და ერეკლე მეფემ ნამდვილად სწორად გადაწყვიტა ეს უსიამოვნო, მაგრამ აუცილებელი საკითხი.**

ზიანთან ერთად, რუსეთთან ურთიერთობამ საქართველოს დადებითი შედეგიც რომ მოუტანა, რომელიც ისმალებისგან წართმეული მიწების (ფოთი, ბათუმი, ახალციხე, ადიგენი და ა. შ.) დაბრუნებაში გამოიხატა, ჭკუადამჯდარი ადამიანებისთვის უტყუარი ჭეშმარიტებაა. ასევე **ჭეშმარიტებაა ისიც, რომ, თუკი ჩვენ 1990-იანი წლების შემდეგ მსოფლიოს უდიდეს სახელმწიფოსთან (კი, ბატონო, აგრესიულ, მტერ და დამპყრობელ, მაგრამ ჩვენს უშუალო მეზობელ, ერთმორწმუნე და უკვე გარკვეულწილად „ქართული გავლენის“ ქვეშ მყოფ რუსეთთან) ჭკვიანურად, გონიერად მოვიქცეოდით, აღარც ის ტერიტორიები გვექნებოდა დაკარგული, რომლებიც დღეს სწორედ რუსეთს აქვს მითვისებული, გნებავთ, ოკუპირებული.**



**ჩვენს სახელმწიფოში თურქული რესტორნის სარეკლამო აბრის გადატრიალება უფრო მკაცრად ისჯება, ვიდრე სახელმწიფო გადატრიალება. აკი იმ ბავშვებს, რომლებმაც აღმაშენებელზე ეს აგრესიული აქცია გამართეს, 10-ათასლარიანი გირაოები მიუსაჯეს და 4-წლიანი მუხლები შეუფარდეს, ხოლო ის ზრდასრული ადამიანები, რომლებიც შეიარაღებულ სახელმწიფო გადატრიალებას გეგმავდნენ, უბრალოდ, პროკურატურაში დაკითხვაზე დაიბარეს**

სიტყვა **ერთმორწმუნეც** შემთხვევით არ მიხსენებია. ამ ჩვენს მუდამ გადატრიალებულ თუ გადატრიალების საფრთხეში მყოფ საქართველოში უკვე მიზანმიმართულად მიდის ამ სიტყვისა თუ მისი შინაარსის დისკრედიტაციაც. იმ ადამიანებს, რომლებიც რუსეთისკენ უფრო იხრებიან, ვიდრე თურქეთისკენ, დაცინვით „პრავალსლავნიკებს“ ეძახიან; რუსეთის მისამართით კი, როდესაც იგი გარკვეულ აგრესიულ ქმედებებს გამოავლენს ხოლმე საქართველოს მიმართ, ირონიულად შენიშნავენ: „აბა, რას შვრება ჩვენი ერთმორწმუნე“?

ამით **სურთ, განამტკიცონ აზრი, რომ თურმე უკვე XXI საუკუნეა და რაღა დროს რწმენასა და რელიგიაზეა საუბარი. კი მაგრამ, თუ ეს ასეა, მაშინ იმავე აზრზე ხომ უნდა იყვნენ შენი ახალი „მეგობრები“ და „მოკავშირეები“, ანუ თურქები?! არადა, სინამდვილეში, ყველაფრიდან ჩანს, რომ მათი რწმენა, მათი ადათი, მათი რელიგია ოსმალთა მემკვიდრეებისთვის სულაც არ არის უმნიშვნელო!**

ეს დაამტკიცა თუნდაც გასულ კვირაში აღმაშენებლის გამზირზე ჩატარებულმა აქციამ, რომელიც მოზარდებისა და ახალგაზრდების ჯგუფმა გამართა და, ჩემი აზრით, მისი ამ ფორმით გამართვა სულაც არ არის რაიმე დადებითი შედეგის მომტანი ჩვენი ქვეყნისთვის.

ყურადღებას იმაზე ვამახვილებ, რომ **ყველა ის თურქი რესპონდენტი, რომელთა კომენტარებიც მოგვიანებით ტელევიზიებმა გადმოსცეს, ყურადღებას სწორედ რელიგიურ მოტივზე ამახვილებდა და მათი უმთავრესი პრეტენზია იყო ის, რომ ახალგაზრდების ეს ჯგუფი მათ სარწმუნოებას შეურაცხყოფდა.**

ახლა მითხარით, როგორ შეიძლება „XXI საუკუნის კრიტერიუმებით“ ეკონტაქტო იმ სახელმწიფოს, რომლის მოქალაქეებიც სულაც არ არიან ამ შენი XXI საუკუნის ხასიათზე? ანუ, **როგორ უნდა დაუმეგობრდე შენ, რწმენისა და ეკლესიის არმცნობი იმას, ვისთვისაც რწმენა და რელიგია უმთავრესია?**

ამ რიტორიკული კითხვისა და ამ ყველაზე მთავარი თემის გარდა, ხსენებულმა აქციაპროტესტმა კიდევ ერთი რამ დაგვანახვა — **როგორც ჩანს, ჩვენს სახელმწიფოში თურქული რესტორნის სარეკლამო აბრის გადატრიალება უფრო მკაცრად ისჯება, ვიდრე სახელმწიფო გადატრიალება. აკი იმ ბავშვებს, რომლებმაც აღმაშენებელზე ეს აგრესიული და ჩემთვისაც მიუღებელი აქცია გამართეს, 10-ათასლარიანი გირაოები მიუსაჯეს და 4-წლიანი მუხლები შეუფარდეს, ხოლო ის ზრდასრული ადამიანები, რომლებიც შეიარაღებულ სახელმწიფო გადატრიალებას გეგმავდნენ, უბრალოდ, პროკურატურაში დაკითხვაზე დაიბარეს. ყველაზე კომიკური კი ის არის, რომ დაკითხვაზე დაბარებულმა გადამტრიალებლებმა სრულიად მარტივად განაცხადეს — არა, არ მოვალთ დაკითხვაზეო და მორჩა! არც არავის გაუცია მათთვის პასუხი, ძალის გამოყენებით მიყვანაზე ხომ ლაპარაკიც აღარ ღირს...**

ლაპარაკი არც იმაზე ღირს, თუ როგორ „გადაიბირეს“ გადასატრიალებლებმა ე.წ. ზონდერები გადატრიალებულებისგან და, სავარაუდო გადატრიალების შემთხვევაში, როგორც ჩანს, სწორედ მათ იმედად არიან.

**კერძოდ, „ნაციონალების“ ზონდერების არც ისე მცირე ნაწილი ახლა „ოცნების“ ზონდერებად გარდაიქმნა და თავის ყოფილ თანაზონდერებს უპირისპირდება.** არა მგონია, რაიმე დადებით შედეგი მოუტანოს ქვეყანას იმან, რომ ხელისუფლებას, სახელმწიფო გადატრიალების შემთხვევაში, „იმათ“ ზონდერებთან დაპირისპირებაში „თავისი“ ზონდერების იმედი აქვს და არა კანონის, პოლიციისა და არმიის.

**თუკი არსებული სიტუაცია შენარჩუნდა, მმართველი ძალა აზრზე არ მოვიდა და არ გაიაზრა, რომ ნაცების ყოფილი ზონდერები ბუნებით, შინაგანად, საქციელით არიან საზოგადოებისთვის მიუღებლები, მაშინ „ოცნება“ სულ მალე მიიღებს საზოგადოებისგან ზურგშექცევას. ხოლო ეს ზონდერები, თუკი საქმე საქმეზე მიდგა და ნაცების გადატრიალების სცენარს სულ ოდნავი წარმატების შანსი მაინც თუ გაუჩნდა, მოსალოდნელია, ისევ თავის ძველ „თანამოძმეებს“ დაუბრუნდნენ და ბიძინა ზუსტად ისევე „ორშაურად“ გაყიდონ, როგოც აქამდე ბიძინას შეთავაზებულ „ორშაურზე“ გაყიდეს მიშა!**

უნდა ვაღიაროთ — **კი იმსახურებს და კი არის გადასატრიალებელი ის ხელისუფლება, რომელიც მართლა ერთგულ, სიმართლის მთქმელ ადამიანებს ფეხებზე დაიკიდებს და მტრების ყოფილი მხარდამჭერების, „გამპრავებლების“, დამფინანსებლების, ზონდერების გადმობირების გზით შეეცდება ფონს გასვლას...**

მაგრამ საქმე ის არის, რომ „ქართული ოცნება“ სწორედ შექმნილი სიტუაციით სარგებლობს ბოროტად და ჩვენნაირი ჭკუადამჯდარი ხალხისგან გონიერი დათმობის იმედი აქვს. აკი, თუ მართლა მოხდა რაიმე მსგავსი, მაშინ რეალურად გადატრიალებული არა მხოლოდ ნაცები და ქოცები, არამედ მთლიანად მთელი ქვეყანა აღმოჩნდება და საკითხავია, გაუძლებს კი ეს ჩვენი მრავალგადაკოტრიალებული საქართველო კიდევ ერთ გადაკოტრიალებას?!

საიდან მარაგდება წყლით აკვარიუმი, რომელშიც ბიძინა ივანიშვილს ზვიგენი ჰყავს გაშვებული, თანაც ზვიგენს ხომ მტკნარი წყალი არ უყვარს და იგი ზღვისა და ოკეანის მლაშე წყალსაა მიჩვეული? ესე იგი, ფაქტია: ბიძინას აკვარიუმსა და შავ ზღვას შორის ისედაც არსებობს რაღაც საიდუმლო მიწისქვეშა კავშირი და მიშა სააკაშვილმა და მისმა ბანდამ ეს იცის. ამიტომაც ამბობს სანდრა რულოვსი, რომ მისი ქმარი გააკეთებს იმ ურთულეს საქმეს, რომელსაც ოდესიდან სოლოლაკამდე გვირაბის გათხრა ჰქვია. სინამდვილეში მიშას არანაირი ჯაფა არ მოუწევს, რადგან ეს გვირაბი თვით ბიძინა ივანიშვილმა გათხარა.

სატირა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რომელი მოღალატის იმედით აპირებენ ნაცები ბიძინას სახლის «ათვისებას»?

**ჩვენმა უსკანდალურესმა კორესპონდენტმა უსკანდალურესი გზით მოიპოვა უსკანდალურესი ინფორმაცია, რომელსაც ახლა უსკანდალურესად გთავაზობთ ჩვენს უსკანდალურეს გვერდზე.**




მოგეხსენებათ, ბოლო პერიოდში გავრცელებულ ფარულ სატელეფონო ჩანაწერში, სადაც „ნაციონალური მოძრაობის“ თვალსაჩინო წევრები შეიარაღებულ სახელმწიფო გადატრიალებას გეგმავენ, გარკვევით ისმის **ნუგზარ წიკლაურის ხმა — „ბიძინას სახლი ასათვისებელია!“.**

დამეთანხმებით, თვით სავარაუდო სახელმწიფო გადატრიალება ისე საინტერესო არ არის, როგორც ის, როგორ აპირებენ ნაცები და პირადად ნუგზარ წიკლაური ბიძინა ივანიშვილის სახლის „ათვისებას“.

ჯანდაბას, სახელმწიფო გადატრიალება ანდა მისი მცდელობა, კიდევ შესაძლებელია, მაგრამ, **რანაირად უნდა შეაღწიონ უშუალოდ ბიძინას სახლში „ბუნტოვშიკებმა“?**

ამ კითხვებზე პასუხი ჩვენს უსკანდალურეს კორესპონდენტს მაშინ გაუელვა გონებაში, როცა მოისმინა ვერსია, რომ სახელმწიფო გადატრიალების დასაგეგმავად მიშა სააკაშვილთან ჩასული ნაცების მეთაურობა სამშობლოში დაბრუნების შემდეგ **ჩიორა თაქთაშიშვილს** დაეკისრა, თუ რატომ, ამას სტატიის ბოლოს შეიტყობთ.

ამასთანავე, გადაიჯაჭვა ყოფილი პრეზიდენტის ცოლის — **სანდრა რულოვსის** მიერ ფარული გეგმის ნაწილის უნებური გამჟღავნება, მიშა ოდესიდან სოლოლაკამდე გვირაბს თხრისო!

აქ სწორედ სოლოლაკია მთავარი. **რატომ მაინცდამაინც სოლოლაკამდე? საქართველოში შემოსაღწევად ხომ საკმარისია გვირაბი ფოთამდე, ან ჰაჰა დიღმამდე გაითხაროს?**

საქმე ის არის, რომ **სოლოლაკში დიდი აკვარიუმი დგას. ხოლო ოდესიდან საქართველომდე რომ მოაღწიო, გვირაბი უშუალოდ შავი ზღვის ქვეშ უნდა გაითხაროს. ზოგიერთს აქამდეც აწუხებდა კითხვა — საიდან მარაგდება წყლით აკვარიუმი, რომელშიც ბიძინა ივანიშვილს ზვიგენი ჰყავს გაშვებული, თანაც, ზვიგენს ხომ მტკნარი წყალი არ უყვარს და იგი ზღვისა და ოკეანის მლაშე წყალსაა მიჩვეული? ესე იგი, ფაქტია: ბიძინას აკვარიუმსა და შავ ზღვას შორის ისედაც არსებობს რაღაც საიდუმლო მიწისქვეშა კავშირი და მიშა სააკაშვილმა და მისმა ბანდამ ეს იცის.**

ამიტომაც ამბობს სანდრა რულოვსი, რომ მისი ქმარი გააკეთებს იმ ურთულეს საქმეს, რომელსაც ოდესიდან სოლოლაკამდე გვირაბის გათხრა ჰქვია. სინამდვილეში მიშას არანაირი ჯაფა არ მოუწევს, რადგან ეს გვირაბი თვით ბიძინა ივანიშვილმა გათხარა.

მაგრამ აქვე ისმის კითხვა — ყველა ციხესიმაგრე, მათ შორის, შუშისაც, ხომ შიგნიდან ტყდება? მაშ, ვინ მიაწოდა ნაცებს ეს ინფორმაცია და ვინ არის მოღალატე? პასუხი უსკანდალურესია — ზვიგენი! დიახ, ერთხელაც, ჩვენი უსკანდალურესი კორესპონდენტი სასახლეში ესტუმრა ბიძინას ვითომდა ინტერვიუზე, ხოლო ინტერვიუს ჩანაწერის შემდეგ იქვე აკვარიუმის კუთხეში მიიმალა ისე, რომ ის დაცვასაც და ბიძინასაც უკვე წასული ეგონა. ასე მოახერხა მან ბიძინას სახლში დილამდე დარჩენა. სწორედ შუაღამისას შენიშნა, რომ ზვიგენმა აკვარიუმში ღრმად ჩაყვინთა და სადღაც გაქრა, მხოლოდ დილისკენ ამოყვინთა და თავისთვის გაბრაზებულმა ჩაილაპარაკა — **ბოლოს და ბოლოს, მეღირსება ამ ტირანი კაცისგან თავის დაღწევა, ჯეკ-ჩიორას უკვე მოველაპარაკეო.**

ჩვენმა საზრიანმა კორესპონდენტმა ხერხი იხმარა და, ვინაიდან შეიტყო, რომ ზვიგენი ბიძინას მიმართ უარყოფითად იყო განწყობილი, იმწამს თავი გააცნო, როგორც ნაცებისგან, კერძოდ კი, ნუგზარ წიკლაურისგან, შემოგზავნილმა, და ინტერვიუ სთხოვა.

მოტყუებულმა **ზვიგენმა მოყვა, რომ ბიძინას აკვარიუმსა და შავ ზღვას შორის არსებობს გვირაბი, რომლითაც იგი ღამით იპარება ხოლმე შავ ზღვაში, ოდესამდე ცურავს და გამთენიისას უკან ბრუნდება.** კითხვაზე, რატომ ბრუნდება იგი აკვარიუმში და რატომ არ სარგებლობს თავისუფლებით, ზვიგენმა განაცხადა, რომ ერთი-ორჯერ, როდესაც დილით არ დახვდა აკვარიუმში, ბიძინამ მას სუსის თანამშრომლები დაადევნა, ზვიგენი იპოვეს, აწამეს, კუდზე ასოები „ბ.ი.“ ამოუწვეს სიგარეტით და ისევ აკვარიუმში გაუშვეს. ამის შემდეგ იძულებულია, ღამის იდუმალი გასეირნებების შემდეგ უკან, აკვარიუმში დაბრუნდეს. სწორედ ერთი ასეთი გასეირნება-გაცურავებისას გადაეყარა თურმე ოდესის სანაპიროსთან ჩუმად მოთათბირე მიშა სააკაშვილს და მის გუნდს და, მოისმინა რა მათი საუბარი ბიძინას წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობის თაობაზე, შესძახა: „მიმიღეთ თქვენს გუნდში, თქვენი ჭირი და ლხინი რომ გავიზიარო“!

დანარჩენი, უკვე ისედაც გასაგებია მკითხველისთვის. დავაზუსტებთ მხოლოდ იმას, რომ ზღვიდან სოლოლაკის აკვარიუმში ზვიგენის გამოყენებით შემოღწევის საიდუმლო ოპერაციას ცნობილი მეკობრის, ჯეკ-ბელურას, ახლო ნათესავი და წარსულში თავადაც მეკობრე ჯეკ-ჩიორა უხელმძღვანელებს. მასთან ერთად იქნებიან, ასევე, ცნობილი მეკობრეები — **გიჟი ნუგზარა, უგონო აკო** და **დიადი გიგა.**

არ ვიცი, მკითხველს რამეს ეუბნება თუ არა ეს სახელები, მაგრამ ფაქტია, ბიძინას კარგი დღე არ ელის!

ვნახოთ, ისევ და ისევ მისი მუდამ ერთგული პინგვინი თუ გადაარჩენს ივანიშვილს, რომელსაც, როგორც ამბობენ, 10 საათის შემდეგ სულ ძინავს და გაღვიძებული კი უჟმურ განწყობაზეა და გაიძახის — რა არის ეს, რა დოზანაა, სულ ჩიორები და ჩიორები მესიზმრებაო?!

**დიდუ აგირაია**

# ოდესური ჯადოს საიდუმლოებანი

**გასულ კვირაში გავრცელდა მიხეილ სააკაშვილისა და მისი თანაგუნდელების საუბრის ჩანაწერი, რომელშიც სახელმწიფო გადატრიალებაზე მიმდინარეობდა სჯა-ბაასი. ელდანაცემმა „ნაცმოძრაობამ“ გავრცელებულ ჩანაწერს ყალბი უწოდა და, ტრადიციულად, ყველაფერი უარყო. ჩვენი წყარო, კი, რომელიც არასდროს ცდება, ამჯერადაც სკანდალური ამბის შემსწრე გახდა.**

ამბავი, რომელიც წყარომ მოგვაწოდა, ოდესაში მოხდა. ის რამდენიმე დღით დიდ ბებიასთან იმყოფებოდა დასასვენებლად, როდესაც ამ ფაქტს შეესწრო.

წყარო ყვება: „რამდენიმე დღით დიდ ბებიასთან წავედი დასასვენებლად, ოდესაში ცხოვრობს. ვიფიქრე, არჩევნებამდე ცოტათი გავერიდები პოლიტიკურ პროცესებს-მეთქი. საღამოს 11-ის ნახევარი იყო, ჩაი დავლიეთ და დასაძინებლად გავეშურეთ. ჩემს ოთახში სინათლე დაბალზე დავტოვე და წიგნს ვკითხულობდი, ჩამძინებია. ბინა, რომელშიც ვიყავი, პირველ სართულზეა და ნებისმიერი ხმაურიც კი შეიძლება გაიგონო.

მოულოდნელად ფაციფუცის ხმამ გამომაღვიძა, სინათლე ჩავაქრე და ფანჯარაში ჩუმად გავიხედე. ვიღაც მსუქანი ქალი იდგა, შავებში ჩაცმული; აღელვებული ჩანდა, თავზე შავი თავსაბურავი ეხურა და ტელეფონს ნერვიულად ათამაშებდა ხელში. დახედავდა, ჯიბეში ჩაიდებდა. უცებ ზარი გაისმა, ვიღაცას დაელაპარაკა და ტელეფონი კვლავ ჯიბეში ჩაიდო. ცოტა ხანში შავი ფერის „ბოგდანის“ ავტობუსი გაჩერდა. რამდენიმე ადამიანი გადმოვიდა და წინ მდებარე შენობაში შევიდა. ეს ქალიც მათ შეჰყვა. სანამ კარში შევიდოდა, სათვალე მოიხსნა და ვიცანი — **მეგი გოცირიძე** იყო; მასთან მყოფ ადამიანებს შენობაში შეუძღვა. ამჯერადაც გამიმართლა — კარი ღია დარჩათ. მოვიმარჯვე ჩემი აპარატი, კამუფლაჟი და შენობაში შევიპარე.

საშინელი შენობა იყო, ცივი, თითქოს აქ ადამიანს ფეხი არ დაუდგამს. მარმარილოს კიბით ზედა სართულებზე იყო ასასვლელი. დავაპირე ასვლა, მაგრამ მოულოდნელად ხმაური გავიგონე, იქვე საყვავილეს ამოვეფარე და ჩუმად დავიწყე გადაღება. მეგი გოცირიძე, ამჯერად შავ ხალათში გამოწყობილი, „მიშა მაგარია“-ს ღიღინებდა, ხელში კი გატყავებული ქამელეონი ეჭირა. საპირფარეშოში შევიდა, ხელები გადაიბანა და უკან დაბრუნდა. მოულოდნელად გაისმა ბოხი ხმა, ჩუმად ავიხედე და შავებში ჩაცმული **ირინა სარიშვილი** დავინახე, ხელში ყვავი ეჭირა და ეფერებოდა, თან ამბობდა: „შავო ყვავო შავი დღისა, მეცხრე დღესა ოქტომბრისა...“. როგორც მივხვდი, საარჩევნო შელოცვა იყო მათ სასარგებლოდ. შემდეგ კვლავ გაიმეორა: **„შავო ყვავო შავი დღისა, ბიძინა კვლავ მიშას გზისა,“** — თქვა ეს სიტყვები და სიგარეტს მოუკიდა, თან გადაიხარხარა, აი ისე, ზღაპრებში რომ გვინახავს ჯადოქრების ხარხარი.

ცოტა ხანში შენობაში **ელენე ხოშტარია** და **სალომე სამადაშვილი** შემოვიდნენ, უკან კი, არც მეტი არც ნაკლები, **მიხეილ სააკაშვილი** შემოჰყვათ. სწრაფად აირბინა მარმარილოს კიბე, მხურვალედ გადაკოცნა მეგი და ირინა და დავალება მისცა. **„გოგოებო, მანქანაში პაკრიშკებია და გადმოიტანეთ, ოღონდ ფრთხილად, ზედ ბიძინას სურათებია ამოტვიფრული და, რომ გაფუჭდეს, ძალა დაეკარგება ჯადოს“.**

ჯადოსოო — აი, ამ სიტყვამ შემაცბუნა, მყისვე გამახსენდა მეგის ხელში გატყავებული ქამელეონი და ირინას შავი ყვავი რიტუალური ტექსტებით.

მთელი ღამე ეზიდებოდნენ საბურავებს შენობაში, მეგის და ირინას სიქა გაძვრათ.

გამთენიისას მორჩნენ საქმეს და ცოტა ხნით მიიძინეს, დილით ადრე კი კვლავ შეუდგნენ საქმეს: მეგიმ დიდ ქვაბში წყლის ადუღება დაიწყო, ირინამ კი ეზოდან 5 ცალი თავმოჭრილი ყვავი შემოიტანა.

ცეცხლი აინთო — თამაში დაიწყო, — თქვეს მეგიმ და ირინამ და ომახიანად გადაიხარხარეს.

**(გაგრძელება შეიძლება იყოს)**

**გრიგოლ ინგაძე**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

არჩევნები

თოფაძე - მრეწველები, ჩვენი სამშობლო
19

# «თქვენმა წინამორბედმა გაგვაცურა, თქვენ რატომ უნდა გენდოთ?»

**პოლიტიკურმა გაერთიანებამ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ თბილისში ვაკის მაჟორიტარობის კანდიდატად ირინე ჩხენკელი წარადგინა. დაბადებულია 1985 წლის 17 აგვისტოს თბილისში. 2002 წელს დაამთავრა თბილისის 55-ე საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და ურთიერთობების ფაკულტეტზე; 2006 წელს მიენიჭა სამართალმცოდნეობის ბაკალავრის წოდება; 2008 წელს — მაგისტრის წოდება საერთაშორისო სამართლის განხრით; მუშაობდა სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებში; 2012-დან 2016 წლამდე — საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტში. ფრაქცია „ქართული ოცნება — მრეწველებში“ ამავე წლიდანაა.**



— კანონშემოქმედება საკმაოდ რთული და შრომატევადი საქმეა, — **ამბობს ირინე „საქართველო და მსოფლიოსთან“ საუბარში,** — გარდა იმისა, რომ დიდ ენერგიას მოითხოვს, ეს არის ინტელექტუალური შრომა. ჩვენ, ამ მუშაობაში ჩართული ადამიანები, არა მხოლოდ სამართლებრივ სისწორეზე ვაკეთებთ აქცენტს, არამედ იმაზეც, პრაქტიკულად თითოეული ნორმა როგორ იქნება გამოსაყენებელი მოსახლეობისთვის, მწარმოებლისთვის, ბიზნესმენისთვის. ნორმა რომ უნდა იყოს ქმედითი და არ იქცეს მკვდარ დეკლარაციად, ამის მიღწევა ყოველმხრივ განსჯასა და დასაბუთებას მოითხოვს, რასაც დრო სჭირდება. პარლამენტში კი ყოველთვის დროის დეფიციტს განვიცდით და ყოველთვის სწრაფ ტემპში გვიწევს მუშაობა.

**— დიდი პასუხისმგებლობა გაკისრიათ.**

— ძალიან დიდი. ჩემი აზრით, პარლამენტში უნდა იყოს არა მხოლოდ კვალიფიციური კადრი, არამედ სწორედ ამ დიდი პასუხისმგებლობის მქონე პროფესიონალები. ჩვენს კომიტეტში, რომელსაც ბატონი **ზურაბ ტყემალაძე** ხელმძღვანელობდა, ყოველთვის ვცდილობდით, სრულყოფილებამდე მიგვეყვანა ესა თუ ის კანონი. არადა, სიჩქარეში შეიძლება ელემენტარული ნიუანსი გამოგვრჩეს, რომელიც, გამორიცხული არ არის, არასწორი ინტერპრეტაციის მიზეზი გახდეს ნორმის პრაქტიკულად რეალიზაციისას.

**— გრძნობდნენ ამას იმ პარლამენტის წევრები, რომლებიც დღე-დღეზე ამოწურავენ თავიანთ უფლებამოსილებას?**

— უმრავლესობა ამ განწყობილებით მუშაობდა. პარლამენტარებს, განსაკუთრებით, მაჟორიტარებს, აქვთ მოვალეობაც და ბერკეტებიც, რომელთა გამოყენებით თავიანთი ამომრჩევლების გარკვეული პრობლემების მოგვარება შეუძლიათ.

**— როგორ, რა გზით? პარლამენტის წევრი ხომ მოკლებულია იმ პრაქტიკულ უფლებებს, რომლებიც აღმასრულებელ ხელისუფლებას აკისრია?!**

— დღევანდელ სიტუაციაში მაჟორიტარ დეპუტატს რატომღაც აღიქვამენ აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლად, რომელიც დააგებს ქუჩაში ასფალტს, სახლს გადახურავს, შეაკეთებს ლიფტს, უზრუნველყოფს წყლითა და გაზით, ანუ მოაგვარებს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობებს.

ასეთი დამოკიდებულება მცდარია. **მაჟორიტარი, უწინარეს ყოვლისა, არის შუამავალი ამომრჩეველსა და ადგილობრივ თვითმმართველობას შორის. იგი მოვალეა, მიიტანოს ამომრჩევლის ხმა საკანონმდებლო ორგანოში და ორიენტირებული იყოს არსებული პრობლემების კანონმდებლობით მაქსიმალურ მოგვარებაზე.**

შუამავლობაში იგულისხმება ისიც, რომ იმ შემთხვევაში, როცა ამომრჩეველს არ აქვს საშუალება, მიაწვდინოს ხმა ამა თუ იმ ორგანოს, დაეხმაროს მას და მხარში ამოუდგეს.

მაჟორიტარი ანგარიშვალდებულია ამომრჩევლის წინაშე და ეს არის მთავარი.

**— რა თქმა უნდა, მთავარი სწორედ ეს არის, მაგრამ ასეა კი პრაქტიკულად?**

— სამწუხაროდ, ბევრ უბანში თავიანთ მაჟორიტარებს არ იცნობენ. ოთხი წელიწადი ისე გადის, რომ მხოლოდ მომდევნო „საარჩევნო სეზონის“ დროს გამოჩნდებიან — „გამარჯობა, მე თქვენი დეპუტატი ვარ“!

**— წლევანდელმა წინასაარჩევნო პერიოდმა დაგვანახვა, რომ კანდიდატებთან მოსახლეობის შეხვედრებისას, როგორც ერთი კლიშე, საყოფაცხოვრებო პრობლემების მოგვარება განიხილება — ამომრჩევლები მოითხოვენ, კანდიდატები ჰპირდებიან.**

**ვითომ მხოლოდ ეს აწუხებს ჩვენს ქვეყანას? სად გაქრა გლობალური პრობლემები?**

— სოციალური პრობლემები — ბუნებრივი აირით, ელექტროენერგიით უზრუნველყოფა, მომსახურება და ა.შ. — ჩემ წინაშეც დაუყენებიათ ამომრჩევლებს შეხვედრების დროს. ასეთი საკითხები, რომლებიც მოსახლეობისთვის უმნიშვნელოვანესია, ჩვენ, მომავალი პარლამენტის შესაძლო წევრებმა, ისე და იმ გზით უნდა გადავუწყვიტოთ, რომელზეც უკვე ვილაპარაკე. მაგრამ ასეთი პრობლემების მოსაგვარებლად მოხელეების კაბინეტების კარდაკარ კი არ უნდა ვირბინოთ, არამედ შევქმნათ ისეთი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც ხელს შეუწყობს ამ საკითხების ერთობლიობის გლობალურად გადაჭრას.

**— ყოფით დონეზე ამომრჩევლის ცნობიერების შეჩერება ხომ არ ნიშნავს, რომ მას, ამომრჩეველს, არ აინტერესებს ქვეყნის საერთო სატკივარი?**

— დემოკრატიულ პროცესებში ამომრჩევლის მონაწილეობის კულტურა საკმაოდ გაზრდილა.

იყო პერიოდი, როცა ამომრჩეველი ითხოვდა დამოუკიდებლობას, როცა უსამართლობისგან, ზემოქმედებისგან, წნეხისგან გათავისუფლებას აყენებდა უპირველეს ამოცანად, ანუ გათავისუფლებას იმ გლობალური უკანონობისგან, რომელიც ყოფილი რეჟიმის პერიოდში მძვინვარებდა საქართველოში.

**დღეს ამომრჩეველი კონკრეტული საქმის გაკეთებას ითხოვს. ეს, ჩემი აზრით, ნიშნავს იმას, რომ იგი ხედავს და სათანადოდაც აფასებს, რაც გაკეთდა და კეთდება ქვეყნის საკეთილდღეოდ და ამ ფონზე მას აქვს უფლება, დეპუტატების წინაშე დააყენოს საკითხები, რომლებიც უშუალოდ მას, ამომრჩეველს, ეხება. მიაჩნია, რომ შექმნილია ვითარება, როცა მას შეუძლია მოითხოვოს მის წინაშე პრობლემად მდგარი საკითხების გადაჭრა.**

გლობალური საკითხები, ისეთები, როგორიცაა, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს გამთლიანების საკითხი, ურთიერთობა მეზობელ სახელმწიფოებთან, კურსის არჩევა არსად გამქრალა. ჩვენს ამომრჩეველს იმედი აქვს, რომ მომავალი პარლამენტი განაგრძობს ბრძოლას, პრინციპულ დიალოგს საერთაშორისო ასპარეზზე, ურთიერთგაგებისა და საერთო პოზიციების მონახვაში დაინტერესებულ მხარეებთან, უპირველეს ყოვლისა, ნდობის აღსადგენად სოხუმსა და ცხინვალთან, სამართლიანობის გასამარჯვებლად.

**ამომრჩეველი უკმაყოფილოა იმით, რომ ვერ მიიღო ის, რასაც ჰპირდებოდნენ, ყოველ შემთხვევაში, ისე სრულად და იმ მოცულობით, როგორც მას და საქმეს სჭირდებოდა.**

**— ესე იგი, არ უნდა დაჰპირებოდნენ?**

— უნდა დაჰპირდე იმას, რისი გაკეთებაც რეალურად არის შესაძლებელი. უსაფუძვლო დაპირება, უწინარეს ყოვლისა, მომგებიანი არ არის იმ პარტიისთვის, რომელიც ასეთ დაპირებას იძლევა.

მე, როგორც ერთ-ერთ კანდიდატს, მირჩევნია, ამომრჩეველს ველაპარაკო მხოლოდ სიმართლის პოზიციიდან; ვუთხრა, რომ მაქსიმალურად ყველაფერს გავაკეთებ დაყენებული საკითხების გადასაწყვეტად, ოღონდ პირობა არ მივცე, მაგრამ, როცა მოვაგვარებ, მივალ და ვეტყვი, რომ მისი დავალება შესრულებულია. თუ ვერ შევძლებ, ამის მიზეზსაც ავუხსნი.

ჩვენ, „მრეწველები“, პირობას იშვიათად ვიძლევით, მით უფრო, ტყუილ დაპირებებს არ გავცემთ, საქმის კეთებას ვამჯობინებთ. ეს არის ჩვენი ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება, რომელიც ჩვენს პარტიას აქვს ბატონ გოგი თოფაძისგან განსაზღვრული და რომლითაც ვამაყობ.

**— რა სხვაობაა დაპირებასა და მოსყიდვას შორის? დაპირება სიტყვიერი მოსყიდვა ხომ არ არის?**

— არა მგონია. დაპირება, ჩემი აზრით, ამომრჩევლის გულის მოგება, გამხნევება, დაიმედება, დეპუტატობის კანდიდატის სამოქმედო პროგრამისა და ამომრჩევლის მოთხოვნის ერთგვარი შეფარდებაა.

მოსყიდვა, ყველას მოეხსენება, სისხლის სამართლის დანაშაულია.

## «ჩვენ, «მრეწველები», პირობას იშვიათად ვიძლევით, მით უფრო, ტყუილ დაპირებებს არ გავცემთ, საქმის კეთებას ვამჯობინებთ. ეს არის ჩვენი ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება, რომელიც ჩვენს პარტიას აქვს ბატონ გოგი თოფაძისგან განსაზღვრული, და რომლითაც ვამაყობ»

**— თქვენი წინამორბედი დაგვპირდა და არ შეგვისრულა. რატომ უნდა გენდოთ თქვენ? ხომ არ წაწყდომიხართ რომელიმე შეხვედრაზე ასეთ გულაცრუებას?**

**— ვაკეში, სადაც მაჟორიტარად ვარ წარდგენილი და სადაც ვცხოვრობ, სპეციფიკური ვითარებაა — საერთოდ არ ვაპირებთ არჩევნებში მონაწილეობას, რადგან მაინც არაფერი გვეშველებაო. ასეთი პოზიცია უფრო ჭარბობს, მაგრამ როცა საუბარს ვიწყებთ, ამომრჩეველი თანდათან იხრება იმ აზრისკენ, რომ ერთ ხმასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, „ყველაფერს რომ ეშველოს“.**

**— ურთიერთგაგება ყალიბდება?**

— ვფიქრობ, ასეა. ამომრჩევლებს ყოველთვის ვეუბნები — არ მოვდივარ იმიტომ, რომ მაინცდამაინც მე მომცეთ ხმა. ჩემთვის, როგორც იურისტისთვის და ამ ქვეყნის მოქალაქისთვის, უმნიშვნელოვანესია ვაკეში მოსახლეობის აქტივობის ამაღლება, რაც აუცილებელია საერთო აზრის უშეცდომოდ გამოსახატავად. ვაკეში კარგი კანდიდატურები არის წარდგენილი და არჩევანი საკმაოდ მრავალფეროვანია, ამიტომ თითოეული ხმა გადამწყვეტი შეიძლება იყოს.

**— მასმედია ამ პერიოდში სრულად არის გადართული არჩევნებზე. თვალს ადევნებთ? შეგიძლიათ შეაფასოთ?**

— პოლიტიკური მოვლენების გაშუქება ხდება რაღაც უცნაური ფორმით. დებატები იმართება ჩხუბით, ერთმანეთის შეურაცხყოფით... ამ ჩხუბსა და აურზაურში ამომრჩეველს უჭირს, გაერკვეს, ვინ არის მართალი და ვინ — მტყუანი, რაზე კამათობენ, რა დასკვნებს გვთავაზობენ იმ პრობლემაზე, რომელიც განსახილველად აქვთ გამოტანილი.

უნდობლობაც აქედან მოდის.

**უნდობლობის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ პარტიები, მაჟორიტარობის კანდიდატები ტელეეკრანებიდან ამომრჩევლებს სთავაზობენ ისეთ „სიკეთეებს“, რომელთა განხორციელება ამ ეტაპზე შეუძლებელია, მაგალითად, 500-ლარიან პენსიას.**

**— რაც შეუძლებელია.**

— დიახ, მაგრამ ხომ ჰპირდებიან?! ასეთ მომგებიან ფანდს ზოგიერთი პარტია პოლიტიკურ რეკლამაში იყენებს, რომელიც ყოველდღიურად, გაუთავებლად მეორდება ტელესივრცეში.

ამომრჩეველმა იცის, რომ ეს ცრუ დაპირებაა და ამიტომაც არის ხელჩაქნეული.

100 წელს მიღწეულთათვის 2000-ლარიანი პენსიის დაპირება პენსიონერთა გარკვეულ კატეგორიაზეა გათვლილი. თუ გაჭრის, ხომ კარგი, თუ არა და... 8 ოქტომბრის შედეგები გვიჩვენებს.

**— მოულოდნელი იყო თქვენთვის დეპუტატობის კანდიდატად წამოყენება?**

— გულწრფელად გეტყვით, რომ მოულოდნელი იყო. ძალიან მიყვარს ჩემი პროფესია, რომელმაც საშუალება მომცა, პარლამენტის კანონშემოქმედებით საქმიანობაში ვყოფილიყავი ჩართული. მაგრამ სწორედ ამ გარემოებამ დამანახვა, რომ დეპუტატს გაცილებით მეტი საშუალება აქვს ქვეყნის საკეთილდღეოდ მიმართულ საქმიანობაში შედეგიანი მოღვაწეობისთვის, ვიდრე ნებისმიერ სხვა დონის სახელმწიფო მოხელეს. მას აქვს სხვებზე მეტი საშუალება მოსახლეობასთან კომუნიკაციის, რაც დღევანდელ საზოგადოებაში დეფიციტია. არადა, სწორედ ასეთი ურთიერთობა არის უაღრესად საინტერესო წინადადებების წყარო.

**— ხომ არ უთქვამთ თქვენთვის — გოგონა, რა დროს შენი პარლამენტარობააო?**

— კი, უკითხავთ, — რატომ გადაწყვიტე, კენჭი გეყარაო?

თქვენი გაზეთის საშუალებით კიდევ ერთხელ გავიმეორებ ჩემს პასუხს: **გადავწყვიტე იმიტომ, რომ სწორედ ჩემი ახალგაზრდული ენერგია მაძლევს შესაძლებლობას, არ დავიზარო და ჩემი ცოდნა მოვახმარო ქვეყნისა და ხალხის სამსახურს.**

**P.S. ხალხური სიბრძნე ამბობს: ჭკუა ახალგაზრდას ჰკითხე, გამოცდილება — მოხუცსო.**

თოფაძე - მრეწველები, ჩვენი სამშობლო
19
არჩევნები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# პირველი ქალი-მაჟორიტარი ქარელში

**თამილა შაბაშვილი მაჟორიტარობის კანდიდატია ქარელის რაიონში. იგი წამოაყენა პოლიტიკურმა გაერთიანებამ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“. ეკონომისტია. აქვს საპარლამენტო საქმიანობის 16-წლიანი გამოცდილება. იგი საქართველოს პარლამენტის ერთ-ერთ წამყვან კომიტეტში ეწევა კანონშემოქმედებით საქმიანობას. ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას და აქვს არასამთავრობო ორგანიზაციებში მუშაობის გამოცდილება. თამილა შაბაშვილი მონაწილეობდა არაერთ გაცვლით და სასწავლო საერთაშორისო პროგრამაში. ჰყავს მეუღლე ალექსანდრე აბაშიშვილი და ქალიშვილი ანასტასია.**



**— შაბაშვილები მთიულები არიან, დუშეთის რაიონიდან. ქარელის რაიონში რატომ „გაგამწესეს“?**

— ჩემი მეუღლეა ქარელიდან. აქ გვაქვს სახლი. ძალიან მიყვარს აქაურობა. სისხლხორცეულად შევეჩვიე აქაურებს, ამიტომაც შემომთავაზეს, ქარელის რაიონში მეყარა კენჭი.

**— წინასაარჩევნო პერიოდში მშვიდი სიტუაციის შესანარჩუნებლად „ქართულმა ოცნებამ“ არჩევნებში მონაწილე პარტიებს საგანგებო მემორანდუმის მიღება შესთავაზა.**

— მსგავსი მემორანდუმი თითქმის ყველა არჩევნების პერიოდში ფორმდებოდა. აპრობირებული მეთოდია, მაგრამ არჩევნების თარიღის მოახლოებასთან ერთად მძაფრდება დებატები, ხშირად თამაშის წესებიც ირღვევა. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, ვინც მონაწილეობს ამ მარათონში, რამდენად მზად არიან, დაიცვან ცივილიზებული ქცევის წესები.

**— ე.ი. მიღება-არმიღება ფორმალობაა, რომელიც ვერ შეცვლის მონაწილეთა განწყობილებას და ტაქტიკურ მეთოდებს?**

— შეიძლება, ასეც ითქვას. წინასაარჩევნოდ განვლილმა პერიოდმა ეს დაამტკიცა.

**— თქვენ, ტექნოკრატების „ლოცვა-კურთხევით“, მაპატიეთ ასეთი მკრეხელობა, ჩაერთეთ არჩევნებში იმ დროს, როცა უმრავლესობა სოციალურ-პოლიტიკური ლოზუნგებით მონაწილეობს ამ კამპანიაში. თქვენი პოზიცია უპირატესია?**

— **მე თავს მივაკუთვნებ იმ მოძრაობას, რომელიც თვლის, რომ პარლამენტში, როგორც მთავრობაში და, საზოგადოდ, პოლიტიკაში, უნდა იყვნენ პროფესიონალები, მათ შორის, ტექნოკრატები, რომელთა მონაწილეობა უფრო მეტად არის შედეგიანი. ეს დღეს ჩვენს საზოგადოებას ყველაზე მეტად სჭირდება. მათი საქმიანობა არ არის პოლიტიკური კონიუნქტურით ნაკარნახევი, ორიენტირებულია შედეგზე და უფრო მართებულია, ვიდრე მათი ოპონენტების პოზიციები.**

ამას ადასტურებს თუნდაც „მრეწველების“ ფრაქციის მიერ ინიცირებული კანონების ჩამონათვალი. დაგისახელებთ მხოლოდ რამდენიმეს, რომელთა ამოქმედებამ დადებითი გავლენა იქონია ქვეყნის ეკონომიკაზე, ბიუჯეტზე და, საბოლოოდ, დადებითად აისახა ჩვენი მოქალაქეების საქმიანობასა და ყოველდღიურ ყოფაზე, სოციალურ ფონზე.

საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონები:

* „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“;
* „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“;
* „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“;
* „ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“;
* „სურსათის/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების შესახებ“;
* „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“;
* „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“;
* „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“;
* „საქართველოს მეცნიერების ეროვნული აკადემიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

**«პარლამენტში, როგორც მთავრობაში და, საზოგადოდ, პოლიტიკაში, უნდა იყვნენ პროფესიონალები, მათ შორის, ტექნოკრატები, რომელთა მონაწილეობა უფრო მეტად არის შედეგიანი. ეს დღეს საზოგადოებას ყველაზე მეტად სჭირდება»**

* „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და სხვ.

4 წლის განმავლობაში სულ 45 კანონია მიღებული. დამეთანხმებით, ალბათ, რომ არც რაოდენობაა ცოტა, არც მნიშვნელობა — ნაკლები.

ამას ხვდება მოსახლეობაც და აღნიშნეს კიდეც მოხისელებმა, რუისელებმა, ურბნისელებმა, კეხიჯვარელებმა და ქარელის რაიონის სხვა სოფლების მცხოვრებლებმა მათთან შეხვედრებისას თუ პირად საუბრებში.

ეს არ ნიშნავს, რომ მათ ყველა პრობლემა მოეხსნათ. მაგალითად, **რუისში მშრომელი ხალხი ცხოვრობს, რომელსაც დღემდე ვერ მოუგვარეს გზის, სარწყავი წყლით მომარაგების პრობლემები.**

რაიონში მთავარი მაინც ეკონომიკური პრობლემებია: უმუშევრობა — ეს პირველი და, მეორე, მიწის გამოყენების მაქსიმალური შესაძლებლობა — მოსავლის მიღება-რეალიზაციის მოუგვარებლობა. ხშირად უთქვამთ ჩემთვის, რა ვუყოთ პომიდვრის მოსავალსო.

**— ბაზარი იგულისხმება?**

— დიახ. ამ სახის პრობლემებს მაქსიმალურად სრულად სწორედ ჩვენი პოლიტიკური გაერთიანების პროგრამა უპასუხებს, რადგან **წლების განმავლობაში „მრეწველების“ მოღვაწეობის მთავარი გეზი ადგილობრივი წარმოების განვითარებაა. ამაში ვხედავთ ეკონომიკის გაძლიერების, ქვეყნის წინსვლის საფუძველს, სოციალური პრობლემების, მათ შორის, პენსიების გაზრდის, ხელფასების მომატების რეალურ გზას. მხოლოდ ასე შეიქმნება ძლიერი საშუალო ფენა, ფეხზე დადგება საშუალო და მცირე ბიზნესი და ხალხიც ამოისუნთქავს.**

პროგრამაში ჩამოყალიბებული გვაქვს შედეგის მისაღწევად საჭირო კომპონენტები, ადგილობრივი ბაზრის ათვისების სტრატეგიული გეგმა, ნაჩვენებია კონკრეტული მიმართულებები ამ ამოცანების გადასაწყვეტად.

კონკრეტული შეთავაზებები გვაქვს ანტიდემპინგური კანონის შემოღება-ამოქმედებისთვის, სურსათის უვნებლობაზე მაქსიმალური კონტროლის დასაწესებლად, კონკურენციის შესახებ კანონმდებლობის დაცვაზე და ა.შ.

**ცალკე გამოსაყოფია პესტიციდების, შხამ-ქიმიკატების გამოყენების პრობლემა, რომელიც აგროწესების არცოდნისა თუ მასალების უხარისხობის გამო ფერმერებს (გლეხებს), უპირველეს ყოვლისა, მცირემიწიან მეურნეებს განსაკუთრებით აზარალებს ხოლმე.**

**— მოკლედ, სოფელში მოსაგვარებელ საქმეებს რა გამოლევს.**

— სწორედ ამ სიძნელეების გადასალახავად დამუშავებული გვაქვს ფერმერთა სკოლების შექმნისა და ამოქმედების პროგრამა; არა იმიტომ, რომ გლეხმა არ იცის, რა და როგორ აკეთოს, არამედ იმიტომ, რომ სოფლის მოსახლეობა გაეცნოს და დაეუფლოს მსოფლიოში აპრობირებულ ტექნოლოგიებს, ტექნიკას, მათი გამოყენების თავისებურებებს.

უნდა გაიზარდოს ჩვენი ფერმერების ინფორმირებულობა; წარმოების ყველა კომპონენტი — შრომა, მიწა, კაპიტალი, მეწარმეობრივი უნარი და ინფორმირებულობა — ერთნაირად უნდა განვავითაროთ სასურველი შედეგის მისაღებად.

ამის მიღწევის ერთ-ერთი ეფექტიანი გზა ფერმერთა სკოლებზე გადის.

ასეთია „მრეწველების“ საერთო ხედვა და მეც ამას ვთავაზობ ამომრჩევლებს. ამასთანავე, ვფიქრობთ, რომ სახელმწიფო უნდა დაეხმაროს ადგილობრივებს სოფლის მეურნეობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნაში — მოსავლის შესანახი ობიექტების ქსელის შექმნაში, ნიადაგის საკვლევი, ჯიშთა დარაიონებისა და სხვა ამგვარი სადგურების ამოქმედებაში.

**— ეს, რაც შეეხება სოფლის მეურნეობას, მაგრამ ამით ამოიწურება რაიონის რესურსები?**

— არა, რასაკვირველია. **რაიონს აქვს ტურიზმის განვითარების შესანიშნავი პირობები, ადგილობრივი წიაღისეულის დამუშავების კარგი პერსპექტივა.**

მაგალითად, თიხამიწით მდიდარი საბადო, რომლის გამოყენებით აქ შესაძლებელია კერამიკის მომგებიანი წარმოების დანერგვა და განვითარება, რომლისთვისაც ინვესტიციების გარკვეული რაოდენობა ქარელის რაიონისკენ უნდა წარიმართოს.

მაჟორიტარი დეპუტატის როლს ვხედავ იმაშიც, რომ მან იბრძოლოს, რათა ქარელის რაიონი პრიორიტეტულ სახელმწიფო პროგრამებში ჩაერთოს, ფინანსური რესურსების გარკვეული ნაწილი აქეთ რომ წამოვიდეს; ხელი შეუწყოს საქართველოს ეკონომიკაში ჩვენი რაიონის შესაფერისი, ღირსეული ადგილის დაკავებას.

**— ტურიზმი?**

— უნიკალურია ძამის ხეობა. აქ, მოკლე მონაკვეთში, თავმოყრილია 50-მდე ეკლესია-მონასტერი, ქრისტიანული კულტურის თვალსაჩინო ისტორიული ძეგლები. აქვე, ხელის გაწვდენაზეა რუისისა და ურბნისის ეკლესიები. საყოველთაოდ ცნობილია რუის-ურბნისის საეკლესიო კრება, რომელიც 1104 წელს მოიწვია დავით აღმაშენებელმა და რომლის ძირითადი მიზანი სახელმწიფოს გაძლიერების სამსახურში ეკლესიის ჩაყენება იყო. ამასთანავე, ეს კრება მიჩნეულია დავით აღმაშენებლის საეკლესიო რეფორმის პირველ მნიშვნელოვან ნაბიჯად.

**— კულტურის ის ძეგლები, რომლებიც თქვენ დაასახელეთ, მათ შორის ყინწვისის ეკლესია, იმდენად ცნობილია საქართველოში, რომ წარმოუდგენელია, თუნდაც ტურიზმის განვითარების კუთხით, ისინი უყურადღებოდ ყოფილიყო მიტოვებული.**

— სამწუხაროდ, ეს ყურადღება გზის ცალკეული მონაკვეთების რეაბილიტაციით ამოიწურა.

**— ისევ გზა?**

— მე არ ვლაპარაკობ გზაზე. ვგულისხმობ კომპლექსურ პროგრამებს, რომლებიც წამოწევს ამ თემას და ქარელის რაიონს საერთაშორისო ტურიზმის ერთ-ერთ მიმზიდველ ობიექტად აქცევს.

რაიონის განვითარების პერსპექტივაზე ქარელის ამომრჩევლებს რომ ვესაუბრები, ძალიან კარგად იგებენ და მეთანხმებიან, მაგრამ ისიც უნდა გითხრათ, რომ რაიონებში და, კერძოდ, ქარელში, ნიჰილიზმის, ანუ უიმედობის დიდი მაჩვენებელია.

სწორედ ეს უიმედობა არის ჩემი კონკურენტი, რომლის დაძლევა იოლი არ იქნება.

**— რას ეტყვით ამომრჩეველს 8 ოქტომბრამდე 3 დღით ადრე?**

— თუ თქვენ თვლით, რომ პარლამენტში თქვენს ინტერესებს უნდა იცავდეს შესაბამისი კვალიფიკაციის ადამიანი; თუ თვლით, რომ მას უნდა ჰქონდეს სათანადო ცოდნა, გამოცდილება და სუფთა წარსული; თუ თვლით, რომ მან უნდა იცოდეს რაიონის პრობლემები და უნდა ჰქონდეს კონკრეტული ხედვა ამ პრობლემების გადაჭრისა; თუ თვლით, რომ მის უკან უნდა იდგეს პარტია, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია ადამიანების კეთილდღეობა, ტრადიციები, ჩვენი სარწმუნოება, მშვიდობა, ეროვნული ინტერესები და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, პარტია, რომელიც კომპეტენტურად და კვალიფიციურად აღწევს დასახულ მიზნებს, მაშინ თქვენი არჩევანია №19!

**პროფესიონალებს შეგვიძლია ცოდნითა და გამოცდილებით შევცვალოთ რეალობა!**

**მე მზად ვარ, 4 წელი ვიდგე თქვენს სამსახურში!**

**«რაიონებში და, კერძოდ, ქარელში, ნიჰილიზმის, ანუ უიმედობის დიდი მაჩვენებელია. სწორედ ეს უიმედობა არის ჩემი კონკურენტი, რომლის დაძლევა იოლი არ იქნება»**

გვერდები მოამზადა **არმაზ სანებლიძემ**

არჩევნები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბიძინა ივანიშვილმა მოახერხა საარჩევნო ვითარების პოლარიზება. სქემა მარტივია: მხარი დაუჭირეთ „ოცნებას“, თორემ „ნაციონალები“ დაბრუნდებიან! არადა, მათი გაცოცხლება და მოფერიანება მხოლოდ და მხოლოდ ივანიშვილისა და „ოცნების“ დამსახურებაა. ახლა ისინი უკვე საჯაროდ ამბობენ, რომ სააკაშვილის რეჟიმის გასამართლება დასავლეთმა არ დაანება, თუმცა იგივე რომ, მაგალითად, რუსეთს მოეთხოვა, რა ამბავს ატეხდნენ, რთული წარმოსადგენი არ უნდა იყოს.**

# რაც უფრო ნაკლები ადამიანი მივა არჩევნებზე, მით უფრო მოიმატებს ნაციონალური მოძრაობის პროცენტი

**არჩევნებამდე სამიოდე დღე დარჩა. ზოგან ისვრიან, ზოგან ჩხუბობენ, ზოგან იმუქრებიან. კომპრომატები ზოგი შემოეხარჯათ, ზოგსაც, ალბათ, არჩევნების წინა დღეს გვაჩვენებენ. „ჰეროკრატია“ მხოლოდ სააკაშვილს ადარდებს; ისიც იმიტომ, რომ მისი განმასახიერებელი „ივანიშვილზე დაბალია“!**

ხალხი ოთხი წელი, როგორც ჩანს, იმიტომ ელოდა სამართლიანობის აღდგენას, რომ საპარლამენტო არჩევნების წინ ვირტუალურ სასამართლოზე ეხილა დამნაშავე რეჟიმი. ასეთია სამართლიანობის „საოცნებო“ აღდგენა თანამედროვე საქართველოში.

**სოციოლოგიური კვლევები აუქციონს დაემსგავსა, ეგზიტპოლები — გამოცხადებულ გაყალბების ქრონიკას.** ერთი სიტყვით, ყოფილი მმართველი ძალა 2003 წლის გამეორებას ცდილობს, „ოცნება“ კი კვალში მიჰყვება და ყავლგასული ტექნოლოგიებით ცდილობს, საკონსტიტუციო უმრავლესობა მოიპოვოს. მაჟორიტარული არჩევნების მეორე ტურების დაანონსება სწორედ სასურველი შედეგის მიღწევას ემსახურება: აქ მანევრის საშუალებაც არსებობს და მორიგი სასწაულებრივი პორტირებებისაც.

**ბიძინა ივანიშვილმა** მოახერხა საარჩევნო ვითარების პოლარიზება. სქემა მარტივია: **მხარი დაუჭირეთ „ოცნებას“, თორემ „ნაციონალები“ დაბრუნდებიან! არადა, მათი გაცოცხლება და მოფერიანება მხოლოდ და მხოლოდ ივანიშვილისა და „ოცნების“ დამსახურებაა. ახლა ისინი უკვე საჯაროდ ამბობენ, რომ სააკაშვილის რეჟიმის გასამართლება დასავლეთმა არ დაანება, თუმცა იგივე რომ, მაგალითად, რუსეთს მოეთხოვა, რა ამბავს ატეხდნენ, რთული წარმოსადგენი არ უნდა იყოს.**

**რესპუბლიკელები,** სანამ ხელისუფლებაში იყვნენ, გვარწმუნებდნენ, რომ **„კოაბიტაცია ქართველმა ხალხმა დაავალა“**. ახლა ისინი დაითხოვეს და ხელს, რა თქმა უნდა, ივანიშვილისკენ იშვერენ. ახია თქვენზე, ბატონო ბიძინა! სხვას რომ ხმა არ ამოეღო, ამ თემაზე მხოლოდ მე იმდენჯერ დავწერე, რომ თქვენც კი უნდა მიხვედრილიყავით, ურეიტინგო პარტიებისგან შეკოწიწებული კოალიცია ვერც ერთ დაპირებას რომ ვერ შეასრულებდა. და ახლა, ოთხი წლის შემდეგ, გვარიანად შეფერთხილი „ოცნების“ ჭაობიდან ამოთრევა ისევ თქვენ გიწევთ.

შეპირებულ 100 ქარხანას დღეს 100 საპარლამენტო მანდატი ჩაენაცვლა. სწორედ ამდენის მოლოდინი აქვს ბიძინა ივანიშვილს. **რა მოხდება, თუკი „ოცნება“ 100 მანდატს ვერ მიიღებს? ივანიშვილს ეწყინება და წავა? მაგრამ ის უკვე წასულია პოლიტიკიდან. ასევე მოითხოვდა მარგველაშვილის 60%-ით არჩევას. აირჩიეს. მაინც წავიდა. წავიდა და ძალიან მალე განიხიბლა მარგველაშვილით. ნარმანიათიც. რესპუბლიკელებითაც. თავისუფალი დემოკრატებითაც.** ფორუმითაც. და სხვ.

თუ „ოცნებას“ 100 მანდატის სამყოფი ხმები არ მისცეს, „ნაციონალები“ მობრუნდებიან? — არა. ეს ივანიშვილმაც იცის და ნაციონალებმაც. რამის თავი რომ ჰქონდეთ, სააკაშვილის გუნდის წევრები ცხრაჯერ მოაწყობდნენ სახელმწიფო გადატრიალებას, მაგრამ დღეს მხარდამჭერების ავტობუსებით ტარება უწევთ ქალაქიდან ქალაქში, რეგიონიდან რეგიონში, რათა რაღაც სიმრავლის ილუზია შექმნან.

2012 წელს ივანიშვილმა გამოგვიცხადა, რომ **„შუა უნდა გაიკრიფოს“**. დღეს ეს თემა კვლავ აქტუალურია. ყველა პროგნოზით, პარლამენტში მოხვედრის შანსი 4-5 პოლიტიკურ ძალას აქვს, მაგრამ სოციოლოგია კვლავაც პროპაგანდის სამსახურში დგას და მხოლოდ ორ პარტიას აკუთვნებს რეიტინგს. კონკურენტების „ჩასაჩოჩებლად“ ურეიტინგო პარტიების „ამოქაჩვაც“ მოსულა და იმ პერსონების გააქტიურებაც, რომელთა ერთადერთი დანიშნულება ამ ორი პარტიისთვის სასურველი ფონის შექმნაა.

ამ ტექნოლოგიურ ომებში თითქმის მიავიწყდათ ადამიანები, რომლებიც 8 ოქტომბერს საარჩევნო უბნებში უნდა მივიდნენ და არჩევანი გააკეთონ. როგორც არასდროს, მაღალია ე.წ. გადაუწყვეტელთა რაოდენობა, დიდია იმედგაცრუება, თუმცა ყველა პარტიას აქვს იმედი, რომ ამ „გადაუწყვეტელი“ ელექტორატის ხმებს წამოიღებს. ერთი კი ნათელია — რაც უფრო ნაკლები ადამიანი მივა არჩევნებზე, მით უფრო მოიმატებს ნაციონალების (და „ოცნებისაც“) პროცენტი.

**მკითხველი შეამჩნევდა, რომ ბოლო ერთი თვის განმავლობაში ჩემი საავტორო გვერდი გაზეთში არ გასულა. ამას ერთადერთი მიზეზი აქვს: დიდი ყოყმანის შემდეგ გადავწყვიტე და კენჭს ვიყრი „ნინო ბურჯანაძე — დემოკრატიული მოძრაობიდან“, როგორც პარტიული სიით, ისე მაჟორიტარადაც — დიდუბის მე-16 ოლქში. დიდუბე ჰქვია, თორემ სინამდვილეში დიღმის მასივი, დიდი დიღომი და ზაჰესია.**




**მკითხველი შეამჩნევდა, რომ ბოლო ერთი თვის განმავლობაში ჩემი საავტორო გვერდი გაზეთში არ გასულა. ამას ერთადერთი მიზეზი აქვს: დიდი ყოყმანის შემდეგ გადავწყვიტე და კენჭს ვიყრი «ნინო ბურჯანაძე — დემოკრატიული მოძრაობიდან», როგორც პარტიული სიით, ისე მაჟორიტარადაც — დიდუბის მე-16 ოლქში. დიდუბე ჰქვია, თორემ სინამდვილეში დიღმის მასივი, დიდი დიღომი და ზაჰესია**

რატომ ვიყრი კენჭს სწორედ ამ პარტიიდან? ვეცდები, ავხსნა და დავასაბუთო.

„შუის გაკრეფის“ შემდეგ, ფაქტობრივად, ერთადერთი პოლიტიკოსი, რომელიც დღეს პოლიტიკური ინიციატივებით გამოდის, სწორედ ნინო ბურჯანაძეა. მის მიერ შემოთავაზებული უბლოკო სტატუსი არის ერთადერთი გარღვევა ბოლო ოცი წლის განმავლობაში. ახლა, როდესაც გორში ხმები გაუჭირდა, თვით ირაკლი ალასანიაც კი რუსეთთან პირდაპირი დიალოგის აუცილებლობაზე ალაპარაკდა. არადა, სწორედ ამ სიტყვების გამო, ჩვენი „მედასავლეთე“ პოლიტიკური სპექტრი ნინო ბურჯანაძეს ლამის სამშობლოს მოღალატეს ეძახდა.

იმასაც ამბობდნენ, რომ უბლოკო სტატუსი კაპიტულაციაა, თუმცა კაპიტულაცია სწორედ ის მდგომარეობაა, რომელშიც საქართველო, 2008 წლიდან მოყოლებული, ჯერ სააკაშვილის, შემდეგ კი „ოცნების“ წყალობით იმყოფება. „მედასავლეთეები“ მთელი ამ წლების განმავლობაში გვიმტკიცებდნენ, რომ რუსეთთან დიალოგს აზრი არ აქვს და არც არის საჭირო. ბატონებო, არც მე დაველაპარაკებოდი რუსეთს, კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეები რომ მქონდეს მითვისებული, მაგრამ საქმე ხომ სწორედ პირიქითაა?!

რუსეთის პრეზიდენტმა რამდენჯერმე განაცხადა, რომ არ არსებობს საკითხი, რომელზეც საქართველოს უმაღლესი თანამდებობის პირებთან დალაპარაკება არ შეიძლება, მაგრამ ერთადერთი პასუხი, რომელიც საქართველოში გაისმა, მარგველაშვილის გენიალური ფრაზა იყო: „ჩვენს დასავლელ პარტნიორებს მოვეთათბირები და, როგორც მირჩევენ, ისე მოვიქცევი“! როგორც ჩანს, ეს ერთი წელი უშედეგოდ ეთათბირება!

რას ნიშნავს უბლოკო სტატუსი?

ნინო ბურჯანაძის ინიციატივა ასეთია: **„ტერიტორიული მთლიანობის დაცვის, თავდაცვისა და უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, საქართველო არ გაწევრდება რომელიმე საერთაშორისო სამხედრო ბლოკში ან ალიანსში. საქართველოს ტერიტორიაზე დაუშვებელია რომელიმე სახელმწიფოს, სამხედრო ბლოკის, ალიანსის ან სხვა გაერთიანების სამხედრო შენაერთების განთავსება. უბლოკო სტატუსი მოქმედებს 1991 წლის მდგომარეობით აღიარებულ საქართველოს ტერიტორიულ საზღვრებში“.**

მოკლედ და გასაგებად, სწორედ ამ ინიციატივამ უნდა უზრუნველყოს საქართველოს ტერიტორიიდან რუსული ჯარის გასვლა, რომელიც 2008 წლის უგუნური ავანტიურის შედეგად სააკაშვილმა დააბრუნა. შეგახსენებთ, რომ 2007 წლისთვის რუსული სამხედრო ბაზები გაყვანილი იყო საქართველოდან, სტამბოლის 1999 წლის სამიტის გადაწყვეტილების შესაბამისად. რესპუბლიკელების პასუხი ამ ინიციატივაზე იყო ის, რომ დანარჩენ საქართველოში (აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარდა!) ამერიკული ჯარი უნდა განლაგდეს. ერთი სიტყვით, საქართველო აშშ-ისა და რუსეთის დაპირისპირების პოლიგონად უნდა იქცეს. სწორედ ეს არის ღალატი, მაგრამ უკვე მივეჩვიეთ, რომ ჩვენი „მედასავლეთეებისთვის“ ამერიკის ერთგულების დამტკიცება წინასაარჩევნოდ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საქართველოს მომავალი.

**ნინო ბურჯანაძე ამბობს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არც ერთი სახელმწიფოს ან სამხედრო ალიანსის ჯარები არ უნდა იდგეს. რესპუბლიკელები ამბობენ, რომ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში რუსული ჯარი დარჩეს, ხოლო დანარჩენ საქართველოში ამერიკული ჯარი ჩადგეს. ამ ორიდან რომელი ფორმულაა სამშობლოს ღალატი, რთული მისახვედრი არ არის.**

„რუსეთი მაინც არ გაიყვანს ჯარს“ — „მედასავლეთეების“ ბოლო არგუმენტია. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რუსეთმა ერთხელ უკვე გაიყვანა ჯარი საქართველოდან, მაგრამ პასუხად მიიღო ის, რომ საქართველო ნატოში გაწევრდება და სარაკეტო სისტემებსაც განალაგებს საკუთარ ტერიტორიაზე. რაც მთავარია, ნატოში არ გვიღებენ და არც ახლო მომავალში აპირებენ, მაგრამ ჩვენი „მედასავლეთეები“ ახლა, კარის ნაცვლად, ფანჯრიდან აპირებენ შესვლას.

ზოგიერთი საყვედურობს ნინო ბურჯანაძეს, რომ ადრე ნატოში გაწევრების მომხრე იყო, ახლა კი მისი თვალსაზრისი შეიცვალა. დიახ, მაგრამ 2007 წლამდე თვით რუსეთი მჭიდროდ თანამშრომლობდა ნატოსთან, ხოლო, ჩვენ რაც შეგვეხება, 2008 წლის აგვისტოს ავანტიურამ საბოლოოდ დაუსვა წერტილი ნატოში საქართველოს გაწევრების შესაძლებლობას. დარჩებოდა თუ არა პოლიტიკოსად ნინო ბურჯანაძე, თუ ამ ფაქტორების მიუხედავად, კვლავ ჯიუტად განაგრძობდა ნატოში შესვლის პერსპექტივაზე ლაპარაკს? — ცხადია, არა. პოლიტიკოსი, რომელიც მსოფლიოსა და რეგიონში მიმდინარე პროცესების გაუთვალისწინებლად ოცი წლის განმავლობაში არ იცვლის რიტორიკას, პოლიტიკოსი აღარ არის.

**რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების რესურსი ქართულ პოლიტიკურ სპექტრში დღეს მხოლოდ ნინო ბურჯანაძეს აქვს. ეს კარგად იციან „მეოცნებეებმაც“ და ნაციონალებმაც. ისიც იციან, რომ ბურჯანაძის პრეზიდენტობის შემთხვევაში მრავალი საკითხი, მათ შორის მავთულხლართების გადმოწევა, დიდი ხნის გადაწყვეტილი იქნებოდა; უვიზო მიმოსვლაც გვექნებოდა და ქართული პროდუქციისთვის რუსული ბაზარი სრულფასოვნად გაიხსნებოდა, მაგრამ ივანიშვილმა პრეზიდენტად მარგველაშვილი არჩია და დღესაც იმას ედავება, რომ ავლაბრის რეზიდენციაში არ უნდა შესულიყო.**

ზოგჯერ მოისმენ: „ნინო ბურჯანაძე არ მომწონს იმიტომ, რომ ერთ ლარად მიიღო აგარაკი წყნეთში“. გაიხსენეთ, რომ **ბურჯანაძე აღმოჩნდა ერთადერთი უმაღლესი თანამდებობის პირი, რომელმაც აგარაკი დააბრუნა(!); სხვა ყველა, ვინც ასევე მიიღო ბინები თუ აგარაკები, დღესაც იქ ცხოვრობს, საკონსტიტუციო სასამართლოს მოქმედი თავმჯდომარის ჩათვლით(!).**

რაც შეეხება მოწონებას, ერთი ასეთი ეპიზოდი მახსენდება: 1992 წელს, სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, ბავშვი გამიხდა ცუდად და საავადმყოფოში წავიყვანე. იქ ბავშვობის მეგობარი ექიმი დამხვდა. პრეზიდენტ გამსახურდიას მხარდამჭერი იყო და, რაკი ახალარჩეული პარლამენტის წევრი ვიყავი, სარკასტულად მკითხა: „მოგწონს შენი პრეზიდენტი?“. დედას, რომელსაც შვილი ცუდად ჰყავს, პრეზიდენტზე, ალბათ, არ უნდა ელაპარაკო, მაგრამ ვითარება იყო მაშინ ასეთი. არც ახლაა ის ჭრილობა მოშუშებული. მაშინ ვუპასუხე: „მე უკვე გამოვედი იმ ასაკიდან, როცა მსახიობები, სპორტსმენები და პოლიტიკოსები მოსწონთ“.

არჩევნებზე „მოწონების“ ფაქტორი გვერდზე უნდა გადაიდოს, პირადი ანტიპათიაც და წყენებიც. უნდა აირჩიო ის, ვისაც შენი ქვეყნის ჩიხიდან გამოყვანა ხელეწიფება, დანარჩენი მხოლოდ სუბიექტურობაა.

ამიტომ ვუჭერ მხარს ნინო ბურჯანაძეს.

**ნანა დევდარიანი**

დავით თარხან-მოურავი
- ირმა ინაშვილი,
საქართველოს პატრიოტთა ალიანსი,
გაერთიანებული ოპოზიცია

არჩევნები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ხელისუფლებას ჩავაყენებთ ხალხის სამსახურში

**ჩვენი კოლეგა, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი ბონდო მძინარაშვილი დიდ პოლიტიკაში მიდის: პოლიტიკურმა გაერთიანებამ „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი — საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია" საჭიროდ ჩათვალა ქარელში მაჟორიტარ დეპუტატად მისი კანდიდატურის წამოყენება.**

პარლამენტისთვის მომგებიანი იქნება ასეთი როტაცია.

ჟურნალისტიკას, ტელესა და საგაზეთოს, აშკარად შეემჩნევა არყოფნა მისი — პოპულარული და ავტორიტეტული ჟურნალისტის, რომელსაც უსმენდნენ „ობიექტივის" ღამის ეთერში (ბოლო პერიოდში), კითხულობდნენ მის პუბლიკაციებს „საქართველოს რესპუბლიკაში", „საქართველო და მსოფლიოში" (წლების განმავლობაში), ხოლო უფრო ადრე „კავკასიონისა" და „ქართველი ერის" გვერდებზე.

## ჟურნალისტიკისკენ მიმავალი გზა

ჟურნალისტიკისკენ გეზი ქარელის რაიონის კეხიჯვრის სკოლის 8 კლასის დამთავრებისთანავე აიღო: სწავლა განაგრძო თბილისის პოლიგრაფიულ სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. 1998 წელს დაამთავრა თბილისის მართვის ინსტიტუტის იურიდიული ფაკულტეტი. 1989-1995 წლებში სწავლის პარალელურად მუშაობდა გამომცემლობა „სამშობლოში" და გაზეთების რედაქციებში.

1995 წლიდან 2002 წლამდე იყო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ჯერ პასუხისმგებელი მდივანი, შემდეგ — მთავარი რედაქტორის მოადგილე. 2002 წელს დაინიშნა საქართველოს სახელმწიფო საინფორმაციო სამსახურის უფროსად — პრეზიდენტის პრესსამსახურის კურატორად. თანამდებობიდან გადადგა 2003 წლის 23 ნოემბერს.

შემდეგი წლები გაზეთ „საქართველო და მსოფლიოსთან" (მთავარი რედაქტორის მოადგილე) და მედიაკავშირ „ობიექტივთან" (ჯერ დამფუძნებელი, შემდეგ — მთავარი რედაქტორი) წარმატებული თანამშრომლობით იყო გამორჩეული.

საოცარი შრომისმოყვარეობით, სიახლეთა ათვისების უნარით დაჯილდოებულმა ახალგაზრდა ჟურნალისტმა იმთავითვე მიიპყრო მკითხველი საზოგადოების ყურადღება: მის გაბედულ, პრინციპულ, ნიჭიერებით აღბეჭდილ და ყოველთვის საინტერესო პუბლიკაციებს მკითხველი ელოდა და არასოდეს გასცრუებია მოლოდინი.

ყველანი, ვინც იმხანად მასთან ერთად მოღვაწეობდა, მოწმენი იყვნენ იმისა, თუ როგორ დაიხვეწა მისი პროფესიული ოსტატობა, გემოვნება და როგორ ჩამოყალიბდა იგი ძალიან საინტერესო, დაკვირვებულ და ობიექტურ ანალიტიკოსად: დღეს ასეთია მისი ძირითადი ამპლუა.

მოკლედ (რაღა მოკლედ!), მთელი ამ წლების განმავლობაში საქმიანობით, ცხოვრების წესით ჟურნალისტიკასთან იყო დაკავშირებული, მისით სუნთქავდა, მისთვის იხარჯებოდა.

სამოღვაწეო ასპარეზის შეცვლის პერსპექტივა საარჩევნო კამპანიის დაწყებისთანავე გამოჩნდა, როგორც ახალი რეალობა; ახალი, მაგრამ არა უცხო, რადგან ჟურნალისტიკის სივრცეში საქმიანობის დროს უმთავრესად იმ პრობლემატიკით იყო დაკავებული, რომლის მოგვარება ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების ზრუნვის საგანია. ლაპარაკია საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებზე.

## შეთავაზებული ალტერნატივა

თანხმობა შეთავაზებაზე უცებ არ მიუცია. დადებითი გადაწყვეტილების მიღებაში იმ არგუმენტმა გადაწონა, რომლის თანახმად მასმედიის კრიტიკული გამოსვლები, რაგინდ კონსტრუქციული ყოფილიყო, პრობლემების მოგვარებას ისე უწყობდა ხელს, როგორც გარდაცვლილს მდოგვის ცხელსაფენები. ხოლო პარლამენტის ტრიბუნიდან გამოთქმული კრიტიკა შეიძლება უფრო ეფექტიანი იყოს. დეპუტატის ხელთ არსებული ბერკეტები მეტი ძალაა.

ბონდო მძინარაშვილს თავისი პროფესია საქვეყნო საქმისთვის სჭირდებოდა, რეალური შედეგის მისაღწევად და არა ტელეეკრანზე გამოსაჩენად.

ამიტომაც დათანხმდა.

დათანხმდა და გავიდა ხალხში.



შეხვედრები, საუბრები, თხოვნა და — დაპირება არა, საკითხზე მუშაობა, შესწავლა და შემდეგ ბრძოლა ნებისმიერი კერძო თხოვნის თუ მოუგვარებელი საერთო საქმის გასახორციელებლად — კი! ასეთი იყო წინასაარჩევნო კამპანიაში მისი ჩართულობის პრინციპი.

მაგრამ ისე არა, რომ დეპუტატმა იქ — პლენარულ სხდომებზე გამოსვლებით, კომიტეტებში მუშაობით თუ სახელისუფლო დერეფნებში დერვიშივით კარდაკარ სიარულით მიაღწიოს სასურველ შედეგს, არამედ „ერთად ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთებას შევძლებთ!" — ასეთია მისი ტაქტიკა, რომელიც ამართლებს. ამას ადასტურებს საარჩევნო ოლქში შემავალ 50-ზე მეტ სოფელში გამართული შეხვედრები, რომელთა მონაწილენი თავიანთ მხარდაჭერას უდასტურებენ და საერთო საქმეში ერთობლივად ჩართვისთვის მზადყოფნას გამოხატავენ.

## სოფლის ჩივილი

გლეხს რა უჭირს და, სოფელიო. სოფელი, რომელსაც გზა კი აქვს, მაგრამ უკეთესი უნდა რომ ჰქონდეს; ბუნებრივი აირი კი აქვს, მაგრამ საყოველთაო გაზიფიკაცია სჭირდება; მოსავალი კი მოჰყავს, უხვი და მრავალფეროვანი, მაგრამ გასაღების ბაზარი სჭირდება; ძამის ხეობაში უნიკალური ტაძრები კი არის, მაგრამ ტურისტების მისაზიდად თანამედროვე ინფრასტრუქტურის მოწყობა იგვიანებს; საინტერესო წიაღისეულის საბადოებიც არის, მაგრამ მათ ასამოქმედებლად ინვესტიციები უნდა მიიზიდონ.

## უფლის გზით თუ ვივლით, საქართველო აღარ იქნება ღარიბი და მოწყენილი, თუ ყველანი გავერთიანდებით სამშობლოს ინტერესების დასაცავად

ამ ყველაფრის მოწყობა-მოგვარებას ერთი კაცი, თუნდაც ისეთი ენერგიული და შეუპოვარი, როგორიც ბონდო მძინარაშვილია, ვერ შეძლებს.

თანაც — ოთხ წელიწადში.

ამიტომ — ერთად, ერთობლივი ძალისხმევით!

— მე მჯერა, — ამბობს **ბატონი ბონდო** „საქართველო და მსოფლიოსთან" საუბარში, — **უფლის გზით თუ ვივლით, საქართველო აღარ იქნება ღარიბი და მოწყენილი, თუ ყველანი გავერთიანდებით სამშობლოს ინტერესების დასაცავად, დავეპატრონებით საქართველოს და ხელისუფლებას ჩავაყენებთ ხალხის სამსახურში.**

„საქართველოსთვის, ბიჭებო, სწორდით!"



შეხვედრები ამომრჩევლებთან



## გზა დაულოცა

ჩვენმა სასიქადულო პოეტმა **რეზო ამაშუკელმა** ბონდო მძინარაშვილს ახლახან გამოცემული თავისი პოეტური კრებული რომ აჩუქა, შესანიშნავი კალიგრაფიით წააწერა: „ბონდო მძინარაშვილს — ქვეყნის ერთგულს, სიმართლისთვის ნაომარ კაცს!".

ქვეყნის სიკეთისთვის მართლაცაა ნაომარი. წარმატებითაც. ამის დასტურია სახელმწიფო ორდენები, რომელთა კავალერიც არის.

დაფასებულია ხალხისგან.

პოპულარულიც გახლავთ, რა თქმა უნდა.

ახლა იგი ახალ ომშია ჩართული და გამარჯვება ვუსურვოთ!

წინასაარჩევნოდ დაბეჭდილ მის ბუკლეტში იგი ასე მიმართავს ქართლელებს: „მჯერა, რომ გონივრულ გადაწყვეტილებას მიიღებთ!"

ჩვენც, მის კოლეგებსაც, გვჯერა!

**საოცარი შრომისმოყვარეობით, სიახლეთა ათვისების უნარით დაჯილდოებულმა ახალგაზრდა ჟურნალისტმა იმთავითვე მიიპყრო მკითხველი საზოგადოების ყურადღება: მის გაბედულ, პრინციპულ, ნიჭიერებით აღბეჭდილ და ყოველთვის საინტერესო პუბლიკაციებს მკითხველი ელოდა და არასოდეს გასცრუებია მოლოდინი. ყველანი, ვინც იმხანად მასთან ერთად მოღვაწეობდა, მოწმენი იყვნენ იმისა, თუ როგორ დაიხვეწა მისი პროფესიული ოსტატობა, გემოვნება და როგორ ჩამოყალიბდა იგი ძალიან საინტერესო, დაკვირვებულ და ობიექტურ ანალიტიკოსად: დღეს ასეთია მისი ძირითადი ამპლუა**

მოამზადა
**არმაზ სანებლიძემ**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



„ჟუკოვის აგარაკი თავისი სიმდიდრით, უნიკალური ფერწერული ტილოებით, განძეულითა და ხელოვნების ნიმუშებით ჰგავს დიდ ანტიკვარულ მაღაზიას ან მუზეუმს. აგარაკზე არ არის არც ერთი რუსული გამოცემა. უძვირფასეს კარადებში ჩალაგებულია უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე დაბეჭდილი ოქროსყდიანი და ოქროსწარწერებიანი წიგნები. ავეჯი, ხალიჩები, ფარდებიც კი მხატვრულ ნაწარმოებს წარმოადგენს“.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №32-35 (361-364)

# სტალინი და ჟუკოვი

## ნაწილი V

**სტალინი თავის სამუშაო მაგიდას მიუჯდა, სეიფიდან გამოღებული თხელი საქაღალდე გახსნა და კითხვა დაიწყო:**

**„საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭო**

**ამხ. ი. სტალინს!**

**თქვენი ბრძანების შესაბამისად, მიმდინარე წლის 5 იანვარს მოსკოვში, ჟუკოვის ბინაში ჩატარებული იქნა ფარული ჩხრეკა. ამოცანა იყო ის, რომ მოგვეძებნა და ამოგველო ჟუკოვის ბინიდან ჩემოდანი და ყუთი — ოქროთი, ბრილიანტებითა და სხვა ძვირფასეულობით“...**

საქმე ის იყო, რომ **სტალინს მოახსენეს, ჟუკოვის ადიუტანტმა, მაიორმა სიომოჩკინმა ძიებას ჩვენება მისცა, საბჭოთა სამხედრო მაღალჩინოსნები გერმანიაში ეწეოდნენ ყაჩაღობასა და მაროდიორობას, ამ მაღალჩინოსნებს შორის მოხსენიებული იყო ჟუკოვიც, რომელმაც დიდი რაოდენობით ოქრო, ბრილიანტი და სხვა განძეულობა მიიტაცა და შინ წაიღოო.** ჟუკოვის ადიუტანტ სიომოჩკინის ჩვენებაში ისიც აღნიშნული იყო, რომ ჟუკოვის მიერ ნაძარცვი ძვირფასეულობა ინახებოდა ჩემოდანში, რომელიც მოსკოვში, მის ბინაში იდო. **სიომოჩკინი** სრულად აღწერდა ჩემოდანს — ფერს, სისქეს, სიგრძესა და სიგანეს, აგრეთვე, შიგ ჩალაგებულ განძეულობას.

გამომძიებლებმა ამ გამაოგნებელი მასალების შესახებ დაუყოვნებლივ მოახსენეს თავიანთ ზემდგომებს. სახელმწიფო უშიშროების მინისტრი, გენერალი **ვიქტორ აბაკუმოვი** იმხანად გერმანიის ტერიტორიაზე მუშაობდა გენერლების მიერ „ბარახლოვკის” შეგროვების საქმეზე, რომელიც გახმაურებული იყო არა მხოლოდ საბჭოთა კავშირსა და გერმანიაში, არამედ მსოფლიოში. ამ საქმეში ფიგურირებდნენ გენერალ-ლეიტენანტი **კონსტანტინე ტელეგინი**, გენერალ-ლეიტენანტი **ვლადიმერ კრიუკოვი** და მისი მეუღლე, ცნობილი მომღერალი **ლიდია რუსლანოვა**. ძიება დაინტერესდა მრავალი მაღალჩინოსანი სამხედროს არაკეთილსინდისიერი საქციელით, მაგრამ ჟუკოვზე ამის გამო ეჭვიც არავის გასჩენია. მინისტრმა აბაკუმოვმა, რომელიც არცთუ კეთილგანწყობილი იყო ჟუკოვის მიმართ, არათუ დაგვიანებითა და დანანებით, არამედ სასწრაფოდ მოახსენა ეს „სასიხარულო” ამბავი სტალინს. მეტი დამაჯერებლობისთვის თავის მოხსენებით ბარათთან ერთად სტალინს ჟუკოვის ადიუტანტ სიომოჩკინის ახსნა-განმარტებაც წარუდგინა. სტალინმა გულდასმით წაიკითხა ჟუკოვის ადიუტანტის ახსნა-განმარტება, რომელმაც ღრმად ჩააფიქრა.

— ჟუკოვი ჩვენ გადავიყვანეთ ოდესაში, რასაც ძალიან განიცდის და წუხს. ჩვენ, რა თქმა უნდა, მოვთხოვთ მას ახსნა-განმარტებას...

— ხომ შეიძლება, ამ შემთხვევაში გაქრეს მთავარი სამხილი? — შეაპარა სიტყვა აბაკუმოვმა.

— რომელი სამხილი? — ვერ გაიგო სტალინმა.

— ჩემოდანი ძვირფასეულობით, — იყო პასუხი.

— თქვენ მართალი ხართ, ჟუკოვს ტრავმა გაუორკეცდება, ამ ამბავს რომ შეიტყობს და, თუ ეს მართალი არ აღმოჩნდება, გამოვა, მის მიმართ შეთქმულებას ვაწყობთ. უნდა იმუშაოთ ძალზე სკრუპულოზურად, ისე, რომ ეს შესამჩნევი არ იყოს საზოგადოებისათვის და თვით ჟუკოვისთვისაც კი. რატომ უნდა შევაწუხოთ ჟუკოვი ნაადრევად?!

—გასაგებია, ამხანაგო სტალინ, — მოკრძალებით მიმართა აბაკუმოვმა. — ნება მოგვეცით, ჩავატაროთ ფარული ჩხრეკა.

სტალინი ცოტა ხნით შეყოვნდა, შემდეგ ნიშნად თანხმობისა, თავი დაუქნია.

და ახლა კითხულობდა ოქმს სწორედ იმ ფარული ჩხრეკისა, რომელიც ჩატარდა ჟუკოვის ბინაში.

„ჩხრეკის მომენტში ჟუკოვის ბინაში ჩემოდანი არ აღმოჩნდა, ყუთი კი საძინებელ ოთახში სეიფში იყო შენახული.

ყუთის გახსნის შემდეგ შიგ აღმოჩნდა:

**1. საათი — 24 ცალი, მათ შორის, 17 ოქროსი და ძვირფასი თვლებით —3 ცალი.**

**2. გულსაკიდები და ბეჭდები —15 ცალი, მათ შორის, 8 ძვირფასი თვლებით.**

**3. სამაჯურები უამრავი ბრილიანტითა და სხვა ძვირფასი ქვებით.**

**4. ძვირფასი ნივთები: პორტსიგარები, ძეწკვები, ბრასლეტები და სხვა მრავალი.**

რადგან ძირითად სამხილს — ჩემოდანს — ბინაში ვერ მივაკვლიეთ „სეიფიდან” გადმოღებული ყველა ძვირფასი ნივთი ფოტოაპარატით გადავიღეთ და ზუსტად თავის ადგილზე დავაბრუნეთ. ბინა ისე დავტოვეთ, რომ არავითარი კვალი არ შეიმჩნევა.

სამძებრო საქმის სპეციალისტებმა გამოითქვეს მოსაზრება, რომ ჟუკოვის ბინა დაცლილი იყო სამხილებისგან. ბინაში არ იყო, არათუ საეჭვო ნივთი, არამედ წერილიც კი, რომელიც რამეში ამხელდა მეპატრონეს. სპეციალისტების აზრით, ყველა სხვა სამხილი და ჩემოდანი სხვა ადგილზეა გადატანილი“.

8-9 იანვრის ღამეს, ფარული ჩხრეკა ჩატარდა ჟუკოვის აგარაკზე, მოსკოვის განაპირას მდებარე რუბლიოვკაზე.

„ჩხრეკის შედეგად აღმოჩნდა, რომ აგარაკის ორი ოთახი გამოყოფილია საწყობად, რომელშიც ინახება დიდი რაოდენობით სხვადასხვა საგანი და განძეულობა:

***აბრეშუმის ქსოვილები, შალეული, ფარჩა, ხავერდი და სხვა ქსოვილები 4 000 მეტრის ოდენობით.**

***ტყავეული: სიასამურის, მაიმუნის, მელიის, ზღვის ლომის, კრაველის. სულ 323 ცალი.**

***შევრო — უმაღლესი ხარისხის 35 ტყავი.**

***ხალიჩები დიდი ზომის, უმაღლესი ხარისხის, წამოღებული პოტსდამისა და სხვა ქალაქების სასახლეებიდან და კერძო სახლებიდან — 44 ცალი.**

***ძვირად ღირებული უნიკალური სურათები, ფერწერული ტილოები დიდი ზომის — 55 ცალი.**

***უძვირფასესი სასადილო და ჩაის სერვიზები, უმაღლესი ხარისხის ფაიფურიგან — 7 დიდი ყუთი.**

***ვერცხლის სასადილო და ჩაის კომპლექტები 2 დიდი ყუთი.**

***აკორდეონები — უძვირფასესი ნაკეთობებითა და შემკულობებით — 8 ცალი.**

***უნიკალური სანადირო თოფები „გოლან-გოლანი” — 20 ცალი.**

***აგარაკზე აღმოჩნდა 50 ცალი უზარმაზარი სკივრი, რომელშიც უწესრიგოდ ეყარა უამრავი ძვირფასეულობა.**

ჟუკოვის აგარაკი თავისი სიმდიდრით, უნიკალური ფერწერული ტილოებით, განძეულითა და ხელოვნების ნიმუშებით ჰგავს დიდ ანტიკვარულ მაღაზიას ან მუზეუმს. აგარაკზე არ არის არც ერთი რუსული გამოცემა. უძვირფასეს კარადებში ჩალაგებულია უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე დაბეჭდილი ოქროსყდიანი და ოქროსწარწერებიანი წიგნები. ავეჯი, ხალიჩები, ფარდებიც კი მხატვრულ ნაწარმოებს წარმოადგენს”.

ოდესაში გაიგზავნა სპეციალური ოპერატიული ჯგუფი ჟუკოვის ბინის ფარული ჩხრეკის ჩასატარებლად, რომლის შედეგებზეც ცალკე აცნობეს სტალინს.

„რაც შეეხება მოსკოვის ბინაში ჩატარებული ფარული ჩხრეკისას გაუჩინარებულ განსაკუთრებული მნიშვნელობის ჩემოდანს, რომელიც ადიუტანტი სიომოჩკინის ჩვენებაშია მითითებული, გაირკვა, რომ ეს ჩემოდანი ყოველთვის თან დააქვს ჟუკოვის მეუღლეს, სადაც უნდა წავიდეს იგი.

დღეს, როდესაც ჟუკოვი თავის ცოლთან ერთად ოდესიდან მოსკოვში გამოემგზავრა, აღნიშნული ჩემოდანი მას თან ჰქონდა და ახლა იმ ოთახში დევს, რომლებიც ჟუკოვსა და მის მეუღლეს სძინავთ.

ალბათ, პირდაპირ უნდა გავუცხადოთ ჟუკოვს, რომ აღნიშნული ჩემოდანი თავისი ძვირფასეულობით სახელმწიფოს ჩააბაროს. ამასთანავე, წარმოგიდგენთ ყველა იმ ფოტოს, რომლებიც გადაღებული იქნა ჟუკოვის ბინისა და აგარაკის ფარული ჩხრეკისას, რომლებზეც ასახულია ყველა ის ნივთი, რომელიც აღმოჩენილი იქნა ჩხრეკის შედეგად.

10 იანვარი 1948 წელი“.



## სტალინს მოახსენეს, ჟუკოვის ადიუტანტმა, მაიორმა სიომოჩკინმა ძიებას ჩვენება მისცა, საბჭოთა სამხედრო მაღალჩინოსნები გერმანიაში ეწეოდნენ ყაჩაღობასა და მაროდიორობას, ამ მაღალჩინოსნებს შორის, მოხსენიებული იყო ჟუკოვიც, რომელმაც დიდი რაოდენობით ოქრო, ბრილიანტი და სხვა განძეულობა მიიტაცა და შინ წაიღოო. ჟუკოვის ადიუტანტ სიომოჩკინის ჩვენებაში ისიც აღნიშნული იყო, რომ ჟუკოვის მიერ ნაძარცვი ძვირფასეულობა ინახებოდა ჩემოდანში, რომელიც მოსკოვში, მის ბინაში იდო. სიომოჩკინი სრულად აღწერდა ჩემოდანს — ფერს, სისქეს, სიგრძესა და სიგანეს, აგრეთვე, შიგ ჩალაგებულ განძეულობას

სტალინის გარდაცვალების შემდეგ გახსნილ არქივებში აღნიშნული ფოტოსურათები არ აღმოჩნდა. როგორც ირკვევა, ეს ფოტოები სტალინმა ნახვისთანავე ზიზღით გადახია და ურნაში ჩაყარა.

სტალინმა, როცა მოხსენებითი ბარათი ბოლომდე ჩაიკითხა, ჩაფიქრებულმა ხელი ტელეფონისკენ წაიღო და ნელი ხმით ყურმილში ჩასძახა:

— აბაკუმოვთან დამაკავშირეთ.

იმ მომენტში ლიუბლიანკის სარდაფებში დაკითხვა მიმდინარეობდა:

„— თქვენი ლენინგრადის ბინის ჩხრეკისას აღმოჩნდა ოქროსა და ბრილიანტის ასეულობით უნიკალური ნაკეთობა, 1 000 მეტრი აბრეშუმისა და შალის ქსოვილები, 50-მდე უძვირფასესი ხალიჩა, დიდი რაოდენობით ბროლის, ფაიფურისა და სხვა მრავალი ძვირფასი ნივთი”.

— არ ვმალავ, რომ გერმანიიდან წამოვიღე ბევრი ძვირფასეულობა.

— წარმოგიდგენთ იმ ნივთების ფოტოსურათებს, რომლებიც აღმოჩნდა თქვენს ბინაში ჩხრეკის დროს: გობელენები — ფლამანდიელი და ფრანგი ხელოსნების მიერ შესრულებული XVII-XVIII საუკუნეებში, სად მოიპარეთ?

— გობელენები ნაპოვნი იქნა გერმანიის რაიხსბანკის სარდაფებში, სადაც გადამალული იყო ომის დროს. ვიპოვე რა ეს ნივთები, ვუბრძანე ჩემს კომენდანტ აქსიონოვს, გაეგზავნა ისინი ლენინგრადში, ჩემს ბინაში.

— ოქროს საათები, კულონები, ბეჭდები, ბროშები, ძეწკვები და ოქროსა და ბრილიანტის სხვა ნაკეთობები სად მოიპარეთ?

— ეს სიმდიდრე ამოღებულია გერმანული სამალავებიდან.

კითხვებს სვამდა სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს გამომძიებელი, პოდპოლკოვნიკი **კუტინცევი**. ხოლო პასუხობდა გენერალ-მაიორი, ბერლინის ოპერატიული სექტორის უფროსი **სიდნევი**.

1947 წელს ბერლინიდან დაბრუნებული სიდნევი დააპატიმრეს გერმანიიდან ნაძარცვი ქონებისა და ძვირფასი ნივთების ჩამოტანისთვის.

გენერალმა სიდნევმა გამოძიებას მისცა ჩვენება ყველა ადამიანზე, რომლებიც ჩართულები იყვნენ ამ ორგანიზებულ დანაშაულში. მან ამხილა, როგორი საქმიანი ურთიერთობა ჰქონდათ შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელ **სეროვსა** და საოკუპაციო სექტორის სარდალ **ჟუკოვს** ერთმანეთთან, როგორ ძარცვავდნენ მათი ხელქვეითები და როგორ ეზიდებოდნენ თვითმფრინავებითა და ეშელონებით ნაძარცვ ქონებას მოსკოვში, საბაჟო კონტროლის გაუვლელად.

სეროვმა თავის მოხსენებით ბარათში ბრალდებათა მთელი სერია ჩამოაყალიბა აბაკუმოვის მიმართ,— შეგნებულად ცდილობს ჩემი და ჟუკოვის დისკრედიტაციასო, მაგრამ აბაკუმოვის საქმიანობაში საეჭვო არაფერი იყო.

სიდნევის აღიარებითი ჩვენება კიდევ უფრო ამძაფრებდა ბერლინის საოკუპაციო ზონაში მაღალი ჩინის სამხედროების მგლური მოქმედების ხასიათს, რომელიც სტალინისათვის წარდგენილ კიდევ ერთ მოხსენებით ბარათში აისახა.

მოხსენებითი ბარათის წაკითხვის შემდეგ, სტალინმა **ანდრია ჟდანოვი** გამოიძახა და მარშალ ჟუკოვთან შეხვედრა დაავალა. ჟდანოვს უნდა აეხსნა ჟუკოვისთვის, რაც მის თავს ხდებოდა.

ოდესიდან ჩამოსვლის მეორე დღეს, 1948 წლის 12 იანვარს, ჟუკოვი გამოცხადდა ჟდანოვის კაბინეტში, სადაც დაიწყო ძალზე არასასიამოვნო საკითხებზე საუბარი. საუბარი ისეთ მძიმე და უხერხულ საკითხებზე გაიმართა, რომ მისი სტენოგრაფიული ჩანაწერიც არ გაკეთე- ▶

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გენერალმა სიდნევმა გამოძიებას მისცა ჩვენება ყველა ადამიანზე, რომლებიც ჩართულები იყვნენ ამ ორგანიზებულ დანაშაულში. მან ამხილა, როგორი საქმიანი ურთიერთობა ჰქონდათ შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელ სეროვსა და საოკუპაციო სექტორის სარდალ ჟუკოვს ერთმანეთთან, როგორ ძარცვავდნენ მათი ხელქვეითები და როგორ ეზიდებოდნენ თვითმფრინავებითა და ეშელონებით ნაძარცვ ქონებას მოსკოვში, საბაჟო კონტროლის გაუვლელად.**

ბულა და არც სარქივო მასალებში იძებნება.

არქივში არის მხოლოდ ჟუკოვის ახსნა-განმარტება ჟდანოვის სახელზე, რომელშიც აღწერილია, რა პირობებში და როდის ხდებოდა ფარული ჩხრეკისას ნაპოვნი ძვირფასეულობის მოპოვება და მისი გაგზავნა მოსკოვში.

**„მე ვაცნობიერებ ჩემს შეცდომებს, რომ ბევრი რამ შევიძინე სახლისა და ახლობლებისათვის, რისთვისაც გადავიხადე საკუთარი თანხა, რაც მიღებული მქონდა ხელფასის სახით. ეს ყველაფერი შევიძინე ქალაქ ლაიფციგში საკუთარი სახსრებით.**

**წაულის ქურქი — 160 ცალი, ქურქი მაიმუნის ტყავის — 40-50 ცალი, პალტოები — 50-60 ცალი. და კიდევ სხვა რაღაცები ბავშვებისათვის, რაც არ მახსოვს.**

რაც შეეხება ქსოვილებს, ის შევიძინე სახლისა და სამსახურის ავეჯზე გადასაკრავად. ასევე 500-600 მეტრი ქსოვილი მთხოვა გენერალმა **ვლასიკმა** (სტალინის პირადი დაცვის უფროსი — გრ.ონიანი), მაგრამ, რადგან დაპატიმრებული დამხვდა, აღარ გადამიცია აღნიშნული ქსოვილი. აგარაკის ფარული ჩხრეკისას აღმოჩენილ ქსოვილებზე შევიტყვე, რომ თითქოს იქ 4 000 მეტრი ქსოვილი იყო, მაგრამ მე საქმის კურსში არ ვარ.

ნივთები, რომლებიც ჩამოვიტანე ბერლინიდან, სამსახურეობრივი საჭიროებისათვის შევიძინე და, რატომ არ გაატარეს შემოსავალში, ჩემთვის გაუგებარია. წელიწად-ნახევარია (რაც ჟუკოვი ოდესაში იყო), საერთოდ, არ ვყოფილვარ აგარაკზე და არ ვიცი, იქ რა მდგომარეობაა.

რაც შეეხება ოქროს ნაკეთობებს, მარშლის განცხადებით, ეს, ძირითადად, იყო სხვადასხვა ორგანიზაციისა და პიროვნების, ხოლო ქალის სამკაულები დაბადების დღეებსა და სხვადასხვა დღესასწაულზე მოძღვნილი საჩუქრები. მაგალითად, მან განაცხადა, რომ ერთი ბეჭედი, რომელიც აღწერაში მოხვდა, მოლოტოვის ქალიშვილმა აჩუქა თავის დაქალს (ჟუკოვის ქალიშვილს) დაბადების დღის აღსანიშნავად.

„რაც შეეხება სერვიზებს, იგი მე ვუყიდე ჩემს ქალიშვილებს, რაშიც 9 200 გერმანული მარკა გადავიხადე. ნასყიდობაზე შემიძლია წარმოგიდგინოთ დამადასტურებელი საბუთებიც. და ამას დამიდასტურებს ამხანაგი სეროვი, რომლის მეშვეობითაც შევიძინე ისინი, სწორედ სეროვი განაგებდა ჩემს ეკონომიკურ საკითხებს.

50 000, რომელიც სეროვმა მომცა პირადი სარგებლობისათვის, უშიშროების სამინისტროს დაცვის უფროს **ბედოვს** გადავეცი. მე რომ მიმთვისებელი და მომხვეჭველი ვყოფილიყავი, იმ 50 000-ს სახელმწიფოს არ დავუბრუნებდი და ამ თანხის მომკითხავი არავინ იყო. სეროვმა მე შემომთავაზა, რომ დამეხარჯა ჩემი სურვილისამებრ 500 000. მე ეს თანხა არ ავიღე, მიუხედავად იმისა, რომ სეროვმა მითხრა, ბერიამ მიბრძანა, თუ ჟუკოვს ფული დასჭირდება პირადი საჭიროებისათვის, გაეცით რამდენსაც მოითხოვსო“, — წერს ჟუკოვი.

**სტალინმა გულდასმით წაიკითხა ჟუკოვის მოხსენებითი ბარათი და მძიმედ ამოიოხრა. დადგა გადამწყვეტი მომენტი ჟუკოვის ბედის გადაწყვეტისა. კაბინეტში პოსკრებიშევი შევიდა და მოახსენა, მისაღებში ლავრენტი ბერია და ვიქტორ აბაკუმოვი გელოდებიან და მიღებას ითხოვენო. სტალინმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. ბერია და აბაკუმოვი სტალინთან შევიდნენ. სტალინს მათთვის დაჯდომა არ შეუთავაზებია. აბაკუმოვმა სტალინს მაგიდაზე დაუდო აქტი, რომელსაც გრძელი სათაური ჰქონდა**



საოცარია, ასეთი სუფთა კაცი და გამარჯვების „მთავარსარდალი“ ჟუკოვი რატომ წერს მოხსენებითი ბარათის დასკვნით ნაწილში „მტკიცე ბოლშევიკურ ფიცს”, რომ ის არ დაუშვებს მსგავს შეცდომებს და ითხოვს, დატოვონ კომუნისტური პარტიის რიგებში. ჟუკოვი ირწმუნება, რომ ყველა შეცდომას გამოასწორებს, რომელიც კი დაუშვა.

**მოხსენებით ბარათზე ხელის მოწერას წინ არ უძღვის „მარშალი“ და არავითარი ტიტული. უბრალოდ, მიწერილი აქვს — „საკავშირო კომუნისტური პარტიის წევრი ჟუკოვი“.**

სტალინმა გულდასმით წაიკითხა ჟუკოვის მოხსენებითი ბარათი და მძიმედ ამოიოხრა. დადგა გადამწყვეტი მომენტი ჟუკოვის ბედის გადაწყვეტისა. კაბინეტში **პოსკრებიშევი** შევიდა და მოახსენა, მისაღებში **ლავრენტი ბერია** და **ვიქტორ აბაკუმოვი** გელოდებიან და მიღებას ითხოვენო. სტალინმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. ბერია და აბაკუმოვი სტალინთან შევიდნენ. სტალინს მათთვის დაჯდომა არ შეუთავაზებია. აბაკუმოვმა სტალინს მაგიდაზე დაუდო აქტი, რომელსაც გრძელი სათაური ჰქონდა:

**„აქტი**

**საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს საქმეთა სამმართველოსთვის საბჭოთა კავშირის მარშლის — გ.კ. ჟუკოვის უკანონოდ მოპოვებული და მისაკუთრებული ნაალაფარი („ტროფეინი“) ქონების ჩაბარების შესახებ, რომელიც ამოღებულია საბჭოთა კავშირის უშიშროების სამინისტროს მიერ”.**

აქტში ჩამოთვლილი იყო ყველა ის ნივთი და ქონება, რომელიც იპოვეს ჟუკოვის მოსკოვის ბინაში და მოსკოვის გარეუბან რუბლიოვკაში მდებარე აგარაკზე. ბერიამ და აბაკუმოვმა ჟუკოვის დაპატიმრების უფლება მოითხოვეს.

— არა, მე თქვენ ჟუკოვს დასაპატიმრებლად არ მოგცემთ, მე არ მჯერა თქვენი, ის მართალი და პირდაპირ მთქმელი კაცია, რის გამოც ბევრს არ უყვარს, დიდი სამამულო ომის 4 წლის განმავლობაში მე იგი უფრო კარგად გავიცანი, ვიდრე თქვენ, — განუცხადა სტალინმა ბერიასა და აბაკუმოვს.

**თუ სტალინი სინამდვილეში ისეთი ცივსისხლიანი, კაცთმოძულე და შურისმაძიებელი იყო, როგორც წერენ და ამბობენ, მაშინ ყველა სამხილი და საფუძველი არსებობდა იმისა, რომ ჟუკოვიც იმ გზას დადგომოდა, რომელსაც სხვა მარშლები და უმაღლესი სამხედრო პირები დაადგნენ, მაგრამ სტალინი, უწინარესად, ადამიანი და საქმის დამფასებელი იყო.**

1946 წელს სტალინისთვის მიცემული პირობის უხეში დარღვევის შემდეგ, სტალინმა ჟუკოვს ოდესაში დაშვებული შეცდომენიც აპატია და თავის თავზე მაღლა დადგა, როდესაც ახალდანიშნულ მინისტრ **ბულგანინს** ჟუკოვის შესახებ გამოსაცემი ბრძანების ტექსტის შავი პირი გაუგზავნა.

დიდი სამამულო ომის დამთავრებისთანავე ოპერატიული შეტყობინებებიდან სტალინისათვის ცნობილი იყო, რომ იწყებოდა „მარშალთა ომი” და ელოდა კიდეც, რადგან ზოგიერთი მარშლის წარმატებები ომში თუ კრემლის კაბინეტებში, მათი ავტორიტეტი, ბევრ უმაღლეს სამხედრო მოსამსახურეს **„ტვინში ძვლად ეჩხირებოდა“** (სტალინის ფრაზა).

მკითხველს, ალბათ, ახსოვს, ჩაფიქრებულმა სტალინმა, როდესაც ის უმაღლესი სამხედრო საბჭოს სხდომაზე ჟუკოვის საკითხს იხილავდა სახმელეთო ჯარების სარდლის მოვალეობისაგან განთავისუფლების თაობაზე, მას სინანულით მიმართა: „რაც უნდა იყოს, თქვენ დროებით მაინც უნდა დატოვოთ მოსკოვი”.

ამ შემთხვევაში ოდესის ოლქში ჟუკოვის გაგზავნა არა ადმინისტრირების, არამედ სტალინის პოლიტიკური ალღოსა და გამჭრიახობის გამოვლენის შედეგი იყო. სტალინმა ისიც გათვალა, რომ მარშლების ერთ ჯგუფს არ დააკმაყოფილებდა ჟუკოვის ასეთი დასჯა, მაგრამ შორს მყოფი და თვალს მოფარებული ჟუკოვი ნაკლებად გააღიზიანებდა ნაომარ, ნერვებმოშლილ და რიგ შემთხვევაში ოჯახებდანგრეულ მაღალჩინოსან სამხედროებს.

**საინტერესოა, სად გაქრა ან რატომ არ არის მინისტრთა საბჭოს საქმეთა სამმართველოს მიერ ჟუკოვისთვის ჩამორთმეული ქონების მიღების აქტში ის გახმაურებული ჩემოდანი, რომლის ადგილსამყოფელი და მასში მოთავსებული ნივთების ჩამონათვალიც კი იცოდა საბჭოთა დაზვერვამ და უშიშროების სამინისტრომ.**

ზოგიერთი ანალიტიკოსისა და ჩემი პირადი აზრით, თუ გამჟღავნდებოდა, რა იყო იმ ჩემოდანში, რომელიც გაუჩინარდა, სტალინს უმაღლესი სასჯელისგან ჟუკოვის გადარჩენის იოტისოდენა შანსიც კი აღარ დარჩებოდა.

სწორედ აქედან გამომდინარე, მიუხედავად ამდენი დანაშაულებრივი ქმედებისა, რომელთა გამოც ჟუკოვი ითხოვდა პარტიაში დატოვებას, არაფერია ნათქვამი შეიარაღებული ძალების მინისტრის ბრძანებაში.

1948 წლის 4 თებერვალს შეიარაღებული ძალების მინისტრ ბულგანინის მიერ ხელმოწერილ ბრძანებაში მითითებულია მარშალ ჟუკოვის ოდესის სამხედრო ოლქის სარდლობიდან გათავისუფლებისა და ურალის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლად დანიშვნის შესახებ.

ძვირფასო მკითხველო, სწორედ ამ წერილზე ვმუშაობდი, როცა შინ ჭარმაგი, მაგრამ აქტიური თანამოაზრე მესტუმრა, რომელსაც ხელში გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს” ბოლო ნომერი ეჭირა.

იმ მომენტში ჩემ მიერ მოწყობილ სტალინის ხსოვნის ოთახში მოსკოველი სტუმრები სტალინის მემორიალურ ნივთებს ათვალიერებდნენ. მათ ხალისით შეუერთდა ჩემი სტუმარიც, რომელიც შესანიშნავად ფლობს რუსულს და მოსკოველებთან საერთო ენა ადვილად გამონახა.

რადგან ძალზე დაკავებული ვიყავი, ჭარმაგმა სტუმარმა მოისურვა, მალე დავეტოვებინე. როდესაც ვაცილებდი, პოლიტიკურ საკითხებზე ცხარედ ალაპარაკდა, მაგრამ, რადგან მე დიდი აქტიურობა არ გამომიჩენია, მან შეურაცხყოფად მიიღო და შემომიტია:

— შენ, ამხანაგო გრიშა, შეურაცხყავი სტალინი!.

გამიკვირდა, რადგან იგი აღფრთოვანებული იყო სტალინისადმი ჩემი დამოკიდებულებით. გამეღიმა და მშვიდად ვკითხე, რაში გამოიხატება ჩემი მხრიდან სტალინის შეურაცხყოფა-მეთქი?

— ჟუკოვის ლანძღვაში, — მოკლედ მიპასუხა.

შემდეგ ნომერში მინდა როგორც თანამოაზრეს, აგრეთვე, ჩემს ერთგულ მკითხველს მოვუთხრო სიმართლე, რომელიც მარშალ ჟუკოვის მიერ წარმოთქმული სიტყვების შინაარსში დევს:

„სტალინი მე მხსნიდა, მაქვეითებდა, მაგრამ არ მამცირებდა. აბა, ვინმეს გაებედა ჩემი შეურაცხყოფა, იგი მას თავს წააცლიდა”.

**გაგრძელება იქნება**




## ყურადღება!

„ბიბლუსისა“ და „ლიბრას“ მაღაზიათა ქსელში, აგრეთვე, მეტროპოლიტენის სადგურებთან: „მარჯანიშვილი“, „რუსთაველი“, „თავისუფლების მოედანი“ შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო ორგანიზაცია „სტალინის“ თავმჯდომარის, ბატონი გრიგოლ ონიანის წიგნი „სტალინი“, რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის — სტალინის შესახებ.

განსჯისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**წყვდიადში მიქროდა უდიდესი და უკიდეგანო სიცრუის — ფანტაზიის — წყალობით ამ ახალ დროში გადმოსროლილი დიდი წარსულის დიდი მატარებელი, რომელშიც ყველა დროის ყველაზე დიდი ადამიანი იჯდა და ღრმა ფიქრებს მისცემოდა. „ეჰ, ლავრენტი, ლავრენტი, — ფიქრობდა იგი, — ბევრი ვიწვალეთ მე და შენ აფხაზეთისთვის, სრულიად საქართველოსთვის; გვეგონა, რომ ავაყვავეთ კიდეც ჩვენი სამშობლო, მაგრამ ვხედავ, რომ დაიღუპა ქვეყანა. დაღუპულია უაფხაზეთო საქართველოც და ორგზის დაღუპულია საქართველოს მოწყვეტილი აფხაზეთიც. ჩემი და შენი უმძიმესი შეცდომის ბრალია ეს“.**

# პოლიტიკური ნოველა

**სტალინმა რომელიღაც დოკუმენტს ხელი მოაწერა, კალმისტარი თავის ბუდეში დააბრუნა და მარცხენა ხელის საჩვენებელი თითით პაწია ღილაკს შეეხო... იმავე წამს კაბინეტის კარი გაიღო და ზღურბლზე პოსკრებიშევი გამოჩნდა. სტალინი, თავის პირად მდივანს რომელიმე მნიშვნელოვან დავალებას როდესაც აძლევდა, ყოველთვის ასე იწყებდა: „ამხანაგო პოსკრებიშევ!“. ამჯერად მან ეს ტრადიცია დაარღვია და პირდაპირ საქმეზე გადავიდა:**
**— ხვალ დილით საქართველოში მივემგზავრები. გააფრთხილეთ სამიმოსვლო გზათა სახალხო კომისარი, გენერალ-ლეიტენანტი კოვალიოვი, გააფრთხილეთ ამხანაგი ბერია (ბერიას თანამდებობა და სამხედრო ჩინი არ უხსენებია), პირად დაცვას მე თვითონ გავაფრთხილებ, რომ დილის ცხრა საათზე კრემლიდან გავალთ!**
**დაბნეულმა პოსკრებიშევმა მხოლოდ გარკვეული პაუზის შემდეგ წარმოთქვა:**
**— არის, ამხანაგო სტალინ!**
**2016 წლის სექტემბერი იწურებოდა...**




**უცნაური რამ არის ფანტაზია — არარეალური, გამოგონილი, ცრუ ამბების სამყარო. აი, სად არის ჭეშმარიტი თავისუფლება. 1953 წლის 5 მარტს გარდაცვლილ საბჭოთა ბელადს აგერ, ახლა, 2016 წლის სექტემბრის მიწურულს, მოახლოებული საპარლამენტო არჩევნების წინ, საქართველოში ვამოგზაურებ და საინტერესო დასკვნებსაც გავაკეთებინებ. მკითხველი კი, როგორი უცნაურიც უნდა გეჩვენოთ, ყოველივე ამას დაიჯერებს, ვინაიდან სიცრუე და გამონაგონი ზოგჯერ გაცილებით მართალი, ჭეშმარიტი და რეალურია, ვიდრე თვით ცხოვრება, რომლის სიმართლეშიც ეჭვი არ გვეპარება.**

ბელადის სარკინიგზო შემადგენლობამ, რომელიც ოთხი სპეციალური ვაგონისა და ორი ელმავლისგან შედგებოდა, მდინარე ფსოუს ხიდი საღამოს შვიდ საათზე გადმოკვეთა.

სტალინი რბილ სავარძელში იჯდა, სამხედრო ყაიდის კიტელის ღილები ბოლომდე შეეხსნა, რომლის ქვეშ შავი მაისური უჩანდა და რომელსაც იაკობის დაღუპვის შემდეგ მუდმივად ატარებდა. თვალები მილულული ჰქონდა, თვლემდა თუ ეძინა, მაგრამ, როგორც კი შემადგენლობა ფსოუს ხიდს გასცდა, გაახილა და ვაგონის კაბინეტიდან ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ, გაფაციცებით იწყო მზერა....

ფანჯრიდან ზღაპრული პეიზაჟი გადაიშალა და ერთბაშად ისეთი სურნელი შემოიჭრა, რომლის მსგავსი არსად, დედამიწის არც ერთ კონტინენტზე არ იგრძნობა. ჩამავალი მზის მეწამულ სხივებში გახვეული ჰორიზონტის ხაზი ჩვეულებრივზე უფრო შორს ჩანდა და ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს აფხაზეთი ხელისგულისოდენა კუთხე კი არ იყო საქართველოსი, არამედ აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ და ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ გაშლილ-გადაჭიმული უზარმაზარი სამეფო.

ბელადის გონებაში აფხაზეთის ამბებმა იწყეს ამოტივტივება, მაგრამ ამ მომენტში ვაგონის კაბინეტის კართან წითელი შუქი აინთო. უმალ კარიც გაიღო და ზღურბლთან შემადგენლობის მეთაურის, გენერალ-მაიორ **სუხარევსკის** ფიგურა გამოიკვეთა. სტალინმა თავის მსუბუქი დაკვრით ანიშნა გენერალს, რომ მიახლოვებოდა. გენერალი მაგიდიდან სამი ნაბიჯის დაშორებით შედგა, მხედრულად გაიჭიმა და მოახსენა:

— ამხანაგო სტალინ, ჩვენი შემადგენლობა აფხაზეთის ტერიტორიაზე იმყოფება. წინასწარ შედგენილი სამარშრუტო გეგმის მიხედვით, აფხაზეთში გაჩერება გათვალისწინებული არ არის, მაგრამ მივიღეთ ცნობა, რომ გუდაუთისა და რიწის ტერიტორიაზე არსებული თქვენი აგარაკები მზად არის უმაღლესი სტუმრის მისაღებად. ხომ არ ინებებთ გაჩერებას და ღამის გათევას რომელიმე აგარაკზე? მალე სოხუმშიც შევალთ.

— არა, ამხანაგო სუხარევსკი, — თბილად მიუგო სტალინმა, — გაუჩერებლად ვიაროთ!

ბელადის თბილი ტონით წახალისებულმა გენერალმა ახალი შეკითხვა დასვა:

— სამარშრუტო გეგმაში აღნიშნული არ არის გაჩერება. გაუჩერებლად ვივლით?

— მითითებებს დაელოდეთ, ამხანაგო გენერალო!

— არის, ამხანაგო სტალინ! — ქუსლი ქუსლზე მსუბუქად მიირტყა გენერალმა.

მარტო დარჩენილ ბელადს გაეღიმა. მან იცოდა, გუდაუთაში და რიწაზე სტალინის აგარაკებზე გამოკრული განცხადება იუწყებოდა, რომ აგარაკის დათვალიერების საფასური იყო ასი რუსული რუბლი, ხოლო სტალინის საწოლზე რამდენიმე წამით წამოწოლის მსურველებს ეს სიამოვნება დამატებით ორასი რუსული რუბლი დაუჯდებოდათ. რომელი უმაღლესი სტუმრის მისაღებად მზადყოფნაზე საუბრობდა სუხარევსკი? — აი, რამ გაალიმა ბელადი. საქმე ის არის, რომ ჩვენი ფანტაზია ბელადს ერთდროულად ამოგზაურებს ორ დროში — წარსულსა და აწმყოში. აქ შეგნებულად დავუშვით მცირე აცდენა — სუხარევსკი წარსულ დროში დავტოვეთ, ბელადი კი — აწმყოში. ასეთია ფანტაზიის შესაძლებლობები....

სტალინის ყურადღება კვლავ აფხაზეთის პეიზაჟებმა მიიპყრო. ათასგვარი წიწვოვანის — კედარის, ნაძვისა და სოჭის მარადმწვანე, მუდმივად ჟანგბადით სავსე ჯიშები, მუხის, ცაცხვისა და ევკალიპტის წარმოუდგენლად ტანმაღალი ასწლოვანი ხეები, დიდფოთლება მაგნოლიები, თოკივით დაგრეხილი ზღმარტლის, უნაზესყვავილებიანი ფეიხოას, ეგზოტიკური ზეთისხილისა და გამჭვირვალემერქნიანი უნაბის ხეები საშინელი სისწრაფით მიქროდნენ ბელადის ვაგონის გასწვრივ... თანდათან ღონეს იკრებდა ბინდი და სადაცაა წყვდიადში ჩაიძირებოდა აფხაზეთი. ცოტა ხანში მართლაც აღარაფერი ჩანდა ფანჯრიდან, ლიანდაგებზე ბორბლების რახარუხი და ქარის ქშენა ისმოდა მხოლოდ. წამის წინათ ჩამავალი მზის მეწამული სხივებით აელვარებული თვალისმომჭრელი და ღვთაებრივი სილამაზე ჯოჯოხეთურმა უკუნმა შთანთქა... და გაახსენდა ბელადს დიდოსტატ კონსტანტინეს მიერ დიდი ხნის წინათ ნათქვამი: „არსად ისეთი ბნელი ღამე არ იცის, როგორიც — აფხაზეთში“.

**წყვდიადში მიქროდა უდიდესი და უკიდეგანო სიცრუის — ფანტაზიის — წყალობით ამ ახალ დროში გადმოსროლილი დიდი წარსულის დიდი მატარებელი, რომელშიც ყველა დროის ყველაზე დიდი ადამიანი იჯდა და ღრმა ფიქრებს მისცემოდა. „ეჰ, ლავრენტი, ლავრენტი, — ფიქრობდა იგი, — ბევრი ვიწვალეთ მე და შენ აფხაზეთისთვის, სრულიად საქართველოსთვის; გვეგონა, რომ ავაყვავეთ კიდეც ჩვენი სამშობლო, მაგრამ ვხედავ, რომ დაიღუპა ქვეყანა. დაღუპულია უაფხაზეთო საქართველოც და ორგზის დაღუპულია საქართველოს მოწყვეტილი აფხაზეთიც. ჩემი და შენი უმძიმესი შეცდომის ბრალია ეს.**

ჩვენს ეპოქაში დასავლეთი ვერ გვჯაბნიდა, გერმანული ფაშიზმიც დავამარცხეთ და ანგლოსაქსურ ვირ-ეშმაკობასაც მაგარი აღვირი ამოვდეთ, მაგრამ გრძელ დისტანციაზე მაინც გვაჯობეს, რა ვერ გავთვალეთ“?

ასე მძიმე ფიქრებში გართული გაუნძრევლად იჯდა სავარძელში, ვიდრე ფანჯრებში ერთბაშად არ შემოანათა ოქროსფერმა ნათელმა — უზარმაზარი მთვარის დისკო გამოეკიდა აფხაზურ ცაზე და, თითქოს ამას ელოდაო, აფხაზური „ვარადოს“ ჟრუანტელისმომგვრელი ჰანგები გაისმა საიდანღაც, რომელსაც მგრგვინავი „ერგეაშვა“, მიუჩვეველი ყურისთვის ოდნავ გამყივანი „სალუმან ახაწა“, ველური „აზამატი“, აღმოსავლური ჰანგებით გაჯერებული „შარათინი“ და უკიდეგანო სევდის მომგვრელი „აჭარპანი“ მოჰყვა. თითოეული მათგანი სრულყოფილად იცოდა ბელადმა და უკვირდა ფრიად, რომ ყოველ მათგანში ქართლური სიმღერების — „ცედურის“, „ჭონას“ და „გაფრინდი შავო მერცხალოს“ ინტონაციები ჩაესმოდა. ბელადი ცალკერძ ტკბებოდა ამ ჯადოსნური ხმებითა და არნახული პეიზაჟებით, რომელმაც სრულყოფილი სახე მაშინ მიიღო, როდესაც მთვარის შუქით განათებული, ოქროსფერი, უკიდეგანო ზღვა სპარსულ ხალიჩათა ნაირსახეობად, — ფარშ, ქალიჩეჰ, ქილიმ და ზილუ გაიფინა ერთბაშად, ცალკერძ კი ბასრი დანა უსერავდა გულს და „ეჰ, ლავრენტი, ლავრენტი“, — ჩურჩულებდა ბაგემოკუმული.

**წარსულის დიდი მატარებელი სოხუმში შესრიალდა. ბელადი სავარძლიდან წამოდგა და ფანჯრის ჯავშნიან შუშას მიადგა. ოდესღაც ულამაზეს სოხუმს, როგორც ბელადს მოეჩვენა, ცხვირპირი ჩამოსტიროდა. ულიმღამო განათება მოუვლელობით ჩამოძონძილი შენობა-ნაგებობების უბადრუკობას ხაზს უსვამდა და თითქოს საგანგებოდ წარმოაჩენდა. სუსტად განათებული და ალაგ-ალაგ ჩამქრალი რუსული წარწერები და რეკლამები ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდა, ქართველის ჭაჭანება აქ თითქოს არასოდეს ყოფილაო. გაახსენდა ბელადს, რა ძნელი იყო მისთვის ქლუხორის რაიონის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში შეყვანის შესახებ გადაწყვეტილების მიღება 1943 წელს. ძნელი იყო, მაგრამ მიიღო. საქართველოს მაშინ მთელი აფხაზეთის არა, მაგრამ მისი ნახევარი ტერიტორია შეემატა თითქმის.**

იდგა ბელადი სოხუმის გასწვრივ მთელი სისწრაფით მიმავალი ძველი მატარებლის ჯავშნიანი სპეცვაგონის ფანჯარასთან, ოდნავ ჩამოწეული სარკმლიდან შემონაბერი ნიავი უგრილებდა შუბლს და გონებაში მერამდენედ უსვამდა შეკითხვას ქართველ ხალხს: **„დღეს ქლუხორი კი არა, ისტორიული აფხაზეთი და ცხინვალიც რომ დაკარგული გაქვთ, ამ საქართველოდან იმ საქართველოს ლანძღვა ლოგიკურია“?!**

ერთ საათზე ნაკლებ დროში წარსულის დიდმა მატარებელმა ენგურის ხიდზე გადაიქროლა. უკან დარჩა აფხაზეთი და, მიუხედავად იმისა, რომ სამეგრელოც არანაკლებ წყვდიადში იყო ჩაძირული, ბელადმა გამახვილებული ყნოსვით შეიგრძნო კოლხეთის გაწუმეორებელი სურნელი, რომლის უძველესი ცივილიზაციისა და ოქრომრავლობის ისტორია, ამ ისტორიასთან დაკავშირებული მითებითა და ლეგენდებით შესანიშნავად იცოდა, მაგრამ კიდევ უფრო კარგად უწყოდა ჭაობად ქცეული ამ ვრცელი ტერიტორიის დაშრობისა და მისი წალკოტად ქცევის სასწაულის დარი ისტორია, რომლის ავტორი და შემოქმედი თვითონ გახლდათ. კოლხეთის დაბლობზე მიქროდა წარსულის დიდი მატარებელი და გარეთ გამეფებულ წყვდიადში ადამიანის თვალი, მართალია, ვერაფერს გაარჩევდა, მაგრამ **ბელადი ნათელმხილველივით შესანიშნავად ხედავდა გავერანებულ ჩაის პლანტაციებს, დანგრეულ გადამამუშავებელ ფაბრიკებს, ჯართადქცეულ მთელ ინფრასტრუქტურას და გულში კვლავ ეკითხებოდა დამბლადაცემულ ქართველობას: „ამ საქართველოდან იმ საქართველოს ლანძღვასა და კილვას რა გული გაძლევთ, ქართველებო“?!**

ვაგონის კაბინეტის კარზე კვლავ აინთო წითელი შუქი. ცოტა ხანში კარიც გაიღო. ამჟამად ზღურბლზე ვაგონ-რესტორნის დიასახლისი იდგა. ბელადმა ოდნავ დაუქნია თავი.

დიასახლისი მისკენ დაიძრა, მიუახლოვდა და სრულიად არაოფიციალური, მზრუნველი კილოთი წარმოთქვა მთელ საბჭოეთში ყველაზე ოფიციალური სიტყვები.

— ამხანაგო სტალინ!...

— გისმენთ, ამხანაგო კუზნეცოვა, — არანაკლები სითბო იგრძნობოდა ბელადის სიტყვებშიც.

— რა მოგართვათ, რას ინებებთ?

— არაფერი, არაფერია საჭირო.

— ჩაი, ამხანაგო სტალინ, საღამოს ჩაი მაინც......

— ქართველებმა მტკიცე უარი ვთქვით ჩაიზე....

დიასახლისი, რომელიც ნათქვამის შინაარსს ვერ ჩასწვდა, უხერხულად იღიმოდა და არ იცოდა, რა ექნა.

— ქართველებმა ჩაისა და ციტრუსებს დასავლური დემოკრატიის ჰაერით სუნთქვა ვამჯობინეთ. გაიგეთ, ამხანაგო კუზნეცოვა?

საბოლოოდ დაბნეულმა დიასახლისმა მხნეობა მოიკრიბა, წელში გასწორდა და ნირწამხდარმა წარმოსთქვა:

— ნება მომეცით, გავიდე, ამხანაგო სტალინ!

— წაბრძანდით, ამხანაგო კუზნეცოვა, ოღონდ თქვენ აუცილებლად დალიეთ ჩაი, საღამოს ჩაი....

დიასახლისის გასვლისთანავე სტალინი წამოდგა და საძინებელ კუპეს მიაშურა. კიტელი გაიხადა და სავარძელზე მიაგდო. ფეხზეც არ გაუხდია, ისე წამოწვა საწოლზე. ფიქრში გაატარა მთელი ღამე. **„ბოლო ოცდახუთი წლის განმავლობაში საქართველომ ტერიტორიის ოც პროცენტზე მეტი და მოსახლეობის ოცდაათ პროცენტზე მეტი დაკარგა“, — ფიქრობდა იგი და ამ ამბით გაოცებული მერამდენედ სვამდა რიტორი-**

განსჯისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95


ვალერი კვარაცხელია

**გაახსენდა ბელადს, რა ძნელი იყო მისთვის ძლუხორის რაიონის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში შეყვანის შესახებ გადაწყვეტილების მიღება 1943 წელს. ძნელი იყო, მაგრამ მიიღო. მაშინ საქართველოს მთელი აფხაზეთის არა, მაგრამ მისი ნახევარი ტერიტორია შეემატა თითქმის.**

**«ბოლო ოცდახუთი წლის განმავლობაში საქართველომ ტერიტორიის ოც პროცენტზე მეტი და მოსახლეობის ოცდაათ პროცენტზე მეტი დაკარგა», — ფიქრობდა იგი და ამ ამბით გაოცებული მერამდენედ სვამდა რიტორიკულ შეკითხვას: «ამ საქართველოდან იმ საქართველოს ანათემაზე გადაცემა შეიძლება»?!**

**კულ შეკითხვას: „ამ საქართველოდან იმ საქართველოს ანათემაზე გადაცემა შეიძლება“?!**

დიდხანს უტრიალა ამ შეკითხვას, მაგრამ ამ გასაოცარი ლოგიკის გასაღებს ვერ მიაგნო. სოციოლოგიისა და სოციალური ფსიქოლოგიის ფუნდამენტურ საკითხებს მიადგა, საზოგადოებრივი აზრის ფორმირების მექანიზმებზე დაფიქრდა და აღიარა, რომ პოლიტიკური და საარჩევნო ტექნოლოგიებისა და საზოგადოებრივ ცნობიერებაზე ზემოქმედების თვალსაზრისით დასავლეთი წარმოუდგენლად გაიქრა წინ. მის მიერვე დიდი ხნის წინათ ნათქვამი გაახსენდა: „არჩევნებში მთავარი ის კი არ არის, ხმებს ვის აძლევენ, მთავარი ისაა, ხმებს ვინ ითვლისო“. დასავლურ არჩევნებზე ლაპარაკობდა, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, სწორად ვერ გაუგეს. მარჯვენა მუშტი შეკრა და ისე ძლიერ მოუჭირა, რომ მუჭში საკუთარ პულსს გრძნობდა. მერე ნელა, თავისთავად გაიშალა შეკრული მუშტი. თვლემა მოერია.

სამტრედიაში შემადგენლობამ მკვეთრად მოუხვია მარცხნივ და გეზი ბათუმისკენ აიღო....

— ალლაჰ ლა ილლაჰა ილლა ალლაჰ! — მისწვდა მთვლემარე ბელადის ყურთასმენას.

მსწრაფლ გამოფხიზლდა.

— ილლა ლა ილლააა ლაჰ ალლაააააჰ!...

წარსულის დიდი მატარებელი ბათუმში შედიოდა.

ფანჯარაში დილის რიჟრაჟი აღწევდა. ადგა, ხელ-პირი დაიბანა, კიტელი ჩაიცვა და სამუშაო კაბინეტში გამოვიდა. ფანჯარას მიადგა. **მატარებელი ქალაქში შევიდა, მაგრამ სადღა იყო ბათუმი — ძველი, ევროპული, ზღვისპირა ქალაქი? მრავალსართულიანი, უსახური და უგემოვნო ნაგებობებით სრულიად დესტილიზებული და დამახინჯებული ქალაქი თითქოს შველას ითხოვდა.**

ბელადი ტელეფონის ყურმილს დასწვდა და შემადგენლობის მეთაურის ნომერი აკრიფა.

— გენერალ-ლეიტენანტი სუხარევსკი გისმენთ, ამხანაგო სტალინ!

— ბათუმში არ ვჩერდებით, თურქეთის საზღვრამდე იარეთ! — მოკლე იყო ბრძანება.

ბელადი კვლავ ფანჯარასთან იდგა. არც ერთი შენობა არ ეცნო. **ინგლისური და თურქული წარწერებით იყო მოფენილი ყველა კედელი, ყველა შესასვლელი და ყველა ვიტრინა. ფანჯარა გამოაღო. თურქული ლაპარაკი ნიაღვრად მოედინებოდა ქუჩებიდან. კაფეებს, მაღაზიებს, ჯიხურებს ხმაურით აღებდნენ სირბილით მოსიარულე თურქები. ერთმანეთს ასწრებდნენ და ისე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს თურქულმასპინძლური მიხვრა-მოხვრით, თითქოს სტუმრების დასახვედრად ემზადებიანო. თენდებოდა ლამის გათურქებულ ბათუმში.**

რამდენიმე წუთში წარსულის დიდი მატარებელი თურქეთის საზღვარს მიადგა. **სტალინი სარფს იქეთა საქართველოს გაჰყურებდა და ახსენდებოდა, რა შრომა გასწია თურქეთის მიერ მიტაცებული ქართული მიწების დასაბრუნებლად თავის დროზე. ჯერ თეირანის, შემდეგ იალტისა და მერე პოტსდამის კონფერენციებზე როგორ დაჰყვებოდა სერგო ქავთარაძე დიდი შავი საქაღალდით, რათა შესაფერის სიტუაციაში, როდესაც სტალინი ამ საკითხის წამოწევას შეძლებდა, მისთვის ეს საქაღალდე გადაეცა, რომელშიც ყველა დოკუმენტი ქრონოლოგიურად იყო ჩალაგებული. ვაგლახ, რომ ვერ მიიყვანა საქმე ბოლომდე.** არადა, საქართველოში უზარმაზარი სამუშაო იყო ჩატარებული. საზოგადოებრივი აზრი შექმნილი იყო. მეტიც, **საქართველოს კომპარტიის ტაო-კლარჯეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის კანდიდატურაც შერჩეული ჰყავდა. შემდეგ ამერიკელებმა იაპონიის ქალაქებში — ჰიროსიმასა და ნაგასაკიში ატომური ბომბები ჩამოყარეს, რითაც სტალინის ოცნებას საქართველოსთვის ისტორიული მიწების შემოერთების შესახებ წერტილი დაესვა. ახლა კი თურქები ეპოტინებიან ბათუმს და ამას მათი ისტორიული მიწების დაბრუნებას ეძახიან. ქართველები კი ამ საქართველოდან საბჭოთა სოციალისტურ საქართველოს ლანძღავენ. „რა ჰქვია ამას“? — მერამდენედ ეკითხებოდა ბელადი საკუთარ თავს.**

სარფში რამდენიმე წუთით შეჩერებული შემადგენლობა ბელადის ბრძანებით უკან წამოვიდა და **გურია-იმერეთის** გავლით გეზი თბილისისკენ აიღო.

თბილისამდე გაუჩერებლად იარეს. **გურიის ყოფილ მილიონერ, ახლა კი იავარქნილ კოლმეურნეობებს ჩაუარეს; გავერანებულ ტყიბულს, რომელშიც ნახშირის უმდიდრესი საბადოები იყო; მარგანეცით მდიდარ, ახლა გასხვისებულ ჭიათურას; მერე ოდესღაც ხეხილით განთქმულ, ამჟამად გახრიოკებულ ქართლის ველებს ჩაუქროლეს და თბილისსაც მიადგნენ.** ბელადმა თვალის ერთი შევლებით დაინახა, რას ნიშნავს ქვეყნისთვის უთავობა და უპატრონობა. **რკინიგზის სადგურის, სპორტის სასახლისა და გიორგი სააკაძის მოედნის მიმდებარე ტერიტორიების ხილვამ, რომლებზეც სამშენებლო ბუმი იდგა, ბელადი იმაში დაარწმუნა, რომ ქალაქების ნგრევა არა სახელდობრ ნგრევით, არამედ უტვინო და უგემოვნო შენებითაც შეიძლება.**

რუსთავში ჩასულმა ბელადმა აღმოაჩინა, რომ ბოლო ოცდახუთი წლის განმავლობაში არა მხოლოდ გემთმშენებელი, მანქანათმშენებელი, ჩარხმშენებელი, ელმავალმშენებელი, ავიამშენებელი და სხვა უმდიდრესი და უძვირფასესი გიგანტები დაუნგრევიათ, არა მხოლოდ საბჭოთა საქართველოს სამრეწველო პოტენციალის სიამაყე რუსთავის მეტალურგიული და ქიმიური ქარხნები, არამედ სახელგანთქმული ქართული მუშათა კლასის სიმბოლო, თვით რუსთავი ისე გაუნადგურებიათ და აუოხრებიათ, რომ ნაომარი ქალაქისთვის დაუმსგავსებიათ. **„ამ მდგომარეობაში მყოფ საქართველოდან იმ მდგომარეობაში მყოფი საქართველოს კრიტიკა, რა მდგომარეობაშიც საბჭოთა სოციალისტური საქართველო იყო, რა სინდის-ნამუსითაა შესაძლებელი“? — კვლავ საკუთარ თავს ეკითხებოდა ხალხთა ბელადი.**

დიდი სამამულო ომი დაწყებული იყო, როდესაც საქართველოში მეცნიერებათა აკადემიას ვქმნიდით. **ნანგრევებად ქცეული ასეულობით საბჭოთა ქალაქის მშენებლობის კვალდაკვალ, ურთულესი რელიეფის მქონე თბილისში მეტროპოლიტენის მშენებლობა დავიწყეთ, საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, ოცდახუთი წლის განმავლობაში, მეტროპოლიტენის იმ დროისათვის უკვე დაწყებული ერთადერთი სადგურის დამთავრება ვერ მოახერხეთ და ამ საქართველოდან იმ საქართველოს უყიჟინებთ?** ადამიანებს ღირსება და პატივი შეულახეთ; უფასო ჯანდაცვისა და განათლების უნიკალური სისტემები დაუნგრიეთ; ყველა შემოქმედებითი კავშირი, უდიდესი გამოცდილების მქონე სამეცნიერო ინსტიტუტები, უმდიდრესი კინოსტუდია და კინოგაქირავების ასევე უმდიდრესი ქსელი გაუუქმეთ; **ხუთმილიონნახევრიანი მოსახლეობა ორი მილიონით შეამცირეთ; ერი დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე დააყენეთ; ხალხს ყოველგვარი პერსპექტივა მოუსპეთ; იმედი წაართვით; ოცნების უნარი დაუკარგეთ და ამ საქართველოდან იმ საქართველოს აფურთხებთ?!** ესეც არ იკმარეთ და საბჭოთა სოციალისტურ მონაპოვარს, ე.წ. ოკუპაციის მუზეუმით უპასუხეთ. ეს მაშინ, როდესაც ერს მისი ისტორიული სიამაყე — ხელოვნების ინსტიტუტი წაართვით. **პეტრე იბერისა და არსენ იყალთოელის ერს ფილოსოფიის ინსტიტუტი გაუუქმეთ; დიმიტრი უზნაძის ერს ფსიქოლოგიის ინსტიტუტი დაუხურეთ. თუ გიფიქრიათ მაინც, როდის შეიქმნა ეს ყოველივე?! ჩემი ბრალია ყველაფერი, მე ვერ ამოვძირკვე სარეველა, ვერ გავანეიტრალე საწამლავი... ეჰ, ლავრენტი, ლავრენტი...“.**

ბელადი ფანჯარას მოსცილდა, სავარძელში დაღლილი და სახეალეწილი ჩაეშვა, თან ტელეფონის ყურმილს დასწვდა.

— ამხანაგო სუხარევსკი, მოსკოვში მივდივართ!

— არის, ამხანაგო სტალინ!

— გაჩერების გარეშე! — დასძინა ბელადმა...

დაახლოებით ერთ საათში წარსულის დიდი მატარებელი მკვეთრად დამუხრუჭდა. სტალინი კვლავ დასწვდა ტელეფონის ყურმილს.

— რა მოხდა? — მკაცრად იკითხა.

— ამხანაგო სტალინ, გორში ვართ, თქვენს მშობლიურ ქალაქში. ქუჩებში ათიათასობით ადამიანია გამოსული. მაგისტრალი ჩაკეტილია. ხალხი თქვენთან შეხვედრას ითხოვს.

სტალინმა ყურმილი დაკიდა.

იმავე წამს სტალინის კაბინეტში წითელი შუქი აინთო. ცოტა ხანში კარი გაიღო და დაცვის უფროსი ვლასიკი და მისი მოადგილე თევდორაძე შემოვიდნენ. სტალინი ვაგონიდან ჩასასვლელ კართან იდგა.

— ამხანაგო სტალინ! — თითქმის ერთდროულად წარმოთქვა ორივემ.

— ხალხში გასვლა გამორიცხულია! — ბრძანების კილოთი, მაგრამ მაინც განწირული ხმით წამოიძახეს მათ.

— ეს გორია, ჩემი მშობლიური ქალაქი, ესენი კი გორელები არიან, ჩემი მშობელი ხალხი, — ხაზგასმული სიმშვიდით უპასუხა ბელადმა და კარის სახელურს მისწვდა....

მატარებელი ზღვა ხალხის ალყაში იყო მოქცეული. მთელი გორი ხალხით გავსებული იყო. გორელებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოსულ ადამიანთა უზარმაზარი ტალღები ემატებოდა.

ჯავშნიანი ვაგონის კარი გაიღო და მილიონიანი ქართველი საზოგადოების წინაშე მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადი წარდგა.

მარჯვენა მკლავი მაღლა აღმართა და ასე ზეშემართული ხელის მსუბუქი მოძრაობით დიდხანს ესალმებოდა ხალხს. მერე ვაგონის კიბე მშვიდად ჩაიარა და ხალხისკენ გაემართა. ხალხი შემჭიდროვდა და ბელადის ირგვლივ რკალად შეიკრა. ეს რკალი ბელადთან ერთად მოძრაობდა და, რაც უფრო წინ მიიწევდა იგი, რკალიც არ ვიწროვდებოდა, ისე მიჰყვებოდა ხალხის სიღრმისკენ. ბოლოს, როდესაც მთლად ხალხის შუაგულში აღმოჩნდა, ბელადი შემაღლებულ ადგილზე შედგა.

— დავბრუნდი! — წარმოთქვა მან ერთადერთი სიტყვა.

— დიდება შენს მობრძანებას! — ისე ერთხმად დაიქუხა ხალხმა, თითქოს რეპეტიცია ჰქონოდა გავლილი მრავალჯერ.

— წამომყვებით? — იკითხა მან ერთგვარი მორიდებით.

— მოგყვებით! — ერთხმად გუგუნებდა ხალხი.

ბელადი დაიძრა. ხალხის მილიონიან მასაში იგი თავისუფლად გადაადგილდებოდა, ვინაიდან მის ირგვლივ შეკრული რკალი მუდამ უცვლელი რჩებოდა. იგი ქალაქის გარეუბანში, ერთ პატარა სახელოსნოში შევიდა, სადაც კუსტარული საზეინკლო დაზგა იდგა. ხალხი სახელოსნოს კარს მიაწყდა, მაგრამ კვლავ რკალი გაკეთდა და ყველაფერი დაწყნარდა.

ბელადმა კიტელის სახელოები აიკაპიწა და საზეინკლო დაზგასთან დადგა, რაღაც გადახერხა, რაღაც გამოკვერა, რაღაც გაქლიბა და დაახლოებით ნახევარსაათიანი მუშაობის შემდეგ ხელში ერთმანეთზე გადაჯვარედინებული ნამგალი და ურო ეჭირა. ხალხი ამას მქუხარე ტაშითა და ოვაციებით შეხვდა.

— დიდება შრომას!

— შრომამ შექმნა ადამიანი!

— თავისუფალ შრომას გაუმარჯოს!

— სოციალურ სამართლიანობას გაუმარჯოს!

— სოციალიზმს გაუმარჯოს! — გუგუნებდა მილიონობით ადამიანი და ამდენივე წითელი დროშა ფრიალებდა ჰაერში.

— რამდენიმე დღეში საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება. ვის მივცეთ ხმა? — იკითხა ვიღაცამ.

— ხალხს ერთადერთი არჩევანი აქვს ყოველთვის: ან მონობაში დარჩენა, ან მონობისგან გათავისუფლება. სხვა არჩევანი არ არსებობს. ვისაც უნდა, მისცეს ხალხმა ხმა, დასავლურ-ბურჟუაზიული არჩევნები ერთი და იგივე შედეგით მთავრდება ყოველთვის!

პატარა სახელოსნოს წინ იდგა მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადი, რომელსაც კიტელის სახელოები აკაპიწებული ჰქონდა და ოფლიან სახეს დაჭმუჭნული ცხვირსახოცით იმშრალებდა.

აქ კიდევ ერთხელ ამუშავდება ფანტაზიის კანონი და კიდევ ერთხელ შეგნებულად გადავაკვეთინებთ ერთმანეთს წარსულსა და აწმყოს:

**ადამიანთა მილიონიან ტალღას სანდომიანი სახის ხანდაზმული ქალბატონი გამოეყო და ბელადისკენ გაემართა. მის ირგვლივ უმალვე შეიკრა ისეთივე რკალი, როგორიც ბელადის ირგვლივ იკვრებოდა ხალხში გადაადგილებისას. ქალბატონს ნაოჭებიანი კაბა ფეხსაცმლებს უფარავდა, თავს ჩიხტიკოპი უმშვენებდა და სახეზე მსუბუქი ფერ-უმარილის კვალი ეტყობოდა. იგი ბელადის წინ შედგა.**

— დედაჩემო! — წარმოთქვა ბელადმა, დაიხარა და ხელზე ეამბორა მოხუცს, შემდეგ კი გულში ჩაიკრა აქვითინებული მშობელი, რომელსაც სული ყელში ებჯინებოდა და უმწეო მხრები უცახცახებდა.

— სულ დაბრუნდი? — ეკითხებოდა დიდი ხნის უნახავ შვილს.

— სულ დავბრუნდი! — იყო პასუხი.

— რა გზას დაადგები?

— ყველაფერს თავიდან დავიწყებ, გორიდან....

წარსულის დიდმა მატარებელმა იმავე დღეს ბელადის გარეშე აიღო გეზი მოსკოვისკენ.

**ვალერი კვარაცხელია**

**ბელადმა თვალის ერთი შევლებით დაინახა, რას ნიშნავს ქვეყნისთვის უთავობა და უპატრონობა. რკინიგზის სადგურის, სპორტის სასახლისა და გიორგი სააკაძის მოედნის მიმდებარე ტერიტორიების ხილვამ, რომლებზეც სამშენებლო ბუმი იდგა, ბელადი იმაში დაარწმუნა, რომ ქალაქების ნგრევა არა სახელდობრ ნგრევით, არამედ უტვინო და უგემოვნო შენებითაც შეიძლება**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ევროკავშირი გადამწყვეტი ფაქტორია ევროპისა და დასავლეთის კავშირში. ამ ფაქტორის შესუსტება აღმოსავლური პერსპექტივის გაძლიერებას ნიშნავს. თუ ამას დაემატება პრეზიდენტი დონალდ ტრამპი, რომელიც აღფრთოვანებას ვერ მალავს რუსეთის სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელი ვლადიმერ პუტინის მიმართ, მივიღებთ იალტა 2.0-ს, ოღონდ არა ევროპის სასარგებლოდ. ევროპაში კი ანტიამერიკანიზმი კიდევ უფრო გავრცელდება, ტრანსატლანტიზმი კი ძლიერ დარტყმას მიიღებს.**

### იოშკა ფიშერი:

# შესაძლოა, დასავლეთმა მალე აღარ იარსებოს

**ბრექსიტი, დონალდ ტრამპი, მარინ ლე პენი — მსოფლიოს პოლიტიკას საპასუხისმგებლო თვეები ელის. ევროპა შეიძლება ქაოსში ჩაიძიროს.**

დასავლეთის წამყვანმა ერებმა წელს და გაისად უნდა მიიღონ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რომლებსაც შეუძლია საფუძვლიანად შეცვალოს დასავლეთი, როგორსაც მას ათწლეულების განმავლობაში ვიცნობდით. პირველი — უკვე შეთანხმებული ბრექსიტი, ანუ ევროკავშირიდან დიდი ბრიტანეთის გასვლა. მეორე — საპრეზიდენტო არჩევნები აშშ-ში, თუკი გაიმარჯვებს დონალდ ტრამპი და მესამე — საფრანგეთი, რომელიც, თუკი 2017 წლის გაზაფხულზე გადაწყვეტს, რომ პრეზიდენტად მარინ ლე პენი აირჩიოს, ევროპის წინააღმდეგ წავა.

ერთი წლის წინათ ამ შესაძლებლობებზე სერიოზული მსჯელობაც კი აბსურდად მიიჩნეოდა. მოვლენების განვითარების ასეთი ვარიანტის აუცილებლობა ჯერჯერობით არ დგას, მაგრამ გულწრფელად უნდა ვაღიაროთ, რომ სრულიად შესაძლებელია, სწორედ ასე განვითარდეს. პრეზიდენტის პოსტზე რესპუბლიკელების მიერ ტრამპის დასახელება, ისევე, როგორც უმრავლესობის მიერ ევროკავშირიდან დიდი ბრიტანეთის გასვლისთვის მხარდაჭერა, ხომ საკმაო ხნის განმავლობაში დაუჯერებლად მიიჩნეოდა?!

## დიდი ბრიტანეთის არჩევანი ევროპული წესრიგის წინააღმდეგ

აშკარაა, რომ დასავლური სამყაროს, ევროპის, ტრანსატლანტიზმის საფუძველი და კავშირები დასავლეთთან დახრილ სიბრტყეზე მიექანება და, მოვლენების ასეთი განვითარების შედეგების წინასწარმეტყველება ჯერჯერობით შეუძლებელია.

**დიდი ბრიტანეთი** გამოვიდა ევროპის კავშირის წინააღმდეგ და ამით, ფაქტობრივად, გამოვიდა წინააღმდეგ ევროპული წესრიგისა, რომელიც დაფუძნებულია ინტეგრაციაზე, თანამშრომლობაზე, საერთო ბაზარზე და საერთო სამართლებრივ სივრცეზე ევროპაში. და ეს მოხდა იმ ისტორიულ მომენტში, როცა ეს წესრიგი ძლიერ ზემოქმედებას განიცდის როგორც შიგნიდან, ასევე — გარედან.

შიგნიდან — ნაციონალიზმისგან, რომელიც ევროკავშირის თითქმის ყველა წევრ ქვეყანაში ძალას იკრებს, გარედან — რუსეთის პოლიტიკისა და ევროკავშირის ალტერნატიული მოდელის, „ევრაზიული კავშირის“, შექმნის გამო.

ეს მოდელი სხვა არაფერია, აღმოსავლეთ ევროპაში რუსეთის ბატონობის რესტავრაციის მცდელობის გარდა. ორივე ძალა მიმართულია ევროკავშირის დანგრევისკენ. **დიდი ბრიტანეთის გარეშე, რომელიც ევროპული წესრიგის ტრადიციული გარანტი იყო, ევროკავშირი უეჭველად დასუსტდება.**

## ლე პენის არჩევა ევროკავშირის დასასრული იქნება

ევროკავშირი გადამწყვეტი ფაქტორია ევროპისა და დასავლეთის კავშირში. ამ ფაქტორის შესუსტება აღმოსავლური პერსპექტივის გაძლიერებას ნიშნავს. თუ ამას დაემატება პრეზიდენტი **დონალდ ტრამპი**, რომელიც აღფრთოვანებას ვერ მალავს რუსეთის სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელი ვლადიმერ პუტინის მიმართ, მივიღებთ იალტა 2.0-ს, ოღონდ არა ევროპის სასარგებლოდ. ევროპაში კი ანტიამერიკანიზმი კიდევ უფრო გავრცელდება. ტრანსატლანტიზმი კი ძლიერ დარტყმას მიიღებს.



იოშკა ფიშერი




**მარინ ლე პენის** არჩევა ნიშნავს, არც მეტი არც ნაკლები, ევროპისგან საფრანგეთის (რომელიც გერმანიასთან ერთად ქმნის საძირკველს, რომელზეც დგას ევროკავშირის კონსტრუქცია) განდგომას, სავარაუდოდ, ევროკავშირის დასასრულს და ევროპის ქვეყნების ხელისუფლებაში ნაციონალიზმის დაბრუნებას. დიდი ბრიტანეთი და შეერთებული შტატები არაიზოლაციონისტური კურსით და საფრანგეთი ევროპიდან გასვლის გზაზე, უკან, ნაციონალიზმისკენ — ეს შეიძლება 2017 წელს მოხდეს. ასეთ შემთხვევაში დასავლური სამყარო ძალიან შეიცვლება. ევროპა აღარ იქნება სტაბილური და კვლავ გახდება ქაოსისა და საეჭვო მომავლის კონტინენტი.

**მარინ ლე პენის არჩევა ნიშნავს, არც მეტი არც ნაკლები, ევროპისგან საფრანგეთის (რომელიც გერმანიასთან ერთად ქმნის საძირკველს, რომელზეც დგას ევროკავშირის კონსტრუქცია) განდგომას, სავარაუდოდ, ევროკავშირის დასასრულს და ევროპის ქვეყნების ხელისუფლებაში ნაციონალიზმის დაბრუნებას**

## ბევრი რამ დამოკიდებული იქნება იმაზე, დარჩება თუ არა ანგელა მერკელი პოსტზე 2017 წელს

ამ ყველაფერში რა როლს შეასრულებს გერმანია, ევროპის ცენტრში მდებარე ქვეყანა, მოსახლეობის ყველაზე დიდი რაოდენობით, ყველაზე მძლავრი ეკონომიკითა და თავისი განსაკუთრებით რთული ისტორიით? **თუ ევროპული პროექტი კრახით დასრულდება ან, უბრალოდ, დიდი ხნის განმავლობაში დასუსტდება, მაშინ გერმანიას მოუწევს ეკონომიკურად და პოლიტიკურად მაღალი ფასის გადახდა. ქვეყანა თავისი ინტერესებით ძალიან არის დამოკიდებული ევროპის წარმატებაზე და ნაციონალიზმის დაბრუნება არსად ისეთი სახიფათო არ არის, როგორც ევროპის გულში მდებარე ამ ქვეყანაში. გერმანულმა ნაციონალიზმმა XX საუკუნის პირველ ნახევარში ყველას დაანახვა, რა შეუძლია და რა უბედურება შეუძლია დაატეხოს თავს კონტინენტს.** ამას დაუმატეთ გერმანიის გეოპოლიტიკური მდგომარეობაც. საფრანგეთი — ეს ერთმნიშვნელოვნად დასავლური, ატლანტიკური და ხმელთაშუა ზღვის ქვეყანაა, მაგრამ ასეთი არ არის გერმანია. დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის აქეთ-იქით რყევა მისი შექმნის მომენტიდან არსებობდა და ეს მესამე რაიხშიც ასე იყო. აღმოსავლეთი თუ დასავლეთი — ეს საკითხი საბოლოოდ გადაწყდა 1945 წლის 8 მაისს გერმანიის სრული დამარცხებისა და **კონრად ადენაუერის** მიერ ფედერაციული რესპუბლიკის შექმნის შემდეგ.

ადენაუერისთვის ახალგაზრდა ფედერაციული რესპუბლიკის ინტეგრაცია უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე გერმანიის გაერთიანება, რადგან მან თვითონ გამოსცადა ორი მსოფლიო ომითა და ვაიმარის რესპუბლიკის ჩაფლავებით გამოწვეული გერმანიის ტრაგედია. მისი აზრით, გერმანია თავისი ცენტრალური მდგომარეობიდან (იზოლაციიდან) დასავლეთთან ინტეგრაციის გზით უნდა გამოსულიყო. ამისათვის კი გერმანია-საფრანგეთის მეგობრობა და ევროპული ინტეგრაცია აუცილებელი იყო.

გერმანიის დაბრუნება მის ცენტრალურ მდგომარეობაში საფრთხეს შეუქმნის ევროპას, რუსეთში სახიფათო ილუზიებს გააღვივებს და ქვეყანას უმართავი გამოწვევების წინაშე დააყენებს. სახელდობრ, ეს საკითხი იქნება მნიშვნელოვანი 2017 წლის ბუნდესტაგის არჩევნებზე. თუ **ანგელა მერკელს** მისი მიგრაციული პოლიტიკის გამო მისი პარტია უარს ეტყვის, ქვეყნის კურსი რადიკალურად შეიცვლება. კონსერვატიულ და ევროკავშირისადმი სკეპტიკურად განწყობილ პარტიაში „ალტერნატივა გერმანიისთვის“ გაერთიანებულნი არიან გერმანელი მემარჯვენეები, რომლებსაც სურთ, ქვეყანა ადრინდელ ცენტრალურ მდებარეობას დაუბრუნდეს და აღადგინოს მჭიდრო კავშირები რუსეთთან, ანალოგიური რამ სურთ მემარცხენეებსაც: რუსეთთან დაახლოება და დასავლეთთან კავშირების გაწყვეტა ან ამ კავშირების შესუსტება.

ასე რომ, გასაგები შეიქნა გერმანიისთვის, ევროპისა და დასავლეთისთვის, რატომ არის ასე ბევრი რამ დამოკიდებული იმაზე, შეინარჩუნებს თუ არა ფედერალური კანცლერის პოსტს ანგელა მერკელი 2017 წელს.

**იოშკა ფიშერი***
**Sueddeutsche Zeitung**
(გერმანია)

**დასავლეთის წამყვანმა ერებმა წელს და გაისად უნდა მიიღონ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რომლებსაც შეუძლია საფუძვლიანად შეცვალოს დასავლეთი, როგორსაც მას ათწლეულების განმავლობაში ვიცნობდით. პირველია უკვე შეთანხმებული ბრექსიტი, ანუ ევროკავშირიდან დიდი ბრიტანეთის გასვლა; მეორე — საპრეზიდენტო არჩევნები აშშ-ში, თუკი გაიმარჯვებს დონალდ ტრამპი; და მესამე — საფრანგეთი, რომელიც, თუკი 2017 წლის გაზაფხულზე გადაწყვეტს, რომ პრეზიდენტად მარინ ლე პენი აირჩიოს, ევროპის წინააღმდეგ წავა**

*** იოშკა ფიშერი — გერმანელი პოლიტიკოსი. 1998-2005 წლებში იყო გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი და ვიცეკანცლერი.**

# გერმანია: ახალი შეტაკება მიგრანტებთან

**30 სექტემბერს გერმანიაში კვლავ მოხდა დაპირისპირება ეროვნულ ნიადაგზე.**

სააგენტო dpa-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ქალაქ შვერინში მოხდა შეტაკება, რომელშიც 40-ზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა. პოლიცია ინციდენტში საკმაოდ სწრაფად ჩაერია. მიუხედავად ამისა, ჩხუბში დაშავდა მოზარდი, რომელიც საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ადგილობრივი ხელისუფლების განცხადებით, ქალაქის ცენტრში ხშირად იკრიბებიან მიგრანტები, რაც დაძაბულობის გამომწვევ მიზეზად იქცა.

მსგავსი კონფლიქტები გერმანიაში უკვე შემაშფოთებელი რეგულარულობით ხდება. მაგალითად, 15 სექტემბერს საქსონიის ქალაქ ბაუტლენში კიდევ უფრო დიდი არეულობა იყო, რომელშიც 100-ზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა.

აშკარაა, რომ მიგრაციული კრიზისი არათუ ახლოს არის მოგვარებასთან, პირიქით — უფრო მწვავდება.



**მილიონობით ადამიანი დაიღუპა ერაყში, 30 ათასი — ლიბიაში, აშშ-ისა და ნატოს მიერ მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში გაჩაღებული სამხედრო მოქმედებების ზონებიდან მილიონობით ადამიანი აიყარა და ლტოლვილად იქცა. ამასთანავე, არც ობამას, არც კერის, არც ჰილარი კლინტონს სიტყვა არ დაუძრავთ ამერიკის პასუხისმგებლობის თაობაზე ქაოსის შექმნისა და ომის გაფართოების გამო.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95









# უნიჭო წარმოდგენა გაეროში (მთავარ როლებში — კერი, პაუერი და ობამა)

**CounterPunch-ი ყალბ და იაფფასიან თეატრალურ დადგმას უწოდებს ვაშინგტონის ბრალდებას რუსეთის მიმართ სირიაში ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე შეთანხმების დარღვევას.**

რამდენიმე დღის წინათ სახელმწიფო მდივანმა **კერიმ** გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე განაცხადა, ვგრძნობდი, რომ პარალელურ სამყაროში ვცხოვრობდიო. კერიმ ეს მას შემდეგ თქვა, როცა მოისმინა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის — **სერგეი ლავროვის** განცხადება, რომ რუსეთის მიმართ აშშ-ის ბრალდება ჰუმანიტარული ბადრაგის დაბომბვის შესახებ მტკიცებულებებით არ არის გამყარებული.

კერი, როგორც ჩანს, მართლა პარალელურ სამყაროში ცხოვრობს. რამდენიმე დღის წინათ აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალებმა ვითომ შეცდომით სირიის არმიის პოზიციები დაბომბეს. რამდენიმე თვით ადრე კი აშშ-მა ავღანეთში დაბომბა საერთაშორისო ორგანიზაციის „ექიმები საზღვრებს გარეშე“ ჰოსპიტალი. ამერიკული თვითმფრინავების შეტევა 30 წუთს გრძელდებოდა, ვიდრე ჰოსპიტლის პერსონალი ნატოს შტაბს შეატყობინებდა, რაც ხდებოდა. ათასობით მშვიდობიანი ადამიანი იღუპება იემენში, სადაც საუდის არაბეთის სამხედრო ძალები, რომლებიც უპირობო მხარდაჭერასა და იარაღს იღებენ აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთისგან, ბომბავენ საავადმყოფოებსა და სკოლებს.

მილიონობით ადამიანი დაიღუპა ერაყში, 30 ათასი — ლიბიაში, აშშ-ისა და ნატოს მიერ მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში გაჩაღებული სამხედრო მოქმედებების ზონებიდან მილიონობით ადამიანი აიყარა და ლტოლვილად იქცა. ამასთანავე, არც ობამას, არც კერის, არც ჰილარი კლინტონს სიტყვა არ დაუძრავთ ამერიკის პასუხისმგებლობის შესახებ ქაოსის შექმნისა და ომის გაფართოების გამო.

სირიის საშინელებაზე კერის ანალიზი მარტივია: ის ადანაშაულებს რუსეთსა და მის მოკავშირეებს, მიუხედავად იმისა, რომ ეს არის აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსა და მისი დამქაშების მიერ პროვოცირებული კიდევ ერთი ომი. თვით კერის გამოსვლა იყო თავხედური, უგემოვნო ხუმრობა და გამაოგნებელი, მაგრამ არა ფარისევლობის სასაცილო გამოვლინება, ძალიან გულისამრევი და შოკისმომგვრელი.

ერთი დღით ადრე გაეროს გენმდივანმა **პან გი მუნმა** განაცხადა: „ჩვენ, ყველას, გვრცხვენია სირიის გამო“. კერი არ ეთანხმება მას, ობამასა და ჰილარის არ აქვს სირცხვილის განცდა.

რაღაც უცნაური მიზეზით, ობამას თავის ქვეყანაში კვლავ მიიჩნევენ ლიბერალად, რომელსაც არ სურს სამხედრო ძალის გამოყენება. ეს შეცდომაა. სირიაში უკვე იბრძვის ამერიკის სპეცდანიშნულების ძალების რამდენიმე ასეული წარმომადგენელი. აშშ დაუფარავად მონაწილეობს სირიის სამოქალაქო ომში, მაგრამ ამან უარი ვერ ათქმევინა კერისა და გაეროში ვაშინგტონის ელჩ **სამანტა პაუერს** იაფფასიან, ცრუ და საზიზღარ თეატრალურ დადგმაში მონაწილეობაზე, რომელშიც მსოფლიოს თვალწინ რუსეთი დაადანაშაულეს სისხლისღვრასა და ომით გამოწვეულ საშინელებებში.

2001 წლის შემდეგ, როცა აშშ-ის მოქმედებამ ახლო აღმოსავლეთში მილიონობით სამოქალაქო პირის დაღუპვა გამოიწვია, მილიონობით ადამიანი კი ლტოლვილად აქცია, ვაშინგტონმა უფრო აკურატულად უნდა იმსჯელოს მსოფლიოში ჩადენილ სამხედრო დანაშაულებზე.

**CounterPunch (აშშ)**

# აშშ-ის საგარეო პოლიტიკა ყველა ფრონტზე ჩაფლავდა

**ბოლო 15 წელია, ვაშინგტონი იმეორებს ერთსა და იმავე შეცდომას — აჩაღებს ომებს, რომლებიც წარმოშობს სიძულვილს აშშ-ის მიმართ, — წერს American Conservative.**



„ამერიკის საგარეო პოლიტიკის მასშტაბური ჩავარდნის გამო სუნთქვა შეგეკვრება. აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალები ახორციელებენ საავიაციო თავდასხმებს, რომლებსაც ათასობით მშვიდობიანი მცხოვრებისა და ჰუმანიტარული მისიების წარმომადგენელთა სიცოცხლე ეწირება და, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ შეტევას ამერიკისთვის ტაქტიკური სარგებელი მოაქვს. საერთო ჯამში, ისინი ვაშინგტონისადმი სიძულვილს წარმოშობს, წარმატება კი უმნიშვნელოა სტრატეგიულ ჩავარდნებთან შედარებით.

ბოლო 15 წლის განმავლობაში ამერიკული სამხედრო ძალის გამოყენების შედეგები შემაშფოთებელია. **აშშ-ის გამო ერაყმა დაკარგა რეგიონული სახელმწიფოს სტატუსი და ტერორიზმის ფაბრიკად იქცა, ავღანეთი — მაგნიტად ექსტრემიზმისთვის, ლიბია — „ისლამური სახელმწიფოს“ პლაცდარმად.**

„ალ ქაიდა“ საერთაშორისო საზოგადოებრიობისთვის „ფრანშიზად“ (შეღავათად) იქცა მას შემდეგ, რაც ამერიკის ინტერვენციამ ერაყში ხელი შეუწყო „ისლამური სახელმწიფოს“ წარმოქმნას. სამხედრო ოპერაციებმა პაკისტანში, იემენში, სომალისა და სხვა ქვეყნებში მხოლოდ ტანჯვა-წამება მოუტანა სამოქალაქო საზოგადოებას.

ამასთანავე, 15 წლის განმავლობაში გამუდმებული ომების მიუხედავად, აშშ-ის შეიარაღებული ძალები მხოლოდ დასუსტდა.

აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალები რეგულარულად ახორციელებენ საბრძოლო გაფრენებს, გადააქვთ ტვირთი და ნონ-სტოპის რეჟიმში ბომბავენ მოწინააღმდეგის პოზიციებს... შედეგად თვითმფრინავების ექსპლუატაციის ვადა მკვეთრად შემცირებულია, მათი შენახვის ღირებულება გაიზარდა, ბომბებისა და რაკეტების მარაგი კი შემცირდა“, — წერს სტატიის ავტორი.

ამერიკის სახმელეთო ჯარებსა და საზღვაო ქვეითთა კორპუსს ათასობით კილომეტრის გადალახვა და საბრძოლო რესურსის — ტანკების, ჯავშნიანი ტექნიკისა და იარაღის — დახარჯვა უწევთ.

**„აშშ-ში აღიზარდა მეთაურებისა და ჯარისკაცების მთელი თაობა, რომელსაც შეუძლია, მხოლოდ ამბოხებულთა მცირერიცხოვან ძალებს დაუპირისპირდნენ, მაგრამ აშშ-ის არმია უძლურია თანამედროვე იარაღით აღჭურვილ მოწინააღმდეგესთან“,** — აღნიშნულია სტატიაში.

# ზახაროვამ კირბის ნათქვამი რუსეთის შესახებ ტერორისტებისთვის გაცემულ ბრძანებას «ფას»-ს შეადარა

**რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენელი მარია ზახაროვა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის — ჯონ კირბის ნათქვამს გამოეხმაურა, რომელმაც რამდენიმე დღის წინათ განაცხადა, რომ, თუ რუსეთი უარს იტყვის აშშ-თან თანამშრომლობაზე, ეს რუსეთისთვის სამწუხარო შედეგებს გამოიწვევს.**

„სირიაში გრძელდება სამოქალაქო ომი, ექსტრემისტები სახელისუფლო ვაკუუმით სარგებლობას განაგრძობენ და აფართოებენ თავიანთ ოპერაციებს, რომლებშიც ჩართავენ დარტყმებს რუსეთის ინტერესებზეც, შესაძლოა, რუსეთის ქალაქებზეც კი. და რუსეთს მოუწევს თავისი სამხედროების შინ გაგზავნა გვამებისთვის განკუთვნილი ტომრებით და რუსეთი კვლავაც დაკარგავს თავის რესურსებს, შესაძლოა, ეს კვლავ იყოს თვითმფრინავები“, — განაცხადა **კირბიმ.**



**მარია ზახაროვამ**, თავის მხრივ, სოციალურ ქსელში თავის ოფიციალურ გვერდზე დაწერა, რომ ამერიკელთა ეს ხმაურიანი განცხადება ბევრ შეკითხვას აჩენს. **„პირველ რიგში, ვინ შეებრძოლება იმ ექსტრემიზმს, რომელზეც ლაპარაკობს კირბი? ისინი ხომ არ იქნებიან ის ყველაზე „ზომიერები“, რომლებიც ვაშინგტონს, უკვე ნახევარი წელიწადია, ვერ განუცალკევებია დაჯგუფება „ჯებჰატ-ან-ნუსრასგან“?**

მეორე — **ეგებ დააზუსტოთ, ტერაქტები საფრანგეთში, აშშ-სა და სხვა ქვეყნებში, „ისლამური სახელმწიფოს“ წარმომადგენელთა მიერ ყველა ეროვნების ადამიანებისთვის თავის მოკვეთები — ეს რაღაც სხვა პარადიგმაა? მორიგი „პარალელური რეალობაა?“**

მესამე — **ხომ არ გეჩვენებათ, რომ მსგავსი განცხადებები „ტომრებში გვამებზე“, „რუსეთის ქალაქებში ტერაქტებსა“ და „თვითმფრინავების დაკარგვაზე“ უფრო ჰგავს ბრძანება „ფას“-ს, ვიდრე დიპლომატის განცხადებას?“**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**როდესაც ეკლესიის უმაღლესი ხელისუფალნი კაცთმოთნეობით უგულებელყოფენ წმინდა მამათა სწავლებებს და ჯიქურ მიიწევენ მწვალებლებთან „დიპლომატიური ურთიერთობისკენ“, რაღა ითქმის ისეთ ვაიპრეზიდენტზე, რომელიც მასონ-ლიბერასტების მარიონეტი და ერეტიკოს-ლათინთა მოწვევის ინიციატორია პატრიარქთან ერთად?!**

# ლათინურ-პაპისტური ექსპანსია,

## ანუ რას «ვიმკით» 2011 წლის 1—5 ივლისს ხელმოწერილი კანონით «რელიგიური უმცირესობების შესახებ»

**მიმდინარე წლის 28 სექტემბერს გამოქვეყნდა საქართველოს საპატრიარქოს განცხადება, რომელშიც აღნიშნულია: „როგორც ცნობილია, საქართველოს პრეზიდენტის და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოწვევით ა.წ. 30 სექტემბერს ჩვენს ქვეყანას ესტუმრება მისი უწმინდესობა, რომის პაპი ფრანცისკე I თანმხლებ პირებთან ერთად“.**

ამ თემამ ვნებათაღელვა გამოიწვია სასულიერო პირებსა და მრევლში, რომელიც გამოიხატა ვატიკანის საელჩოსთან საპროტესტო აქციით. მართებული იქნებოდა, თუ აქცია პრეზიდენტის სასახლესთან და საპატრიარქოსთან გაიმართებოდა. მორწმუნე ელექტორატის ნაწილისთვის, საეკლესიო კანონების თანახმად, მიუღებელია მწვალებელი-სატანის მსახური პაპის როგორც მოპატიჟება, ისე სვეტიცხოველში შეშვება (ლაოდ. კრ. 6 კან.), მით უმეტეს „მისი უწმინდესობის“ ტიტულატურით მიმართვა, რაც, ბუნებრივია, მისი ერეტიკული-ღვთისმბრძოლი ცნობიერების აღიარება და თანაზიარებაა. „სამი დიდი დაცემა იცის კაცობრიობამ — ადამისა, იუდასი და პაპის!“ — ბრძანებს წმ. **იუსტინე პოპოვიჩი.** სოციალურ ქსელებში წარმოდგენილია მესა, სადაც პაპი ფრანცისკე I ლუციფერს (სატანას) „ღმერთად აღიარებს (https://youtu.be/MbkWnBCtSaM), ეს ზღვარგადასული და შემაშფოთებელი მკრეხელობაა. „შეაჩვენებდით პაპს, რამეთუ ყველა ბოროტება მისგან მომდინარეობს“, — ბრძანებს წმ. **კოზმა ეტოლიელი**. საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი, რომ კათოლიციზმი დასავლეთ ევროპაში ცალკე „ქრისტიანულ“ მიმდინარეობად ჩამოყალიბდა 1054 წელს. იმ მრავალრიცხოვან განსხვავებათაგან, რომლებიც მართლმადიდებლობასა და კათოლიციზმს შორის არსებობს, უმთავრესი **ტრიადოლოგიური (სამების) დოგმატის** კათოლიკურ დამახინჯებას, ე.წ. ფილიოკვეს, ანუ სულიწმიდის გამომავლობის შესახებ მწვალებლურ სწავლებას უკავშირდება. ეს არის „პირველი მიზეზი“ დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიების უთანხმოებისა, ხოლო სხვა დანარჩენი მხოლოდ მისი შედეგებია. პაპის აბსოლუტიზაციის უპირველესი სავალალო შედეგი იყო **„უცდომელობის დოგმატის“** მიღება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ **„პაპი არ შეიძლება ცდებოდეს“,** როდესაც იგი სარწმუნოებრივ საკითხებზე ქადაგებს. აღნიშნული „დოგმატი“ პრინციპულად ეწინააღმდეგება მართლმადიდებლურ სწავლებას, რომლის მიხედვითაც შეუმცდარი მხოლოდ ეკლესიაა. 1437-1439 წლებში პაპმა **ევგენი IV** მოიწვია ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრება, რომლის მთავარი მიზანი იყო კათოლიკურ და მართლმადიდებლურ ეკლესიებს შორის დოგმატური უთანხმოების დაძლევა და მათ შორის უნიის დადება. კრებაზე განსაკუთრებით გამწვავდა კამათი დოგმატურ საკითხებზე — „ფილიოკვეს“ საიდუმლოებასა და პაპის უზენაეს ხელისუფლებაზე, რომელიც საბოლოოდ დაიგმო მართლმადიდებელთა მხიდან უკომპრომისო ზილოტის, დიდი წინდა მამა **მარკოზ ეფესელის** ძალისხმევით, რომელსაც მხარს უჭერდა საქართველოს ეკლესიის დელეგაცია ეპისკოპოსების — **იოანე მანგლელისა** და **გრიგოლის** სახით.

„გახსოვდეს, რომ ის, რაც ეკლესიას უკავშირდება, არასდროს გამოსწორდება კომპრომისების გზით: არ არსებობს შუალედი ჭეშმარიტებასა და სიცრუეს შორის. ჩვენ ლათინები ჩამოვიშორეთ არა რომელიმე სხვა მიზეზით, არამედ იმიტომ, რომ ერეტიკოსები არიან, ამიტომაც სრულიად არასწორი იქნება მათთან გაერთიანება. ლათინები არიან არა მხოლოდ განხეთქილების შემომტანნი, არამედ — ერეტიკოსებიც და ჩვენ მათ მოვიკვეთთ, როგორც ერეტიკოსებს. ასე რომ, ძმანო, გაექეცით ლათინთა სიახლეებს – მათ შემომტანებსა და დამამკვიდრებელთ“, — ბრძანებს წმინდა მარკოზ ეფესელი. IV საუკუნეში მოღვაწე მსოფლიოს დიდი მღვდელმთავრები: წმინდა **იოანე ოქროპირი** და წმინდა **ბასილი დიდი**, არათუ „თანალოცვას“, მისალმებასა და ადამიანურ ურთიერთობებსაც კი კატეგორიულად გვიკრძალავენ მათთან. **„ნუ შეურთდებით მწვალებლებს ნურც ჭამაში, ნურც სმაში, ნურც სიყვარულში, ნურც მეგობრობაში: ამის მოქმედი უცხოა ქრისტეს ეკლესიისაგან. ვინმემ უხორცო ანგელოზთა ღვაწლიც რომ იტვირთოს და ერეტიკოსებთან სიყვარულსა და მეგობრობაში იყოს, ასეთი, მეუფე ქრისტესთვის უცხოა, თვითონ ხომ ამბობს: რომელი არა არც ჩემ თანა, მტერი ჩემი არს“, —** ბრძანებს წმინდა იოანე ოქროპირი. „შეიძლება თუ არა მივესალმოთ მწვალებელთ? — არა! — ბრძანებს წმინდა ბასილი დიდი. უფალმა მათი მოკითხვაც კი აკრძალა, იქნება ეს სიყვარულით თუ მეგობრობით, — უნდა გავექცეთ ამას, რათა აღსრულდეს ნაბრძანები: „ნურც შინ მიიღებთ და ნურც მოიკითხავთ“ *(იოანე 1:10)*. წმ. ირინეოს ლიონელი მოგვითხრობს: „არიან ადამიანები, რომელთაც პოლიკარპე სმირნელისაგან (წმ. მღვდელმოწამე, ეგნატე ღმერთშემოსილის თანამედროვე) სმენიათ: „ერთხელ უფლის მოწაფე იოანე ღვთისმეტყველი აბანოში მივიდა, ეფესოში და, როდესაც იქ







მწვალებელი კერინთოსი დაინახა, დაუბანელი გაიქცა და თქვა: „გავიქცეთ, ვაითუ, აბანო დაიქცეს, რამეთუ იქ ჭეშმარიტების მტერი, კერინთოსი იმყოფება“... თვითონ პოლიკარპემ მწვალებელ მარკიონთან შეხვედრისას კითხვაზე: „მიცნობ მე?“ უპასუხა: „გიცნობ, ვითარცა სატანის პირმშოს!“ — აი, ასეთ სიფრთხილეს იჩენდნენ წმინდა მოციქულები და მათი მოწაფეები.

**როდესაც ეკლესიის უმაღლესი ხელისუფალნი კაცთმოთნეობით უგულებელყოფენ წმინდა მამათა სწავლებებს და ჯიქურ მიიწევენ მწვალებლებთან „დიპლომატიური ურთიერთობისაკენ“, რაღა ითქმის ისეთ ვაიპრეზიდენტზე, რომელიც მასონ-ლიბერასტების მარიონეტი და ერეტიკოს-ლათინთა მოწვევის ინიციატორია პატრიარქთან ერთად?** პრეზიდენტი, რომელიც არად აგდებს თავისი მოქალაქის, 200 000 მოქალაქის, პეტიციას სოდომ-გომორელთა „ქორწინებაზე“ რეფერენდუმის დანიშვნის შესახებ და ისიც ღვთისმშობლის წილხვედრ ივერიაში.

**ცნობისათვის:** ეს ის პაპია, რომელიც კადნიერად აცხადებს: **„ქრისტიანებმა არა უბრალოდ ბოდიში უნდა მოუხადონ, არამედ შენდობა უნდა სთხოვონ გეისაზოგადოების წარმომადგენლებს შეურაცხმყოფელი დამოკიდებულებისთვის“.** პრეზიდენტ მარგველაშვილის მსგავს ნიჰილისტებსა და დილეტანტებს მიმართავს გასული საუკუნიდან ღირსი ეპისკოპოსი **ამბერკი (ტაუშევი): „ჩვენს დროში ბევრს ავიწყდება, რომ ეკლესია არის არა რაიმე მიწიერი, ადამიანური დაწესებულება, არამედ ღმრთაებრივი სახლი, რომლის უმაღლესი დანიშნულება სულის ცხონებაა. ავიწყდებათ, რომ ეკლესიაში პოლიტიკასა და დიპლომატიას არაფერი ესაქმება და რომ დაუშვებელია მკრეხელობა, სინდისის ხმის ჩახშობით — მიწიერი მიზნების განსახორციელებლად, როგორიც უნდა იყოს ისინი, თუნდაც შენიღბული ცრუ, ყალბი ლოზუნგებით საყოველთაო კეთილდღეობისა და თვით ქრისტიანული სიყვარულისა და სიმდაბლისაც კი, დღეს ასე რომ შემოვიდა მოდაში“.** სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს ის, რომ საერო ხელისუფლება ფეხქვეშ თელავს ეკლესიასთან დადებულ კონსტიტუციურ შეთანხმებას — კონკორდატს, ხოლო საეკლესიო უმაღლესი ხელისუფლება არად აგდებს წმინდა მამათა კანონებს, რომლებიც სულიწმიდითაა გადმოცემული.

**„მწვალებლები, რომლებიც ჯერ კიდევ თავისი ერესის მიმდევრები არიან, არ უნდა შევიდნენ ღმრთის სახლში“** *(ლაოდ. კრ. 6 კან.)*. ისმის ბუნებრივი და ლოგიკური კითხვა — **რომის პაპი აღარ არის მწვალებელი, სვეტიცხოველში რომ შეჰყავთ, თუ უწმინდესი და უნეტარესი ილია II სინოდთან ერთად აღარ ემორჩილება ლაოდიკიის კრების ღმერთშემოსილი წმ. მამების კანონებს?** ამოუხსნელ ფენომენთან და რა პრეცედენტთან გვაქვს საქმე? ნუთუ ეს არის თბილისის სასულიერო აკადემიის პროფესორის, ბატონი ედიშერ ჭელიძის ნანატრი და დაანონსებული კრეტის „კრების“ ალტერნატიული, „ჭეშმარიტ მართლმადიდებელთა გაერთიანებული კრება“? 1994 წელს წმინდა **მამა გაბრიელი (ურგებაძე)** ხმამაღლა ამხელდა ცნობილი ეკუმენისტების (https://youtu.be/szzBjFmvQ8s) — ე.წ. მსოფლიო პატრიარქის — **ბართლომეოსისა** და ახალმესტილე-მოდერნისტი „ეპისკოპოს“ **დამასკინოსის** (ეპ. მელქისედეკ ხაჩიძის „მაკურთხეველი“) „ვიზიტს“ საქართველოში. **„რა უნდათ დამასკინოსსა და ბართლომეოსს გელათსა და სვეტიცხოველში?“** — მოთქვამდა მამა გაბრიელი, ტაძრების შებილწვის გამო. ახლახან მართლმადიდებლური ჟურნალი „კარიბჭე“ იუწყებოდა: „პარასკევს, 16 სექტემბერს, იტალიის ქალაქ კიეტში მუშაობა დაიწყო მართლმადიდებლურ ეკლესიასა და კათოლიკეებს შორის საღვთისმეტყველო დიალოგის საერთაშორისო კომისიის XIV პლენარულმა სხდომამ. „კარიბჭისთვის“ ცნობილი შეიქნა, რომ ამ სხდომაზე საქართველოს ეკლესიიდან წარგზავნილები არიან ახალციხისა და ტაოკლარჯეთის მიტროპოლიტი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი **თეოდორე (ჭუაძე)** და პროტოპრესვიტერი **გიორგი ზვიადაძე**. მათი დაბრუნებისთანავე შემოგთავაზებთ ინფორმაციას სხდომის მსვლელობის შესახებ“. **ეს რა ღვთის რისხვისა და აპოსტასიის მომსწრენი ვართ?! ეს რა უბედურება გვჭირს? !**

მავანს შევახსენებ: **ჩვენ ის ერი ვართ, რომელიც 13/26 მაისს ვდღესასწაულობთ, ათონზე კათოლიკ-ლათინთაგან მართლმადიდებლურ სწავლებათა ერთგულებისთვის 1259 წელს მოწამებრივად აღსრულებულ 300 წმინდა მამის ხსენებას. ეს პოლიტ-რელიგიური ბაკქანალია პროდუქტია იმ ლიბერასტულ-დესტრუქციული ძალების თავსმოხვეული „კანონპროექტისა“, რომელსაც „რელიგიური უმცირესობის კანონი“ ჰქვია, რომლითაც ქვეყანაში ძირძველ მართლმადიდებლობას იურიდიული სტატუსით გაუთანაბრეს სხვა რელიგიური კონფესიები (კათოლიკები და სხვა სექტანტები) და რომელსაც „დასავლელი პარტნიორების რეკომენდაციით“ ჯერ პარლამენტმა (01.07.2011-ში), ხოლო შემდგომ სინოდის 20 წევრმა (05.07.2011-ში) სამარცხვინოდ და კაპიტულანტურად მოაწერეს ხელი.**

აი ისინიც: მიტროპოლიტი **აბრაამი (გარმელია),** მიტროპოლიტი **გიორგი (შალამბერიძე),** მიტროპოლიტი **ვახტანგი (ახვლედიანი),** მიტროპოლიტი **ანანია (ჯაფარიძე),** მიტროპოლიტი **სტეფანე (კალაიჯიშვილი),** მიტროპოლიტი **შიო (მუჯირი),** მიტროპოლიტი **პეტრე (ცაავა),** მიტროპოლიტი **ანდრია (გვაზავა),** მიტროპოლიტი **გერასიმე (შარაშენიძე),** მიტროპოლიტი **ანტონი (ბულუხია),** მიტროპოლიტი **საბა (გიგიბერია),** მიტროპოლიტი **თეოდორე (ჭუაძე),** მიტროპოლიტი **გრიგოლი (ბერბიჭაშვილი),** მიტროპოლიტი **ნიკოლოზი (ფაჩუაშვილი),** მიტროპოლიტი **იოსები (კიკვაძე),** მიტროპოლიტი **სერგი (ჩეკურიშვილი),** მიტროპოლიტი **კალისტრატე (მარგალიტაშვილი),** მიტროპოლიტი **დანიელი** (**დათუაშვილი**)**,** ეპისკოპოსი **მელქისედეკი (ხაჩიძე).**

**1 ოქტომბერს პაპის სვეტიცხოველში კაცთმოთნეობით მიპატიჟება იქნება საუკუნის ის შავი ლაქა, რომელიც, 25.05.2016-ში სინოდის ოქმზე კრეტაზე წამსვლელთა ხელმომწერებთან ერთად, მიემატება ჩვენი ეკლესიის უახლეს ისტორიას.**

მივმართავ ივერიის 17-საუკუნოვანი სამოციქულო ეკლესიის არაკეთილმოსურნეებს: „ხელები შორს, უცვალებელი საღმრთო კანონებისგან“ *(VI მსოფ.საეკ.კრ. 2 კან. და VII მსოფ.საეკ.კრ.1 კან.)*. ყური ვუგდოთ წმინდა მამების შეგონებებს და, სანამ გვიანი არ არის, გამოვფხიზლდეთ!

**„პაპიზმი** — ასე ეწოდება მწვალებლობას, რომელმაც მოიცვა დასავლეთი და რომლიდანაც ხის ტოტებივით წარმოიშვა სხვადასხვა პროტესტანტული სწავლება; პაპიზმი პაპს მიაწერს ქრისტეს თვისებებს, რითაც უარყოფს ქრისტეს. პაპი პაპისტებისთვის ღვთაებაა, კერპია. ამ საშინელი ცდომილების მიზეზით ღვთის მადლმა დატოვა პაპისტები; ისინი ერთგულობენ მხოლოდ თავიანთ თავსა და სატანას. ნუ ეთამაშებით საკუთარ ცხონებას, ნუ ეთამაშებით, თორემ მუდამ იტირებთ. შეუდექით ახალი აღთქმისა და მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა მამათა ნააზრევის კითხვას“ *(წმ.ეგნატე ბრიანჩანინოვი)*.

**კონსტანტინე ქათამაძე**

**პოლიტიკურ და სახელისუფლო რგოლებში გამეფებული უპასუხისმგებლობა, არაპროფესიონალიზმი არჩევნების ამ წესის შედეგია, როდესაც რამდენიმე პოლიტიკურ პარტიას აქვს საშუალება, ერთმანეთთან გარიგების გზით ხელოვნურად გადაინაწილოს საარჩევნო ხმები და სულ ერთი და იგივე პიროვნებები ჩანდნენ პოლიტიკურ არენაზე. ხომ ფაქტია, რომ თითქმის 2000 ყოფილი დეპუტატიდან ვერც ერთს ვერ გაიხსენებთ, ასე თუ ისე მნიშვნელოვანი კვალი რომ დაეტოვებინოს საპარლამენტო ცხოვრებასა თუ პოლიტიკურ სარბიელზე.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ახლა წყდება, როგორი პოლიტიკური სპექტრი ეყოლება ქვეყანას მომავალი 4 წლის განმავლობაში

**გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციას!**

**ქვეყანაში ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში განვითარებულმა მოვლენებმა დაგვანახვა, რომ ბევრი რამ სწორი გზით არ ვითარდება. დამოუკიდებლობის 25 წლის განმავლობაში ვერ იქნა და ვერ მოგვარდა ისეთი ელემენტარული საკითხიც კი, როგორიც საარჩევნო კანონმდებლობაა. ყოველი არჩევნების წინ მიმდინარეობს დავა, როგორი საარჩევნო კოდექსი იქნება ჩვენთვის მისაღები. არადა, ცხადია, რომ დღეს მოქმედი საარჩევნო კოდექსი მორგებულია მხოლოდ სამკაციანი პარტიების ინტერესებზე და არ შეესაბამება ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესებს. თვით ის ფაქტი, რომ პარტიები ასე თავგამოდებით იცავენ მხოლოდ პროპორციული არჩევნების წესს, ამის დადასტურებაა.**



არადა, პოლიტიკურ და სახელისუფლო რგოლებში გამეფებული უპასუხისმგებლობა, არაპროფესიონალიზმი არჩევნების ამ წესის შედეგია, როდესაც რამდენიმე პოლიტიკურ პარტიას აქვს საშუალება, ერთმანეთთან გარიგების გზით ხელოვნურად გადაინაწილონ საარჩევნო ხმები და სულ ერთი და იგივე პიროვნებები ჩანდნენ პოლიტიკურ არენაზე. ხომ ფაქტია, რომ თითქმის 2000 ყოფილი დეპუტატიდან ვერც ერთს ვერ გაიხსენებთ, ასე თუ ისე მნიშვნელოვანი კვალი რომ დაეტოვებინოს საპარლამენტო ცხოვრებასა თუ პოლიტიკურ სარბიელზე. პროპორციული გზით არჩევნების შემთხვევაში ასევე ირღვევა კონსტიტუციის ფუნდამენტური მოთხოვნა, რომ ხელისუფლების წყარო არის ხალხი და ამ შემთხვევაში, **დეპუტატობის კანდიდატს და შემდგომში დეპუტატს, ხალხი კი არა, იმ პოლიტიკური პარტიის ხელმძღვანელი ირჩევს, რომელიც აკომპლექტებს სიებს თავისთვის სასურველი, მისდამი ერთგულებითა და მორჩილებით გამორჩეული პიროვნებებით და არა პროფესიული, საქმიანი თუ სხვა თვისებების მქონე ადამიანებით, რომლებსაც ხალხი იცნობს და ენდობა.** ამან გამოიწვია ინტელექტუალი, საქმის მცოდნე, პატრიოტი ადამიანების ჩამოშორება სახელმწიფოს მართვიდან. პოლიტიკური **პარტიების ხელმძღვანელები ერთპიროვნულად წყვეტენ, ვინ უნდა იყოს პარტიის სიაში თუ მაჟორიტარ დეპუტატად, მაშინ, როდესაც ბევრი მათგანი თვითონ ვერ ბედავს მაჟორიტარი დეპუტატის სტატუსით ხალხის წინაშე წარდგომას, რადგან იცის, რომ მხარს არ დაუჭერენ.** უკეთეს შემთხვევაში, ხალხი იცნობს სიის პირველ ათეულში მყოფ პირებს, ხოლო დანარჩენი 100-140, საერთოდ, უცნობია. არადა, მარტივი პოლიტიკური მანიპულაციის საშუალებით, ეს პირველი ათეული, შესაძლოა, გავიდეს პარლამენტიდან სხვადასხვა პოლიტიკურ თანამდებობაზე და პარლამენტის შემადგენლობაში რჩება ვინ? — ადამიანები, რომლებზეც ხალხს წარმოდგენა არ აქვს, არ იციან მათი პიროვნული, მორალური თუ საქმიანი თვისებების შესახებ. აქედან გამომდინარეობს ყველა ის გადაუჭრელი პრობლემა, რომლებიც, 25 წელია, მიუხედავად დაპირებებისა, ვერ გადაიჭრა:

მუდმივი რეფორმის მიუხედავად, მოუგვარებელია **სასამართლო სისტემა;**

მოუგვარებელი, დაუხვეწავი და ეროვნულ ხასიათთან შეუთავსებელია **სისხლის სამართლისა და სამოქალაქო, საპროცესო კანონმდებლობა;**

კატასტროფულ მდგომარეობაშია **სოფლის მეურნეობა და მრეწველობა;**

**დაცლილია მთა და გაპარტახებულია სოფლები;**

**ქვეყანა დგას დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე;**

აღუდგენელია **ტერიტორიული მთლიანობა;**

დიდია **ბავშვთა მოკვდავობა;**

კატასტროფულ ნიშნულს მიაღწია **უმუშევრობამ** (ვინც ვითომ დასაქმებულია, ისიც სიმბოლურ ფასად მუშაობს);

ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს **პენსიონერების** მდგომარეობა;

**ქონებრივმა პოლარიზაციამ** არნახულ მასშტაბს მიაღწია — არ არსებობს **საშუალო ფენა.** მოსახლეობის მხოლოდ 10 პროცენტია არნახულად მდიდარი, ხოლო დანარჩენი 90% — არნახულად ღარიბი;

შეურაცხმყოფელი და დამამცირებელია სოციალურად დაუცველთათვის *(იხ. სურათი)* პროდუქტების დარიგების წესი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროინდელ პურის რიგებს გვაგონებს.

ქვეყნის დემოკრატიული აღმშენებლობის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს **სამართალდამცავი ორგანოების დეპოლიტიზაციას**, რომელიც ასევე ერთ-ერთ მწვავე პრობლემად დგას დღეს ქვეყნის წინაშე. როდესაც გამარჯვებული პარტიის დეპუტატები ინიშნებიან შინაგან საქმეთა, იუსტიციისა და თავდაცვის მინისტრებად და თან მიჰყავთ თავიანთი საძმაკაცო, ეს არ შეიძლება ჩაითვალოს დეპოლიტიზაციად. უფრო მეტიც, ეს პირდაპირი პოლიტიზებაა აღნიშნული ორგანოების. წინააღმდეგ შემთხვევაში, საიდან უნდა ჰყავდეს პოლიტიკური ნიშნით დანიშნულ შინაგან საქმეთა და თავდაცვის მინისტრებს ამ სფეროს პროფესიონალთა გუნდი, მაშინ, როდესაც ერთი საშუალო რგოლის ხელმძღვანელის (მაგ., მაიორის) გაზრდას 8-10 წელი სჭირდება? მინისტრის დანიშვნის შემდეგ, მაშინვე ხდება მინისტრის მოადგილეებისა და წამყვანი დეპარტამენტების ხელმძღვანელების გადადგომა და მათ ადგილას ახალდანიშნული არაპროფესიონალი კადრების დანიშვნა სამეგობრო-სანათესაოდან. ეს საგრძნობლად აფერხებს აღნიშნული ინსტიტუტების მუშაობას, იწვევს კადრების გადინებასა და პროფესიონალთა სამსახურებრივი ზრდის ციკლის წყვეტას. თუ ადრე რიგითი თანამშრომლიდან შეიძლებოდა მინისტრის მოადგილემდე ან თვით მინისტრამდეც გაზრდა (და ამის მაგალითი ბევრია), ახლანდელ სიტუაციაში პოლიტიზებულია არა მხოლოდ მინისტრისა და მოადგილეების, არამედ დეპარტამენტისა და სამმართველოს უფროსების თანამდებობებიც კი. **ვერც ერთი პროფესიონალი თანამშრომელი ვერ მიაღწევს თუნდაც სამმართველოს უფროსის თანამდებობამდე, თუ რომელიმე პოლიტიკურ გუნდს არ არის მიკედლებული, რაც ძირშივე ეწინააღმდეგება სამართალდამცავი ორგანოების დეპოლიტიზაციის პრინციპს**, იწვევს აღნიშნულ ინსტიტუტებში თანამშრომლების კარიერული ზრდის მიმართ ინტერესის დაკარგვას. ეს, თავის მხრივ, უარყოფითად მოქმედებს აღნიშნული სისტემების ეფექტიანობაზე.

აუცილებელია, **აიკრძალოს მინისტრის შეცვლასთან ერთად მისი მოადგილეებისა და მაღალი რგოლის პროფესიონალი კადრების დაუმსახურებელი ცვლილება.** ამასთანავე, თუ ვაღიარებთ, რომ მინისტრი არის პოლიტიკური თანამდებობის პირი, მიზანშეწონილი იქნება, მას შეუნარჩუნდეს პარლამენტის წევრის სტატუსიც. ეს, თავის მხრივ, შესაძლებელს გახდის, მმართველი გუნდის მიერ აღნიშნულ სფეროში წარუმატებლობის შემთხვევაში, შესაბამისი პოლიტიკური პასუხისმგებლობის დაყენებასაც.

მრავალ პრობლემათა შორის, რომლებიც, ასევე, მთელი სიმწვავით დგას ჩვენი ქვეყნის წინაშე და შიგნიდან ხრავს ერის ორგანიზმს, როგორც ავთვისებიანი სიმსივნე, არის **ნარკომანია.** ეს მძიმესი სენი კაცობრიობის არსებობის განმავლობაში თითქმის ყოველთვის იყო პრობლემა, მაგრამ ყველაზე ნაკლებად საქართველოში იყო გავრცელებული.

მისი ინტენსიური გამოვლინება საქართველოში დაიწყო საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო პერიოდში — გასული საუკუნის 70-80-იან წლებში და, როგორც დაკვირვება აჩვენებდა, წახალისებული იყო ცენტრალური ხელისუფლებისა და სპეცსამსახურების მიერ.

ნარკოტიკები საქართველოში შემოდიოდა შუა აზიიდან, აზერბაიჯანიდან, უკრაინიდან, რუსეთიდან და ა.შ. ეს გადაიქცა ყველაზე მომგებიან ბიზნესად. ნარკომოვაჭრეები ხალხის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და გაუბედურების ხარჯზე შოულობდნენ უზარმაზარ ფულს. მარტივი გამოთვლებით, ამ სფეროში საქართველოში წლიურმა კაპიტალბრუნვამ 2-2,5 მილიარდი ლარი შეადგინა. **ამ მომგებიანი ბიზნესის ხელიდან გაშვება არავის უნდა — არც ნარკომაფიას და არც მასთან დაახლოებულ, ხელისუფლებაში მოკალათებულ დანაშაულებრივ ელემენტებს; მით უმეტეს, რომ ეს პოლიტიკური მანიპულირებისთვის ძალიან მომგებიანია. ამიტომაც არ მიმდინარეობს აქტიური ბრძოლა ნარკომანიის წინააღმდეგ, ხორციელდება მოჩვენებითი პროცესები; ამითვე არის გამოწვეული საკანონმდებლო ბაზის გაუმართაობა.**

**ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარება-შენახვა-შეძენისთვის გასამართლებული ადამიანების ნახევარზე მეტი სულ ტყუილად, არასამართლებრივად არიან პატიმრობაში; აუცილებელია ამ სასჯელების გადახედვა და უკანონო პატიმრობიდან მათი გათავისუფლება.**

ჩვენ არ დავუშვებთ, რომ ჩვენი ხალხი და განსაკუთრებით, ახალგაზრდობა იქცეს უსინდისოთა „მეწველ ძროხად“ და პოლიტიკური მანიპულაციის მძევლად.

პრობლემა უამრავია, გადამწყვეტი არავინ არის. არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში პარლამენტში პრიორიტეტულ სწორედ ზემოაღნიშნული სფეროების სასწრაფოდ მოგვარების საკითხს დავაყენებთ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამის აღნიშვნა, რადგან ახლა წყდება, როგორი პოლიტიკური სპექტრი ეყოლება ქვეყანას მომავალი 4 წლის განმავლობაში; ვინაიდან, კიდევ ერთხელ გავიმეორებ ჭეშმარიტებას, ხელისუფლების წყარო არის ხალხი და არჩევნების გზით ხალხმა უნდა მისცეს მანდატი თავის რჩეულ მაჟორიტარებს თუ პოლიტიკურ პარტიას.



**პატივისცემით,**

**ალექსანდრე (ალეკო) მიქაბერიძე**

**ჩუღურეთის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აშშ მის მიერ დაპყრობილ ქვეყნებში ახერხებს და ინარჩუნებს ბატონობას გაბრიყვებული მოსახლეობის დარწმუნებით, რომ თითქოს ისინი ირჩევენ თავიანთ ქვეყნებში „დემოკრატიული არჩევნების“ გზით სასურველ მთავრობას, მაგრამ, თუ მერე მთავრობა „ვერ ახერხებს“ ქვეყნის მართვას ხალხის სურვილის შესაბამისად, ეს, ალბათ, იმის ბრალია, რომ „ხალხი არჩევანში შეცდა“ და უნდა დაელოდოს მომავალ „არჩევნებამს“, რათა ამჯერად მაინც შესძლოს სასურველი მთავრობის „არჩევა“ და ასე დაუსრულებლად.**

# ფაქტები, რომლებიც კენჭისყრისას უნდა გავითვალისწინოთ

**ფაქტია, აშშ-ის ძირგამომთხრელი აგენტურული მუშაობის შედეგად დაიშალა სსრკ. ფაქტია, სსრკ-ის ყოფილ ქვეყნებში და, რაღა თქმა უნდა, საქართველოშიც, სახელმწიფოს სათავეებში აშშ-ის, ანუ დამპყრობლის მიერ დასმული მარიონეტები მოვიდნენ და სსრკ-ის დაშლის შემდეგ დღემდე მართავენ აღნიშნულ ქვეყნებს, რაღა თქმა უნდა, დამყრობლის ნებისა და დიქტატის შესაბამისად.**

**ფაქტია, ვლადიმერ პუტინმა** შეძლო რუსეთის ფეხზე წამოყენება და ახლა უკვე თვითონ კარნახობს მსოფლიოს და, რაღა თქმა უნდა, აშშ-საც საკუთარ ნება-სურვილს.

**ფაქტია,** აშშ მის მიერ დაპყრობილ ქვეყნებში ახერხებს და ინარჩუნებს ბატონობას გაბრიყვებული მოსახლეობის დარწმუნებით, რომ თითქოს ისინი ირჩევენ თავიანთ ქვეყნებში „დემოკრატიული არჩევნების“ გზით სასურველ მთავრობას, მაგრამ, თუ მერე მთავრობა „ვერ ახერხებს“ ქვეყნის მართვას ხალხის სურვილის შესაბამისად, ეს, ალბათ, იმის ბრალია, რომ „ხალხი არჩევანში შეცდა“ და უნდა დაელოდოს მომავალ „არჩევნებამს“, რათა ამჯერად მაინც შესძლოს სასურველი მთავრობის „არჩევა“ და ასე დაუსრულებლად (მართლაც, „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო)...

**ფაქტია,** რომ დამპყრობელი ყოველთვის ახერხებს დაპყრობილი ქვეყნების მმართველობაში გამყიდველები, ანუ მოსყიდულ-გადაბირებული ნაძირალები დააყენოს, რომლებსაც მანამდე იყენებს, სანამ შეძლებს ხალხის მოტყუებას და სანამ რომელიმე მთავარს ხალხის ნდობის რესურსი არ ამოეწურება; ხოლო შემდეგ რეზერვში ჰყავს ისეთი ფიგურა, რომლის წამოყენებით მეთაურის კანდიდატურად ხალხს ადვილად გააბრიყვებს. მაგალითად, ისიც ხომ ფაქტია, რომ, როცა **ედუარდ შევარდნაძემ** ამოწურა ხალხის ნდობის რესურსი, აშშ-ს სამარქაფოდ უკვე გამზადებული ჰყავდა ოპოზიციაში გადასული „ტრიუმვირატი“ **მიხეილ სააკაშვილის, ზურაბ ჟვანიასა** და **ნინო ბურჯანაძის** სახით და შეძლეს კიდეც ხალხის მოტყუებით ქვეყნის სათავეში მოსვლა. თუ მათ ერთმანეთში უთანხმოება მოუვიდათ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ პირველობისთვის დაიწყეს ბრძოლა, რომელშიც ყველას სააკაშვილმა აჯობა. მან ჟვანია მოკლა, ხოლო ბურჯანაძე აიძულა, ოპოზიციაში გადასულიყო და ახლა სწორედ ამით ცდილობს ხალხის ნდობის მოპოვებას და ხელისუფლების სათავეში დაბრუნებას, თითქოს მართლა სურს რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენა, მაგრამ ის ხომ აშშ-ის აგენტია და, შესაბამისად, არც ეცდება, უბრალოდ, ხალხს ატყუებს...

**ფაქტია,** როცა სააკაშვილმა ამოწურა ხალხის ნდობის რესურსი და ისე შეაძულა თავი, რომ ადამიანები მზად იყვნენ, ხელახლა აერჩია კი არა, ფიზიკურადაც გასწორებოდნენ მასა და მის ბანდას, ანუ აშშ-ის ერთგულ და გაწვრთნილ კადრებს ამჟამინდელი „ნაციონალური მოძრაობის“ ცნობილი და ფარული წევრების სრული შემადგენლობით, პოლიტიკურ არენაზე გამოიყვანეს მილიარდერი **ბიძინა ივანიშვილი**, რომელსაც ხალხში ნდობა ყალბი მეცენატობით წინასწარ ჰქონდა მოპოვებული და რომელმაც იკისრა ზემოთ მოხსენიებული აშშ-ის აგენტურის გადარჩენა და შენარჩუნება; და ეს წარმატებით შეძლო.

**ფაქტია,** რომ ივანიშვილს ჯერ არ ამოუწურავს ხალხის ნდობის რესურსი, გულუბრიყვილო ადამიანებს დღემდე ჰგონიათ, რომ ბიძინა ივანიშვილს გარემოცვა ატყუებს და ხანდახან კადრების შერჩევაში ცდება, მაგრამ მიხვდება ყველაფერს და გვეშველება. ამიტომ ივანიშვილს მეორე წრეზეც წარმატებით გაიყვანენ თითქოსდა „ნაციონალური მოძრაობის“ საბოლოოდ გასანადგურებლად. და მათი „საოცნებო“ ბიძინა ამას გააკეთებს, ანუ **„ნაციონალური მოძრაობა“, როგორც პოლიტიკური პარტია, გაქრება პოლიტიკური არენიდან, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის ადამიანები, რომლებიც ადრე ნაციონალების სახელით ემსახურებოდნენ აშშ-ს, ახლა უკვე „მეოცნებეებად“ სახელგადარქმეულები არ განაგრძობენ იმავე საქმიანობას.**

**ფაქტია,** რომ ე. წ. ნაციონალები შევარდნაძის „მოქალაქეთა კავშირიდან“ გამოიჩეკნენ ნაციონალებად. ახლა კი იგივე ხალხი, ამჯერად უკვე „გადაოცნებულები“, ცდილობენ და კიდევაც მოვლენ დიდი რაოდენობით „ბედკრული საქართველოს“ ხელისუფლებაში. ამას სწორედ ივანიშვილი უწყობს ხელს, შეინარჩუნა რა მთავარ სახელისუფლებო პოსტებზე ყოფილი ნაციონალები (მმართველობის ყველა რგოლში) და საარჩევნო სიაც მაქსიმალურად დააკომპლექტა ნაციონალებიდან პორტირებული კანდიდატებით. თვით ამჟამინდელი პრემიერმინისტრი **გიორგი კვირიკაშვილიც** ხომ „მოქალაქეთა კავშირიდან“ ჰყავს საქართველოს ხელისუფლებას „აკიდებული“. ამასთანავე, ბიძინა ივანიშვილმა წინასწარ მოამზადა საპრეზიდენტოდ ბატონი **ირაკლი ღარიბაშვილი**, შეუქმნა რა მას ხალხის თვალში ეროვნული მოღვაწის იმიჯი და ზუსტად ამ სახელით მოულოდნელად, ანუ „სახელის შეუბღალავად“ გაიყვანა პოლიტიკური არენიდან მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში მისი კანდიდატურის ისევ წამოსაყენებლად.

ე.ი. მოსახლეობისთვის, ანუ გულუბრყვილო ამომრჩევლისთვის უკვე ცხადი უნდა იყოს, როგორ მოიქცეს ასეთ მდგომარეობაში. დაე, საკუთარი ბედი ხალხმა თვითონ გადაწყვიტოს. ნათქვამია: „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“?!

**ვლადიმერ ჩუბინიძე**

# კოლონიები მარსზე — უახლოესი მომავლის საქმე

**აეროკოსმოსური კომპანია SpaceX-ის გეგმა, 8 წლის შემდეგ მარსზე ადამიანი გაგზავნოს, რეალისტურია, მიიჩნევს დანიელი მეცნიერი.**





„მიუხედავად იმისა, რომ მეწარმე ილონ მასკის გეგმები მარსის კოლონიზაციისა და იქ ცივილიზაციის შექმნის შესახებ სამეცნიერო-ფანტასტიკურ ფილმს მოგვაგონებს, ის თავისუფლად შეიძლება განხორციელდეს“, — მიაჩნია მარსის მკვლევარს, ნილს ბორის სახელობის ინსტიტუტის დანიელ მეცნიერს — **კიარტან ბიუნსტერ კინხს.**

**ილონ მასკი** აეროკოსმოსური კომპანია SpaceX-ის ხელმძღვანელია. მან რამდენიმე დღის წინათ მექსიკის ქალაქ გვადალაჰარაში გამართულ აერონავტიკის საერთაშორისო კონგრესზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ მარსის პირველი კოლონიზატორები დედამიწას 2024 წელს დატოვებენ.

„როგორც ჩანს, ისინი უკვე მუშაობენ მარსზე ადამიანის გაგზავნაზე. აშკარაა, რომ SpaceX-ის გეგმა სერიოზულია და მას უფრო ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ, ვიდრე წარსულში შექმნილ სხვა გეგმებს“, — განაცხადა კიარტან ბიუნსტერ კინხმა.

**წითელ პლანეტაზე რაკეტის გაგზავნის საუკეთესო დრო არის მომენტი, როდესაც დედამიწა და მარსი ერთმანეთს დაუახლოვდებიან. ეს ხდება ყოველ 26 თვეში ერთხელ. ამ პერიოდში მარსამდე ფრენას ნახევარი წელიწადი დასჭირდება.**

„თუკი რაღაც ისე არ მოხდება, როგორც დაგეგმილი იყო, პროექტის განხორციელების თარიღი 26 თვით გადაიწევს. ასე რომ, კონკრეტულ ვადაზე ფსონს ვერ დავდებ, მაგრამ ამ გეგმას ძალიან სერიოზულად ვეკიდები“.

ვიდრე მომავალი მარსელები გზას დაადგებიან, აუცილებელი იქნება ბაზის შექმნა მთვარის ზედაპირზე და იქ ყველა სისტემის შემოწმება, რათა დავრწმუნდეთ, რომ ისინი სტაბილურად მუშაობს.

**„მთვარის უპირატესობა არის ის, რომ, თუკი ვინმე აპენდიციტით ავად გახდება ან რომელიღაც ხრახნი გატყდება, იქამდე მიღწევას ორი დღე დასჭირდება და არა ნახევარი წელიწადი“,** — განმარტავს კიარტან მიუნსტერ კინხი.

„ამა თუ იმ მიზეზის გამო ადამიანებს მარსი უფრო მომხიბვლელად ეჩვენებათ, ვიდრე მთვარე, და შეიძლება ითქვას, რომ მარსი — ეს არის სიცოცხლისთვის უკეთესი ვარიანტი“, — დასძენს მეცნიერი.

მიზეზი არის ის, რომ მარსის დღე-ღამე ჰგავს დედამიწისას. ამასთანავე, მარსზე მცენარეების მოყვანა უფრო იოლი იქნება, იქ ხომ არის წყალი და მინერალები ნიადაგში. მთვარე კი სრულიად გამოფიტულია.

**„მაგრამ მარსზე ღამით საშინლად ცივა — ტემპერატურა მინუს 60 გრადუსს აღწევს. სამაგიეროდ, დღისით პლუს 20 გრადუსამდე იმატებს. ამასთანავე, მარსზე, ბაზის გარეთ, ადამიანებს დასჭირდებათ ჟანგბადის ნიღბები ან სკაფანდრები“,** — განაცხადა დანიელმა მეცნიერმა.

**წითელ პლანეტაზე რაკეტის გაგზავნის საუკეთესო დრო არის მომენტი, როდესაც დედამიწა და მარსი ერთმანეთს დაუახლოვდებიან. ეს ხდება ყოველ 26 თვეში ერთხელ. ამ პერიოდში მარსამდე ფრენას ნახევარი წელიწადი დასჭირდება**

მარსით დაინტერესებულია არა მხოლოდ ილონ მასკის SpaceX-ი. ამერიკის კოსმოსური კვლევის სააგენტომ განაცხადა, რომ 2030 წელს ისიც აპირებს მარსზე ადამიანის გაგზავნას.

**Berlingske** (დანია)




# გერმანიაში პოლიტიკოსებსა და ჟურნალისტებზე თავდასხმის 900-ზე მეტი შემთხვევა აღირიცხა

**გერმანიის შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, წლის დასაწყისიდან დღემდე ქვეყანაში პოლიტიკოსებსა და ჟურნალისტებზე თავდასხმის 900-ზე მეტი შემთხვევა აღირიცხა.**

2016 წლის იანვრიდან დღემდე გერმანიაში ხელისუფლებაში არჩეული „თანამდებობის პირების წინააღმდეგ სამართალდარღვევის 813 შემთხვევა აღირიცხა. 18 შემთხვევაში ლაპარაკია ფიზიკურ ძალადობაზე. ამას გარდა, იყო გამოძალვის, მუქარის, ქონების დაზიანების, ეროვნებათაშორისი შუღლის გაღვივებისა და ცეცხლის გაჩენის შემთხვევებიც. 384 შემთხვევაში გამოძიებამ ეჭვი მიიტანა მემარჯვენე ექსტრემისტებზე, თავდასხმის 97 შემთხვევის უკან კი მემარცხენე პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენლები იყვნენ, 34 თავდასხმა მიგრანტებმა ჩაიდინეს.

წლის დასაწყისიდან, აგრეთვე, აღირიცხა მასობრივი საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლებზე თავდასხმის 90 შემთხვევა.

**Spigel Online**

**რამდენიმე წელია, თითქოს ნატოს სტანდარტებს ვუახლოვდებით და, ჩვენდა სამწუხაროდ, მხოლოდ სხვადასხვა მისიაში ვგზავნით ჩვენს ჯარისკაცებს, მაშინ, როცა ამ მისიებში ნატოს ქვეყნები მცირე კონტიგენტითაა წარმოდგენილი. ისტორიულ ბედ-იღბლად გვექცა სხვის ჯარში სამსახური და საზარბაზნე ხორცად გამოყენება.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ფიქრები მოახლოებულ არჩევნებზე

**რაც უფრო ვუახლოვდებით არჩევნებს, მით მეტად იძაბება ქვეყანაში ვითარება. არჩევნების სამართლიან და უსაფრთხო ჩატარებაზეა დამოკიდებული ქვეყნის მომავალი — როგორ დაკომპლექტდება საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება, რომელიც გამოიყვანს ამ მდგომარეობიდან ქვეყანას.**




სამწუხაროდ, ის პარტიებიც კი, რომლებიც თავს წამოაჩენენ პატრიოტებად, გარკვევით ვერ სახავენ გამოსავალს. ძნელია იმის განსაზღვრა, როგორი იქნება საკანონმდებლო ხელისუფლება — ეროვნული თუ გარედან მართული. სამწუხაროდ, ე.წ. პოლიტიკურ პარტიებს არ აქვთ ეროვნული ინტერესები, არ გვყავს ეროვნულად მოაზროვნე ხელისუფლება, არავინ ზრუნავს ეროვნული ღირებულებების — სულიერების, ზნეობის, სოციალური, განათლების, კულტურის, სოფლისა და სახალხო მეურნეობისა და სხვა სფეროების აღორძინებაზე, არ ჩანს ისეთი პოლიტიკური გუნდი, რომელიც ქვეყანას გამოიყვანს ამ მდგომარეობიდან. სანატრელი გაგვიხდა ნამდვილი და სამართლიანი ოპოზიცია.

**ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა დავადგეთ იმ გზას, რომელიც მიგვიყვანს ტაძრამდე, ეს კი ეროვნული ნიადაგის, ეროვნული თვითშეგნების, ზნეობრივი ძალის გარეშე შეუძლებელია.**

ჯერ კიდევ როდის წერდა **ვაჟა-ფშაველა**, „ვინც უარყოფს თავის ეროვნებას, თავის ქვეყანას იმ ფიქრით, ვითომ კოსმოპოლიტი ვარო, ის არის მახინჯი გრძნობის პატრონი. იგი თავისსავე შეუმჩნევლად დიდი მტერია კაცობრიობისა, რომელსაც ვითომ ერთგულებასა და სიყვარულს უცხადებს“.

სამწუხაროდ, **ეროვნულობა, თავისუფლება, დამოუკიდებლობის მიღწევა ჩვენთვის საოცნებო შეიქნა, თუმცა მის დაკარგვაში, რა თქმა უნდა, ლომის წილი ჩვენც მიგვიძღვის.**

**ყველა მოწვევის პარლამენტის წევრები ინკუბატორში გამოზრდილ წიწილებს ჰგვანან, მაგრამ ამერიკულ ინკუბატორში ყველა ერთ ხმაზე მღერის იმას, რასაც დაუკვეთავენ პატრონები.** სამწუხაროდ. ერთი დეპუტატიც არ აღმოჩნდა, რომ ანტიდისკრიმინაციულ და მშობლებისთვის ბავშვების ჩამორთმევის კანონების მიღებაზე უარი ეთქვა — არ შერჩათ ეროვნული სული, არ აუტოკდათ პატრიოტული ძარღვი. დაკავებულნი არიან მხოლოდ პულტზე ხელის დაჭერით, მათ შორის, ყოველ უვარგის კანონებზეც კი.

მათი მოღვაწეობითა და უსულგულო დამოკიდებულებით დაიშრიტა სათავე და წყარო პატრიოტიზმის გაღვიძებისა. ან როგორ ებრძვიან მამულს, ენასა და სარწმუნოებას? სამშობლოს სიყვარულის აპოგეა იყო **დუტუ მეგრელის** ლექსი:

**„მე პატარა ქართველი ვარ,**
**კავკასიის მთების შვილი**
**და განცხრომით**
**სხვაგან ყოფნას**
**მირჩევნია აქ სიკვდილი“.**

სამწუხაროდ, უამრავი პატრიოტული ლექსი და ღირებულებები სანაგვეზე მოისროლეს. პატრიოტიზმი ხომ დაბადებიდან უვითარდება ადამიანს. მათ გზა გადაუკეტეს ახალგაზრდობის ეროვნული სულისკვეთებით აღზრდას. გვავიწყდება ჩვენი თვითმყოფადობა, მრავალსაუკუნოვანი ისტორია, კულტურა და ტრადიცია. ჩვენ ხომ კავკასიის მთების შვილები ვართ, ამ მთებივით ამაყი. კავკასია ეს უძველესი მხარე, გამორჩეული თავისი უნიკალური და ულამაზესი ბუნებით, ისტორიით, ტრადიციებით, ამაყი და მებრძოლი ხალხით, სათაყვანებელია თითოეული კავკასიელისთვის, ჩვენ კი გავიძახით, ევროპელები ვართო.

**როგორც კორიდაშია, ესპანურ სანახაობში, რომელშიც ტორეადორი წითელი ნაჭრის ფრიალით აქეზებს და იგერიებს ხარს, ასევე წითელი ნაჭერივით გამოგვიყენა ამერიკამ რუსეთის წინააღმდეგ და ნაჭერივით გვაფრიალებს, შედეგად მივიღეთ დაგლეჯილი და გაპარტახებული ქვეყანა.**

**როგორც კორიდაშია, ესპანურ სანახაობში, რომელშიც ტორეადორი წითელი ნაჭრის ფრიალით აქეზებს და იგერიებს ხარს, ასევე წითელი ნაჭერივით გამოგვიყენა ამერიკამ რუსეთის წინააღმდეგ და ნაჭერივით გვაფრიალებს, შედეგად მივიღეთ დაგლეჯილი და გაპარტახებული ქვეყანა.** შევიძინეთ რუსეთის გამაღიზიანებელი ფუნქცია, არადა, არავითარი ინვესტიცია, მხოლოდ „მაკდონალდსის“ კვების ობიექტებით გვამარაგებენ, თუმცა, რას გვაჭმევენ, ღმერთმა უწყის: დაკაბალებული ვართ ბანკების მიერ. ქვეყნის საგარეო ვალმა 14 მილიარდს მიაღწია. არადა, უამრავ თანხას ხარჯავენ ე.წ. პოლიტიკური პარტიების დასაფინანსებლად. უცხო ძალებს ხელისუფლებაც და ოპოზიციაც მოსყიდული ჰყავთ. კიბოს მეტასტაზივით არიან მოდებულნი ჩვენს სამშობლოს და წამლავენ უზნეობით. არჩევნების მოახლოების გამო გაიზარდა ამერიკელების ინტერესი. გახშირდა ვიზიტები — ჩამოვიდნენ ვიცეპრეზიდენტი, კონგრესმენები, ნატოს გენერალური მდივანი; ჩატარდა სამხედრო წვრთნები; რეზოლუცია მიიღეს (მერამდენედ?) ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერაზე, რომელიც ფარატინა ქაღალდად იქცა და თვალებზე გვაფარებენ, გამუდმებით გაიძახიან „ნატო-ნატოს“; ამასთანავე, გახშირდა პარტიების ლიდერებისა და სამთავრობო წრეების წარმომადგენელთა ვიზიტები ამერიკაში და აღშფოთება თუ შეშფოთება საქართველოს მდგომარეობაზე. ყოველივე ეს შემთხვევით არ ხდება და არც საქართველოს სიყვარულით არის გამოწვეული. სიტუაცია მსოფლიოში სწრაფად იცვლება, მიმდინარეობს მსოფლიოს ხელახალი გადანაწილების პროცესი. ჩვენი მეზობელი დიდი ქვეყნები არ დაუშვებენ კავკასიაში, რომლის გული და ცენტრი საქართველოა, იყოს ომის კერა. ბოლო 25 წელიწადში ორი სამოქალაქო დაპირისპირება და ერთი სახელმწიფოთაშორისი ომი გადავიტანეთ, კიდევ ერთი ასეთი ომი და აღარ ვიარსებებთ. რამდენიმე წელია, თითქოს ნატოს სტანდარტებს ვუახლოვდებით და, ჩვენდა სამწუხაროდ, მხოლოდ სხვადასხვა მისიაში ვგზავნით ჩვენს ჯარისკაცებს, მაშინ, როცა ამ მისიებში ნატოს ქვეყნები მცირე კონტიგენტითაა წარმოდგენილი. ისტორიულ ბედ-იღბლად გვექცა სხვის ჯარში სამსახური და საზარბაზნე ხორცად გამოყენება, არადა, რა კარგად აქვს ნათქვამი მუხრან მაჭავარიანს: „საქართველო, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი“, ე.წ. ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი და სხვა, თითქოსდა მოკავშირეები სხვა ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური პირობების ასამაღლებლად და სამართლებრივი სახელმწიფოს შესაქმნელად ნაკლებად ირჯებიან.

ჩვენ კი საღად ვერ ვაფასებთ და ვერ ვითვალისწინებთ შექმნილ მდგომარეობას — **ვის მოვთხოვოთ პასუხი ხელოვნურად ჩამოყალიბებულ და მართულ ჩვენს მთავრობას თუ მოსყიდულ არასამთავრობო ორგანიზაციებს, პოლიტიკურ პარტიებს, პოლიტოლოგებს და ექსპერტებს?**

კავკასია შეიძლება გახდეს მშვიდობისა და ომის კიდევ ერთი გასაყარი, ამიტომაც ჩვენი რეგიონის წამყვანი სახელმწიფოების მიზანია, კავკასიაზე არ გაიაროს ნატოს ჯარებმა, ჩვენი ქვეყანა კი იზოლირებულია კავკასიაში. გვინდა თუ არა, ამერიკას მაინც მოუწევს ჩვენი ქვეყნის მიმართ დიამეტრულად შეცვალოს დამოკიდებულება, როცა სიტყვით გვეუბნება, რომ რუსეთთან მოვაგვაროთ ურთიერთობა, მაგრამ საქმითა და მოქმედებით ხელს გვიშლის ურთიერთობის დასამყარებლად. არადა, სხვა გზა არ გვაქვს და ეს ისტორიულად გარდაუვალია.

**ჯონი ცინცაძე,**
**ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ლანჩხუთი**




**ეროვნულობა, თავისუფლება, დამოუკიდებლობის მიღწევა ჩვენთვის საოცნებო შეიქნა, თუმცა მის დაკარგვაში, რა თქმა უნდა, ლომის წილი ჩვენც მიგვიძღვის. ყველა მოწვევის პარლამენტის წევრები ინკუბატორში გამოზრდილ წიწილებს ჰგვანან, მაგრამ ამერიკულ ინკუბატორში ყველა ერთ ხმაზე მღერის იმას, რასაც დაუკვეთავენ პატრონები**

# ევროპის საბანკო სისტემას შტორმი უახლოვდება

**ევროპის ბანკები კრიზისის ეპიცენტრში აღმოჩნდნენ, მათი ბიზნესმოდელები უკვე აღარ მუშაობს, — განაცხადა Brooks Macdonald-ის ანალიტიკოსმა კევინ ბოშერმა.**

„ბანკები, კაზინოებივით კი არა, საზოგადოებრივი საწარმოებივით უნდა მოქმედებდნენ. ეს სურს ყველას: ინვესტორებსაც, რეგულატორებსაც და საშუალო სტატისტიკურ ადამიანსაც. ამას გარდა, არის ცუდი ვალებიც, რომლებიც ჯერ კიდევ არ გამოუვლენიათ ევროკავშირსა და დიდი ბრიტანეთის საბანკო სისტემებში“, — განაცხადა ექსპერტმა და დასძინა, რომ მსოფლიო გააწამა მეტისმეტმა ვალებმა. ამ ვალების უმეტესობა ერთმანეთთან არის დაკავშირებული. და, თუ ერთი ბანკი ჩაიძირება, ამას შეიძლება მოჰყვეს დომინოს ეფექტი. ფინანსური მაჩვენებლები კარგია, მაგრამ რომელი ფინანსური წყაროებიდან იღებენ გრძელვადიან შემოსავალს?

ევროპის ბანკები დაზარალდნენ შოკებისგან, მათ შორის დაბალპროცენტიანი განაკვეთების, მცირე კორპორაციული შემოსავლებისა და ბრექსიტის ფონზე შექმნილი გაურკვევლობის გამო. ისეთი დიდი ბანკები, როგორიც არის Deutshe Bank-ი, Royal Bank of Scotland-ი და Credit Suisse-ი — ეს მხოლოდ ნაწილია კრედიტორებისა, რომელთა აქციებიც სარეკორდოდ დაბალ დონეზე დაეცა ზემოაღნიშნული ფაქტორების ფონზე.

ამასთანავე, გერმანული გიგანტის — Deutshe Bank-ის უსიამოვნებები, როგორც ჩანს, არასდროს დასრულდება. რამდენიმე დღის წინათ ამ ბანკის აქციების ღირებულებამ 3%-ით მოიმატა და, გაზეთ Die Zeit-ში გამოქვეყნებული სტატიის მიხედვით, გერმანიის მთავრობას განზრახული აქვს, აამოქმედოს ბანკის გადარჩენის გეგმა.

აღსანიშნავია, რომ წლის დასაწყისიდან Deutshe Bank-ის აქციების ფასი 50%-ზე მეტით დაეცა.



ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რეპროდუქციისა და გამრავლების სფეროში შნობელის პრემია წილად ხვდა ეგვიპტელ მეცნიერს ახმედ შაფიკუს კვლევისთვის „ლაბორატორიული თაგვების სექსუალურ ცხოვრებაზე პოლიეთილენის, ბამბისა და შალის ტრუსების გავლენა“.**



## აშშ-ში დასრულდა შნობელის პრემიის გადაცემის ცერემონია

**ყოველ წელიწადს, სექტემბერში, ჰარვარდის უნივერსიტეტში გადასცემენ ეგრეთ წოდებულ შნობელის პრემიას ყველაზე უცნაური და უაზრო სამეცნიერო გამოგონებისთვის. ეს პრემია 1991 წელს დააწესა მარკ აბრაჰამსმა და სინამდვილეში ეწოდება Ig Nobel Prize, რაც მოდის ინგლისური სიტყვიდან ignoble და ნიშნავს სამარცხვინოს. შემოგთავაზებთ 2016 წლის შნობელის პრემიის რამდენიმე ლაურეატს.**

* **რეპროდუქციისა და გამრავლების სფეროში შნობელის პრემია წილად ხვდა ეგვიპტელ მეცნიერს ახმედ შაფიკუს კვლევისთვის „ლაბორატორიული თაგვების სექსუალურ ცხოვრებაზე პოლიეთილენის, ბამბისა და შალის ტრუსების გავლენა“.** მეცნიერმა მსგავსი ექსპერიმენტი ადამიანებზეც სცადა, მაგრამ ამაზე აქ არ ვისაუბრებთ.

* **ფიზიკის დარგში პრიზი დაიმსახურა მეცნიერთა ჯგუფმა უნგრეთიდან, ესპანეთიდან, შვედეთიდან და შვეიცარიიდან.** მათ დაამტკიცეს, რომ **„თეთრ ცხენებს ნაკლებად ესევიან სისხლისმწოველი მწერები“.** მეცნიერებმა ასევე დაამტკიცეს, რომ **კალიებს ძალიან უყვართ საფლავის შავ ქვებზე ჯდომა“.**

* **გერმანულმა კომპანიამ „ფოლკსვაგენმა“ დაიმსახურა პრიზი ქიმიის სფეროში მიღწევებისთვის.** წლეულს საკმაოდ დიდი სკანდალი გამოიწვია ავტოკონცერნ Volkswagen-ის მიერ რეალური მაჩვენებლების დაფარვამ მათი ავტომობილების მიერ დამაბინძურებელი ნივთიერებების გამოყოფის შესახებ. ზოგი ჭირი მარგებელიაო. ჰოდა, კომპანიამ მასშტაბური კვლევა ჩაატარა და თავისი ავტომობილები შედარებით ეკოლოგიური გახადა. სწორედ ამისთვის გადასცეს მას შნობელის პრიზი.

* **პრიზი წილად ხვდათ გერმანელ მედიკოსებსაც.** მათ საკმაოდ საინტერესო რამ აღმოაჩინეს: **„თუკი ადამიანს ექავება სხეულის ერთი მხარე, მაშინ ამ ქავილის შენელება შესაძლებელია სარკეში ჩახედვითა და მეორე მხარეს მოფხანვით“.** ახლა თქვენ იცით, როგორ უნდა მოიქცეთ, თუკი გვერდი მოგექავებათ. ეძებეთ სარკე!

* **ბელგიის, ნიდერლანდების, გერმანიის აშშ-ისა და კანადის ფსიქოლოგებმა ჩაატარეს მასშტაბური გამოკითხვა, რომელშიც მონაწილეობდა 1000 პათოლოგიური მატყუარა.** მას შემდეგ, რაც გამოკითხვა დასრულდა, მეცნიერებმა მოაწყვეს დისკუსია — ღირდა კი კვლევის შედეგების დაჯერება, ხომ შეიძლება, რომ მატყუარებმა მეცნიერები გააბრიყვეს?Uმოტყუების სფეროში ამ უჩვეულო კვლევისთვის მათ პრიზი დაიმსახურეს.

* **ბიოლოგიის დარგში მიღწევებისთვის პრიზი გადაეცათ ბრიტანელ მეცნიერებს. ისინი შეეცადნენ, თავი წარმოედგინათ წავის, ირმის, მელიის ადგილას ველურ ბუნებაში.** ერთ-ერთმა მათგანმა მთის თხის კოსტიუმიც კი შეიკერა და სამი წლის განმავლობაში ცხოვრობდა ამ ცხოველებთან ერთად.

* **იაპონელმა მკვლევარებმა გაარკვიეს, რომ, თუკი დაიხრებიან და სამყაროს ფეხებს შორიდან გახედავენ, მაშინ ადამიანის აღქმა ძლიერ დამახინჯდება.**

***შვედმა მწერალმა კი პრემია მიიღო ლიტერატურის დარგში წიგნისთვის „ბუზების კოლექციონერის გზა“.** მასში საუბარია მეცნიერზე, რომელმაც შექმნა ხაფანგი მწერებისთვის.

აი, სულ ეს იყო.

## მეცნიერებმა იპოვეს და შეძლეს სიმსუქნეზე პასუხისმგებელი გენის ბლოკირება

**როგორც ჟურნალ Cell Reports-ის რედაქცია იტყობინება, ამერიკელმა მეცნიერებმა თაგვის ტვინის უჯრედებში აღმოაჩინეს გენი, რომელიც პასუხისმგებელია სიმსუქნეზე. ჩატარებული კვლევის თანახმად, ორგანიზმის მიდრეკილება სიმსუქნისადმი იზრდება იმის მიხედვით, თუ როგორ ცვლის ტვინის აქტივობას ცხიმიანი საკვები.**



როგორ მიმდინარეობს ეს პროცესი:

მეცნიერებმა შეისწავლეს გენის — Rap1-ის აქტივობა თაგვების თავის ტვინში. ეს გენი მონაწილეობს მეხსიერების ფორმირებაში და სწავლის პროცესში, მაგრამ მკვლევარებს აინტერესებდათ მისი როლი ენერგეტიკული ბალანსის უზრუნველყოფაში. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მოცემული გენის აქტივობა ნამდვილად ახდენს გავლენას ენერგეტიკულ ბალანსზე.

ექსპერიმენტში მონაწილე მღრღნელები ორ ჯგუფად გაყვეს. ერთ ჯგუფში Rap1-ის ბლოკირება მოახდინეს ჰიპოთალამუსის (შუამდებარე ტვინის ნაწილი, რომელიც თავის ტვინის მესამე პარკუჭისა და თელამუსის ქვემოთ მდებარეობს და ერთ-ერთ ვეგეტატიურ ცენტრს წარმოადგენს. ჰიპოთალამუსი მჭიდროდაა დაკავშირებული ჰიპოფიზთან და მასთან ერთად არეგულირებს ორგანიზმში წყლისა და მარილების ცვლას) ნეირონების ჯგუფში.

ამის შემდეგ ორივე ჯგუფის თაგვებს მაღალცხიმიანი საკვებით კვებავდნენ. **თაგვები, რომლების RAP1 გენი დახშული იყო, წონაში ნაკლებად იმატებდნენ, ვიდრე მათი ნათესავები. ამას გარდა, ეს მღრღნელები უფრო ცოტას ჭამდნენ, მათმა ორგანიზმმა კი დაიწყო ცხიმების ეფექტიანი დაწვა, მაგრამ ეს ყველაფერი არ არის. ცხოველები „გამორთული“ გენით არ განიცდიდნენ რეზისტენტობას სიმაძღრის ჰორმონის მიმართ.** როგორც ცნობილია, მსუქანი ადამიანი ვერ იგებს გაძღომას და გაუთავებლად ჭამს.

მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით, მეცნიერები გეგმავენ, შეიმუშავონ სიმსუქნის მკურნალობის ახალი მეთოდები გენური თერაპიის საშუალებით, რომელიც თანდათან პოპულარული ხდება.

## ხელსაწყო, რომლითაც წიგნების სკანირება გადაუფურცლავად შეიძლება

**კარგა ხანია, მსოფლიოს დიდ ბიბლიოთეკებში წიგნები ციფრულ ფორმატში გადაჰყავთ, რათა ცოდნა უფრო ხელმისაწვდომი გახდეს ფართო საზოგადოებისთვის. ზოგი ბიბლიოთეკა სკანირების ავტომატიზებულ სისტემას იყენებს, ზოგი კი ძველებურად ჩვეულებრივი სკანერით სარგებლობს. ნებისმიერ შემთხვევაში ეს წიგნებისადმი ფრთხილად მოპყრობას მოითხოვს, თვით პროცესს კი საკმაოდ დიდი დრო მიაქვს, რადგან თითოეული გვერდის გადაფურცვლა გვიწევს. ამას გარდა, არსებობს ძველი წიგნები, გაცრეცილი ფურცლებით, რომელთა შეხება, შესაძლოა, სავალალო აღმოჩნდეს ასეთი ეგზემპლარებისთვის.**



ამიერიდან ამ პრობლემას ახალი სკანერი გადაჭრის, რომელსაც შეუძლია დახურული წიგნის სკანირება, თანც, სულაც არ არის აუცილებელი, მათი გადაფურცვლა.

მაღალტექნოლოგიური მოწყობილობის შემქმნელები არიან მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის სპეციალისტები. მათი გამოგონება მუშაობს თერაჰერცული სპექტრის გამჭოლი გამოსხივების საფუძველზე. რა არის ეს?

**თერაჰერცული გამოსხივება** — ეს არის ელექტრომაგნიტური გამოსხივების სახეობა, რომლის სიხშირის სპექტრი ინფრაწითელ და ზემაღალი სიხშირის დიაპაზონებს შორის მდებარეობს. ეს გამჭოლი სხივი, რენტგენის მსგავსი, ცარიელი ფურცლის ველის ზუსტი დიფერენცირების საშუალებას იძლევა, ასევე მელნით დაფარულის — ცალკეული ქიმიური ნივთიერებები ამ სახის გამოსხივებას სხვადასხვაგვარად ახშობს.

მიღებული მონაცემები მთელი რიგი სპეციალური ალგორითმების მეშვეობით მუშავდება, რომელიც თითოეული სიმბოლოს გამოსახულების იმდენად მკვეთრად მიღების საშუალებას იძლევა, რამდენადაც ეს შესაძლებელია. ამას გარდა, დამატებითი ზომების გამოყენებით შესაძლებელია ძალიან დაზიანებული სიმბოლოების ორიგინალური ფორმების აღდგენა.

მოცემულ მომენტში საექსპერიმენტო ნიმუშს შეუძლია დაახლოებით 10 გვერდის სკანირება, უფრო ღრმა სკანირებისას სიგნალი იკარგება, რაც უშლის ხელს დანარჩენი გვერდების რიგითობისა და მათზე განლაგებული სიმბოლოების თანმიმდევრობის აღქმაში. მაგრამ მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის მეცნიერები იმედს არ კარგავენ და სამომავლოდ გეგმავენ თერაჰერცული გამოსხივების წყაროს სიძლიერისა და კამერის გარჩევადობის გაზრდით გააუმჯობესონ სკანერის შეღწევადობის სიღრმე.

## მომავლის ფურგონი კურიერული მომსახურებისთვის

**გერმანულმა საავტომობილო კონცერნმა Daimler AG-მ ახლახან წარმოადგინა ავტომობილი კურიერული მომსახურებისთვის. ძარის მომრგვალებული ფორმა, დიდი საქარე მინა მძღოლს საუკეთესო ხედვის საშუალებას აძლევს, ხოლო ბატარეა ერთი დატუმბვით 270 კმ-ს გადის — აი რამდენიმე თავისებურება ახალი ფურგონის ახალი კონცეპტისა, რომელსაც Vision Van-ი უწოდეს.**

როგორც ჩანს, მწარმოებლები საკმაოდ სერიოზულად ეკიდებიან რობოტიზებულ და ავტომატურ სისტემებს და არ აპირებენ, შემოიფარგლონ „ჭკვიანი“ მულტიმედიური და ნავიგაციური გადაწყვეტილებებით. ინჟინრულმა გონმა გაცილებით დიდი ნაბიჯი გადადგა წინ, შესთავაზა რა კურიერებს მთლიანად ავტომატიზებული სატვირთო, რომელსაც დამოუკიდებლად შეუძლია ტვირთის დატვირთვა ძარაზე და მისი აკურატულად დალაგება სტელაჟებზე. დანიშნულ ადგილას მისვლისას ფურგონი თვითონ გადააწოდებს გზავნილს კაბინაში მჯდომ მძღოლს სპეციალური ფანჯრიდან, რაც საშუალებას მისცემს კურიერს, სწრაფად და ზედმეტი ძალისხმევის გარეშე გადასცეს ის ადრესატს.



ფურგონის სახურავზე დამონტაჟებულია კომპანია Matternet-ის ორი სატვირთო დრონი, რომელთაც შეუძლია 2კგ ტვირთის აწევა. ხოლო აკუმულატორი მათ საშუალებას აძლევს, ერთი დატუმბვით 20 კმ გადაიფრინოს. კვადროკოპტერები მთლიანად ავტონომიურია, ამიტომ დამოუკიდებლად შეუძლიათ ტვირთის აღება და მისი დადება შემკვეთის კართან. ეს საუკეთესო საშუალებაა იმ შემთხვევაში, როცა შინ არავინაა და ქუჩასა და კლიენტის სახლს შორის ღობეა აღმართული. დიახ, Vision Van-ი მხოლოდ მორიგი კონცეპტია, ამიტომ იმის იმედი ვერ გვექნება, რომ ამ „ლამაზმანებს“ ჩვენს გზებზე მალე ვიხილავთ, თუმცა მისი შთამომავლების გამოჩენამდე დიდი ლოდინი არ დაგვჭირდება, რადგან უკვე მიმდინარეობს ისეთი ავტომობილების შექმნაზე მუშაობა, რომლებსაც მსგავსი ფუნქციები ექნებათ.

**ქვემოთ აღწერილი 7 პროდუქტი გამოირჩევა ძლიერი ანტიანგიოგენური თვისებით, რომელიც სიმსივნური უჯრედებისთვის სისხლის მიწოდებას აფერხებს, ამიტომაც მეცნიერები გვირჩევენ, მივიღოთ ეს პროდუქტები, რითაც შევძლებთ ანგიოგენეზის მართვას და ხელს შევუშლით ავთვისებიანი სიმსივნური უჯრედების წარმოქმნასა და განვითარებას.**

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# 7 პროდუქტი, რომლებიც კიბოს უჯრედებს ანადგურებს

**უახლესი სამედიცინო კვლევების თანახმად, სტატიაში წარმოდგენილი 7 პროდუქტი განსაკუთრებით სასარგებლოა ონკოლოგიური დაავადებების სამკურნალოდ, რადგან ხელს უშლის სიმსივნური უჯრედების განვითარებას. მათი გამოყენება უმჯობესია პროფილაქტიკისთვის, თუმცა არსებობს ასევე მონაცემები, რომელთა თანახმად, რიგ შემთხვევებში აღნიშნული პროდუქტები ქიმიოთერაპიაზე უკეთესად მოქმედებს. ესენია: კურკუმა, მწვანე ჩაი, შავი შოკოლადი, ქოლო, მოცვი, პომიდორი, წითელი ღვინო.**

სისხლძარღვების განვითარების ნორმალურ პროცესს **ანგიოგენეზი** ეწოდება. ცხოვრების ზოგიერთ პერიოდში (მაგალითად, ახალშობილებში) ანგიოგენეზი უფრო აქტიურად მოქმედებს. წლების მატებასთან ერთად მისი აქტივაცია საგრძნობლად ნელდება, თუ არ ჩავთვლით იმ განსაკუთრებულ შემთხვევებს, როგორიცაა ჭრილობების დროს ქსოვილებისა და კაპილარების აღდგენა. ჩვეულებრივ ეს პროცესი მოლეკულა-აქტივატორებისა და ინჰიბიტორების მეშვეობით იმართება. მთლიანობაში ეს უკანასკნელი უფრო დიდ როლს თამაშობს, მაგრამ ანგიოგენეზის აქტივატორები ხელს უწყობს სისხლძარღვების უჯრედების ზრდას, რომელიც აუცილებელია ახალი სისხლძარღვების ფორმირებისთვის.

როდესაც სრულ განვითარებას მიაღწევს, კიბოს უჯრედები ანგიოგენეზის აქტივატორს ისვრის ორგანიზმში, რადგან საკვები ნივთიერების მოსამარაგებლად მას უფრო მეტი სისხლძარღვი სჭირდება.

არც ისე დიდი ხნის წინათ თანამედროვე მედიცინამ დაიწყო ისეთი პრეპარატების წარმოება, რომლებსაც **ანგიოგენეზის ინჰიბიტორებს** უწოდებენ. მათი ძირითადი განსხვავება ქიმიოთერაპიისგან არის ის, რომ ისინი კი არ ანადგურებენ კიბოს უჯრედებს, არამედ ხელს უშლიან სისხლძარღვების წარმოქმნას, რომელიც სიმსივნეს კვებავს.

ქვემოთ აღწერილი 7 პროდუქტი გამოირჩევა ძლიერი ანტიანგიოგენური თვისებით, რომელიც სიმსივნური უჯრედებისთვის სისხლის მიწოდებას აფერხებს, ამიტომაც მეცნიერები გვირჩევენ, მივიღოთ ეს პროდუქტები, რითაც შევძლებთ ანგიოგენეზის მართვას და ხელს შევუშლით ავთვისებიანი სიმსივნური უჯრედების წარმოქმნასა და განვითარებას.



## კურკუმა

კურკუმა ძირითადად ინდურ კულინარიაში გამოიყენება. მოამზადეთ კერძი, თევზის ან ხორცის ცხარე საწებელი, იმ პროდუქტებისგან, რომლებიც გაქვთ (ბოსტნეული, ხორცი, თევზი კვერცხი ან ოსპი) და დაუმატეთ ერთი სუფრის კოვზი კურკუმა სხვა ისეთ სანელებლებთან ერთად, როგორიცაა კვლიავი, ქინძი, კოჭა და ნიორი; დაუმატეთ წვნიანში, ჩაშუშულ კერძებში, ბრინჯის ფლავში. არაჩვეულებრივ გემოსთან ერთად ის კერძებს კაშკაშა ყვითელ ფერს მისცემს.

ბოლო გამოკვლევების თანახმად, კურკუმა ხელს უშლის სიმსივნის განვითარებას. ტესტები ადასტურებს, რომ ამ არაჩვეულებრივი სანელებლის ზემოქმედებით შემთხვევათა 80%-ში პროსტატის ავთვისებიანი კიბოს უჯრედები განადგურდა.



## შავი შოკოლადი

კიბოსთან ბრძოლა არ ნიშნავს, საერთოდ უარი ვთქვათ ტკბილეულზე. განსაკუთრებით — შავ შოკოლადზე: ის აძლიერებს გულის მუშაობას, აუმჯობესებს გუნება-განწყობილებას, ებრძვის ავთვისებიანი უჯრედების წარმოქმნას. აღსანიშნავია მეცნიერების მიერ გამოქვეყნებული დასკვნა, რომლის თანახმადაც, შავი შოკოლადი ხელს უშლის არტერიების შევიწროებასა და დახშობას; აუმჯობესებს სისხლის ცირკულაციას და ხელს უშლის თრომბის წარმოქმნას. გარდა ამისა, კოფეინი და თეობრომინი, რომლებსაც ეს მწარე ნუგბარი შეიცავს, ადამიანის შრომისუნარიანობისა და შემოქმედებითი აქტივობის სტიმულირებას უწყობს ხელს. ბრიტანელი მეცნიერები კი ამტკიცებენ, რომ თეობრომინი ხველების გაცილებით ეფექტიანი წამალია, ვიდრე ჩვეულებრივი ტრადიციული საშუალებები.



## წითელი ღვინო

წითელ ღვინოში შედის მნიშვნელოვანი ნივთიერება **რესვერატროლი** – ძლიერი ანტიოქსიდანტი, რომელსაც ყურძნის მარცვლის კანი შეიცავს. ბევრი კვლევა ამტკიცებს, რომ რესვერატროლი ანადგურებს ბაქტერიებს, ვირუსებსა და სოკოებს. ამ საოცარ ნივთიერებას სხვა სასარგებლო თვისებებიც აქვს. ის ზრდის გლუკოზისადმი ტოლერანტულობას დიაბეტის დროს, აუმჯობესებს ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, სპობს სახიფათო თავისუფალ რადიკალებს, ხელს უწყობს გულის მუშაობას და ხელს უშლის უჯრედების დაშლას რადიოაქტიური დასხივებისას.

წითელი ღვინო ასევე შეიცავს ბევრ კარდიოპროტექტორულ ნაერთს. რესვერატროლი და პოლიფენოლი ამცირებს ქოლესტერინის დონეს სისხლში და ხელს უშლის თრომბის ფორმირებას. ამას გარდა, არსებობს უტყუარი მტკიცებულება იმისა, რომ **წითელი ღვინის რეგულარული მიღება მცირე დოზით (დღეში 1 ჭიქა), ეხმარება ე. წ. კარგი ქოლესტერინის დონის ზრდას, რომელიც იცავს ჩვენს გულსა და სისხლძარღვებს დაზიანებისგან.**

რესვერატროლის დღიური რეკომენდებული დოზა **200-600 მლ გრამია,** მაგრამ უნდა გაითვალისწინოთ, რომ 225 მილიგრამი წითელი ღვინო ბევრ რესვერატროლს შეიცავს. ასე რომ, თქვენთვის მისაღები ნორმა დღეში 100 მლ ღვინოა.



## პომიდორი

ჰარვარდის უნივერსიტეტში ჩატარებულმა კვლევებმა დაადასტურა, რომ პომიდვრით ან პომიდვრის სოუსით მომზადებული კერძების თვეში 4-ჯერ მიღება ორჯერ შეამცირებს პროსტატის კიბოს წარმოქმნის რისკს. პომიდორი მდიდარია **ლიკოპინით,** რომელსაც ანტიანგიოგენური თვისებები აქვს. ის მარტივად იშლება ცხიმში და ასევე მარტივად ხდება მისი შეთვისება კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მიერ.



## მოცვი და ქოლო

ორივე საოცრად ეფექტიანი საშუალებაა სიმსივნური დაავადებების პროფილაქტიკისთვის. გარდა ამისა, აჩერებს ანგიოგენეზს და აქვეითებს ოქსიდაციურ სტრესს. ამასთანავე, ხელს უშლის ორგანიზმში უჯრედების დაბერებას, იმიტომ, რომ უამრავ ვიტამინს შეიცავს და ძალიან სასარგებლო პროდუქტია სისხლძარღვების გასამაგრებლად; მდიდარია კალიუმით, რომელიც სწრაფად გამოდევნის დაგროვილ სითხეს ორგანიზმიდან. მაგნიუმი კენკრაში ამცირებს ათეროსკლეროზის რისკს, აფართოებს სისხლძარღვების კედლებს, აწესრიგებს სისხლის მიმოქცევას.



## მწვანე ჩაი

მდიდარია ანტიოქსიდანტებით, რომელიც ადამიანს იცავს ანთებითი პროცესებისგან, ხელს უშლის თავისუფალი რადიკალების წარმოქმნას, იცავს ონკოლოგიური და გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისგან. ანტიოქსიდანტები შავი ჩაის შემადგენლობაშიც შედის, მაგრამ მწვანე ჩაიში უფრო ეფექტიანია მისი მოქმედების უნარი, რაც დამტკიცდა ბოლო პერიოდში ჩატარებული კვლევებით.

ებრძვის ოსტეოპოროზს, რომელიც ხშირად ახლავს მენოპაუზას და ძვალ-სახსროვან დაავადებებს. სავარაუდოდ, ამისთვის მადლობა პოლიფენოლებს უნდა ვუთხრათ, ნივთიერებებს, რომლებიც 25-ჯერ უფრო ეფექტიანია, ვიდრე ვიტამინი C. ამას გარდა, ჩაი ამაგრებს სისხლძარღვების კედლებს და არეგულირებს არტერიულ წნევას, ხელს უწყობს თრომბის გაწოვას, აძლიერებს იმუნიტეტს, კურნავს ზოგიერთ ალერგიულ ფორმას და ამცირებს სიმსივნური დაავადებების განვითარების რისკს.



## ყავა

მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ანტიოქსიდანტები, რომლებსაც ყავა შეიცავს, ხელს უშლის II ტიპის დიაბეტისა და სიმსივნური დაავადებების განვითარებას. ყავა ასევე ეხმარება სტრესთან გამკლავებაში, ახდენს ტვინის სასუნთქი ცენტრის სტიმულირებას, რითაც ეხმარება ასთმიანებს შეტევის დროს, ორგანიზმიდან დევნის ქოლესტერინს. ყავაში თავმოყრილია ბევრი სასარგებლო ნივთიერება: ნახშირწყლები, ცხიმები, ცილოვანი ნაერთები, სიცოცხლისთვის აუცილებელი რიგი მინერალები და მიკროელემენტები.

ასევე, მიუხედავად უამრავი მითისა ამ საკითხზე, ყავა წარმოადგენს პროდუქტს, რომელსაც სიცოცხლის გადარჩენა შეუძლია. მთელი რიგი კვლევების თანახმად, ინფარქტისა და ინსულტის რისკი 20%–40% მცირდება ამ სასმელის რეგულარულად მიღების შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ზომიერების ფარგლებში.

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**2001 წელს კუბასთან აღმოჩენილმა წყალქვეშა სტრუქტურამ იმთავითვე დააინტერესა მრავალი არქეოლოგი, ისტორიკოსი და ატლანტიდაზე მონადირე. მკვლევართა ჯგუფის მიერ გადაღებულმა ჰიდროლოკაციურმა გამოსახულებამ გაამჟღავნა სიმეტრიული და გეომეტრიულად სწორი სტრუქტურა, რომელიც განთავსებულია დაახლოებით 2 კვ კილომეტრზე (200 ჰექტარზე) 600-დან 750 მეტრამდე წყლის სიღრმეში.**

# რას ინახავს მსოფლიო ოკეანის ფსკერი

**გგონიათ, რომ ოკეანის ფსკერზე მხოლოდ ტიტანიკია? რა თქმა უნდა, არა — იქ ზოგჯერ ისეთ რაღაცებს პოულობენ, თმები ყალყზე დაგიდგებათ. მის ფსკერზე შეიძლება ისეთი რამ იპოვოთ, რაც გაგამდიდრებთ ან გემრიელ საუზმედ გაქცევთ. სწორედ მათზე მოგითხრობთ.**



## უძველესი კომპიუტერი

**მეცნიერები თვლიან, რომ პირველი კომპიუტერი 2 ათასი წლის წინათ საბერძნეთში შექმნეს.** სწორედ ბერძნებმა იპოვეს ის კუნძულ ანდიკიტირთან 1900 წელს ჩაძირული გემის ბორტზე. **კომპიუტერის დახმარებით ძველი ბერძნები მზის, მთვარისა და სხვა ციური ობიექტების მოძრაობას განსაზღვრავდნენ.**

2005 წელს ინჟინრებმა შეძლეს მისი ყველა დეტალის მოდელირება და სცადეს ამოქმედება, მაგრამ უშედეგოდ. ეს მათ მხოლოდ 2008 წელს მოახერხეს.



## ევოლუცია ზვიგენებს ნამდვილ მონსტრებად აქცევს

**კალიფორნიის უნივერსიტეტის მეცნიერთა ექსპედიციამ ინდოეთის ოკეანის ფსკერზე აღმოაჩინა ზვიგენის რვა სახეობა, რომლებიც აქამდე მეცნიერებისთვის უცნობი იყო.** როგორც ჩანს, ეს მონსტრები ყველაზე საშინელი სანახავი არიან, რაც კი მათ ოდესმე უნახავთ.



## მიკრობები

**2012 წელს პლანეტის ყველაზე ძველ ორგანიზმებს მიაკვლიეს. ეს მიკრობები იურული პერიოდისაა და უკვე 86 მილიონი წლის.** ამ ხნის განმავლობაში ბაქტერიები მარილიან წყალში იმყოფებოდნენ, ამიტომ არაფრით იკვებებოდნენ, მათ არ ჰყოფნიდათ ჟანგბადი, სულს ღაფავდნენ, მაგრამ მაინც არ დაღუპულან. მეცნიერებს იმედი აქვთ, რომ მათ „ფეხზე დააყენებენ“.

## კრაკენი

**კრაკენი (ისლ. ნორვ. Kraken) ნორვეგიულ ფოლკლორში ზღვის ურჩხულია, რომელიც ნორვეგიის ნაპირებთან ბინადრობდა. იგი წარმოდგენილი ჰყავდათ, როგორც უზარმაზარი და შემზარავი ქმნილება, რომლის ზურგი კუნძულს ჰგავდა და თავისუფლად შეეძლო, მკლავები დიდი გემისთვის შემოეხვია.**

ფიქრობთ, გიგანტური კრაკენი ვინმეს ფანტაზიის ნაყოფია? იაპონური და ამერიკული ტელეარხები არ დაგეთანხმებიან, რადგან მკვლევარებმა საკუთარი თვალით ნახეს 18 მეტრის სიგრძის მოლუსკი.

არსებობს ე.წ. **არქიტეუთისი** — ოკეანის კალმარის უდიდესი სახეობა. მისი სიგრძე 18 მეტრია. მანტიის სიგრძე კი — 2 მ. ყველაზე დიდი ეგზემპლარი ნაპოვნი იქნა 1887 წელს ახალი ზელანდიის ნაპირებთან. მისი სიგრძე 17, 4 მ იყო; სამწუხაროდ, წონაზე არაფერია ნათქვამი.





გიგანტური კალმარები არის ინდოეთის, წყნარი და ატლანტის ოკეანეების სუბტროპიკულ და ზომიერ ზონებში. ისინი შეიძლება შეგხვდეთ რამდენიმე მეტრის ან 1 კმ-ის წყლის სიღრმეში. მათზე თავდასხმას მხოლოდ კაშალოტი თუ გაბედავს.

2007 წელს ანტარქტიდის რაიონში მეთევზეებმა ფოტოზე გადაღებული ეგზემპლარი დაიჭირეს.

მეცნიერებს მისი შესწავლა უნდოდათ, მაგრამ ვერ შეძლეს, რადგან იმ მომენტისათვის არ არსებობდა შესაბამისი აპარატურა, ამიტომ გადაწყვიტეს, ხელსაყრელ დრომდე გაეყინათ გიგანტი. რაც შეეხება მის გაბარიტებს: სხეულის სიგრძე — 9 მეტრი, წონა — 495 კილოგრამი.

ოკეანის ფსკერზე, შესაძლოა, სხვა საოცარო არსებებიც იყოს.

## წყალქვეშა ქალაქი კუბასთან

**2001 წელს კუბასთან აღმოჩენილმა წყალქვეშა სტრუქტურამ იმთავითვე დააინტერესა მრავალი არქეოლოგი, ისტორიკოსი და ატლანტიდაზე მონადირე.** მკვლევართა ჯგუფის მიერ გადაღებულმა ჰიდროლოკაციურმა გამოსახულებამ გაამჟღავნა სიმეტრიული და გეომეტრიულად სწორი სტრუქტურა, რომელიც განთავსებულია დაახლოებით 2 კვ კილომეტრზე (200 ჰექტარზე) 600-დან 750 მეტრამდე წყლის სიღრმეში.

ამ ადგილას, კუბის ხელისუფლებასთან შეთანხმებით, საკვლევ სამუშაოებს აწარმოებდა და ოკეანის ფსკერს იკვლევდა კომპანია Advanced Digital Communications-ი მეცნიერების — **პოლ ვაინცვაიგისა** და **პოლინა ზალიცკის** ხელმძღვანელობით. ოფიციალურად მკვლევარებს ზღვის ფსკერის შესწავლა და მისი კარტოგრაფიული აღწერა ევალებოდათ. შეკვეთის ძირითადი მიზანი კი საგანძურით სავსე ჩაძირული ესპანური ხომალდების აღმოჩენა იყო.



მათ კვლევისას გამოიყენეს წყალქვეშა რობოტი ვიდეოკამერით. რობოტმა გადაიღო ფოტოები, რომლებზეც აღბეჭდილი იყო 4 პირამიდა, მათგან ერთ-ერთი მინისგანაა აგებული, წრიული წამონაქმნები — გრანიტის მასიური ბლოკებისგან. კუბის წყალქვეშა ქალაქი ნამდვილი საოცრებაა. აქ ჩანს არა მხოლოდ პირამიდები, არამედ სფინქსი და რამდენიმე მონოლითური ნაგებობა. ფოტოზე აღბეჭდილი შენობების კედლებზე ამოტვიფრული წარწერებიც გაირჩევა.

„წყალქვეშა არქიტექტურამ“ კანადელებს ძველი ლათინურამერიკული, ცენტრალური ამერიკისა და კარიბის აუზის, მათი განსაზღვრებით, ეგრეთ წოდებული „წინ წასული“ ცივილიზაციის — ტეოტიუაკანის ისტორიის პერიოდის არქიტექტურა მოაგონათ.

**„ეს საოცარია — ჰიდროლოკატორზე ხილვადობის მაღალი ხარისხით ჩანს ქვიშის უსასრულო თეთრი, სწორი ზედაპირი, ხოლო ამ შესანიშნავი პლაჟის შუაში გარკვევით იკვეთება ხელოვნური კონსტრუქციების არქიტექტურა... თითქოს თვითმფრინავით მიფრინავ ქალაქის თავზე და ხედავ საავტომობილო გზებს, გვირაბებსა და შენობებს“,** — აღწერს მიღებულ კადრებს პოლინა ზალიცკი.

„ჯერჯერობით, არ ვიცით, რა არის ეს, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ბუნებას არ შეუძლია მსგავსი სიმეტრიული არქიტექტურული ნაგებობების შექმნა“, – ამბობენ კანადელი მკვლევარები. მეცნიერები საგულდაგულოდ შეუდგნენ წყალქვეშა ქალაქის დეტალურ შესწავლას.

სიძველეთა კვლევისა და მორმონული წარმონაქმნების კვლევის ცენტრმა Foundation for Ancient Research and Mormon Studies-მა კი უარი თქვა მის შემდგომ კვლევაზე.

სკეპტიკოსთა აზრით კი, ეს ნაგებობა ისე ღრმად მდებარეობს ოკეანეში, რომ შეუძლებელია, ადამიანის შერქმნილი იყოს.

თუ მოიძებნება დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ ის ადამიანის ხელითაა შექმნილი, მაშინ ბევრი რამ შეგვიძლია დავამატოთ ჩვენ ცოდნას მაიას ცივილიზაციის შესახებ და იმ ქალაქზე, რომელიც ოკეანის სიღრმეშია.

ვარაუდობენ, რომ ქალაქი 10 000 წელზე მეტი ხნისაა და მიწისძვრის შედეგად ჩაიძირა.





ზოგი ფიქრობს, რომ ბალტიის ზღვის ფსკერზე ნაპოვნი დისკოს ფორმის იდუმალი ობიექტი, უბრალოდ, დიდი ზომის ქვაა. ზოგის აზრით, ის დიდი ხნის წინათ ჩაძირული ხომალდია. ეს ობიექტი საოცრად ჰგავს უცხოპლანეტელების ხომალდს ფილმიდან „ვარსკვლავური ომები“.





# ამო ბალტიის ზღვაში

**მკვლევართა ჯგუფმა Ocean Explorer (შვედეთი)-მა ბალტიის ფსკერის სკანირება ჩაატარა საუკუნეების წინათ ჩაძირული გემების მოსაძებნად. ჯგუფის სამიზნეა ძვირფასი ნივთები, მაგალითად, შამპანურისა და კონიაკის ბოთლები. ადრე ასეთმა „თხევადმა განძმა“ მის მფლობელს აუქციონზე გაყიდვით კარგი შემოსავალი მოუტანა.**

თუმცა, ძველი ბოთლების ნაცვლად, შვედებმა ფსკერზე უცნაური ობიექტი აღმოაჩინეს, რომელმაც მსოფლიო პრესის ყურადღება მიიპყრო.

ზოგი ფიქრობს, რომ ბალტიის ზღვის ფსკერზე ნაპოვნი დისკოს ფორმის იდუმალი ობიექტი, უბრალოდ, დიდი ზომის ქვაა. ზოგის აზრით, ის დიდი ხნის წინათ ჩაძირული ხომალდია. ეს ობიექტი საოცრად ჰგავს უცხოპლანეტელების ხომალდს ფილმიდან „ვარსკვლავური ომები“.

შვედების თქმით, უცნაური სტრუქტურის გარშემო შეიმჩნევა ამოთხრილი ფსკერი, რომელიც დისკოს ფორმის ობიექტის მახვილი კუთხით დაცემისას ან ისევ აფრენის მცდელობისას წარმოქმნილ ადგილს მოგვაგონებს.

ვარაუდი, რა თქმა უნდა, ძალიან მიმზიდველია, მაგრამ ამ აზრის მტკიცებულების არანაირი ფაქტი არ არსებობს. ბუნებაში ბევრია წარმონაქმნი (კრატერები, კარსტული ღრმულები, კლდეები თუ გორაკები) პრაქტიკულად იდეალური მრგვალი ფორმით. ასე რომ, უნდა დაველოდოთ ამო (ამოუცნობი მფრინავი ობიექტი)-სთან წყალქვეშა აპარატის ჩაშვებას, თუ ამ ნაბიჯის გადასადგმელად, საერთოდ, მზად აღმოჩნდება ვინმე.

მკვლევარების ჯგუფი, რომელმაც 2011 წელს ბალტიის ზღვის ფსკერზე ეს ობიექტი აღმოაჩინა, ირწმუნება, რომ ამოუცნობი ობიექტი ოვალური ფორმისა და 60 მ დიამეტრისაა, დგას უზარმაზარ საყრდენზე, ხოლო მის შიგნით არის კიბე, რომელსაც შავი ხვრელისკენ მივყავართ; ზღვის ფსკერზე დატოვებული კვალი შესაძლო კატასტროფაზე მეტყველებს. ობიექტის ზედაპირზე არსებული ბზარები უცხო შავი მასალითაა ამოვსებული, რომელიც დაახლოებით 14 ათასი წლისაა. ეს მკვლევარებს აფიქრებინებს მის კავშირზე რომელიღაც უძველეს მიწიერ ცივილიზაციასთან. ამგვარად, საკმაოდ ბევრი ინფორმაცია შეგროვდა, მაგრამ მკვლევარებს მათი გავრცელება აუკრძალეს. მიუხედავად ამისა, ინფორმციამ მაინც გაჟონა ინტერნეტში. ამის შესახებ მოთხრობილია ვებგვერდ ufospace.net-ზე .

სხვა საქმეა, გჯერათ თუ არა უცხოპლანეტელების არსებობის, მაგრამ, ეს ობიექტი დედამიწის ერთ-ერთ ამოუხსნელ საიდუმლოს რომ მიეკუთვნება, ფაქტია.





# ბანანის ქერქი — კარგი საკვები ოთახის მცენარეებისთვის

**ბანანი შეიცავს დიდი რაოდენობით კალიუმს, რომელიც ხელს უწყობს მცენარის ყვავილობას, ამიტომ მისი ქერქი არ გადაყაროთ. უმჯობესია, დაამზადეთ ნაყენი, რომლითაც შემდეგ მორწყავთ ოთახის მცენარეებს.**



1-2 ბანანის ქერქი რამდენიმე დღით ჩაალბეთ წყალში. შემდეგ კი ეს ხსნარი დაუსხით ყვავილებს, ოღონდ ზამთარში მოყვავილეებს ზაფხულში არ დაუსხათ და პირიქით. მცენარეები, რომლებიც გაზაფხულზე ყვავილობენ, ამ ხსნარით უნდა მორწყოთ თებერვლის შუა რიცხვებიდან, რათა მცენარე ყვავილობისთვის მოემზადოს.

ასევე, შეიძლება გამხმარი, დაქუცმაცებული ბანანის ქერქის ყვავილების მიწაში შერევა.

# კვერცხის სასუქი მცენარეებისთვის



**კვერცხის როგორც ცილა, ისე ნაჭუჭი ძალიან სასარგებლოა მცენარეებისთვის.**

**ავიღოთ ორი კვერცხის ცილა, დავასხათ 0.5 ლ თბილი წყალი. გავაჩეროთ ორი კვირა.**

**შემდეგ გავაზავოთ ორ ლიტრ წყალში და მოვრწყათ მცენარეები.**

**სასუქის დასამზადებლად კვერცხის ნაჭუჭი დავფქვათ.**

**3 სუფრის კოვზს დავასხათ 1 ლ ადუღებული წყალი.**

**გავაჩეროთ ბნელ ადგილას 24 საათი.**

**ასეთი სასუქი უყვართ, მაგალითად, კაქტუსებსა და სუკულენტებს.**

# რატომ უნდა დავდოთ მარილიანი ლიმონი სამზარეულოში

**ყველასათვის ცნობილია ლიმონის სამედიცინო თვისებები, ის ჯანმრთელობისათვის შეუცვლელია და ასევე არაჩვეულებრივია კერძებისა და სასმელების მოსამზადებლად.**



ლიმონს შეუძლია ბაქტერიების მოსპობა და უსიამოვნო სუნის გაქრობა. ამისათვის საჭიროა, ლიმონი გავჭრათ ოთხ ნაწილად ისე, რომ ნაჭრები ერთმანეთს არ დაშორდეს და შემდეგ მოვაყაროთ მარილი და დავდოთ სამზარეულოში, ის მოსპობს ბაქტერიებს, მიკრობებს და თავიდან აგაცილებთ უსიამოვნო სუნს.

სამზარეულოს გასაწმენდად შეგიძლიათ გამოიყენოთ ეს მარტივი მეთოდი: აიღეთ ლიმონის წვენი, მარილი და საპონი, აურიეთ ეს ყველაფერი და ჩაასხით სპრეის ბოთლში და გაწმინდეთ ამ სითხით ავეჯი და იატაკი. შედეგი ნამდვილად გაგაოცებთ.



# მსოფლიოს სამი ყველაზე ძვირად ღირებული წიგნი

**პირველი წიგნი, უფრო სწორად კი ნამუშევარი „ლესტერის კოდექსი“ აუქციონზე 44, 6 მილიონ დოლარად გაიყიდა. სწორედ ამ თანხად შეფასდა ლეონარდო და ვინჩის ნამუშევარი, რომელზეც ის მილანში დაახლოებით 1506-1510 წლებში მუშაობდა.**

რვეული 18 ფურცლისგან შედგება, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ შესრულების სირთულესა და უნიკალურობას, თავისუფლად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ის 72-გვერდიანია. ასევე საინტერესოა ლეონარდოს ხელწერა — ის სარკისებურია, რაც გულისხმობს იმას, რომ მისი წაკითხვა მხოლოდ სარკის დახმარებითაა შესაძლებელი.

ამ ნამუშევარში ლეონარდო აღწერს სხვადასხვა ბუნებრვ მოვლენას, მაგალითად რატომ ანათებს მთვარე, ან რა ნივთიერებებს შეიცავენ სხვადასხვა მინერალები. ამ ნამუშევრის სახელი მისი პირველი მყიდველისგან ლესტერისგან გამომდინარეობს, რომელმაც ის 1717 წელს შეიძინა.

საბოლოოდ კი ნამუშევრის მფლობელი მაიკროსოფტის დამფუძნებელი ბილ გეიტსი გახდა. მან ის 1994 წელს აუქციონზე შეიძინა.



**მეორეა ჰაინრიხ ლომის სახარება,** რომელიც 1983 წელს 26,7 მილიონ დოლარად შეფასდა. ის ხელითაა შესრულებული. წიგნი, სავარაუდოდ, 1188 წლით თარიღდება. იგი საქსონიისა და ბავარიის ჰერცოგ ჰაინრიხ ლომის (1129-1195წწ) დაკვეთითაა შესრულებული, რომელზეც ბერები და ეკლესიის მსახურები მუშაობდნენ. ჰერცოგის გარდაცვალების შემდეგ 226 გვერდიანი ნამუშევარი დაკარგულად ითვლებოდა, მაგრამ მე-19 საუკუნეში პრაღაში აღმოაჩინეს და 1861 წელს შეიძინა გეორგ მე-5-ემ.

საბოლოოდ კი გერმანიის ხელისუფლებამ ის 1983 წელს აუქციონზე შეიძინა და გეორ მე-5-ის სახელობის მუზეუმს გადასცა.



**მესამე ადგილზეა უნიკალური წიგნი „ამერიკის ფრინველები“**, რომლის ავტორია **ჯონ ჯეიმს ოდიუბონი.** წიგნი 1827-1838 წელსაა გამოცემული. ამ პერიოდში წიგნის 200 ეგზემპლიარი გამოუშვეს. საინტერესოა, რომ წიგნის 127 სმ სიმაღლის 435 გვერდი ხელითაა მოხატული. სხვათა შორის, ფრინველები დახატულია მათი რელური ზომების მიხედვით. აქამდე შემონახულია 119 სრული ეგზემპლარი, 108 ინახება სხვადასხვა ბიბლიოთეკაში, დანარჩენი კი კერძო კოლექციონერების საკუთრებაა.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

*** 5 ოქტომბერი მასწავლებლის საერთაშორისო დღეა.**
მასწავლებლის დღე 1994 წელს დააწესა იუნესკომ — განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხების გაეროს ორგანიზაციამ. ეს არის განათლების სფეროში მოღვაწე ყველა მასწავლებლისა და მუშაკის პროფესიული დღესასწაული.

*** 1872 წლის 10 ოქტომბერს პირველი სარკინიგზო რეისი განხორციელდა თბილისიდან ფოთში.**
ეს თარიღი საქართველოს რკინიგზის დაბადების დღედ ითვლება.



# ყველაზე მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენები

რუბრიკა „ქრონოგრაფში“ გაეცნობით ინფორმაციას როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენებსა და გამოჩენილ ადამიანებზე.



*** 1843 წლის 9 ოქტომბერს სოფელ დიდ ჯიხაიშში (სამტრედიის მუნიციპალიტეტი) დაიბადა პუბლიცისტი, კრიტიკოსი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ილია ჭავჭავაძის უახლოესი თანამებრძოლი ნიკო (ნიკოლოზ) ნიკოლაძე.**

1860 წელს დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია, ამავე წელს ჟურნალ „ცისკარში“ გამოაქვეყნა თავისი პირველი წერილები. 1861 წელს შევიდა სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე და აქტიურად ჩაერთო 1861 წლის სტუდენტთა ცნობილ გამოსვლებში, რის გამოც დააპატიმრეს და უნივერსიტეტიდან გარიცხეს. 1862 წელს სამშობლოში დაბრუნდა. შემდეგ კვლავ პეტერბურგში გაემგზავრა და ჟურნალ „ნაროდნოე ბოგატსტვოს“ რედაქტორობდა. 1864 წელს საფრანგეთში წავიდა და პარიზიდან თანამშრომლობდა გაზეთ „სანკტ-პეტერბურგსკიე ვედომოსტთან“. ა. გერცენის მიწვევით, აგრეთვე, თანამშრომლობდა გაზეთ „კოლოკოლთან“. შემდეგ გაემგზავრა ლონდონში, სადაც გაიცნო კარლ მარქსი, რომელსაც მისთვის შეუთავაზებია, I ინტერნაციონალის წარმომადგენელი ყოფილიყო კავკასიაში, მაგრამ ნიკოლაძეს ნაადრევად მიუჩნევია სამშობლოში დაბრუნება. 1866 წელს ფრანგულ ენაზე გამოსცა თავისი პირველი წიგნი „მთავრობა და ახალი თაობა“.

1868 წელს დაამთავრა ციურიხის (შვეიცარია) უნივერსიტეტი და დაიცვა დისერტაცია თემაზე „განიარაღება და მისი ეკონომიკურ-სოციალური შედეგები“, რომლისთვისაც მიენიჭა ციურიხის უნივერსიტეტის დოქტორის ხარისხი. 1870 წელს ნიკო ნიკოლაძე საქართველოში დაბრუნდა, 1871 წელს სათავეში ჩაუდგა ჟურნალ „კრებულს“, 1878 წლიდან გამოსცემდა გაზეთ „ობზორს“, რომელიც ხელისუფლებამ დახურა, მისი რედაქტორი კი სტავროპოლში გადაასახლა. 1887—1891 წლებში თბილისში რედაქტორობდა „ნოვოე ობოზრენიეს“, თანამშრომლობდა ჟურნალ „მოამბესთან“. 1894—1912 წლებში იყო ქალაქ ფოთის თავი. 1917—1918 წლებში იყო საქართველოს ეროვნული საბჭოს, ხოლო 1919—1921 წლებში საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი. 1918 წლის 26 მაისს ხელი მოაწერა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს. 1917 წელს მისი უშუალო მონაწილეობით დაარსდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

გარდაიცვალა 1928 წლის 5 აპრილს.



*** 1957 წლის 9 ოქტომბერს ოჩამჩირეში დაიბადა საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოსა“ და საბჭოთა კავშირის ნაკრების ფეხბურთელი ვიტალი დარასელია.**

უეფას თასების მფლობელთა თასის 1980—1981 წლების გათამაშების ფინალში იენის „კარლ ცეისის“ კარში მატჩის დასრულებამდე სამი წუთით ადრე გაიტანა გადამწყვეტი გოლი და „დინამოს“ გამარჯვება მოუტანა.

იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის გამარჯვებული (1978 წ.) და სსრკ-ის თასის ორგზის მფლობელი (1976, 1979 წ.).

ტრაგიკულად დაიღუპა ავტოკატასტროფაში 1982 წლის 13 დეკემბერს.



*** 1940 წლის 9 ოქტომბერს ლივერპულში (დიდი ბრიტანეთი) დაიბადა ბრიტანელი როკ-მუსიკოსი, მომღერალი, კომპოზიტორი, პოეტი და მხატვარი, პოპულარული ჯგუფ „ბითლზის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, XX საუკუნის ყველაზე პოპულარული მუსიკოსი ჯონ ლენონი (ჯონ უინსტონ ლენონი, შემდეგ ჯონ უინსტონ ონო ლენონი).**

1980 წლის 8 დეკემბერს პისტოლეტიდან 4 გასროლით მოკლა მარკ დევიდ ჩეპმენმა.



*** 1713 წლის 5 ოქტომბერს ქალაქ ლანგარში (საფრანგეთი) დაიბადა ფრანგი მწერალი, ფილოსოფოსი, დრამატურგი და განმანათლებელი, „ენციკლოპედია, ანუ მეცნიერების, ხელოვნებისა და ხელობების განმარტებითი ლექსიკონის“ შემდგენელი დენი დიდრო.**

დიდროს მიერ შექმნილი პოპულარული ნაწარმოებებია: „ფილოსოფიური აზრები“, „აზრები ბუნებაზე“, „ჭკუის შესახებ“, „მატერიისა და მოძრაობის ფილოსოფიური პრინციპები“, „ადამიანის შესახებ“, „მონაზონი“, „რამოს ძმისშვილი“, „ჟაკ ფატალისტი და მისი ბატონი“ და სხვ.

გარდაიცვალა 1784 წლის 31 ივლისს.



*** 1943 წლის 9 ოქტომბერს დასრულდა საბჭოთა მეომრების კონტრშეტევა კავკასიისთვის ბრძოლაში. საბჭოთა ჯარების კონტრშეტევა კავკასიისთვის ბრძოლაში, რომელიც 1943 წლის 1 იანვრიდან 9 ოქტომბრამდე გრძელდებოდა გერმანელ-რუმინელ-იტალიელ და საბჭოთა არმიის მებრძოლებს შორის დიდი სამამულო ომის პერიოდში.**

ეს იყო კავკასიისთვის ბრძოლის მეორე ეტაპი. პირველი იყო კავკასიის დაცვა (1942 წლის 25 ივლისი — 31 დეკემბერი), როდესაც საბჭოთა მეომრებმა შეძლეს გერმანელი ფაშისტების შეჩერება კავკასიის ქედზე. ამ ბრძოლებში თავი გამოიჩინეს ქართველებმა: სსრკ-ის შინაგან საქმეთა იმჟამინდელმა სახალხო კომისარმა ლავრენტი ბერიამ, რომელიც ხელმძღვანელობდა კავკასიის დაცვას, აგრეთვე, გენერალმა კონსტანტინე ლესელიძემ, მიხეილ მიქელაძემ, ილარიონ გაგუამ, შალვა წერეთელმა და სხვებმა.



*** 1948 წლის 6 ოქტომბერს, 2 საათსა და 17 წუთზე, თურქმენეთის დედაქალაქ აშხაბადში რიხტერის შკალით 7,3-ბალიანი სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა.**

მიწისძვრის შედეგად ქალაქი თითქმის სრულიად აღიგავა პირისაგან მიწისა. ოფიციალური მონაცემებით, დაიღუპა 36-37 ათასი ადამიანი, არაოფიციალური მონაცემებით კი, მსხვერპლის რაოდენობა 150 ათასზე მეტი იყო.



*** 1885 წლის 7 ოქტომბერს კოპენჰაგენში (დანია) დაიბადა დანიელი ფიზიკოსი და საზოგადო მოღვაწე, ნობელის პრემიის ლაურეატი ფიზიკის დარგში (1922 წ.) ნილს ბორი (ნილს ჰენრიკ დევიდ ბორი).** ბორმა სახელი გაითქვა კვანტური თეორიისა და კვანტური მექანიკის საფუძვლების შექმნით. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ატომის ბირთვის თეორიის შემუშავებასა და ბირთვული რეაქციების, აგრეთვე, ელემენტარული ნაწილაკების ურთიერთქმედების სწავლაში.

გარდაიცვალა 1962 წლის 18 ნოემბერს.



*** 1684 წლის 10 ოქტომბერს ვალანსიენში დაიბადა ფრანგი ფერმწერი, როკოკოს სტილის შემქმნელი ჟან ანტუან ვატო.**

მისი ცნობილი ნამუშევრებია: „სიყვარულის გაკვეთილი“, „ჭირვეული“, „გულგრილი“, „ვენეციური დღესასწაული“, „მაცდური“ (პანო), „არლეკინი და კოლომბინა“, „დილის ტუალეტი“, „დიანა ნაკადულთან“ და სხვ.

გარდაიცვალა 1721 წლის 18 ივლისს.



*** 1813 წლის 10 ოქტომბერს სოფელ ლე რანკოლეში (ლობარდია, იტალია) დაიბადა იტალიელი კომპოზიტორი, საოპერო ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენელი ჯუზეპე ვერდი (ჯუზეპე ფორტენინო ფრანჩესკო ვერდი). შექმნა 26 ოპერა და ერთი რეკვიემი.**

მისი ცნობილი ნაწარმოებებია: „ბალ-მასკარადი“, „რიგოლეტო“, „ტრუბადური“, „ტრავიატა“, „აიდა“, „ოტელო“, „ფალსტაფი“, „ნაბუქო“, „ყაჩაღები“ და სხვ.

გარდაიცვალა 1901 წლის 27 იანვარს.

**ამ პერიოდში დიდია ტექნიკური საშუალებების გაფუჭებისა და ავარიების, აგრეთვე, საკვებით მოწამვლის ალბათობა. წარმატებას მიაღწევენ ნებისყოფიანი პიროვნებები, რომლებიც მუხლჩაუხრელად იშრომებენ. სასიკეთო პერიოდია კუროს, კირჩხიბისა და მერწყულის ნიშნებით დაბადებულთათვის.**

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

**5 - 11 ოქტომბრის ასტროლოგიური პროგნოზი**

## ვერძი
**21 მარტი — 20 აპრილი**

ბევრი ვერძი შეეცდება საქმეების შესრულებაზე პასუხისმგებლობის დაკისრებას, მაგრამ ამ პერიოდში სჯობს, დაივიწყოთ სიტყვა „ინიციატივა“ — ბევრი რამ, რასაც ჩაიფიქრებთ, გამოგივათ, ოღონდ გუნდური მუშაობით და არა — ლიდერობით. მოგეცემათ კარიერაში წინსვლის შანსი.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას თავი შეიკავეთ ემოციების ამოფრქვევისგან, ჯერ დაფიქრდით და შემდეგ ილაპარაკეთ — თქვენი სიჯიუტითა და პირდაპირობით შეიძლება ახლობელი ადამიანები გაანაწყენოთ.

გაუფრთხილდით ნერვულ და იმუნურ სისტემას, მეტი დაისვენეთ და ფიზიკურად დაიტვირთეთ.

**დადებითი დღე: 6 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 8 ოქტომბერი.**

## კურო
**21 აპრილი — 21 მაისი**

ამ პერიოდში ყველაფერი ისე წარიმართება, როგორც დაგეგმილი გქონდათ, ოღონდ ერთი პირობით: თუ გადამწყვეტ მომენტში შეძლებთ კომპრომისს. თუ სამსახური არ გაკმაყოფილებთ, 7 ოქტომბრის შემდეგ კარგი პერიოდი დადგება მის შესაცვლელად. გაითვალისწინეთ, რომ ამ პერიოდის გავლის შემდეგ სამსახურის შეცვლა კარგს არაფერს მოგიტანთ.

ამ ნიშნის ბევრი წარმომადგენლის ყურადღება მიპყრობილი იქნება რომანტიკული ურთიერთობისკენ. მარტოხელა კუროები შეიძლება შეხვდნენ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელს, რომელთანაც ურთიერთობის გაღრმავებას მოისურვებენ, თუმცა ამისთვის ბევრი წინააღმდეგობის დაძლევა მოუწევთ.

დიდია საკვებით მოწამვლის ალბათობა. ყურადღებით შეამოწმეთ პროდუქტების ხარისხი და ვადა — არის თუ არა ის საკვებად ვარგისი.

**დადებითი დღე: 6 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 9 ოქტომბერი.**

## ტყუპი
**22 მაისი—21 ივნისი**

ამ პერიოდში გაგაღიზიანებთ შეუსრულებელი საქმეები, მიზეზი კი საკუთარი შესაძლებლობების გადაჭარბებით შეფასება იქნება. მოერიდეთ ემოციების ამოფრქვევას, ეს კარგს არაფერს მოგიტანთ.

შეიძლება გაგიმწვავდეთ საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა, არ არის გამორიცხული კონფლიქტი ოჯახში. მიუხედავად პრობლემებისა, მაინც გექნებათ ოჯახის წევრებსა და საყვარელ ადამიანთან უთანხმოების მოგვარების შესაძლებლობა.

დაძაბული სამუშაო გრაფიკით გამოწვეულმა გადაღლამ შეიძლება ჯანმრთელობის მდგომარეობა გაგიუარესოთ. შეეცადეთ, დაისვენოთ და მეტი დრო გაატაროთ ბუნების წიაღში.

**დადებითი დღე: 11 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 9 ოქტომბერი.**

## კირჩხიბი
**22 ივნისი—22 ივლისი**

კირჩხიბები ბევრი პრობლემის მოგვარებასა და დასახული მიზნის მიღწევას შეძლებენ კეთილგანწყობილი ურთიერთობის წყალობით. ძირითადი საზრუნავი კი ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება იქნება.

შესაძლოა, მოგიწიოთ ხანმოკლე მოგზაურობა, რომელიც დიდ გავლენას იქონიებს თქვენს მომავალზე, რადგან არ არის გამორიცხული, გაიცნოთ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელი, რომელიც მოკლე ხანში გახდება თქვენი ცხოვრების მეგზური.

თუ მკერდში მოულოდნელად იგრძნობთ ტკივილს, ექიმთან მისვლას ნუ გადადებთ — პრობლემის თავიდან ასაცილებლად გაიარეთ კონსულტაცია და გადაიღეთ კარდიოგრამა.

**დადებითი დღე: 10 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 8 ოქტომბერი.**

## ლომი
**23 ივლისი —22 აგვისტო**

ბევრი ლომი შეეცდება ამ პერიოდის დიდი ნაწილი გაატაროს ენერგიული, საქმიანი ადამიანის როლში — სიტყვაძუნწი, გამბედავი და ისეთი პიროვნების, რომლის სიტყვა და საქმე ერთმანეთს არ სცილდება. ეს ნაწილობრივ ნიღაბი იქნება, მაგრამ მოეწონებათ მისი ტარება, თუმცა ამან შეიძლება ახლობლების ან კოლეგების გაღიზიანება გამოიწვიოს.

დაქორწინებული ლომების ურთიერთობა საყვარელ ადამიანთან ჰარმონიულად წარიმართება, თუ მის ინტერესებსაც გაითვალისწინებენ და მეტ მზრუნველობას გამოიჩენენ.

ჯანმრთელობისთვის სახიფათო პერიოდია — დიდია ტრამვირების ალბათობა. მოწყვლადია ძვლოვანი სისტემა, განსაკუთრებით — კბილები და სახსრები.

**დადებითი დღე: 7 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 9 ოქტომბერი.**

## ქალწული
**23 აგვ. —23 სექტემბ.**

მზად იყავით იმისათვის, რომ უბრალო პრობლემების მოგვარებაზეც კი დიდი ძალისხმევის გამოჩენა დაგჭირდებათ. ნუ აჩქარდებით, სიმართლედ ნუ მიიღებთ ყველაფერს, რასაც მოისმენთ ან სხვისგან შეიტყობთ — მიღებული ინფორმაცია გულმოდგინედ შეამოწმეთ.

დაქორწინებული ქალწულები იოლად შეძლებენ უთანხმოების მოგვარებას, რომელიც ცოტა ხნის წინათ შეექმნათ თავიანთ მეორე ნახევართან, ოჯახის წევრებთან კი იმის წარმოჩენას, რომ ოჯახის დამცველები და საიმედო საყრდენები არიან.

მაღალია ღვიძლის ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა. მიდით ექიმთან და ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 11 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 9 ოქტომბერი.**

## სასწორი
**24 სექტ. — 23 ოქტ.**

შეეცადეთ, ფრთხილად და დაკვირვებით იმოქმედოთ, ყურადღება დაუთმოთ იოლად შესასრულებელ საქმესაც კი, რადგან შესაძლოა, ყველაფრის გადაკეთება მოგიწიოთ.

თავი შეიკავეთ საეჭვო ფინანსურ ოპერაციებსა და გარიგებებში მონაწილეობისგან, რადგან არ არის გამორიცხული, თაღლითობის მსხვერპლი აღმოჩნდეთ.

სასწორები, რომლებიც თავს მოტყუებულად ჩათვლიან, სინანულის გარეშე მიატოვებენ ადამიანს, რომელთანაც რომანტიკული ურთიერთობა ჰქონდათ.

მოერიდეთ სტრესულ სიტუაციებს და დაიცავით კვების რეჟიმი. დიდია კუჭ-ნაწლავის სისტემის ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 11 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 8 ოქტომბერი.**

## მორიელი
**24 ოქტ. — 22 ნოემბ.**

გონებაგაფანტულობა ხელს შეგიშლით დასახული მიზნების მიღწევაში. შეეცადეთ, მხედველობიდან მნიშვნელოვანი რამ არ გამოგრჩეთ და ხელი არ მოჰკიდოთ საქმეს, რომლის შესრულებასაც სწრაფი რეაქცია სჭირდება.

მოსალოდნელია კონფლიქტი გარშემო მყოფებთან და ამ კონფლიქტების მიზეზი თქვენ იქნებით. შეეცადეთ, გააანალიზოთ თქვენი მოქმედება და სათანადო დასკვნები გამოიტანოთ.

დაქორწინებულმა მორიელებმა შეიძლება კონტროლი დაკარგონ საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას, ამის მიზეზი იქნება ეჭვიანობა, თანაც, როგორც მოგვიანებით გაირკვევა, უსაფუძვლო.

ყურადღება მიაქციეთ შარდ-სასქესო სისტემას, დიდია თირკმლების ქრონიკული დაავადების გამწვავების, აგრეთვე, ფეხების ტრამვირების ალბათობა.

**დადებითი დღე: 11 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 8 ოქტომბერი.**

## მშვილდოსანი
**23 ნოემ. — 21 დეკ.**

გარემოებები გაიძულებთ უფრო ენერგიულად იმოქმედოთ, ვიდრე დაგეგმილი გქონდათ. არ გაღიზიანდეთ. დაკისრებულ მოვალეობებს შესანიშნავად გაართმევთ თავს და სულს მოითქვამთ. თავი შეიკავეთ ცვლილებებისგან — ნოვაციები პრობლემების მეტს არაფერს მოგიტანთ.

დაქორწინებულმა მშვილდოსნებმა რეალისტურად უნდა შეხედონ საგნებსა და მოვლენებს და საყვარელ ადამიანს მეტისმეტი მოთხოვნები არ უნდა წაუყენონ, წინააღმდეგ შემთხვევაში უთანხმოებას თავიდან ვერ აიცილებენ.

თავი შეიკავეთ ნეგატიური ემოციების ამოფრქვევისგან. მეტისმეტი აგრესიულობის გამო შეიძლება ტრავმა მიიღოთ. კარგი პერიოდია ჯანმრთელობის მდგომარეობის კომპლექსურად გამოსაკვლევად — ახლა დასმული დიაგნოზი მაქსიმალურად ზუსტი იქნება.

**დადებითი დღე: 11 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 8 ოქტომბერი.**

## თხის რქა
**22 დეკემ. — 20 იან.**

შეიძლება მოგიწიოთ ახალი ტექნიკის ან ტექნოლოგიის ათვისება. გაფრთხილდით — წინდაუხედავობის გამო, შესაძლოა, უხერხულ სიტუაციაში აღმოჩნდეთ. გაითვალისწინეთ იმ ადამიანების რჩევები, რომლებიც თქვენზე გამოცდილნი არიან.

თავი აარიდეთ საეჭვო ფინანსურ ოპერაციებსა და გარიგებებში მონაწილეობას.

კარგი იქნება, თუ დაქორწინებული თხის რქები მეტ დროს გაატარებენ მეუღლესთან. წადით ერთად სადმე სამოგზაუროდ. ეს მოგზაურობა შეიძლება ხანმოკლე იყოს, მაგრამ შესანიშნავ განწყობაზე დაგაყენებთ.

ამ პერიოდში დიდია კანის ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა. ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 11 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 9 ოქტომბერი.**

## მერწყული
**21 იან. — 19 თებ.**

სასიკეთო პერიოდია, განსაკუთრებით იმ მერწყულებისთვის, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებულია ფინანსების ანალიზთან.

მოგიწევთ თანხის გაღება ოჯახის წევრებისა და საცხოვრებლისთვის — სავარაუდოდ, გასარემონტებლად ან ავეჯის საყიდლად, ან სულაც ახალი ბინის შესაძენად.

დაქორწინებულ მერწყულებს ოჯახის წევრები სიურპრიზს მოუწყობენ და ძალიან გაახარებენ. მარტოხელები კი უნდა მოერიდონ სასიყვარულო ურთიერთობის გაბმას სამსახურში.

მაღალია თირკმლების ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა. უყურადღებოდ ნუ დატოვებთ ექიმის რჩევას!

**დადებითი დღე: 10 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 8 ოქტომბერი.**

## თევზები
**20 თებ. — 20 მარტი**

რთული პერიოდია, განსაკუთრებით იმ თევზებისთვის, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია ვაჭრობასა და მოგზაურობასთან. შესაძლოა, შეცდომა დაუშვათ მნიშვნელოვანი დოკუმენტების გაფორმების მომენტში ან პრობლემა შეგექმნათ მოგზაურობისას. ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ეძებეთ შემოსავლის დამატებითი წყაროები.

ქაოსურმა და წინდაუხედავმა მოქმედებამ, რომელიც გამოწვეული იქნება გაღიზიანებით, შეიძლება კონფლიქტამდე მიგიყვანოთ როგორც სამსახურში, ასევე ოჯახში.

შეძლებისდაგვარად მოთოკეთ ემოციები და თავი აარიდეთ სტრესულ სიტუაციებს. შეეცადეთ, მეტი დრო გაატაროთ სუფთა ჰაერზე და შეასრულოთ სუნთქვითი სავარჯიშოები.

**დადებითი დღე: 6 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 9 ოქტომბერი.**

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

# ბრძოლა წესების გარეშე ბედნიერი და უზრუნველი ცხოვრებისთვის

**ჩვენს ქვეყანაში 25 წლის განმავლობაში გამოიცვალა სამი ხელისუფლება: ზვიად გამსახურდიას, ედუარდ შევარდნაძისა და მიხეილ სააკაშვილის. ახლა არის მეოთხე ხელისუფლება — ბიძინა ივანიშვილის. ეს ლიდერები ხალხმა აღიქვა, როგორც ე.წ. ბელადები. გადიოდა დრო და, როგორც მოსალოდნელი იყო, იწყებოდა დიდი იმედგაცრუება.**

თითოეული ხელისუფლება, გარდა პირველისა, ებღაუჭებოდა ძალაუფლებას, სანამ არ ამოწურავდა მართვის ყველა რესურსს.

ახლანდელი ე.წ. ბელადი, ანუ **ბიძინა ივანიშვილი**, ისევე, როგორც წინამორბედნი, მოვიდა ხალხის საყოველთაო მხარდაჭერით.

ბატონ ბიძინას ჰქონდა დიდი პოლიტიკური კაპიტალი საქართველოს ისტორიაში უპრეცედენტო ქველმოქმედების სახით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილის მხარდაჭერა დაკარგა.

ჩვენს ქვეყანაში არის **17 სამინისტრო და 350 000 სახელმწიფო** მოხელე. მათი რაოდენობა ოჯახის წევრებიანად და ახლობლებიანად, ალბათ, მილიონამდეა. აი, ეს არის ყბადაღებული ადმინისტრაციული რესურსი.

სამსახურის დაკარგვის შიშით, ისინი იძულებულნი არიან, მხარი დაუჭირონ „ოცნების" ხელისუფლებას, რადგან კარგად იციან, ქართულ რეალობაში როგორც ხდება — როგორც წესი, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ იცვლებიან სახელმწიფო მოხელეები.

მოკლედ, **ხალხის ბელადობიდან ბატონი ბიძინა გადაიქცა სახელმწიფო მოხელეებისა და მათ ახლობლების ბელადად.**

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ხელისუფლება მოწინაალმდეგეების, ანუ, უფრო ცივილიზებურად რომ ვთქვათ, ოპოზიციონერების დისკრედიტაციისთვის იყენებდნენ ისეთ ტერმინებს, როგორებიცაა „კრემლის აგენტი", „კაგებეს აგენტი", „ზვიადისტი", „ჩარეცხილი" და „მიშისტი".

„ოცნების" შემდეგ ყველაზე მეტი ამომრჩეველი ჰყავთ ე.წ. ნაციონალებს, სავარაუდოდ, 10-15%.

დანარჩენი პარტიები თავიანთი ლიდერებითა და ლოზუნგებით ძნელად გასარჩევია ამომრჩევლებისთვის.

და, როგორც ბატონი **გია ხუხაშვილი** ბრძანებს, დაახლოებით 35% ამომრჩევლებისა არის გაურკვევლობაში. ისინი ან არ აპირებენ საარჩევნო ყუთთან მისვლას, ან ყველას გადახაზავენ და სალანძღავ სიტყვებსაც მიაწერენ.

ახლა განვიხილოთ „ოცნების" დაპირება — ქართველი ამომრჩევლისთვის ყველაზე მტკივნეული პრობლემა — დასაქმება. დასაქმება და სიღარიბე ერთმანეთისგან განუყოფელია.

როგორც გვეუბნებიან, თურმე 200 000 კაცს დაასაქმებენ. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში კი უმუშევრობა გაიზარდა და ხალხი უფრო გაღატაკდა. ამ დროს ტელევიზორში გვიჩვენებენ საამურ ცხოვრებას — თურმე იხსნება სხვადასხვა წარმოება და ამ დროს ხალხი ამას ვერ გრძნობს.

**ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში გამოაცხადეს, რომელიღაც რაიონში (არ მახსოვს რომელში) საწარმო გაიხსნაო. ვიფიქრე, ალბათ, სერიოზული საწარმო გაიხსნა-მეთქი. მთელი მინისტრთა კაბინეტი იქ იყო, მგონი, 17 მინისტრი (ანუ ყველა) და აღმოჩნდა, რომ იქ**



**რუსეთში მუშაობის პერიოდში, თუნდაც როცა ბანკი «როსიისკი კრედიტი» შექმნა, ასეთი კადრები შეარჩია? როგორც ვიცი, მან შემოიკრიბა უჭკვიანესი ადამიანები. ასეთი კადრები რომ დაენიშნა, როგორიც საქართველოს მთავრობაშია, ალბათ, რუსეთიდან წამოსასვლელი თანხაც არ ექნებოდა**

**15 კაცი დაუსაქმებიათ. აი ასეთი კომიკური სიტუაციაა დღეს ქვეყანაში. ანალოგიური რამ ხდებოდა ნაციონალური ხელისუფლების პერიოდშიც, როცა ერთი საწარმო რამდენიმეჯერ იხსნებოდა.**

ხალხს ასაქმებს ბიზნესი და არა ხელისუფლება. ასე რომ, 200 000 ადამიანის დასაქმება აშკარა ბლეფია. იქნებ სოციალისტურ ეკონომიკაზე გადავდივართ და ვერ ვხვდებით? მოკლედ, აშკარაა ხალხის გაბრიყვების მორიგი მცდელობა.

**როგორ შეიძლება ფეხბურთელებით, მორაგბეებით, მსახიობებითა და რეჟისორებით დაკომპლექტებული გუნდით წარმატების მიღწევა. ჩვენ გვჭირდება პროფესიონალები, ასეა ყველა ქვეყანაში და ჩვენ რა, გამონაკლისები ვართ?**

ქართული ფეხბურთი უმძიმეს მდგომარეობაშია, ამ დროს კი ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ვირჩევთ პარლამენტში და, როგორც ამბობენ, თურმე ორივე პოსტს შეითავსებს. გამახსენდა ქართული ანდაზა ორი კურდღლის მდევარზე.

ჩვენ გვყავდა დიდი ფეხბურთელები, რომლებიც დაამშვენებდნენ ევროპის ნებისმიერ გუნდს, შესაძლებელი რომ ყოფილიყო ქვეყნიდან გასვლა. ისინი, ფაქტობრივად, ეროვნული გმირები იყვნენ და არც ერთ მათგანს არ გაუტანია საკუთარ კარში 2 გოლი ერთ მატჩში.

არც ერთ მთავრობას გონებაში არ გაუვლია აზრად ყოფილი ფეხბურთელის მინისტრად დანიშვნა. ისინი იყვნენ მოკრძალებულ თანამდებობებზე და ინარჩუნებდნენ ხალხის დიდ სიყვარულს.

ასე იყო საზღვარგარეთაც. არც ერთი დიდი ფეხბურთელი არ დაუნიშნავთ მინისტრად, არ აეურჩევიათ სენატორად თუ კონგრესმენად.

ისინი მოღვაწეობდნენ მათთვის შესაფერ სფეროში.

**მარადონა** წლების შემდეგ გახდა არგენტინის ნაკრების მწვრთნელი, ასევე იყო **ბეკენბაუერი**, ასეა **ზინედან ზიდანი**. ცხონებული **იოჰან კრუიფი** სხვადასხვა სამწვრთნელო კურსებზე მხოლოდ 10 წლის დაუღალავი სწავლის მერე დაინიშნა „ბარსელონას" მთავარ მწვრთნელად.

თვით ჩვენი ვიცეპრემიერის მეგობარი და თანაგუნდელი **შევჩენკო** ახალდამთავრებულ ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატზე მთავარი მწვრთნელის — ფომენკოს (თუ არ ვცდები) თანაშემწე იყო და მხოლოდ შემდეგ დანიშნეს უკრაინის ნაკრების მთავარ მწვრთნელად.

მთავარ მწვრთნელად და არა — ენერგეტიკის მინისტრად.

ამას ვწერ გულისტკივილით და არა — დაცინვით. ჩვენ სახელოვანი ფეხბურთელები და მათ შორის ვიცეპრემიერი, ქართული ფეხბურთის ასაღორძინებლად გვჭირდება.

ისინი ქართულ ფეხბურთს აკლდებიან და პოლიტიკას კი ვერაფერს შესძენენ. ეს მათი სფერო არ არის.

ცალკე თემაა ფეხბურთის ფედერაციის არჩევნები, რომელსაც ვიცეპრემიერი დაესწრო ყოველგვარი სტატუსის გარეშე. ამან გამახსენა ნაციონალების პერიოდში ჩატარებული ფეხბურთის ფედერაციის არჩევნები, როცა უმცროსი **ახალკაცი** ძალით გაიყვანეს პრეზიდენტად.

საინტერესოა ბატონი ბიძინას საკადრო პოლიტიკა.

ქალაქის მერად, ფაქტობრივად, სრულიად მიუღებელი პიროვნებაა, ეს შემდგომში გამოჩნდა კიდეც.

შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნეს ადამიანი, რომელსაც „თალიბანი" პიროვნება ჰგონია და გაიძახის „კრიმინალი საუკეთესო მდგომარეობაშიაო".

გენერალურ პროკურორად დანიშნეს „მოძველბიჭო" პირი, რომელიც ექვმიტანილია გერმანიაში „ბოტასების" მოპარვაში.

ან ავიღოთ თინეიჯერი საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელიც უნდა შეხვდეს **სერგეი ლავროვს** და **ჯონ კერის.** ხომ წარმოგიდგენიათ ამ შეხვედრების შედეგი.

**ბატონი ბიძინა, რომელმაც უდიდესი ქონება დააგროვა რუსეთში, ნუთუ ასეთი სუსტია საკადრო პოლიტიკაში?**

რუსეთში მუშაობის პერიოდში, თუნდაც როცა ბანკი „როსიისკი კრედიტი" შექმნა, ასეთი კადრები შეარჩია? როგორც ვიცი, მან შემოიკრიბა უჭკვიანესი ადამიანები.

ასეთი კადრები რომ დაენიშნა, როგორიც საქართველოს მთავრობაშია, ალბათ, რუსეთიდან წამოსასვლელი თანხაც არ ექნებოდა.

აბა, ახლა რა მოხდა?

ამ ხელისუფლებამ მიაღწია იმას, რომ ჩაძირული და დამნაშავე „ნაციონალური მოძრაობა" აღაზევა და ახლა, ამ დამნაშავე ორგანიზაციის გასამართლების მაგივრად, ფილმი გადაიღო. მიაღწია იმას, რომ ორგანოებით ვაჭრობაში ეჭვმიტანილი ქალი კენჭს იყრის ზუგდიდში და არცთუ ცოტა მხარდამჭერი ჰყავს.

ბატონმა ბიძინამ ჩამოაშორა ხელისუფლებას დამნაშავე „ნაციონალური მოძრაობა". ამისთვის მას დიდი მადლობა, მაგრამ ისეთი კადრები მოიყვანა, რომ ქვეყანა ჩიხში შევიდა.

მას უნდა ეყოს სიბრძნე, აიღოს ხელში ძალაუფლება, მოიყვანოს კომპეტენტური ხელისუფლება, შეამციროს უზომოდ გაბერილი სახელმწიფო აპარატი, შეამციროს სამინისტროების, პარლამენტარების რაოდენობა, რომელთა უმრავლესობა ბალასტია ქვეყნისთვის, შექმნას პატარა მობილური მთავრობა, როგორიც შეეფერება ჩვენნაირ პატარა ქვეყანას, და გამოიყვანოს საქართველო ჩიხიდან.

მაშინ ის ისტორიაში შევა არა მხოლოდ როგორც მეცენატი, არამედ — როგორც დიდი მმართველი.

**გურამ ამირანაშვილი**



## ჩიტო, გვრიტო, ჩიტო... მარგალიტო?

**მას შემდეგ, რაც ინტერნეტში ის ვიდეო გავრცელდა, რომელშიც მიხეილ სააკაშვილი რევოლუციურ სცენარზე საუბრობს, აზრი ცნობილმა ადამიანებმაც გამოთქვეს. საკუთარი პოზიცია ცნობილმა მომღერალმა, წინა ხელისუფლების აქტიურმა მხარდამჭერმა ბუბა კიკაბიძემაც გამოხატა.**

„მიმაჩნია, რომ ეს მონტაჟია, ასე სამარცხვინოდ არავინ ლაპარაკობს... მონტაჟია, კი! არა მგონია, სახელმწიფო გადატრიალების საფრთხე არსებობდეს, მაგრამ ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მაგრამ ვისგან, არავინ იცის. მსგავსი საქმეები ჯერ უნდა გამოიძიონ და დაასაბუთონ".

**ბატონო ბუბა, მაშინ რატომ არ ამბობდა არავინ არაფერს, როცა ჯერ იჭერდნენ, მერე იძიებდნენ და ასაბუთებდნენ?!**

**„ია ოდინ უმნი ვეშ სკაჟუ, ტოლკო ტი ნე ობიჟაისა..."**



## ოლიმპიური გაუგებრობა

**ოლიმპიური ჩემპიონი ვლადიმერ ხინჩეგაშვილი გაუგებრობაში მოხვდა. ის უკრაინაში რთველში აღმოჩნდა, სადაც ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც იმყოფებოდა.**

ისე როგორ იქნებოდა, მიშას ეს შანსი ხელიდან გაეშვა და ჩემპიონთან ვიდეო ჩაწერა, მერე კი საკუთარ გვერდზე ატვირთა. ატყდა ამბავი საქართველოში, ხინჩეგაშვილს ნაციონალი და მოღალატე უძახეს და მოჭიდავემაც თავი იმართლა, შემთხვევით აღმოვჩნდი რთველში, სადაც ასევე შემთხვევით გადავეყარე მიხეილ სააკაშვილსო.

**ჩემო ლადო, ყველაფერი შემთხვევითია, თორემ სააკაშვილს პრეზიდენტად რა უნდოდა, რა?!**

მოამზადა გიორგი გელაშვილმა


### ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**



საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge



მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894